

სამეცნიერო

მეცნიერებათა
სამეცნიერო



„ლიტერატურა და ხელოვნება“
თბილისი
1965

სიმონ სხირტლადის კრებული ბევრ საინტერესო მასალას მიაწვდის მკითხველს ქართველი ხალხის კულტურული წარსულიდან.

წერილების ერთი ნაწილი ნათელს ჰფენს ჩვენი სულიერი და მატერიალური კულტურის ისეთ ფაქტებსა და ნიმუშებს, რომლებსაც ნაკლებად ან სრულიად არ იცნობს ფართო საზოგადოება.

კრებულში ვეცნობით აგრეთვე ქართული კულტურისა და მხატვრული სიტყვის ზოგიერთი მოამაგის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

სულხან-საბა ორბელიანის გარდასული საგანძურები

ქველი ქართული ლიტერატურის ხელნაწერთა უმდიდრესი საგანძურიდან, მართალია, ბევრი სათანადო მეცნიერული სიღრმითაა გამოცემული და შესწავლილი, მაგრამ ამავე დროს ერთი ნაწილი ჯერ კიდევ მიუწვდომელია ფართო საზოგადოებისათვის. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის გამოჩენილი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებათა კრებული „სწავლანი“¹ და თეოლოგიური სახის შრომა „სამოთხის კარი“.

მართალია, ორივე ძეგლი ახალი და ძველი აღთქმის დამრიგებლობითს მოტივებსა და მამხილებელ იგავებზეა აგე-

¹ სულხან-საბა ორბელიანის ეს ძეგლი, რომლის სრული სახელწოდებაცაა: „სწავლანი ანუ ქადაგებანი, თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის მიერ“, ამჟამად მხოლოდ ორი ხელნაწერის სახითაა ცნობილი. პირველი გადმონუსხულია საბას ძმის ზოსიმეს მიერ 1729 წელს ქ. მოსკოვს, შეიცავს 708 გვერდს და ჩასმულია მაგარ ყდაში (დაკულია საქართველოს სიძველეთა მუზეუმში, ფონდი A-473). იგივე „სწავლანომძღვრებანი“ გადაწერილია მხედრული ხელით ვილაც უცნობის მიერ 1811 წელს და ინახება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში (ფონდი, № 20068-b).

რაც შეეხება თვით კრებულს, იგი შედგება 46 სწავლა-მომძღვრებისაგან, რომლებიც საბას ბერობის პერიოდში (1698—1710 წლებში)

ბული, მაგრამ მათში საერო თვალსაზრისით ისეთი მებრძო-
ლი სული ტრიალებს, რომ დღეს სულ სხვაგვარად უნდა იქ-
ნას წაკითხული და შეფასებული.

და არა მარტო საბას ეს შრომები! საჭიროა ჩვენი უმ-
დიდრესი მატერიალური და სულიერი კულტურას ყველა
ქმნილება ერთხელ კიდევ დავდოთ კრიტიკული განსჯას სას-
წორზე და მათში რელიგიური საბურველიდან მკვეთრად
გამოვთიშოთ მიწიერი ცხოვრების ალტაცებით გამოწვეული
სინარული, კაცთა მოღვმის კეთილდღეობისათვის ბრძოლის
იდეალები.

რა თქმა უნდა, ეს როდი ნიშნავს, თითქოს ამ კულტუ-
რულ მონაპოვართა საკმაოდ დიდი ნაწილი, და მათ რიცხვში
ხაზას ლიტერატურული მემკვიდრეობაც, ხარკს არ უზდიდეს
ეპოქის მოთხოვნებს, დაზღვეული იყოს გარკვეული რელიგი-
ური და კლასობრივი შეზღუდულობისაგან. აქ ლაპარაკია
პროგრესულ, შეიძლება ითქვას, ისტორიულად მისაღებ და
ანგარიშვასაწევ მხარეებსა და მომენტებზე. უდავოა, რო-
გორი სულისკვეთებითაც არ უნდა იყოს შესრულებული ეს
ძეგლები, მათში ასე თუ ისე უკუფენილია ჩვენი ხალხის

წარმოუთქვამს ქადაგებათა სახით გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოში.
ყურადღებას იპყრობს წარწერები ძეგლის თავსა და ბოლოში. შესა-
ვალში ვკითხულობთ: „სწავლანი თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის
მერ. ვინც მისი სახელი აღმოხოცოს ამ წიგნიდამ, წყეულ იყოს უკუ-
ნისამდე“. ასევე საგულისხმოა ხელნაწერის ბოლოში გადამწერის, საბას
ძმის, ზოსიმეს შემდეგი მინაწერი: „აღიწერა სულთა განმანათლებელი
წიგნი ესე თეთრ რუსეთს ღვთისაგან კურთხეულს სამეფოსა ქალაქსა
დიდსა მოსკოვს, ხელითა ჩემს ცოდვილისა ზოსიმე ორბელიანის და
თვით ორბელის ძისათა... ჩღკთ“ (1729 წ. — ს. ს.).

ისტორიული წარსული, მისი იმდროინდელი სოციალური და პოლიტიკური ვითარება, ურიცხვ მტერთა გარემოცვაში სიცოცხლის შენარჩუნებისათვის თავგანწირული ბრძოლების ბუკი და ნაღარა. მართლაც, ისტორიის ტრაგიკულ გზაჯვარედინებზე ხანგრძლივ შრომასა და ბრძოლაში ხელდამკლავებული ქართველი ხალხი შეუძლებელია რომელიმე რელიგიის, კერძოდ ქრისტიანული კოსმოგონიის, მისი მკვდარი დოგმების ბრმა მონა გამხდარიყო. რამდენის მთქმელია თუნდაც რელიგიური ეკზალტაციით შეპყრობილი პოეტის დ. გურამიშვილის გამგმირავი სტრიქონები, თქმული სვეგამწარებელი სამშობლოს მტერთა და ორგულთა მიმართ:

თავის მჭრელი ლახვარი ლესოს, გაიმახოსა,
ჩემს მტერს გულზედ აძგეროს, არა წყნარად ახოსა.

ჭეშმარიტად საოცარია, რომ ხშირად ჩვენს ფრესკებზე გამოხატული უწყინარი ანგელოზებიც კი მახვილით ხელში მტრის შესამუსრავად არიან შემართულნი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ დიდ ხელოვანს, მწერალს იქნებოდა იგი თუ ხუროთმოძღვარი, შემოქმედებითი დამოკიდებულების გარეშე არ უსარგებლია საქრისტიანო კულტურის საგანძურადან.

თითქმის ყველა შემოქმედი, ეროვნული სპეციფიკისა და შექმნილი სიტუაციის შესაბამისად, მისგან შერჩეულ თემას თუ ეპიზოდს ახლებურად, საერო ასპექტში გარდაქმნიდა, ორიგინალური მიდგომით აქსოვდა მასში საკუთარ აზრს, ეპოქის სულს, თავის ფილოსოფიურ, სოციალურ და პოლიტიკურ იდეალებს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მატერიალური კულტურის

ანსამბლიდან ნიკორწმინდის დასახელებაც კმარა. შეხედეთ ჩვენს ხუროთმოძღვრების ამ საკვირველებას, რა ხალისიანი, საცოცხლის ტრფობის აღმძვრელი ფერები, თვითმყოფი და უაღრესად მიწიერი ჩუქურთმებია. „მიკარგულ-მოკარგული“ მის ციხე დამშვენებულ სვეტებსა და თალებში.

ახლა ჩაიხედეთ სულხან-საბა ორბელიანის ჩვენთვის საინტერესო, დღემდე გამოუქვეყნებელ ნაშრომებში¹, შემოადრეთ მას რელიგიური მანტია და ნახავთ, რა მხატვრული სახეები აელვარდება თქვენს თვალწინ, ზნეობის რა გამაკეთილშობილებელი მარგალიტები მოიძებნება შიგ, როგორი გოლიათური სული ბორგავს იმ სტრიქონებში, რომელთა მიზანია მაჰმადიანურა გარემოცვის მღვრიე ტალღებში მოხვედრილი ქართული ხომალდის ჩაძირვისაგან ხსნა.

მართალია, შინაგანი ინტრიგებისა და პოლიტიკური მარცხის გამო, საბა დროებით მოწყდა საერო ცხოვრებას, მაგრამ რა დააოკებდა იმ მეგრძოლ სულსა და მღელვარე გულს, რომელშიც, ვაჟას ძარღვიანი გამოთქმა რომ ვიხმართ, მტრის ჭავრი შავი ალაზნის გუბედ იყო ჩამდგარი. იგი აქაც, დავით გარეჯის ტრამალ უდაბნოშიც, არაა მოცლილი „სოფლის საქმეთაგან“ და კვლავაც ბრწყინვალე ვარსკვლავის ძიებაში მონასტრის ვიწრო სარკმლიდან გასცქერის პირქუშ ზეცას. საბა აქაც, კალმით ხელში, იბრძვის ისლამური წყვილის გასათანტავად, სპარსოფილურად განწყობილ უღირს თანამემამულეთა გამოსადვიძებლად და დასამოძღვრავად.

სწორედ ასეთად გვევლინება საბა საერთოდ, და კერძოდ

¹ ამ წერილის გამოქვეყნებიდან 4 წლის შემდეგ ორივე ეს ძეგლი შევიდა საბას თხზულებათა III ტომში (1963 წ.).

ამ ორ ძეგლში, რომლის შესახებაც გვწაღია მკითხველთან საუბარი. შეეჩერდეთ პირველზე.

„სწავლანის“ — ამ ფრიად საყურადღებო ძეგლის არსებობა ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა 1899 წელს, როცა გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა პ. კარბელაშვილის წერილი სათაურით: „სულხან-საბა ორბელიანის „სწავლა-მოძღვრებანი“.

წერილის შესავალში ავტორი სიხარულით აუწყებს მკითხველს, რომ მღვდელ ზ. დავითაშვილს იმერეთის ეპისკოპოს ლეონიძისათვის გადაუცია საბას დღემდე უცნობი „სწავლა-მოძღვრებანი“.

პ. კარბელაშვილს მოჰყავს ქადაგებათა სარჩევი და მოკლედ ეხება დიდი მწერლის ტრაგიკულ ბიოგრაფიას, კერძოდ, ვახტანგ VI-ის ამალასთან ერთად მის გადახვეწას რუსეთში, სადაც საბას უმცროს ძმას, ბერად შემდგარ ზოსიმეს (ერისკაცობაში ზაალს) 1729 წელს გადმოუნუსხავს სასიქადულო ძმის ქადაგებათა პირი.

პ. კარბელაშვილი აღძრავს საზოგადოების ყურადღებას უცნობი ძეგლისადმი და ასეთი მოწოდებით ამთავრებს თავის წერილს: „ურიგო არ იქნებოდა რომელიმე შთამომავალს დიდოს ორბელიანებისას ეთაენა ამ ძვირფასი ხელნაწერის დაბეჭდვა და დაენახვებინა ქვეყნისათვის, თუ რა მქადაგებელი ჰყოლია ძეგლად ქართველ ერს და რამდენი გონებრივი სიმდიდრე გვაქვს ჯერ უცნობი და შეუსწავლელი“¹.

პირველი მეცნიერული გამოხმაურება საბას ქადაგებებზე ეკუთვნის ისტორიკოს მოსე ჯანაშვილს, რომელმაც 1899

¹ „ივერია“, 1899 წ., № 21, გვ. 4.

წელს „ივერიაში“ (№ 61) გამოქვეყნებულ მოკლე მიმოხილვაში, აღნიშნული ძეგლი პატრიოტული და პოლიტიკური ტენდენციების შემცველ ნაწარმოებად მიიჩნია.

წერილში „ახალი შრომა სულხან-საბა ორბელიანისა“ მ. ჯანაშვილი შენიშნავს: „შიგა და შიგ საბა აღიმალლებს ხმას და იწვევს ქართველთა სამღვდლოებას დაიცვას სამწყსო ვათათრებისაგან, რას გძინავსო, თქვენი ცხოვარნი მგელმა წარიტაცაო“.

უფრო გვიანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ შესანიშნავ ძეგლზე განსაკუთრებული ყურადღება ადარავის გაუმახვილებია. თავის კაპიტალურ შრომაში აკადემიკოსი კ. კეკელიძე მას მხოლოდ გაკვრით იხსენიებს იმ გამოუქვეყნებელ საეკლესიო თხზულებათა გვერდით, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანის კალამს ეკუთვნიან.

დაახლოებით ასეთივე ზოგადი შენიშვნით კმაყოფილდება პროფ. ა. ბარამიძე, როცა წერს: „სულხან-საბა ორბელიანის კალამს ეკუთვნის აგრეთვე სასულიერო-საეკლესიო შინაარსის მრავალი ნაშრომი“¹.

საბას ქადაგებებისადმი შედარებით მეტა ინტერესი გამოიჩინა პროტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ, რომელმაც თავის მონოგრაფიულ ნარკვევში „სულხან-საბა ორბელიანი“ აღნიშნულ ძეგლს ასეთი შეფასება მისცა: „საბას ქადაგებებში ცოცხლად მოჩანს ავტორის ინდივიდუალური ბუნება, მისი პოლიტიკური და რელიგიური ფიქრები. ამ ქადაგებებში სა-

¹ ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1940 წ., გვ. 275.

ბა გვევლინება, როგორც დიდი მორალისტი და მხურვალე ტრიბუნი“¹.

საბას ამ თხზულების შესახებ თავისი აზრი გამოთქევეს აგრეთვე ივ. ლოლაშვილმა და ლ. მენაბდემ. მაგრამ ძნელია ამ ძეგლზე სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მანამდე, ვიდრე იგი არ დაიბეჭდება. ჯერ კიდევ 1928 წელს გ. ლეონიძე მართებულად შენიშნავდა: „საბას ეკლესიური ორატორული შემოქმედება შეუსწავლელია და სრულიად უცნობი, ამასთანავე დიდმნიშვნელოვან მასალას შეიცავს იგი საბას ბიოგრაფიისათვის. საერთოდ საბას ქადაგებანი, რომელიც ცალკე მკვლევარს მოელის, შესანიშნავი ძეგლია მე-18 საუკუნის ქართული ორატორული ლიტერატურისა“².

მართალია, ჩვენს წერილს ასეთი ფართო გამოკვლევის პრეტენზია არა აქვს, მაგრამ მისი მიზანია ზოგადი წარმოდგენა მაინც მისცეს მკითხველს, თუ რა ხასიათის ძეგლია საბას გამოუქვეყნებელი „სწავლანი“ და თავისი ეპოქის რამტკავნეულ საკითხებზე ამასვილებს ყურადღებას მებრძოლი პატრიოტი, დიდი ზნეობრივი მოძღვარი და უებრო მქადაგებელი.

* * *

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“, რომელიც 46 ქადაგებისაგან შედგება, არსებითად სასულიერო-საეკლესიო შინაარსის ნაწარმოებია და ამ უნარის საკაცობრიო შედეგებზე განეკუთვნება.

¹ სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე-სიცრუისა“, 1928 წ., გვ. XXIV.

² იქვე.

კომილუტიკური ლიტერატურის ამ საუკეთესო ნიმუშებში მქადაგებელი პათეტიურად ლაპარაკობს ისეთ თეოლოგიურ დოგმებზე, როგორცაა ღმერთის ყოვლისშემძლეობა, სულას უკვდავება, მეორედ მოსვლის მოლოდინი, სამოთხის მშვენიერება, ჯოჯოხეთის საშინელება, მართალთა ცხოვნება, ცოდვილთა განკითხვა და სხვ.

ამ განყენებულ ბიბლიურ მსჯელობაში საბა საერო ფონზე მოხდენილად აქსოვს და აზავებს ქრისტიანული რელიგიის მიერ დაკანონებულ საკულტო დღესასწაულებს, ყოფაცხოვრებით რიტუალებს, რომლებიც უხსოვარი დროიდან დიდი პატივით სარგებლობდა ძველ საქართველოში.

როგორც მოსალოდნელია, ყველგან, სადაც კი საბას ძველი და ახალი აღქმის დოგმებზე უხდება მსჯელობა, ამქვეყნიური ცხოვრება წარმოდგენილია, ვითარცა კვამლი და აჩრდილი, „რომელიც მცირედ ეამ ჰსჩანან“. რელიგიური თვალსაზრისითაც რომ ვიმსჯელოთ „სწავლანის“ ამ ნაწილის შესახებ, მათი ავტორი მთლიანად მაინც არაა თეოლოგიურ არტახებში მომწყვდეული ადამიანი.

როგორც საფუძვლიანად განსწავლული და პრაქტიკულ ცხოვრებაში ღრმად ჩახედული ბრძენი, საბა ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად დიდი გატაცებით გველაპარაკება ადამიანის ამქვეყნიურ დანიშნულებაზე, მის მაღალ მოქალაქეობრივ მოვალეობაზე სამშობლოსა და თანამოძმეთა მიმართ.

ამ მხრივ მრავლისმეტყველია თვით ავტორის მოკლე განმარტება ქადაგებათა დანიშნულებაზე: „რომელი არს ქადაგება ერის მიმართ სწავლად“. თავის დიდ ნაწილში „სწავლანი“ რომ საერო და აღმზრდელობითი ხასიათის ძეგლიცაა,

საკმარისია თუნდაც სარჩევს გადავხედოთ: სწავლა სიმდაბ-
ლისათვის; სწავლა სტუმართმოყვარეობისათვის; სწავლა
ვერცხლისმოყვარეობისათვის; სწავლა ურჩებისათვის; სწავლა
მრისხანებისათვის; სწავლა სნეულთა მიხედვისათვის; სწავ-
ლა სიმთვრალისათვის; სწავლა სიმშვიდისათვის; სწავლა მა-
გინებელთათვის; სწავლა ზვაობისაგან დაბნელებულთათვის;
სწავლა ძვირის არა ხსენებისათვის; სწავლა სამწყსოს დამწ-
ყებისათვის და სხვ.

თითქმის ყველა ეს ქადაგება განხორციელებაა დიდი მწერ-
ლის სანუკვარი დევიზისა: „საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქ-
მიანი“. ადამიანი უნდა ფასდებოდეს არა თაფლისმწვეთავი
ენით, არამედ „საქმითა და აღსრულებითა“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შარალელის თვალსაზრისით
სპეციალური შესწავლის ღირსია ის საზიარო მოქალაქეობ-
რივი მოტივები, რომლებიც გვხვდება „სიბრძნე, სიცრუესა“
და ქადაგებებში ჩაქსოვილ იგავებს შორის.

საბას ქადაგებანი უხვად შეიცავს პატრიოტულ, სოცი-
ალურ-პოლიტიკურ, დიდაქტიკურ-მორალისტურ, სამწერლო-
ფოლკლორისტულ და ფილოსოფიური ნასიათის შეხედულე-
ბებს, რაც აღნიშნულ ძეგლს გარკვეულ საერო ღირებულე-
ბას ანიჭებს. როგორც ეპოქის ანარეკლში, მასში ნათლად გა-
მოკრთის იმდროინდელი საქართველოს სული, ქართველი ხალ-
ხის ყრუ ტკივილები. კითხულობთ ამ ძეგლს და გაოცებული
რჩებით ავტორის მრავალმხრივი განათლებით. მართლაცდა:
რა ცნობებს არ შეხვდებითაქ ცოდნის სხვადასხვა დარგიდან?
ასე გასინჯეთ, საბა ასტრონომიის საკითხებსაც კი ეხება და
ჰელაოცენტრიზმის პოზიციებიდან მსჯელობს. იგი გარკვევით
მიუთითებს, რომ უსასრულო სოლარულ სამყაროში ჩვენი

პლანეტა ყველაზე პატარა წერტილია. აი, ეს სტრიქონებიც: „აღიხილენ თვალნი და იხილენ სიმრავლენი შვენაერთა ვარსკვლავთანი; და განიგულენით, ვითარ დიდ არიედ ვარსკვლავნი, რამეთუ ქვეყანათა მრავალისა ზომითა უდიდე არიან თვითო და თვითო ვარსკვლავთაგანი, და მოიგონე თუ ვარსკვლავთა შორის ცალიერნი ცანი ვითარ ვრცელ არიან; და გონებით განზომენ სიდიდე ცათა მათ, თუ რაოდენისა ათასსა ბევრისა ეჯითა უდიდეს არს სრულად ქვეყანათასა“.

სულხან-საბა ორბელიანი თავისი დროის უაღრესად თვალსაჩინო პიროვნება იყო და როგორც მშობელი ქვეყნის შავბედობის დიდი ჭირისუფალი, არ შეიძლებოდა ეპოქის მღელვარე მოვლენებს განზე გადგომოდა.

საბა მთელი ძალით აშიშვლებს იმდროინდელ საქართველოში არსებულ სოციალურსა და პოლიტიკურ უსამართლობას, მაღალი წრეების ყოფა-ცხოვრებაში ღრმად ფესვგადგმულ ბიწიერებას. ამიტომაც, რომ ქადაგებათა ცენტრში დგას მოქმედი ადამიანი, როგორც რთული სოციალური არსება, რომლის ბედსა თუ უბედობას მწერალი გარკვეულ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას უკავშირებს. როცა ზნეობის მწყემსი, ქრისტიანული სწავლის შესაბამისად, მოყვასის საყვარულსა და შებრალებაზე გველაპარაკება, იქვე მიუთითებს იმ სოციალურ უფსკრულზე, რომელიც მაღალ და დაბალ კლასებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის სთიშავს.

რაც უფრო ღრმად ვიხედებით საბას თხზულებაში, მით უფრო შესამჩნევი ხდება საერთო ტენდენციებისაკენ გადახრა, სინამდვილით დინტერესება და მასთან მიახლოება.

თავის ქადაგებებში დიდი მორალისტი გამიზნულად ურთავს გონივრულ იგაგებს, ზნეობრივი ხასიათის დარიგებებს,

ეთიკურ სენტენციებს. ამდენად მქადაგებლის სიტყვაც აღმზრდელიობით სფეროში ტრიალებს და ღრმად იჭრება მსმენელის გულში, ცდილობს გამოაღვიძოს მძინარე, საიმედო გზაზე დააყენოს გზააზნეულნი.

ამ მხრავ საბას ქადაგებათა ლეიტმოტივს მებრძოლი შეგონება წარმოადგენს: „მოეგეთ გონებას, ეძიენით გზა სავალი... ნურვინ წარიკვეთთ სასობას“.

თუ რამდენად ახერხებს იგი რელიგიური შინაარსის ქადაგებებში თავისი სოციალ-პოლიტიკური და ზნეობრივი იდეალების მოხდენილად ჩაქსოვას, ამას ქვემოთ დავინახავთ.

* * *

ყველაზე დიდი უბედურება, რომელიც მე-18 საუკუნეში ქართველ ხალხს ეროვნული სახის დაკარგვით ემუქრებოდა, გათათრება იყო.

ქართველი ხალხის ეროვნული მეობის ფხიზელი მეთვალყურე საბა ლუი მეთოთხმეტისადმი მიწერილ მოხსენებით ბარათში წუხს იმის გამო, რომ: „საქართველოს ერთიანად გამაჰმადიანება მოელის და დიდ განსაცდელშია“.

იგი ხედავს გათათრების მომძლავრებულ საფრთხეს და გული უკვდება, რომ ერის ბურჯი — მშრომელი გლეხობა უპატრონოდაა მიგდებული და რომ ანგარებით შეპყრობილ მმართველ წრეებს გული არ ერჩით თანამოდმენი „მძვინვარე მხეცს“ გამოსტაცონ. ერთ-ერთ ქადაგებაში — „სწავლა სამწყხოს დამწყესისათვის“ საბა შექმნილი მდგომარეობის ასეთ აღგორიულ სურათს გვიხატავს:

„ცხოვართა ჩემთა აღარ აძოებთ, დაუძლურებულთა არ

განაძლიერებთ, სწეული არა განკურნებთ, შემუშავებული არა შეუქართ და შეცთომილი არა მოაქციებთ და წაწყმედილი არა მოიძიებთ... და განიბნიენ ცხოვარნი ჩემნი არა ქონებითა მწყემსთა, და იქმნეს საკმელი ყოველთა მხეცთა ველისათა, და განიიხსნეს ცხოვარნი მათთა ზედა ყოველთა ბორცვთა მაღალთა და პირსა ყოვლისა ქვეყნისასა განიბნიეს და არავინ გამომეძიებელი და არცა მომქცეველი მათდა; ცხოვარსა ამათ არლარა ესმის ხმა მწყემსისა, არლარა შეცრბებიან სტვინვასა ზედა სალამურთასა, არა უყევს ძალდი თეოსა ზედა. იავარ იქმნა ფარეხნი კრავთა და თიყანთა, განაბნიენა მხეცმან სამწყსო თქვენი. მიგტაცნათ მპარავმან ცხოვარნი უფლისანი და შეჭამნა მგელმან¹.

მქადაგებელი აღარ კმაყოფილდება საღვთო წერილის იგავებით, და ცხოვრების სინამდვილიდან აღებული ცოცხალი მაგალითებით პირდაპირ ნიშანში იღებს დასამოძღვრავ საგანს. მან კარგად იცის აღამიანზე მაგალითის ზემოქმედების ძალა².

მეტად საყურადღებოა, რომ მწერალი სამშობლოსათვის თავგანწირვის პატრიოტულ მაგალითებს მღაბიო ფენებში ეძებს და კიდევაც პოულობს მათ. საქართველოს ეროვნული უბედურების დასახატავად საბას ხოდაშნელი მწყემსის თავგადასავლის შესანიშნავი ეპიზოდი მოჰყავს იმის ნათელსა-

¹ ციტირებული ადგილები საბას „სწავლა-მოძღვრებიდან“ მოტანილია საქ. სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ხელნაწერიდან, № 20068-ბ.

² გავიხსენოთ, სუ როგორ განმარტავს იგი მაგალითის არსს ლექსიკონში: „მაგალითი — აჩვენო და წინ დაუდვა იგი, რათა მსგავს მისთა ყონ“.

ყოფად, თუ როგორ დადო თავი უბრალო, უსწავლელმა სოფლელმა ბიჭმა მიბარებული ცხვრის მტაცებელი ნადირისაგან გადასარჩენად.

საბა ცხადად ხედავს, რომ მაჰმადიანური ჩვევების მომძლავრებამ უარყოფითი გავლენა იქონია ხალხის ზნეობაზე. მქადაგებელი ყველას გასაგონად აცხადებს: „...ვხედავ გულნი თქვენნი მაღლისაგან ღმრთისა განშორებულ არიან და ქრისტიანობისა წესთა მოწყალეება უგულვებელს გიყოფიესთ და ველურთა მხეცთა ბუნებათა ზედა იქცევით, იესო ქრისტეს სჯული დაგიტევებიესთ, ამისათვის უმჯობეს არს სჯულსა გასწავებდე“.

მქადაგებელი სწუხს, რომ მისგან შეყვარებული სამწყსო „ეშმაქისაგან წარიტაცების“ და იქვე სინანულით დასძენს: „ეშმაქის მეგობარ ქმნილხარ, ეკლესიაში უგვანად ჰყვირ და მთვრალივით იცინი, არა უწყია, რაიცა გარეგან ამაონი სიტყვანი გითქვამს, ანუ უწყსოდ გიციინიან, ანუ რაიმე ბოროტად გიქმნიან“.

საბა კარგად ხედავდა ზნეობრივი ქცევის ნორმებისა და ქრისტიანული რელიგიის აშკარა რღვევის ნიშნებს, რასაც თან ერთვოდა პატრიოტული გრძნობის მოღუწება. იგი მხურვალედ ემუდარება მსმენელთ: „ოდეს შეხვიდეთ ეკლესიად, განიწმინდებით თავნი თქვენნი და მოკვეთეთ ქმნილნი ცოდუანი თქვენნი“.

ერთ-ერთ შესანიშნავ ქადაგებაში — „გიორგობის დღისა და ქართველების თათრობისათვის“, საბა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული ბრძოლისკენ მოუხმობს ყველას, იგი ვერ შერიგებია მმართველი კლასების პოლიტიკურ სიბეცეს, აზრისა და ნებისყო-

ჟის სამარცხვინო დალაჩრებას განსაკუთრებით მაშინ, როცა ეროვნული და რელიგიური თვითმყოფობა შელახულია, როცა მაჰმადიანური ტალღები წალეკვას უქადიან წინაპართა მიერ დაგროვილ გონებრივ თუ ნაეთიერ ფასეულობას.

სავსებით მართებულად შენიშნავდა -საბას ქადაგებათა პირველი შემფასებელი, ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი, როცა წერდა: „ნუ დაივიწყებთ, რომ სულხან-საბა ასეთ ცეცხლს აფრქვევდა მაშინ, როდესაც ოსმალებმა შეიპყრეს იმერეთი, გამაგრდნენ თბილისში, მოინდომეს სიონის მეჩეთად ქცევა“¹.

ღიან, ასეთ უმძიმეს დროში მიუძღოდა წინ თავის ეკრს სიტყვის ეს უბადლო ოქროპირი და უაღრესად მძალადი პატრიოტული შეგონებით მოძღვრავდა მას: „რად ახსნი ქრისტესა მიერ დაბმულსა ეშმაკთა, რად მოისტუმრებ ნებითა შენითა მტერსა შენსა, რად შეიკრავ თავით თვისით ხელთა შენთა, და მიეცემი ხელთა მტრისათა; ძმანო საყუარელნო, მოეგენით გონებასა... განიღვიძენით ძილიაგან მძიმისა. ნუ განცხრებით შვეებით, ნუ მომედგრდებით გარეველითა, დალაღებისათა მცირითა თქვენცა დადევით სული თქვენი მსგავსად დიდისა მის მწყემსისა, შეიყვარენით ცხოვარნი, რომელნიცა მოგითვალნა უფალმან ღმერთმან ხელთა შინა თქვენთა“.

სულხან-საბა ორბელიანის პატრიოტული და პოლიტიკური იდეალები განსაკუთრებულია ორ სიტყვაში: „ძალა ერთობაშია“. ორატორული სიტყვის უძლიერესი მოქნევით იგი ებრძვის განცალკევებას, პარტაკულარიზმს და ქვეყნის ხსნას ზნეობრივ განახლებასა და პოლიტიკურ ცენტრალიზმში ხელდავს.

¹ „ივერია“, 1899 წ., № 61.

სულხან-საბა ორბელიანი დიდი გამბედაობითა და სიმართლით იმადლებს ხმას სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

რამდენადაც მქადაგებელს ნიშანში ამოღებული ჰყავს გაბატონებული წრეები, ამდენად კიდევაც ითვალისწინებს „მართლის მთქმელის“ ხვედრს. ამიტომ საბას ერთგვარი წინასწარი მობოდიშებაც კი უხდება მათ მიმართ, ვისაც მისი მამხილებელი სიტყვა მისწვდება და შეეხება: „მრცხვენიან, ჰაყუარელნო, ვინათგან ესდენი ბოროტნი ვთქვი თქვენდა შიძართ, მეშინის, უფალნო ჩემნო და მთავარნო, ვინათგან კვადრე მე უდარესმან თქვენმან უაღრესისა მიმართ ჩემთასა ესეთი კადნიერებაი“.

მაგრამ მქადაგებელი იქვე დასძენს, რომ მას ალაპარაკებს არა სიძულვილი და მტრობა, არამედ უაღრესად კეთილი განზრახვა — ამოიყვანოს ამორალიზმის წუმპედან თანამოდმენი: „არა სიძულვილისათვის თქვენისა მიქმნიეს, არცა მტერობისა შურითა თქვენთა, უწყით რამეთუ აღშენებისა თქვენისათვის ვიტყვი“.

ჩაგრულთა და ლატაკთა დიდ ქომაგს ზიზლსა ჰგვრიან „მეპატრონენი ქვეყნისანი“, რომელნიც „სისხლსა ყმათასა დასთხვევენ“. იგი მოუკრიდებლად ამხელს იმ მრისხანე და ტირან მეფეებს, „რომელნი მძლავრობენ სოფელსა ამას და განფენილ არს შიში მისი თქვენ ზედა“.

დიდ ჰუმანისტს მოსვენებას არ აძლევს მაღალი კლასების სიხარბე, შეუბრალებლობა, გულქვაობა გაჭირვებაში მყოფ თანამოდმეთა მიმართ. ფრიად საყურადღებო ქადაგება-

ში — „სწავლა სწეულთა მიხედვისათვის თქმული“, საბა ასეთი სასაყვედურო სიტყვებით მიმართავს შეძლებულ და გავლენიან ფენებს: „რაოდენნი ძილნი განიფრთხევ, რაოდენნი სმა და ჭამანი დაიმწარენ, რაოდენ გზის მოუარე სწეულსა და შეუმზადენ თავი, გინდა გვერდნი უცვალენ ანუ მკერდთა მიეყრდენ“.

საბა პირდაპირ ემუდარება და ავალებს გაბატონებულ კლასებს — გულისხმიერი, ადამიანური დამოკიდებულებით გაიმსჭვალონ უძლურთა და დავრღომილთა მიმართ: „აწ გვედრები, საყუარელნო, რომელნი ხართ მოღვაწენი უძლურთანი, ნუ მოაკლებთ მადლსა ამას პატიოსანსა და რომელთა არა გიმსახურებინესთ აწ მოიგევით მადლი ესე და ისწავეთ მსახურება სწეულთა. და ნუ იტყვით, რამე თუ სწებაი იგი ვარდამდებ არს და უკეთუ შემეცდვა მომკლავს, ანუ მრავალხან უძლურმყოფს“.

გაბატონებული კლასების გაუმადრობას, მწვავე უფლებრივ და სოციალურ უთანასწორობას ორატორული სიტყვის უბადლო ხელოვანი ცხოველთა მრავალფეროვანი სამყაროდან მოტანილი ასეთი მაგალითებით გვისურათებს: „ლომმან დაუტევა მძვინვარება და შენ მრისხანებ მოყუასთა შენთა ზედა, მგელი არღარა იტაცებს დღისი, არც არას იპარავს ღამე, და შენ... განიგულავ ტაცებასა მოყუარეთასა და პარვასა მეზობელთასა...“; „ქორნი დამშვიდებულ არიან კაკაბთა შეპყრობად და შენ ჰლამი რაიცა ვისმე რამე იხილო კეთილი შენთვის შეპყრობად... ძალი არღარა სდევნის ყურდგელთა, არა ღრენს შეშავალთა; უცხოთა: ხოლო თქვენ სდევნით გლახაკთა და შეიპყრობთ ქვრივთა და დაბზარავთ... ტყავთა ობოლთასა“.

საბა არ ფარავს, რომ გაბატონებული კლასები პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან და სხვის მონაგარს ურცხვად ითვისებენ. იგი ქება-დიდებას ასხამს იმპროვიზირებულ მარჯვენას და მათ შრომა-საქმიანობას მისაბაძად მიიჩნევს ყველასათვის: „იხილე მომკალნი ყანათანი, ვითარ მოითმენენ სიცხესა მზეთასა და სიგრიძესა დღეთასა, მუშაკობენ ცხელთა და ურწყულთა ველთა... ბოროტსა ჰაერსა არა რიდობენ... მაშინ არს დრო სნეულებისა და ხურვებისა, მაშინ არს გესლოვანებაი ბოროტი ველთა და მკბენარება ღრიანკელთა. არამედ არა განეკრძალებიან და არცა წამსა განსვენებასა მისცემენ თავთა თვისთა. უკეთუ მას ჟამსა არა შეუკრიბა იფქლი თავისთა, ვერ გამოიზრდების წელიწადსა სიგრიძესა მისსა“.

საბა თვალნათლივ ხედავს, რომ სიზარმაცემ და მცონარობამ პრივილეგირებულ კლასებს ცოცხალი ქმნალების სახე დაუკარგა და თითქმის მკვდარ ლეშად აქცია. მეტად საყურადღებოა, რომ მწერალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შრომის ჰიგიენას, საერთოდ მის გამაჯანსაღებელ გავლენას ადამიანის მთელ ფსიქო-ფიზიკურ არსებაზე: „განიცადენით მუშაკნი მოთმინენი სიცხეთა და სიცვიეთანი, ვითარ ოფლთა დენათა განაქარვებენ და განდევნიან უმგვანოთა ჰაერთა და მავნეთა სნეულებათა და იშვიათ არიან მუშაკნი შრომისა მოთმინენი სნეულ, და რომელნი უდებ და მჭამელ და უთმინო არიან, იგინი არიან სნეულ და მონა მკურნალთა და მკუნესელ და მევალალე, და ვერცალა მოითმენენ სნეულებათა მათთა“.

საბა ერთგვარი სამედიცინო რჩევის სახით დასძენს: „ამას სოფელსა შრომისა მოთმინება მრთელად ამყოფებს გუამთა, ბოროტთა ჰაერთა და სნეულებათა განდევნიან“.

ამგვარად, საბა იმ დროისთვის უაღრესად კრიტიკულ და-
შოკიდებულებას იჩენს მაღალი წრეების უკულმართი სოცია-
ლური და პოლიტიკური იდეალების, მათი მანკიერი მხა-
რეებისადმი.

* * *

პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობის გართულე-
ბამ, საწარმოო ძალთა უმეგალითო დაქვეითებამ, რაც გან-
პირობებული იყო ჩვენი ქვეყნის მძიმე საშინაო და საგარეო
ვითარებით, ძალიან უარყოფითი გავლენა იქონია ხალხის
ზნეობაზე.

ცხოვრებაში ღრმად ჩახედულმა საბამ კარგად იცის, რომ
ხალხის დამხობა-გადაგვარება იწყება იქ, სადაც ძირი ეთხ-
რება ეროვნულ თვითმყოფობას, საუკუნეებით შემუშავე-
ბულ ზნესა და ხასიათს.

ჩვენი ეროვნული ზნეობის დიდი მეთვალყურე მამაშვი-
ლური დარიგებით მიმართავს თანამემამულეთ — არ დაემო-
ნონ ვერცხლისმოყვარეობას, არ დაივიწყონ წინაპართა ჩვე-
ვანი, მათი სახლის კარი ყოველთვის ღია იყოს კეთილი სტუმ-
რისა და მოყვრისათვის. „ნუ, საყუარელნო, ნუ დაემონებით
ვერცხლსა... არამედ ვერცხლი მონებისათვის... სხვანი იტყ-
ვიან: გლახაკთა პური არა განუტეხნა, სტუმარნი სძულდა,
უცხონი არა შეიწყნარა და აწ უცხო ექმნა მონაგებსა თვის-
სა“. საბას რჩევაა: როგორ გარემოშიც არ უნდა მოექცეს
ქართველი ხალხი, თუკი სურს არ აღიგავოს პირისაგან მი-
წისა, მტკიცედ უნდა დაიცვას და შეინარჩუნოს ისტორიუ-
ლად შემონახული ეროვნული ზნე-ჩვეულებანი.

თავის ქადაგებებში საბა ადამიანის მრავალ მანკიერებაზე ამახვილებს ყურადღებას. ერთ-ერთ უმძიმეს სენად მას მი-
აჩნია ვერცხლისმოყვარეობა, რომლისადმი დაუკმაყოფილე-
ბელმა მისწრაფებამ გაბატონებულ კლასებში წარმოშვა „სი-
ბოროტე, ამპარტავნება, ზვაობა, ხაყროვნება, სიძულვილი,
ლალვა, მრისხანება და სოფლისა ამის სიყუარული“.

მქადაგებელი წუხს და დრტვინავს იმის გამო, რომ ხორ-
ციელ განცხრომაზე დაუძინებულმა ფიქრმა მისი დროის ადა-
მიანებში ჩაჰკლა ისეთი სულიერი საუნჯენი, როგორცაა „სიმშ-
ვიდე, სიმდაბლე, სიყვარული, მოთმინება“. ამგვარი მიდ-
რეკილების წყალობით, ამბობს იგი, „დავაბნელებთ სულსა
ჩვენსა ღვთივ განათლებულსა, და ვაფოფინებთ ხორცითა
ამათ მატლთა საზრდელსა, წუთხსა მყრალსა. კაცმან რომელ-
მან განაზნია მარგარიტი და აღკრიბა კუროსთავი, ჩვენ ვემს-
გავსებით მას, ყოველი სამკაული სულასა განგვიბნევიეს და
მოსურნე ვართ ხორციელთა საქმეთა“.

მქადაგებელი განსაკუთრებით ამხედრებულია ეკლესიის
იმ მსახურთა მიმართ, რომელთაც „სული ეშმაკს მიჰყიდეს“
და დაიფიწყეს რა ზნეობრივი მწყემსის საპატიო ვალდებუ-
ლება, ვერცხლისმოყვარულნი, სხვისი მონაგრის ურცხვად
მიმტაცებელნი გახდნენ.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ღრმააზროვან ქადაგებებ-
ში დაუღალავად ებრძვის საზიზღარ მანკს—ენატანიობას. აწ
მხრივ საყურადღებო დიდაქტიკური აზრების შემცველია—
„სწავლა მაგინებელთათვის თქმული“.

საბას საერთოდ ეზიზღება აუგის მთქმელი, კარგის მეძ-
ვირე. ენის ღვარძლიანად მიტან-მოტანას, მის ბოროტად გა-
მოყენებას, დიდი მორალისტი შემდეგი სიტყვებით კიცხავს:

„...განეკრძალენით სიტყვათა ბოროტთა და საძაგელთა, რომელთა მიერ წარწყმდების სული კაცისა, და ნუ შეიქმთ პირთა თქვენთა ჭურჭელ სიბილწისა, რომელ უსაძაგლეს არს ორმოთა სანეშტეთასა“. საბა მთელი სიღრმით ითვალისწინებს იმ მძიმე შედეგებს, რაც შეიძლება მოჰყვეს ბოროტმეტყველებას: „გინება აღაშფოთებს გონებასა კაცთასა, გინება მოუღებს საცნობელსა ბრძენთასა, გინება მოამზადებს ცემათ ხელთა ყვრიმალთათვის, და შეჰკრავს იმჯილთა ქედთა და დაწუთათვის, გინება განლესს ხმალთა და წამახუავენ ლახვართა. გინება დასთხევს სისხლთა და იქმს კაცთა წყვლასა და სიკუდილსა“.

ბოროტის მთქმელსა და ენის მიმტან ადამიანს შეიგავვე მწერალი გესლიან გველზე უფრო საშიშრად მიიჩნევს: „გველი არღარა უმზერს ბრჭყალთა კაცთასა, არცარა გამოაქვს გესლი პირით მისით. ხოლო შენ აუბნებ გესლოვანსა ენასა შენსა და უცადებულად რომლითა მოკუდებიან მრავალნი კაცნი“.

საბა მართებულად ასკვნის, რომ ენის მიტან-მოტანით, თანამოძმეზე უადგილო ძვირის თქმით, ერის მთლიანობა ირღვევა, ინტერესთა ერთიანობა იზზარება და შინაური კინკლავობის შედეგად მტერს შესაძლებლობა ეძლევა თავისუფლად აფათუროს ზელი დაპყრობილი ხალხის სულში.

მრავალი ხორციელი თუ სულიერი მანკიერებიდან, რომლითაც დაავადებული იყო იმდროინდელი საზოგადოების ერთი ნაწილი, საბა ცალკე გამოჰყოფს გადაჭარბებულ ღვიინის სმას, მემთერალეობას. მართალია, ამ საკითხზე საკმაოდ ბევრი რჩევა-დარიგება წარმოუთქვამთ როგორც მოციქულებს, ისე ქართული პომილეტიკური მწერლობის წარმო-

მადგენლებს (მაგალითად, X საუკუნის მოღვაწეს იოანე ბოლნელს), მაგრამ საბა სულ სხვა თვალით უცქერს ამ მანქს.

გარდა იმისა, რომ ალკოჰოლის გამუდმებული გამოყენება დიდძალი მატერიალური დოვლათის დანთქმას იწვევს და ვამანადგურებელი ძალით მოქმედებს ადამიანის გონებრივ თუ ფიზიკურ ძალებზე, ამავე დროს, მძიმე ზნეობრივი შედეგების მოტანითაც ემუქრება პიროვნებას.

ადამიანის სულის ღრმა ფსიქოლოგმა იცის, რომ მთვრალი კაცი ჰკარგავს წონასწორობას, ანგარიშს არ უწევს საზოგადოების მიერ შემუშავებულ სავალდებულო ქცევის წესებს და ხშირად ამორალიზმის წუმპეში ეშვება. მისთვის არაა უცხო და სამარცხვინო „ამაო საუბარი, უშვერი სიცილი, ურცხვი ალერსი, ბილწი ზიმღერა, ბოროტი როკვა“.

საბას გულს უკლავს იმის შეგნება, რომ ღვინის მიმდევარ კაცს გული უცრუვდება ქრისტიანულ რელიგიაზე, იგი წყდება ეროვნულ ნიადაგს, სიმთვრალით გონებადაბნეული ადვილად იქცევა გარეშე მტრის სათამაშო ობიექტად. საბა გვაფრთხილებს, რომ „მთვრალობა არის ყოვლისა ცოდვის თავი და შემძინებელი უსჯულოებასა ზედა უსჯულოებისა... მემთვრალეს აღერევის თვალნი კეთილად მხედველნი, აღარა ესმის ალერსი სხვათა და თვით უბნობს ვითა ხელი; უკეთუ ზეადდგა, ფერხნი შეპყრობილ აქუნ და არა ძალუც დგომად... ეხვევიან ბრუ და ჰგონებს ქვეყანისა ბრუნვად“.

სიტყვის მქადაგებელი გამოუვალ ჩიხში იმწყვდევს მემთვრალე კაცს და ორატორული ხელოვნების მომარჯვებით პირდაპირ აძქვლებს კატეგორიული პასუხი გასცეს მის კათხვებზე: „მითხარ მე. საყუარელო, რა სიხარული შეგძინა სი-

მთვრალემან. სიბრძნე და ჰკევა მოგმატა, სიმშვიდე და სიწყნარე მოგიძღვნა, საპატიო ყოფაქცევა გასწავა, ოქრო და ვერცხლი შეგიკრიბა, ღვინო, პური და ხვასტაგი განგიმრავლნა, საუნჯე საზრდოთ აგივსო, კაცთა დაგამეგობრა, მტერთა დაგაზავა, ცოდვის მოყვარეობასა ღირსგყო ანუ სათნოება ღვთისა გაქმნია. რა სასიხარულო გიძღვნა ღვინომან, მაჩვენეთ მეცა“.

„სწავლანის“ ავტორი საგულდაგულოდ ჩერდება ადამიანის სხვადასხვა სულიერ თვისებებზე, რომელთა ანომალია, უკიდურესობა, მქადაგებლის აზრით, უარყოფითს გავლენას ახდენს პიროვნების მთელ ფსიქო-ფიზიკურ არსებაზე.

ადამიანის ერთ-ერთ ფსიქიკურ მანკად საბას უთმინობა მიაჩნია. ორატორული სიტყვის დიდი ოსტატი მისთვის ჩვეული მხატვრული შედარებების გზით ასე გვიხატავს ამ სულიერი აფექტის უაღრესად მავნე ზემოქმედებას ადამიანზე: „ვითა ზღვათა მყუდროსა შინა კეთილმავალსა ნავსა ეკვეთნეს ქარნი სასტიკნი, და შეახეთქნეს კლდესა, და დაინთქას შემუსვრილი აგრეთვე სული მყუდრო, რაი იყოს გონებასა შინა თვისსა, ოდეს ეცეს ქარნი უთმინოებისა, ოგი დაინთქმის სიღრმესა ქუესკნელისასა... უთმინოებაი შეიქმს არა პატივისცემასა მამა-დედათა თვისთა, უთმინოება იქმს ბრძოლასა და კაცის კლვასა, უთმინოებაი განამრავლებს პარვასა, ავაზაკობასა, დატაცებასა“.

საბა გვევლინება სათნოებისა და ჰუმანიზმის ერთგულდამცველად და მოუჩრდილებლად ამხელს იმდროინდელი გაბატონებული საზოგადოების ტირანულ თვისებებს. ასე, მაგალითად, ქადაგებებში იგი საკმაოდ ვრცლად ჩერდება მრისხანებაზე, როგორც ადამიანის ფსიქიკის უმძიმეს გა-

მოვლინებაზე. აი, როგორი ფსიქოლოგიური წვდომით ძერ-
წავს საბა მრისხანე კაცის სულიერ სამყაროს: „მრისხანე
კაცს ვერა შეაგონებს ერთგული, ვერა შემართებს კადნიერი,
ვერა რაისა უმჯობესსა ეტყვის თანა განმზრახი: მრისხანე კა-
ცი ვერა ოდეს მხიარულ ჰყოფს თავსა თვისსა, თუმცა შვი-
ლისაცა ქორწილი აქუნდეს... მრისხანე კაცისა მეგობრობა
მზგავს არს ასპიტისა ხელთა ჭირვასა, რომელსა მარადის
აქუს გესლი მაკუდინებელი... მრისხანესა კაცისა თანა ჯდო-
მასა უსაწადელეს არს ქაცუთა შიგან ჯდობა მრავალ ეკლო-
ვანთა... მრისხანე კაცი არა უპატიოსნეს არს ძაღლსა განცო-
ფებულსა, ვინათგან არცა მან იცის კეთილი და ბოროტი და
არცა მან, ორივე სწორად ჰკბენსა“.

საბას დაკვირვებით, მრისხანეა იმდენად აფორაქებს
ადამიანის სულიერ სამყაროს, რომ თითქმის შეუძლებელი
ხდება ამ სენით დაავადებული ადამიანის გრძნობა-გონება
მოიმართოს კეთილი სწავლისა და ზნის მისაღებად. აი, რო-
გორ შედარებას მიმართავს იგი: „უკეთუ წუეთი მარადის
სიპთა ქუათა დასდიოდეს, ლბილი წყალი მას გახურეტს და
შევაღს, ხოლო მრისხანისა კაცისა გულთა კეთილი სწავლა
არა შევაღს“.

„სწავლანჭში“ დიდი მორალისტი სარკასტული ენით ამათ-
რახებს სწავლის მოთაკილე, განდიდების მოყვარე და ამპარ-
ტავან ადამიანებს. ეს სენი, საბას დაკვირვებით, ყველაზე
მეტად ფეოდალურ არისტოკრატას და სამღვდელოებას ჰქო-
ნია მორეული.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი შთამაგონებელი ძა-
ლით ამხელს საბა ამპარტავნებით შეპყრობილთ, მოვიტანოთ

ამონაწერი საბას ქადაგებიდან — „სწავლა ამპარტავნებისათვის“.

„მე ესრეთ იგონიეს, რამეთუ სადაცა შევალს ამპარტავნება, მუნ შეუძლებელი არს დადგრომად ყოველნი სათნოებანი კეთილნი, და დააბნელებს გონებასა კაცთასა, ვით დააბნელოს კვამლმან ძლიერმან თუალნი კაცთანი ტკივნეულნი... ვითა ქარი სასტიკი ეკვეთოს ხევსა ბზისასა და განაბნოს, ეგრეთვე ამპარტავნება, რაი შევიდეს კაცთა შორის მადლთა ხევთა მისდა სრულიად განაბნევს, ამპარტავანი გონებათა მივალს ზე აღმართ დიდებისად, ხოლო საქმეთა მიერ აღმოჰკუეთს ქვე მთხრებლთა და შთავალს ჯოჯოხეთსა მისართ“.

ეს სენი იმდენად უმძიმესად მიაჩნია საბას, რომ იგი თითქმის შეუძლებლად მიიჩნევს ამპარტავანი და მრისხანე კაცის შეგონებას, მის ზნეობრივ მოქცევას. კიდევ მეტი: ამპარტავან კაცზე მოძღვრის მიერ გაწეულ შრომას საბა წყლის ნაყვად თვლის, როცა დასძენს:

„ეგრეთვე ცუდად მაშვრალი იქმნებიან მოძღუარნი ამპარტავანთანი, რამეთუ რაი იგი მას ნებავეს, არა ისწავლის და რაი იგი მოძღვარსა სწადს, არა შეისმენს... საყუარელნი, უხმარ არს გონიერთაგან ამპარტავანისა კაცისა სწავლებანი და შეუსმინარისა შეგონებაი“.

საბას გულს უკლავს თავისი დროის საზოგადოების გონებრივი და ზნეობრივი დაკნინება. მსგავსად აღორძინების ხანის მოწინავე მწერლებისა, დიდი მორალისტის აზრითაც ზნეობრივი და გონებრივი დაქანება უმეტესად ხვედრია უვიცი და უწიგნური ადამიანებისა.

განა საბას ბაგემ არ წარმოთქვა „ქილილა და დამანაში“ ასეთი მოხდენილი შედარება:

„ქაცსა სწავლა განანათლებს, ვითა მთვარე ღამე ბნელსა“. შქადაგებელი რელიგიურად მოაზროვნეთა კვალს მისდევს. ადამიანის დარღვეული ბუნების აღმადგენელ ძალას იგი ნაღვთო წერილში ხედავს. თავისი მსჯელობის ამ ნაწილში, „საბა, ცხადა, რელიგიური აღზრდის თვალსაზრისზე დგას.

საბას რწმენით, ვინც ქრისტიანული მოძღვრების სათავეებს დაეწაფება, მას ხელთა აქვს „მეცნიერება კეთილთა და ბოროტთა“. ამიტომ ურჩევს იგი მსმენელთ: „ასწავებდით და მოძღვრიდით თავთა თქვენთა ფსალმუნებითა და გალობითა“. ან კიდევ: „უკეთუ უნჯთა გამრავლება გენებოს, განვამრავლოთ სამღვთოთა წერილითა, უკეთუ მოვაჭრება გეტკბობოდეს, მოვივაჭრნეთ სწავლანი სულიერნი“.

ადამიანი რომ მოზღვავებული ცოდვებისაგან განთავისუფლდეს, კეთილი გზისაკენ შემობრუნება რომ შეძლოს, საბას ფსიქოლოგიური დაკვირვებით, იგი პირველ რიგში საკუთარი თავისადმი კრიტიკული განსჯის უნარით უნდა აღიჭურვოს.

როგორც ირკვევა, დიდი მწერალი კარგად იცნობდა სოკრატეს ფილოსოფიურ ნააზრევს, როცა ერთ-ერთ თავის ქადაგებებში — „ცოდუასა ზედა დაუდგრომლობისთვის“ ამბობს:

„ჰოი, ცოდვილო, იცან თავი შენი და შენცა ადრე ჰყავ მოქცევა ცოდვისაგან“.

საბას შეგონებაა: ყოველი პიროვნება თვითვე დაუდგეს დარაჯად საკუთარ ყოფაქცევას და საწყისშივე აღკვეთოს „რტონი ცოდვათანი“.

მქადაგებლის დაკვირვებით, საკმარისია ადამიანმა ოდნავ შეანელოს გულისყური საკუთარი თავისადმი და შეწყვიტოს ჰიდილი ბოროტ საწყისებთან, რომ ამორალიზმის გზაზე დაეშვას, მარცხი განიცადოს. ამ მხრივ საგულისხმოა საბას მიერ მოტანილი ასეთი მაგალითი: „რასათვის ჰკიდია სირაქლემისა კვერცხი თქვენ წინაშე, ამისათვის რომელ სირაქლემი კვერცხთა სადამდის გამოსჩეკდეს, წინარე უცს და თვალმიუღებლად უმზერს, უკეთუ თვალი და გონება მოაშორვას, განულაყდების“.

ცხოვრებაში ჩახედული ბრძენი საბა ადვილად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ხილულ სამყაროში ყველაფერი მარადიული ცვალებადობის კანონს ემორჩილება და კაცსაც, როგორც ბუნების ყველაზე სრულყოფილ ქმნილებას, თუკი მოინდომებს, თვითაღზრდის გზით ადვილად შეუძლია გარდაქმნას, უკეთესი გახდეს. „ყოველნი სოფლისა ამის მშვენიერებანი შეიცვლებიან ადრე, ვინათგან სოფელიცა იქცევის ზნეთა თვისთა და საქმეთა... და შენცა ისწავლე სოფლისაგან ერთსა საქმესა ზედა დაუდგრომლობაი და ნურცა შენ დადგრები მარადის ცოდუასა ზედა“.

ფერუთვალავ მცენარეთა და ცხოველთა სამყაროდან მქადაგებელს მკვერმეტყველების დიდი ძალით მოჰყავს იმის მაგალითი, თუ როგორ კანონზომიერ ცვალებადობას განიცდის ყველაფერი გარდაქმნა-განახლების წყურვილის გამო. საბას მოწოდებაა, ადამიანმაც გადაშალოს ბუნების ეს დიდი წიგნი და შიგ გონებისა და გულის მასაზრდოებელი აზრებთა ამოიკითხოს: „გიხილავს ჰადარი უგრძნობელნი, ვითარ განყრიან ქერქთა მქისეთა და არა მარადის უტევებენ გუამსა ზედა თვისთა; არცლა ნერგთა ოდენი ძალი გაქუს, რათა

ცოდვისა შებღალული ქერქი მოიძარცო და ახალი შეიმოსო; ...ირემთა უგულისხმოთა რაი რქანი დაეზარდენ და დაუდიდდენ, და დაუმძიმდენ, წლითი წლად განაგდებენ, და არღარა იქონებენ და ჩივილთა აღმოხეტქენ; ფრინველნიცა განიყრებიან რაი განერყუნას და დაუმწიკვლდეს ნაკრტენტა თვისთა, და ახალთა და კეთილთა შეიმოსენ. შენცა ნუ უღარეს იქნები ფრინველთა და განიყარე ფიცხელნი მწიკულენი ვნებანი და კეთილი სინანულით შეიმოსენ; არწივნი რაი დაბერდებიან, აღფრინდებიან ჰაერთა შინა, და განახლდებიან და განჭაბუკდებიან სიბერისაგან; დათვი მძვინვარე და ყაბუზუნა მებრძოლი შეიცვალდებენ ბუნებათა თვისთა და კაცთა მიერ სწავლითა დამშვიდდებიან, და დაუტევებენ ველურებასა მათთა და ვითა კაცნი ვლენან და როკვენ და საბელთა განვლიან, და შენ პირმეტყველი და გულისხმიერი იქმენ სწავლასა და მრავალსა მოძღურებასა და არა დაუტევება მაგას ველურებისა უსაძაგესსა ცოდვასა ჩვეულებასა“.

ცხოვრების გზაზე ზნეობრივად წაბორძიკებულთ საბათვალწინ უშლის ბუნების განახლების გრანდიოზულ სურათებს, მის იდუმალ წადილს გარდაქმნა-გაუმჯობესებისას და ასეთი შეგონებით მიმართავს მათ: „შენცა განიღვიძე უძრავისა მისგან ძილისა, და იწყე ძვრად აღმოცენებად ნაყოფთა და განაბნიე განხმული და დამპალი ძოღან ნაქნარი ცოდუა... შენცა აღაფრინე გონებაი შენი... და განიჭაბუკე ცოდვით დაბერებული სული შენი“.

საბაას შეგონებაა: „განაწმინდენით თავნი თქვენნი და მოკვეთენით ქბნილნი ცოდუანი თქვენნი“.

მართალია, საბაას დიდი სურვილია აღამიანი თვითაღზრ-

დის გზით გახდეს სათნო და კეთილი, მაგრამ იგი სავსებით მაინც ვერ მალღდება საკუთარი კლასის თვალსაზრისზე; მასაც ავიწყდება, რომ პიროვნება საზოგადოებრივი ყოფის პროდუქტია და რომ მარტო საკუთარი ძალებით არ ძალუძს სოციალური და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება.

საბას პედაგოგიური რჩევაა, ადამიანმა სიყრმიდანვე შეიყვაროს კეთილი და გაემიჯნოს ბოროტს. იგი გვაფრთხილებს: ნუ დაველოდებით მოხუცებულობას, რომლის მიღწევაც წუთისოფლის ეკლიან გზაზე ხშირად სათუთაა. კიდევაც რომ მივალწიოთ ღრმა სიბერეს, — გვეკითხება მქადაგებელი. — მაშინ რაღა მადლი ექნება ჩადენილ ცოდვათა მონანიებას, ვისღა გამოადგება იგი?!

„ჰოი, საწყალობელო, ჟამსა სიბერისასა გნებავს სინანული და არა გიხილავს—ყრმანიცა ჩჩვალნი მოკულებიან, შენ ვითა უწყი დაბერებაი შენი. და უკეთუ ეგე ეგრეთ იყოს და დაბერდეცა, სადა არს ჟამსა სიბერისასა სინანული, სიყრმე შენი და სიჭაბუკე შენი, და სიმხნე და ძლიერებაი შენი ცოდუასა შინა აღასრულე და ოდეს დაბერდე და ძრწი, მაშინ მოხუალა სინანულად?“

საერთოდ, საბა ადამიანისადმი, აღსაზრდელისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას ქადაგებს, აღმზრდელის ვალიადიდი გულსყური გამოიჩინოს, რათა მანკიერი ჩვევების აღმოფხვრის პროცესში კეთილი ნაყოფიც არ დააზიანოს: „მარგლასა შინ ფრთხილ იყოს კაცი, რათა ეკალთა წილ არა ამოფხვრას ჯეჯილი“.

მაგრამ თუ ადამიანმა თვითაღზრდის გზით, შინაგანი ძალებით დაძაბვით ვერ შეძლო კეთილ გზაზე დადგომა, მა-

შინ, საბას რჩევით, მან უნდა ჰიმართოს შესაფერის ოსტატს ანუ აღმზრდელს.

რუსთაველის ცნობილ აფორიზმს მქადაგებელი ასეთი პროზაული ვარიაციით გადმოგვცემს: „მკურნალი ოდეს დასწულდების, თვით ვერღარა ჰკურნებს თავსა თვისსა, არამედ სხვასა მკურნალსა მოუწოდებს კურნებად. აგრეთვე თვით კაცი ვერა იკურნებს ცოდუათა თვისთა, უკეთუ სხვა-სა არა აღუაროს, ცუდად მაშვრალობს თავით თვისით კურნებად“.

საბა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სულიერ მოძღვარს. აღმზრდელს და ადვილად მიდის იმ ჯანსაღ პედაგოგიურ დასკვნამდე, რომ კარგი ხელმძღვანელის აქტიური ჩარევით აღზრდის ობიექტი ადრე თუ გვიან ზნეობრივი განახლებისა და გონებრივი წარმატების გზაზე დადგება. აი, როგორ შედარებას მიმართავს ორატორული სიტყვის ოქროპირი: „ვიტარცა ოქროი განრყუნილი შთააგდო ბრძმედსა შინა, განიწმიდოს განრყუნილები მისი და ოქროი იგი იოფაზ წმიდა გამოვიდეს ცეცხლისა მისგან, აგრეთვე ოდეს განრყუნილები სულისა ჩვენისა შთავაგდოთ ყურთა შინა მოძღვრისათა. ცეცხლმან მადლოსა დიდისა მოძღვრისამან შეჰამნეს განრყუნილები და შესვარულეები სულისა ჩვენისა, და გამოვიდეს განწმენდილი და განახლებული უმჯობეს ოქროისა. უკეთუ წყალთა ძალუძს განრყეცხაი მწიკულისა სამოსელთაგან, და აგრეთვე ცეცხლსა განწმედა განრყუნილებისა ოქროისა დაღნობითა, გინა მკურნალსა ხორცთასა წარმოთბრობითა სწეულისა მიერ სენთა მათ რომელნიცა სჭირან მას განკურნებად მისი“.

საბას, როგორც სიბრძნის მოყვარულს, სიამოვნებას

შვედრის საღმრთო წერილის ცნობილი სტრაქონები: „ნეტარ არს კაცი, რომელმან ჰპოვა სიბრძნე და მეცნიერება და გარდასცა იგი მოყუასთა“. მაგრამ თავისი პედაგოგიური დამოძღვრის პროცესში იგი არც რუსთაველის დრამაზროვან შეგონებას ივიწყებს: „არას გარგებს სწავლულება, თუ არა აქ ბრძენთა თქმულსა“.

დადად საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი იმდროინდელი საზოგადოების ფიზიკური და ზნეობრივი გადარჩენის რეალურ გზას ეძიებს. მისი აზრით, მოქმედი ადამიანი არა მარტო იმქვეყნიური დაპირებებით უნდა ტკბებოდეს, — იგი იმავე დროს ვალდებულიცაა სიცოცხლეში დაუღალავი შრომით ქმნიდეს რაიმე სახის მატერიალურ და სულიერ ღირებულებას. საბა მიუთითებს შრომის დადებით გავლენაზე, რომელიც, მისი სიტყვით, „სრულად განაცხოველებს და კეთილად და მყუდროებით ამყოფებს სულთა“.

აქედან მქადაგებელი პირდაპირ მიდის ფიზიკური შრომის საყოველთაო აღიარებამდე.



ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ საბას ქადაგებათა ენაზე. „სწავლანი“ საკმაოდ არქაული ენითაა დაწერილი. ქადაგებათა უმრავლესობა გადატვირთულია სქოლასტიკურ-სადღვთისმეტყველო ტერმინოლოგიით, ბიბლიურა გამოთქმებით. ეს გარემოება აღიილი ასახსნელია: თვით ქადაგებათა საგნის სპეციფიკა, საეკლტო-რელიგიური თემების შინაარსი, სწორედ ამგვარ ფორმათა გამოყენებას მოითხოვდა.

საეკლესიო რიტორიკის ეს არქაული ფორმა, საერთოდ,

თავიდანვე იყო დაკანონებული და, ცხადია, ბერის მანტი-
ში გახვეული საბაც ვერ გადაუხვევდა ამ გზიდან. მიუხედა-
ვად ამისა შიგადაშიგ იგი მოხდენილად ურთავს სადა მეტყ-
ველების ნიჟუშებს, პოეტურ შედარებებს, იგავეებს, აფორის-
ტულ გამოოქმებს, რითაც საღვთისმეტყველო კილოს საერო
ელფერით აზავებს. როცა საჭიროა ნაშანში ამოღებული და-
სამოძღვრი საგნის გამათრახება, მაშინ საბა დიდი ძალით
იყენებს იუმორსა და სატირას, რაც უგზომ დამახასიათებე-
ლია მისი იგავ-არაკებისათვისაც.

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანის“ მხატვრულ-
იდუური წყაროები სხვადასხვა სათავიდან მომდინარეობს. რა
თქმა უნდა, როგორც სასულიერო შინაარსის ქადაგებანი,
ისინი უწინარეს ყოვლისა საღვთო წერილიდან, მისი ისტო-
რიული და საკანონმდებლო ნაწილიდან იღებენ სათავეს, ბიბ-
ლიური დოგმებითა და იგავეებით იკვებებიან.

გარდა ამისა, მათში საკმაოდ ჭარბად შეინიშნება ჰომი-
ლეტიკური მწერლობის, აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიუ-
ლი ძეგლების, ბერძნულ და ქართულ საგალობელთა კვალი.

ქადაგების აგების რიტორიკულ ხერხებს საბა გაცნობი-
ლია იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთის-
მეტყველის, იოანე დამასკელის, ეფრემ ასურის და სხვათა
საეკლესიო მკვერმეტყველების შედეგებში.

მაგრამ მქადაგებელი სცილდება თეოლოგიურ ფარგლებს
და თავს დასტრიალებს თავისი ეპოქის მდელგარე საკითხებს.
ფართოდ უღებს კარს საერო და მოქალაქეობრივ მოტი-
ვებს.

ამ მიმართულებით იგი ახლოს იცნობს ბერძნულ და ქარ-

თულ ფილოსოფიურ აზროვნებას, მათ წარმომადგენელთა მორალურ-ტურ და ეთიკურ შეხედულებებს.

საერო ასპექტში საბას ქადაგებათა იდეური წყარო ასევე სათავეს იღებს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის სიბრძნეთა უძირო ზღვიდან, თავის სახელოვან წინამორბედთა, კერძოდ — აღორძინების ხანის პოეტის არჩილის მორალისტურ-ლიდაქტურული შეხედულებებიდან.

და რაც მთავარია, საბა, როგორც წუთისოფლის ეკლიან გზაზე ჭირგამოვლილი ბრძენი, თავის ქადაგებებს ხორცს ასხამს ცხოვრების მღიდარი გამოცდილებით, მისთვის ეგზოტიკური მამაღლებული უნივერსალური ნიჭით.

მქადაგებელი ენდობა რა თავისი სიტყვის ზემოქმედების ძალას, ამევე დროს არ უგულებელჰყოფს დაჯერების, მაგალითის, დარწმუნების მეთოდების აღმზრდელობითი მიზნით გამოყენებას.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თავის დროზე უდავოდ დიდი იქნებოდა „სწავლანის“ გონებრივი და ზნეობრივი გავლენა იმ საზოგადოებაზე, რომელიც ირანელ და თურქ დამპყრობელთაგან მეტად დამამცირებელ ფორმებში განიცდიდა ეროვნულ, სოციალურ და პოლიტიკურ ჩაგვრას. ეს შესანიშნავი ძეგლი უთუოდ ძლიერ პატრიოტულ გრძნობას გაუღვიძებდა მათ, ვისთვისაც ასე ძვირფასი იყო სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გაათარებისაგან მამაპაპათა ტრადიციული ზნე-ჩვეულებების დაცვა-შენარჩუნება.

უდავოა ისიც, რომ ქადაგებათა კრებული ზელიდან ხელში გადადიოდა ისტორიული ბედუკუდმართობით სამშობლოდან გადახვეწილ ვახტანგ VI-ის მრავალრიცხოვან ამალაში, კერ-

ძოდ იგი ალბათ დიდ ზაფხობრივ ააზრდოა მიაცემდ. ებიგ-
რაციის მშვენიერებას, პოეტ დავით გურამიშვილსაც.

ამ მხრივ დავკმაყოფილდეთ თუნდაც მცირე ამონაწერის
მოტანით იმ ქადაგებიდან, სადაც საბა დანტესებური ძალით
ბატავს სიკვდილისა და ჯოჯოხეთის საშინელებას ქრისტიან-
ული რელიგიის მიხედვით. „ვაი რა ავი მოსასვლელი მოგ-
ველის, ვაი რა უწვევი სტუმარი არს, ვაი რა შესაძრწუნე-
ბელი არს განმზადებანი მისთვის, ვაი რა საზარელი არს შეყ-
რა მისი და საშინელი ხილვა პირისა მისისა.

სიკუდილი უხმო და უსიტყვო არს და სიტყვათა ჩვენთა
დამადუმებელი არს. სიკუდილისა ზარბაცი ცხენი გვეწვევა,
და ჩვენი სწრაფი ცხენი ვერ წარველტის, სიკუდილისა უქო-
ნელი რხმალი ჩვენთა ზორცთა განკუთხის და ჩვენის რკინის
მახვილი მას ვერას აცნებს, სიკუდილისა უხმო ხმაი განგვანქ-
რევს და ჩვენი მრავალ მოუბარი ენა მას ვერას შეასმინებს.
ჩვენი ფედრებაი მას ვერ მოამშვიდებს, ჩვენი ლიქნა მას ვერ
დააწყნარებს, ქრთამი ვერ დაგვამეგობრებს, ოქრო და ვერცხ-
ლი ვერ დაგვაწყობს ესრეთ უწყალოთა ჩვენზედა“.

რატომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თავის მხრივ ამ
შემსაძრწუნებელ სურათსაც ერთგვარი ბიძგი მიეცა სიკვდილ-
თან ცდილობაში ჩაბმული გურამიშვილის კაემნით ამღერე-
ბული სტრიქონებისათვის:

ამისთვის მწყდება მე წელი
და უკან ზურგის მალეები,
მოვა და მომკლავს სიკვდილი.
მას ვერსად დავემალეები,
გავექცე, ვერცად წაუვალ,
ცხენებიც მყვანდეს მალეები,

შავებნა, ვერას დანაკლებს
ჩემნი თოფნი და ხმალები.
სიკვდილი ქრთამს არ აიღებს,
ოქროს, ვერცხლს, არცა რვალებსა,
არც არას გვისმენს ხვეწნასა,
არც არას შეგვიბრალებსა.

ემიგრაციის დედაბოძის ვახტანგის წაქცევის შემდეგ მეფის რუსეთის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე გაფანტულ ქართველ პატრიოტთა სულიერი თანამგზავრი და ზნეობრივი ლამპარი უთუოდ იქნებოდა მათი საამაყო პატრიარქის საბას ქადაგებათა კრებულის, რომელსაც სასიქადულო მწერლის ძმამ, ზოსიმემ სამართლიანად უწოდა „სულთა განმანათლებელი წიგნი“.

* * *

მართალია, თავის „სწავლა-მოძღვრებაში“, ქრისტიანული თვალსაზრისის შესაბამისად, მქადაგებელი გზადაგზა სხეულის მოკვდინებისაკენაც მოუწოდებს, მაგრამ საბოლოოდ მაინც საბა სიცოცხლის მშვენიერების მოტრფიალედ გვევლინება. ცხოვრების არც ერთ ვითარებაში, მონასტრული იქნებოდა იგი თუ საერო, საბასათვის სიცოცხლე არასოდეს მოსაწყენი არ გამხდარა. ბაღში დაბადებულსა და აღზრდილს, მას საზოგადოებისათვის ზურგი არასოდეს შეუქცევია, ერთხელაც არ გაუვლია გულში რეალური ცხოვრების უარყოფა. პირიქით, იგი ყველა ადამიანისაგან მოითხოვს, მადლობა შესწიროს ცისა და ქვეყნის შემოქმედს, რომელმაც „უკვდავი სული მთავგებრნა, და სიტყვიერნი შეგვქმნა.

და სიბრძნე და გონიერება მოგვანია, მეგობარი ჩვენი მიწა ფერხთა ჩუენთა ქუეშე დაგვადვა; ასრე შავიცა არა გვაკადრა, მწუანითა და ფერად-ფერადითა ყვავილითა მოგვიფინა“.

საეკლესიო შინაარსის ქადაგებებშიც კი საბა დიდ ოპტიმიზმს ამჟღავნებს. მისი აზროვნების დიდი ძალა სჩანს არა მარტო მორალისტურ და რელიგიურ მსჯელობაში, არამედ ადამიანის შინაგანი ბუნების ფალოსოფიურ განსჯაში. როგორ გარემოშიც უნდა მოექცეს ადამიანი. მისი საღი გონება და უკეთესი მომავლის რწმენა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შთანთქას სულიერმა დებრესიამ. საბა თანამემამულეთ გამძლეობისა და მოთმონების გრძნობებს უნერგავს. ერთ-ერთ ქადაგებაში იგი ასეთ გამამხნეველ სიტყვებს ურთავს: „განვიფრთხოთ ძილისაგან მძიმისა, აღვაწეთ, ძმანო, გამოვილოთ ნაყოფი სულიერი, ნურვინ წარიკვეთთ სასოებასა, რათა ჩვენც აღგვადგინნეს დაცემულნი და განგვადლიერნეს“.

მეტად საყურადღებოა, რომ საბას მსოფლმხედველობა არაა შებოჭილი ეკლესიისტვის პესიმიზმით, გაბმულ სამღვრავით ცხოვრების ამოებაზე.

მართალია, თავისი ქვეყნის უბედობა, მმართველი წრეების ზნეობრივი დემორალიზაცია დიდი პატრიოტის ღრმადშფოთებას იწვევს, მაგრამ ეს გულისწყრომა სრულიადაც არ გადადის ხალხის საერთო წყევლა-კრულვაში. ასეთ მძიმე მდგომარეობაშიც კი ცხოვრების საყვარულით აღზნებულ ბერს სრული უფლებათ შეეძლო გაემეორებინა თავისი მამიდაშვილის, მეფე-პოეტის არჩილის სიტყვები: „სოფელს ვაგანებ, მაგრამ მე მიყვარს და ვერ ვეშვებია“.

საბას, როგორც დიდ ოპტიმისტს, ნააეღ ფერებში ესაეტება სამშობლო ქვეყნის უკეთესი მყობადი, იგი არაა შეპყ-

რობილი მომავლისადმი რაღაც გაურკვეველი შიშით. მერე რა ვუყოთ, თუ ანალოგიური ბედის გამო მასაც შეეძლო თავის თავზე გადაეტანა ვახტანგ მეექვსის ამონაკენესი: „ჩემი ქირი ქვას ჰქონებოდა, დაღნებოდა, ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა“.

საბას მებრძოლი სული არასოდეს დაღვენთილა, მისი ნებისყოფა არასოდეს გაღვერილა, იგი მარადის სამშობლოს საკურთხეველს ეფინებოდა და მის კიდევებს ევლებოდა: ვარშემო.

უდავოა, ღვთისმშობლის ხატის წინ ხელაპყრობილი ბერი საბა სამშობლოს კეთილდღეობისათვის უფრო მხურვალედ ლოცულობდა, ვიდრე საკუთარი სულის ცხოვნებისათვის. თუკია რა ცოდვები შეიძლებოდა ჰქონოდა იმ ალაშიანს. რომელიც სულის უკანასკნელ ამოხდომამდე მშობლიურ-ხალხის ქირისა და ლხინის მოზიარე გახდა, რომელიც საქვეყნოდ აცხადებდა: მე ქართველთათვის ვალდებული ვარო. უთუოდ ბედის ერთგვარი ირონია იყო, როცა ცხოვრებისაგან გატანჯულ უმწიკვლო მოხუცს რომის პაპმა ცოდვების შესანდობად ოქროს ხატი უბოძა.

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“ მის სხვა უკვდავ ძეგლებთან ერთად ცხადად მეტყველებს მისი ავტორის დიდ ერუდიციაზე, საერო, სახალხო ინტერესებზე. მასში მძლავრად ჩქეფს მებრძოლი ბერის ანთებული სული, რომელიც საკმაოდ მძიმე დროში დაფიქრებულ გარეჯის ბრიოკი უდაბნოდან გამამხნეველებელი ძალით ეფრქვეოდა თანამოძმეთა გულს და მაღალი მოქალაქეობრივი ვალდებულებით ალაგზნებდა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

დიდი მამულიშვილის იდეალია, მარად ნაყოფიერი და

სიკეთის მომცემი იყოს ქართველთა სამკვიდრებელი მიწა; უკუნითი უკუნისამდე დღეგრძელი ის ხალხი, რომელიც უხსოვარი დროიდან ამ მიწაზე ცხოვრობს და მრავლდება.



სიძველეთა საცავეებში სთვლემს ბრძენი მწერლის მეორე ნაშრომი --- „სამოთხის კარი“, რომელიც თავისი ხასიათით ქართული დოგმატიკური მწერლობის ციკლს განეკუთვნება. მასში, როგორც ერთგვარ კატეხიზმოში, კითხვა-მიგების ფორმით, მოძღვარი (მასწავლებელი) ყრმას (მოსწავლეს) თანმიმდევრულად უხსნის ქრისტიანული ეკლესიის ძირითად დოგმებს.

მართალია, ეს ნაშრომი თეოლოგიის სახელმძღვანელო წიგნს წარმოადგენს, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა იქაც, მსგავსად „სწავლანისა“, შიგადაშიგ საერო-საგანმანათლებლო და დიდაქტიკურ-მორალისტური ტენდენციებიც არ დაგვენახა.

აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი პოლიტიკური და რელიგიური სიტუაციის გამო, კათოლიკოსმა ანტონ I-მა ამ წიგნს „ჯოჯობეთის ბჭე“ უწოდა და მასზე სასტიკი საეკლესიო ცენზურა დააწესა (დღემდე 21 ხელნაწერი მანცაა ცნობილი). მაგრამ ჩვენ გვგონია, ანტონისა და საერთოდ მართლმადიდებელ კლერიკალთა აღშუოთება უფრო ამ წიგნის საერო ტენდენციებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

თვითონ საბა ამ წიგნს თავის ქმნილებათა შორის თვალსაჩინო ადგილს უთმობდა და სიკვდილამდე უბოთ დაატარებდა.

აღნიშნულ თხზულებას, როგორც გარკვეულ საგანმანათ-

ლებლო წყაროს და ენობრივად მდიდარ საგანძურს, მაღალ შეფასებას აძლევდა რუსეთში გადახვეწილი ქართველობა, კერძოდ: ამ ძეგლის მესამე რედაქცია საბას ძმის ნიკოლოზ ორბელიანის მიერაა შესრულებული, ხოლო ვახუშტი ზაგრატიონმა 1750 წელს მისი მეოთხე რედაქციაც შეიმუშავა: საბოლოოდ გაწმინდა იგი კათოლიკური რელიგიის რეციდივებისაგან და ამით საბას ქმნილებას პირვანდელი მართლმადიდებლური სამოსი შემოაცვა.

საბას „სამოთხის კარი“ გარკვეულ ურთიერთობაშია როგორც „სწავლანთან“, ისე „ქართულ ლექსიკონთან“ (ბევრი ცნებებია და სიტყვის განმარტება ორივეში ანალოგიურია).

მაგრამ ამჯერად, გარდა რელიგიური დოგმატიკების განმარტებისა, უფრო საინტერესო ისაა, რა საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ნაკადით შეიძლება და ესაზრდობებინა ამ ძეგლს თავისი დროის მსმენელი თუ მკითხველი? როცა ამ თვალსაზრისით ვაფასებთ საბას შრომას, პირველ რიგში თვალში გვეცემა ავტორის დამაჯერებელი მსჯელობა ქრისტიანული რელიგიისა და საუფლო რიტუალების უპირატესობათა შესახებ მაჰმადიანობასთან შედარებით. ცხადია, ეს საბას გარკვეული პატრიოტული მოსაზრებითაც ესაჭიროებოდა. მისი მიზანი იყო მომძლავრებული გაათარებისაგან ეხსნა თანამოქმენი.

„სამოთხის კარი“ საინტერესოა პედაგოგიური და მორალისტური თვალსაზრისითაც¹. მასში იშვიათი პედაგოგიკური ოსტატობითაა დალაგებული და გადმოცემული კითხვა-მიგე-

1 იქნებ ამ წიგნმაც მისცა სტიმული ი. გოგებაშვილს თავისი უკვდავი სახელმძღვანელოსათვის „ბუნების კარი“ ეწოდებინა!

ბანი. დახელოვნებულ მოძღვარს თანდათანობით, და არა ნახტომების გზით, ნაცნობიდან უცნობისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ მიჰყავს მოსწავლე. ავტორი განაყენებული სიტყვიერა მსჯელობის პარალელურად ხშირად ჩერდება აღმზრდელობით მომენტებზე და წუთითაც არ ივიწყებს მათ სასარგებლო ზემოქმედებას აღსაზრდელის სულიერ ფორმირებაზე. თავის მსჯელობაში საბა უბნად აქსოვს ცხოვრებისეულ ბრძნულ იგავებს, ღიღძალ სენტენცია-აფორიზმებს.

„სამოთხის კარში“, როგორც სასწავლო სახელმძღვანელოში, მრავალი მანამდე ახალი და საინტერესო ცნობაა მოცემული მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, რაც აღნიშნულ შრომას გარკვეულ თეორიულ ღირებულებასაც ანიჭებს.

ამდენად, ეს სახელმძღვანელო, თუ შეიძლება ითქვას, თავისი დროისათვის ერთგვარი ენციკლოპედიური ხასიათისაა.

ასე, მაგალითად, როცა საბა ლაპარაკობს ნივთიერებათა თვისებებზე, სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ ვერცხლისწყალი, როგორც თხევადი ლითონი, გარკვეული სპეციფიკური თვისებით ხასიათდება. „ვეცხლის წყალი, — წერს იგი, — არს ერთი ნივთთაგანი. მოიღე და დასთბიე მიწათა და რა განიბნას, არღარა იხილვებიან და უჩინარ, არამედ რა მიწა იგი მოკრიბო და მოჰგავნე ცოცხითა და განანაივო მიწა იგი, მოკრებით კპოო ვერცხლის წყალი იგი უნაკლოდ“.

ამ ძეგლში ბევრი საინტერესო აზრი და გამონათქვამი გვხვდება ფილოსოფიური სამყაროდანაც. როგორც ფილოსოფიურად განსწავლულმა ადამიანმა, საბამ კარგად იცის, რომ მატერიალიზმისა და იდეალიზმის სახით დასაბამიდან ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო ფილოსოფიური სისტემა

იბრძოდა. ერთგან იგი ძალზე გამოკვეთილად შენიშნავს: „...მრავალნი ფილოსოფოსნი იტყოდეს ქვეყანისას თავით თავისით ყოფასა და არა ღმრთისაგან დაბადებასა“. საბას ფილოსოფიურ ნააზრევში ბევრი რამ შეიძლება ვნახოთ ორივე თვალსაზრისის სასარგებლოდ. მისი განსჯით „...გონებისაგან იშვების სიბრძნე და გონებისა და სიბრძნისაგან გამოვალს სიტყვა“.

საბას გარდუვალად სწამს სიკეთის კეთილგონიერება და მარადისობა. იგი აღმძინებს მოუწოდებს, ცდუნებათაგან დაბზარული გული მორწყან სიკეთისაგან მომდინარე წყაროთი, „რაოდენნი არიან დასაბამნი კეთილობათანი და სათავენი, რომლისაგან გამოვლენ ყოველნი სიკეთენი, ვითარცა მდინარენი წყაროთაგან“.

თუ საერთო შეფასებას მივცემთ დიდი მწერლის ფილოსოფიურ თვალსაზრისს, იგი ბრძოლისა და შრომის მქადაგებელია, ამაში ხედავს კაცთა ზნეობრივი განახლებისა და გარდაქმნის გზას.

ერთი სიტყვით, ორივე ძეგლში საბა მარტო რელიგიური დოგმატიებისა და ულტრა-კლერიკალური აზრების მქადაგებლად კი არ გვევლინება, როგორც ეს შეცდომით ჰგონიათ ზოგიერთებს. მათი ავტორი ამავე დროს, და უმეტესად, გაბედულად ეძიებს იმ საშუალებებს, რომლებითაც შეიძლება ისტორიული ბედუქუდმართობის გამო გონებადაბნეულ თანამომხმეთ „სიძნელე გზისა გაუადვილოს“.

ჟამთა ქექა-ქუხილში გამოვლილ და გამოძრძმედილ საბას დაბეჯითებით სწამდა, რომ ბოროტს კეთილი სძლევდა; ბნელს ნათელი მოერეოდა.

მჭევრმეტყველი ქართული ქალი

ქვეყნის ერთგულ-მოყვარული, ქმარ-შვილისათვის თავდადებული, დარბაისლურად ზრდილი და საუბრის დროს ტკბილ-მოქართულე, მართლა რომ მადლსა ქუენდა გარეშემოს.

აკაკი

ორატორული ხელოვნების საკაცობრიო საგანძურში განუმეორებელი ორიგინალობით ბრწყინავენ ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების შედევრები. ზეპირი მეტყველების ეს უმაღლესი და უმშვენიერესი ფორმა არც მზამზარეულად მიგვიღია საიდანმე და არც სახელდახელოდ შეგვიმუშავებია.

ქართული მჭევრმეტყველება მარტოოდენ სახოტბო-საზეიმო ხასიათისა როდია. მასში, როგორც სარკვეში, უკუფენილია მთელი ერის საზოგადოებრივი ყოფა, მისი ჭირი და ლხინი, მისი ვაჟკაცური შემართება დამპყრობი მოძალადეებისა, უსამართლო და უვარგისი სოციალური წყობილები-სადმი.

კაზმულსიტყვაობის ამ მომხიბლავ ნიმუშებში ხშირად ტრაგიკული აკორდებიც გაისმის, გამოწვეული რაიმე სახალ-

ხო უბედურებით. ამა თუ იმ შესანიშნავი პიროვნების და-
კარგვით.

მაგრამ საერთოდ, ისტორიულად, ქართულ ორატორულ
ხელოვნებას, ისევე, როგორც ჩვენს ფოლკლორსა და მხატვ-
რულ ლიტერატურას, დაცემულობის განწყობილება როდი
ახასიათებს. მტკიცე ხელით და ლოგიკური თანმიმდევრობის
განსაცვიფრებელი ძალით ნაქვედ სტრიქონებში აწეული ტო-
ნით გაისმის განუხრელი რწმენა იმისა, რომ მუხის დაცემა
არ ნიშნავს ფესვმაგარი ჯიშის მთლიან მოსპობას, რომ ის-
ტორიული ბედუკუღმართობის შედეგად დატეხილი უბედუ-
რება არ შეიძლება იყოს მარადიული, რომ უკეთეს მომავალ-
ზე ხელის ჩაქნევა, ბრძოლაზე ხელის აღება, ნიშნავს სიკვ-
დილს.

კლასიკური მკვერმეტყველების ამ სწორუპოვარ შედევ-
რებში მთელი სიძლიერით ჩქეფს ქებათა-ქება ყოველივე დი-
ადისა, რაც ერის ზნეობრივ ამალლებას და გონებრივ წარმა-
ტებას ემსახურება. ამ საგოგმანებელ მარგალიტებში უთვა-
ლავ ფერებად ბრწყინავს ქართველი დედების მადლი, წინა-
პართა საქმენი საგმირონი; მათი აზრისა და მკლავის ძალა.
სულიერი ახოვანება. ამავე დროს, ორატორის ბაგეთაგან
წამლევავი ტალღების მქუხარებით გაისმის ზიზღი და კრულ-
ვა ფლიდისა და ორგულისა, სამშობლოს განსაცდელის ქამს
ბოშლის ყურეში ძილად მიგრებულისა.

ქეშმარიტად დიდია ორატორული სიტყვის ზემოქმედე-
ბის ძალა! მას შეუძლია შეცვალოს, თავდაყირა დააყენოს
ჩვენს წარმოდგენაში დღემდე განმტკიცებული დოგმები,
ფეტიშად ქცეული აზრები.

იცის რა ორატორმა ჩვენი სიტყვის უძლურება, გულთა-

მბილავი ძალით იჭრება ჩვენს სულსა და გულში და ჩვენც ხარბად ვუღებთ დღემდე გადარაზულ გულის კარს მას მღელვარე სიტყვებს. ამ სიტყვებში არა მარტო ვეძებთ და დავტიროთ ჩვენს გაფრენილ ბედნიერებას, არამედ ნუგეშით ვეგებებით ხვალინდელ, კიდევ უფრო პირმომცინარე დღეს.

დიახაც რომ ქებათა-ქება ეკუთვნის სიტყვის დიდოსტატს! ჩვენს სათქმელს ის ასჯერ და ათასჯერ უკეთ ამბობს, ამზეურებს, ჩვენს მოზღვავებულ, მაგრამ გამოუთქმელ გრძნობებს ხორცს ასხამს, უმშვენნიერეს მხატვრულ ფორმებში ხვევს.



ქართული ორატორული მქვერმეტყველება ისევე ძველია, როგორც მისი შემქმნელი ერის ისტორია, ისევე მომხიბლავი და ღრმააზროვანი, როგორც მისი სულიერი და მატერიალური კულტურის საკვირველებანი.

ეს სწორუპოვარი ნიმუშები ერის სულიერ საღაროს ისეთივე სიდიადეს მატებენ, როგორც რუსთაველის უკვდავი პოემა, დ. გურამიშვილის ლექსთა კრებული, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის პოეტური ქმნილებანი, როგორც თამარის კოშკები, დავითის გელათი, სვეტიცხოველი, სიონი.

რომელი და რამდენი ერთი დავასახელოთ! მსოფლიოში აღიარებულ რომელ ოქროპირთა სიტყვებს ჩამოუვარდებიან თავისი შინაარსით ან ფორმის კაზმულობით არსენ ბერის, სოლომონ ლიონიძის, გაბრიელ ქიქოძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო დადიანის და სხვათა ორატორული

მკვევრმეტყველების ნიმუშები: როცა ამ შედეგებს კითხულობთ, გაოცებული რჩებით წინადადებებს სინტაქსური წყობით, სასტაჟ ბრძოლებში გადარჩენილ სიტყვათა ლოგიკური შედეგებით, მხატვრული ვირტუოზობით, რომელნიც საბოლოოდ აზრისა და გრძნობის ერთ დიდებულ და დასრულებულ გრეხილს ქმნიან.

ერის რჩეულთა ამ სიტყვებში მკაფიოდ ეღერს არა მარტო დრტვიანვა და ჩივილი უვარვის აწმყოზე, არამედ ისიც, თუ რანი ვიყავით გუშინ, რა ღირსებით ბრწყინავდა ჩვენი წარსული. კიდევ მეტია, ამ სიტყვებში მთელი ძალითა სჩქეფს ნათელი რწმენა უკეთესი მომავლისა, ჰიზნი ბრძოლისა და შრომისა. ვიტყვით მოკლედ: ჩვენი ეროვნული მკვევრმეტყველება საქართველოს ჩახჩახა შვის სხივებითაა მოოქროვილ-მოვარაყებული, ცისარტყელას ფერებშია გავლებული; მასში გაისმის და იგრძნობა ლომის გრგვინვა, ვეფხვის შემართება, არწივის ყაშყაში, მტრედის ღუღუნი, იადონის სტვენა-გალობა, თერგის ყეფა, რიონის ქუხილი, მტკვრისა და ალაზნის ღუღუნი, მთის ანკარა წყაროთა რაკრაკი.

* * *

ქართული კლასიკური მკვევრმეტყველების ძირითადი ნიმუშები მეფეების, სახელმწიფო მოღვაწეების, მხატვრული სიტყვის ოსტატების, ეკლესიის მსახურთა ბაგეთაგან დარჩეულა. ფრიად საყურადღებოა, რომ ამ მხრივ ნაკლებად შრწყინავენ დავალი ფენები. ცხადია, ეს გარემოება მათი სოციალური და საზოგადოებრივი მდგომარეობით უნდა აიხსნას. რაც შეეხება ქალს, თუ მისი ნიჭი წარსულში მთე-

ლი ძალით არ გამოხსნივებულა, ამაში მარტო მას ნუ დავ-
დებთ ბრალს. უკიდურესად შეზღუდულს, მხოლოდ და მხო-
ლოდ საოჯახო საქმიანობაზე მიჯაჭვულს, ქალს არ შეეძლო
მთვლემარე სულიერი ძალები ავმოქმედებინა, მთელი შე-
საძლებლობით გაეშალა.

ქართველ დედათა პლედარიდან მხოლოდ ერთი ქალის,
და ისიც დიდებული თამარის, ორიოდე ორატორული სიტყ-
ვა შემოგვრჩა (ერთი — თქმული დარბაზში ეკლესიის უზენაეს
მსახურთა მიმართ და მეორე — მხედრობის წინაშე სამქო-
რის ომის წინ) ¹.

უდავოა, ორატორული ხელოვნების თავისებური ნაპერწკ-
ლები ციმციმებენ მე-17 — 18 საუკუნის ქართველ პოეტ ქალთა
მხატვრულ ნაწერებშიც. ამ მხრივ მხედველობაში
გვყავს ცნობილი პოეტი ქალი მანანა და დები ბატონიშვი-
ლები. განსაკუთრებით კი ერთეულე მეთვის უმცროსი, უსაყ-
ვარლესი ასული თეკლე („თეკლა ბიჭი“), რომელმაც თავისი
ძალგულოვანი მამის სიკვდილით გამოწვეული სევდა საუ-
კეთესო რიტორიკულ ფორმებში ჩამოასხა და წერილის სა-
ხით გარსევან ქავჭავაძის მეუღლეს — მათს შესტირა. რა
თქმა უნდა, აღარაფერს ვამბობთ იმ დიდ ამაგზე, რომელიც
სხვადასხვა დროს ქართველმა ქალებმა დასდეს საერთოდ
ქართულ კულტურას, მწიგნობრობას, წიგნების გადაწერა-
მოკაზმვის, ხელრთვა-კალიგრაფიის საპატიო საქმეს.

ამჯერად ჩვენ ის ქალები გვანიტერესებს, რომელთაც
ქართული ორატორული ხელოვნების საგანძურში რამე წვლი-

¹ ორივე ეს სიტყვა შეტანილია დოკ. ნ. კანდელაკის მიერ სამაგა-
ლითოდ შედგენილ კრებულში „ქართული მკვერპეტყველება“.

ლი შეუტანიათ, „ტკბილქართულით“ ეღერადი ბაგე გაუპიათ. ვიმეორებთ, მაღალი სოციალური მდგომარეობის ქალთაგან ჩვენამდე მხოლოდ თამარის საჯარო სიტყვებმა მოაღწიეს და ეს სიტყვებიც მხოლოდ სადარბაზო მქვერმეტყველების კლასიკური ნიმუშებია. სავსებით მართებულად შენიშნავს ქართული მქვერმეტყველების ისტორიის მკვლევარი ნ. კანდელაკი, როცა წერს: „ამ აღორძინებას არ შეიძლებოდა ჩამორჩენოდა ქართული მქვერმეტყველება და, გვაქვს საფუძველი აღვნიშნოთ, არც ჩამორჩენია. თამარის ეპოქაში განსაკუთრებით განვითარდა სადარბაზო მქვერმეტყველება“¹.

როგორც აღვნიშნეთ, მდაბიო წრიდან გამოსული ქართველი ქალის ორატორულ სიტყვას (ამ სიტყვის სპეციფიკური გაგებით) ჩვენ ვერ ვხვდებით. გაშინაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ვინმე ქაზიყელი ქვრივი დედაკაცის მიერ ერეკლე მეორის ზარით დატირება. სოლომონ ლიონიძის სიტყვის შემდეგ თუ რა ხელის დამრევი ხემოქმედება მოუხდენია მსმენელთა სულსა და გულზე ამ მართლაცდა საისტორიო ქალის დატირებას, მოვუსმინოთ თუიმურაზ ბატონიშვილს:

„იწყობ ამან ხმითა მაღალითა ტირილად. ესრეთისა შესაბამითა სიტყვებითა ტირილსა მას შინა მოიღებდა თვითეულითა ღირს სახსოვართა საქმეთა მეფისა მიერ თქმულთა, რომელ ყოველნი მსმენელნი სიტყვათა მით უმეტეს ლმობიერ იქმნებოდეს და სტიროდეს გოდებითა დიდითა და ყოველთა მიეპყრათ ყური მისა მიმართ და განუკვირდებოდათ თუ ვითარ ერთმან მსოფლიომან დედა-კაცმან ესრედ შესაბამისა სიტყვებითა დაიტირა გვამი დიდებულისა მეფისა“.

¹ ნ. კანდელაკი, ქართული მქვერმეტყველება, 1958 წ., გვ. 159.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული სამგლოვიარო... რიტუალის მიხედვით ძველ ქართველ ქალებს მიცვალებულის მოთქმით დატირება (ე. წ. ზარი) უფრო ეხერხებოდათ. ქიზიყელი დედაკაცის ეს დატირება კი ერთგვარი გამოხატვისაა, რაღაც მაღალი საფეხურია. საოცარი ისაა, რომ ეს ცამდე ასული გოდება ამავე დროს მოხდენილი სამოსი ყოფილა ღრმააზროვანი, მკაფიოდ გამოკვეთილი რიტორიკული სიტყვებისათვის.

როგორც ირკვევა, ჩვენთვის დღემდე უცნობი კახელი ქალის ეს ზარით დატირება ქართული ხალხური მქვევრმეტყველების უმაღლესი სახე უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ამჟერად ჩვენ სულ სხვა ვინმე გვწადია წარვუდგინოთ ქართველ საზოგადოებას, პირველ რიგში კი — ქალებს.

ლაპარაკია დარია ფალავაზე, რომელიც თავის დროზე ფიზიკურად და — რაც უფრო სათაყვანოა, — სულიერად აცოცკროვნებდა „მშვენიერთა მარაქას“.



არავითარი კლასიკური განათლებით არ ბრწყინავს სახელი იმ ქალისა, ვინც ამიეროდან მტკიცე და საპატიო ადგილს იკავებს ქართული მქვევრმეტყველების ისტორიაში.

თამარის შემდეგ, ქრონოლოგიურად, დარია ფალავა, მგონია, მეორე ქალია, რომელმაც თავის მხრივ ქართული კლასიკური მქვევრმეტყველების ერთადერთი, მაგრამ ნამდვილად ობოლი მარგალიტი დაგვიტოვა. და ეს მით უფრო საკვირველია, რადგან თვითნასწავლ ქალს ეს სიტყვა რომ წარმოუთქვამს, 26 წლისა ყოფილა.

მხედველობაში გვაქვს დარია ფაღავას სიტყვა, თქმული 1896 წლის 10 მარტს, გელათში, გაბრიელ ქიქოძის კუბოზე.

როგორც ცნობილია, „მსოფლიოში სახელგანთქმული მქადაგებლის“ (მ. ჯანაშვილი) და „ღრმად მოწვენილი მეცნიერის“ (ილია ჭავჭავაძე) გაბრიელის გარდაცვალებამ ქართველი ხალხის საყოველთაო გლოვა გამოიწვია. ანტონ ფურცელაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ერი დასტიროდა მქადაგებელს მეცნიერს, მქადაგებელს მებრძოლს წინააღმდეგ ყოვლისა ბოროტებისა, მძლავრობისა, ძალმომრეობისა, უსამართლობისა, ჩაგვრისა“¹.

აღსანიშნავია, რომ გაბრიელ ქიქოძის დაკრძალვამ ქართულ ორატორულ მკვერმეტყველებას რამდენიმე სწორუპოვარი შედეგები შესძინა. საკმარისია დავასახელოთ ილია ჭავჭავაძის, აკაკის, გ. წერეთლის, ნიკო დადიანის, ილია ხონელის (რუსულად), გრიგოლ დადიანის (კოლხიდელის), ვასილ მაჩაბლის (ივანე მაჩაბლის ძმის) დიდი ორატორული ხელოვნებით შეზავებული სიტყვები.

მათ რიცხვში ბრწყინავს ორატორთაგან ერთადერთი ქართველი ქალის დარია ფაღავას სიტყვაც, რომელსაც მამონვე უჩვეულო შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე, პირველ რიგში, დიდ ილიაზე და მართლაც, ახალგაზრდა, ოჯახურად აღზრდილი ქართველი ქალის ეს სიტყვა ბრწყინვალეა არა მარტო გარეგანი სამკაულით, არამედ შინაპრსითაც.

დარია ფაღავას სიტყვაში ჰარმონიულადაა შიზავებული

¹ „ივერია“, 1896 წ., № 33.

ორატორული ხელოვნების სამი სავალდებულო მხარე: შინა-
არსი, ფორმა და შესრულება.

როგორც წესი, ინიჰიერი ორატორი წინა პლანზე აყენებს შინაარსს, ე. ი. მთელი დატვირთვით, ყურადღების მთელი დაძაბულობით გვაგალებს მოვისმინოთ, შევიგნოთ მიცვა-
ლებულის საერო და საზოგადოებრივი ღვაწლმოსილება, მისი სულიერი ახოვნება, სიდიადე. ფრიად საყურადღებოა, რომ ორატორის სიტყვის შინაარსობრივ მხარეს ფლობს ძლიერი ოპტიმიზმი, უკეთესისა და უკეთესის მოლოდინი. მოვეუსმინოთ სტრიქონებს: „ამისთანა უაღმატებულესი და დიდბუნებოვანი შვილის წართმევა სამშობლოსა და მის ერს ისე ჰხდის, როგორც რომ მშვენიერ ბაღში ხეებს ქერქის გარამევა და შტოების აღკვეცა, მაგრამ მას კი ჯერ ფესვები არ გახმოზია, მაშასადამე კვლავ აქვს საკმაო სინედლე დარჩენილი, რომლითაც კვლავ ისხამს თავს“. მაგრამ მიცვალებულის გასაპატიოსნებლად, მის ასამაღლებლად ორატორი მარტო შურალი, ერთმანეთზე მიყრილი სიტყვების გროვას როდი ენდობა. ამ სიტყვებს იგი სათანადო მხატვრული ფორმით, კაზმული გამოთქმებით უდგამს სულს, მიაქვს მსმენელის გულთან და ამით დაუვიწყარ ხატებას ქმნის იმისას, ვინც, დ. ფალავასავე სიტყვებით რომ ვთქვათ: „მისი კეთილგონიერებით ქვეყანაზე მალა იდგა კაცთა შორის უმანკოდ და ღმერთთან კი ახლოს“.

ფორმის მხრივაც დ. ფალავას სიტყვა უნაკლოა. წინადა-
დებათა სინტაქსური წყობა, შედარებები, ჰიპერბოლები, ეპითეტები, განმეორება: ინვერსია და ზხვა მხატვრული სამ-
კაულები სრულ ჰარმონიაში იმყოფებიან სიტყვის ცენტრა-
ლურ მხარესთან შინაარსთან.

რაც შეეხება შესრულებას, ე. ი. თვითონ წარმომთქმელის სხეულის დაჭერას, ეხსტებსა და სახის მიმიკას, ამ მხრივ შეეგვიძლია იქ დამსწრე მიხეილ სხირტლაძის ზეპირგადმოცემა და ვიმოწმოთ.

„ვისაც ოდნავ მაინც ახსოვს გაბრიელის დიდებით დაკრძალვა, — იგონებდა მიხეილ სხირტლაძე, — მას არასოდეს დაავიწყდება ცისკენ მიპყრობილი ღრმადმეტყველი თვალები ახალგაზრდა ორატორი ქალისა, ქალისა, რომლის ქვაბქცეული ფიგურაც არღევანისფრად გაპოხილი ბაგიდან ბგერადი, მაგრამ მეტად საამური ტონალობით აფრქვევდა ხავერდოვან ხმებს“.

ამ გასაოცარ ურთიერთობას ორატორსა და მრავალრიცხოვან მსმენელს შორის ალბათ კიდევ უფრო რომანტიკულსა ხდიდა და რაღაც იღუმალის გრძნობით ამალვებდა გულათის დიდებული ტაძარი, მდუმარე გარემოში ისედაც გარინდული თაღების ექო, რჩეული საზოგადოება და იქ მყოფი ილია ჭავჭავაძის შარავანდედი...

მოდის ჩვენს ოცნებაში წარმოსახვის მთელი ძალით გავაცოცხლოთ ეს მადლიანი ქართველი ქალი და მოკრძალებით მოვასმინოთ ის სიტყვა, რომელშიც უთუოდ იგრძნობა კოლხიდის ჩიტორიკული სკოლის შორეული სურნელება¹.

„ისე ძლიერია სასოება რწმუნებულთადმი, რომ მეც კი, ერთი უსუსურის პირის ქალსაც ენას მადგმევინებს

¹ დარია ფალავას ეს სიტყვა აკაკის რჩევით, მისსავე სიტყვასთან ერთად, შეუტანიათ სპეციალურ კრებულში — „სულმნათი გაბრიელის საუნჯე“, რომელიც ქუთაისში გამოიცა 1897 წელს.

სალაპარაკოდ ამ საკვირველ ტაძარში, ბრწყინვალე საზოგადოებათა შორის.

დიდი თუ მცირე ყველა ქართველთაგანი საკმაოდ გრძნობს ამ დიდად სამწუხარო შემთხვევას, ყველა გლოვობს, ყველა სტირის და სამძიმრობს ურთიერთშორის ამ საუბედურო მოვლენას. და სწორედ რომ საშიშარია ჩვენთვის ეს დღე, — ვის ჰკარგავს დღეს საქართველო და ვის გვასალმებს სამუდამოდ უღმობელი სიკვდილი? იმას, ვინც მისის კეთილგონიერებით ქვეყანაზე მაღლა იდგა კაცთა შორის უმანკოდ და ღმერთთან კი ახლოს.

ჩვენ ვხედავთ დღეს აქ იმ უმჯობეს კაცის უბიწო ცხედარს და თაყვანსა ვცემთ იმის ღირსეულს, პატიოსანს გვამს, რომელიც აყო უწარჩინებულესი მოძღვარი, სამაგალითო სულიერი მამა და მისის სიცოცხლის უკანასკნელ წერტილამდის განუდგომელი მოღვაწე თავისის სამწყსოსათვის. იშვიათია ჩვენში ისეთი ვინმე ჩამორჩენილი და ჩვენი ეროვნული ღირსებისაგან გამოწყვეტილი კაცი, რომელსაც არ გაეგონოს ამ ნეტარ ხსენებულის დიდ-კაცობა.

არ არის დაფარული გაბრიელი და მისი სანეტარო ცხოვრება, არამედ თვალსაჩინოა, მაგალითად დასაღებო ყოველი მისი საქმე, რომელმან არ მოარაღა პირი არავითარ ჯეროვან შრომას, არ შეუშინდა არც ერთჯერ ეკლიანსა და ბნელით მოცულ გზათ; გაიარა პირნათლად ყოველ მსოფლიო შემთხვევაში და დააღწია ჭეშმარიტებას ისრე, როგორც მზე აღმოსავალით დასაავალს.

მან გაარღვია ხალხის გულში შესავალი კარი, ხელში დაიჭირა ხალხთა გონების გასაღები; დაურეკა ყველას

გრძნობის გასაღვიძებლად და გადაუშალა მათ გზა სწავ-
ლა-განათლებისა.

ვინ არ იცის ამისი ღირსება: ამისი ღირსება იყო ზე-
გარდმო-შთაგონებითი ინიჭი, ამისი გონება იყო განათლე-
ბა, ამისი ზრუნვა იყო საზოგადო საკეთილდღეო მოღვა-
წეობა და ამისი მისწრაფება — საყოველთაო მშვიდობა.

ის იღვა ცნობიერების იმწვერვალზე და ერთზე-
ლაც არ მომწყდარა მისგან; მან დასთესა ქვეყანაზე სიტყ-
ვით მარგალიტი და მოიმკო საქმით ყოველი კეთილი. ბევ-
რი იპოვნა მან დაკარგული, ბევრი შემატა ცხოვრებას და
ბევრი უსუსური მოასულდგმულა, გამოასათუთა სასი-
ცოცხლოდ! ეხლა კი ამიერიდან გვტოვებს, გვშორდება და
უკანასკნელ ამბორებას ვაძლევთ მას, ამ მეცნიერებით
მხედველს და სიბრძნის მყოფელს კაცთ-მოყვარე უგანათ-
ლებულეს შვილს ჩვენის ერისას.

ერთი სიტყვით, დაუნდობელია ეს წარმატალი ქვეყანა!
მას უყვარს ჩრდილი და მზად აქვს შავი ზეწარი: სოფელი
ფერ დაუშვებს ხანგრძლივად ადამიანთათვის საკეთილ-
მყოფო განთიადს; აფი გამოგვაცლის, რაც უკეთესია კა-
ცობრიობაში; და აი, ეს არის საწუთრომ ჩამოგვაფარა
ქართველებს სამგლოვიარო ფარდა.

ოჰ, ვერ ძალმიძს იმისი გამოთქმა, თუ რაც იმწუნალება
გულზე მაწვება. ასრე მგონია, დღეს შეშრა ჩვენის სა-
ქართველოს კლდეებს შორის ის მშვენიერი და საშუა-
ლო წყარო, რომელიც გაღმორწყავდა დედამიწის გაგვა-
ლულ მიდამოს და ამალხაზებდა ყოველსავე მისსა ფარ-
გალში.

აღარ გვყავს აწი ეს ჩვენი ღირსება და ჩვენი ერის ის

სუფროსი 'მვილი, რომელსაც აუფროსებს მომავალში ქართლის ძეთა უკანასკნელი მეცნიერება.

ეს სტოვებს დღეს იმ ხალხს, რომელმაც თვით ეს მაღალი დაბადა, ეს მიეზარება დღეს იმ ქვეყანას, რომელმაც მას კაცობრიულად სიყვარული შთაუწერა და ეს გაუფრინდა იმ ერს, რომელმაც მას სიცოცხლე ღირსება მიანიჭა.

ამისთანა უაღმატებულესი და დიდ-ბუნებოვანი შვილის წართმევა, სამშობლოსა და მის ერს ისე ჰხდის, როგორც რომ მშვენიერ ბაღში ხეებს ქერქის გართმევა და შტოების აღკვეცა, მაგრამ მას ჯერ ფესვები არ გახმობია, მაშასადამე კვლავ აქვს საკმაოდ სანედლე დარჩენილი, რომლითაც კვლავ ისხამს თავს.

ბუნებამ თავისი იცის! თუმცა რომ ამ სანუგეშო ნაშთს შეისვენებს ამიერიდან სამშობლოს კეთილი აკლდამის მკერდი და ვერ ვიხილავთ მის უმანკოს და ბრწყინვალე სახეს, რის გამოც ჩვენ ყოველნი ერთობით მოვაკლდებით საუკეთესო სიამოვნება-კმაყოფილებას, მაგრამ არც ისე ხელცარიელი და უიმედოდ დავრჩენილვართ ამისგან, რომ მავ დიდებული კაცის ხსოვნება ჩვენ შორის შესულ-ხორციებით არ ცოცხლობდეს.

ეს იყო სამშობლოსათვის სასიქადულო ძე და აწიკ უეჭველია სამარადისოდ არ გაცვთება მაგის სახელი საქართველოში და არამ თუ მართოდ თვისსა სამშობლოში. საკუთარ მოქმეთათვის არიან სახსოვარი და სხარებლო ამისთანა პირები, არამედ ყოველი სხვათა გარეშე ქვეყნისა და უცხო ხალხისათვის არიან ისეთნი, როგორიც არის დღეს ორთავ ძუძუ მწოვარი ძისა, გინა ასულისათვის.

ამისთანა სუღით და საქმით უკვდავ მუშაეს არ ეტყვიან მოკვდაო, — მას იცნობენ და გაიცნობენ ყოველი სიბრძნის მოყვარე პირები, მას ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში, ყოველ განათლებულ სხდომაში უჭირავს მაღალი ადგილი; მისთვის მზად არის სკამი პატივცემული და საჩუქრები გონიერებისა, ვინაითგან მის დღეში არ დასცხრება მისი ჯავარი. მას ვერ გააქრობს ზოგიერთი ცრუ და ობიანი მეჭორე პირნი ისრე, როგორც მზეს ვერ გააქრობს ქარი; ვერც მის ხსენებას ვერ აღმოხოცს კაცობრიობაში ვინმე, როგორც ვერ დააშრობს მდინარე წყალს ერთი ნაკვეთჩხალი.

დიდებულო მწყემსთ-მთავარო, არ დაგივიწყებს შენი სამშობლო, ვიდრემდის ქვეყანას პირი შერჩება და საქართველოს მისი ღირსება.

ყოველი შენი მოღვაწეობა ისტორიულად გარდაეცემა აწმყოს, განვლილი საუკუნეებიდამ გადაითელება დადგენილებში და ყოველი ჩვენი ერის სხვადასხვაობაში შენ იქნები უკეთილესი გასაგონარი და ცხოველი სახსოვარი, როგორც რომ ყოველი თვის დაღეგში განახლებული მთვარე.

შეუწყვეტული შრომაა უკანასკნელი შენი ანდერძი და შეუწყვეტელი დაგრჩა ხსენებაც.

შენ დგახარ დაურღვეველი სიმართლის ნიადაგზე და მადლა გაყენებს თვით შენი საქმე.

ჩვენ არ გაქვბთ შენ, არამედ შენ აქვბ იმ ხალხს, რომლის ნაყოფიც შენ ხარ! წინ მიგიძღვის ლამპარი დაუმსებელი და მიემთხვევი ვარსკვლავს განთიადისას და სიცოცხლისას.

გრგულებით ისევ ცოცხლად და ჩვენთან მყოფელად! გვეყავ მეოხათ ღვთის წინაშე და მოგვანათე შენი რჩეულთა შორის გამოუყოფელი შარავანდი, რათა ერთის სიღიადითა და ერთის ეროვნულის ღირსებით ბრწყინავდეს მთელი საქართველო.

ვიციტ მდიდარი ხარ და არ ითხოვ სხვისაგან ქებას, ვიციტ უხვი ხარ და არ ეტრფი არვისგან დიდებას, ვიციტ შენ შეიწირავ მცირე წვლილსაც.

რადგან შენ შეგიძლიან ჩაიხედო ადამიანის გულის სიღრმეში და არა მარტო სიტყვაში, ვიმედოვნებ, მიიღებ ამ ჩემს ღარიბ სიტყვასაც და მაპატიებ, ნეტარ ხსენებულო იმას, რაც ვერ შევაწერე შენს ჯეროვანებას“.

დაამთავრა თუ არა ორატორმა სიტყვა, მიხეილ სხირტლადისავე მოგონებით, ნიკო დადიანი მიიჭრა მასთან და ნიშნად აღტაცებისა მამაშვილურად გადააკონა.

არ გაუვლია ორ წუთსაც და ხალხში ჩურჩული გაიშა: „ილია მოდის, ილია“... მართლაც, ახლად დაჭრილ სამარესთან ილიას ბრგე ფიგურა აღიმართა. ამ დაუვიწყარ წუთს ასე იგონებეს შალვა დადიანი: „ჯერ არ იწყებს სიტყვას, მესმის მისი გულის ბაგა-ბუგი, მკერდი აღის და ჩაღის... დაიწყო, გარედან თითქოს დამშვიდდა, მაგრამ მკერდი მაინც აღის და ჩაღის, ისე ახლოს ვდგევარ, რომ თვალნათლივ ვხედავ, მესმის მისი გულისძგერა, ამ მკერდიდან ამომხდარი ხმები“¹.

წინა ორატორთა გამოსვლას და კერძოდ დარია ფალავას სიტყვას იმდენად კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ამ ბუმ-

¹ შ. დადიანი, რაც გამახსენდა, 1959 წ., გვ. 92.

ბერაზზე, რომ თავისი ქებათა-ქება, მიძღვნილი გაბრიელისადმი, ასე დაუწყია:

„არ ვიცი, ამდენს მშვენიერად თქმულს სიტყვებს შემდეგ რა მოგახსენოთ ისეთი, რომ თქვენთვის ახალი იყოს. თუნდ ეგეც არ იყოს, ზოგი იმისთანა კაცია, რომ რაც გინდ ბევრი ისურვოთ, ვერას იტყვიოთ, რადგანაც არა აქვს რა ღირსი თქმისა და ზოგი იმისთანაა, რომ სათქმელი ზღვაა“.

უკანასკნელი ფრაზებიც — და დიდმა ოქროპირმა გაბრიელის უზარმაზარი პორტრეტის მოხატვა დაამთავრა, ისეთი ხელთუქნელი ძეგლი აღმართა, რომელსაც, ილიასავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „არ ვიციოთ, რომელ მხრიდან დავუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველ მხრიდან დიდებული სანახავია“.

შელამდა. პროცესია დაიშალა. საზოგადოებამ ერთი გზით მიმავალ ორ აღამიანს გააყოლა თვალი, მათი სიტყვები და სახე აღიბეჭდა ხსოვნაში. ერთი დიდებული ილია იყო, მეორე კი ღარია ფალავა.



ჩვენ აქ გვინდოდა დაგვესვა წერტილი, მაგრამ ვიცი, მკითხველს გული დაწყდება, კიდევ მეტი, — უკმაყოფილოც კი დარჩება. უდავოა, მას სწადია იცოდეს, თუ ვინ იყო ღარია ფალავა, ეს მართლაც და, „სასიქადულო ქართველი ქალი“ („ცეცრია“).

ღარია ფალავას შესახებ ბევრს ვერაფერს გვეტყვის იტალიური მარმარილოსაგან გამოკვეთილი ძეგლი, რომელიც სოფ. ბანძაში (გეგეჭკორის რაიონი) ახლაც ამშვენიებს მის საფლავს.

თეთრი მარმარილოს ქვაზე შავი ასოებითაა ამოკვეთილი მხოლოდ მისი ვინაობა და ამ ქვეყნიდან მიფარების მაუწყებელი თარიღი. წამკითხველს შენდობას ემუდარება ლოდ-ქვეშ მდებარე: „კნენა დარია მურზაყანის ასული ფალავა, დაბადებიდან 30 წლის გარდაიცვალა 1899 წ. 22 იანვარს“.

ეს არის და ეს... იყო და არა იყო რა... მაგრამ მშობელი ქვეყანა ასე უხმოდ არ მიაბარებდა მიწას იმას, ვინც, აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიდრე ცოცხალი იყო, „მადლსა ჰფენდა გარეშემოს“ და თავისი ცხოველი, უალრესად მქვევრმეტყველური სიტყვების შარავანდებით მოსავდა, ამკობდა და ადიდებდა ერის წინაშე ვალმოხდილ თანამოძმეთ.

რათა კიდევ უფრო სრულად აღგვედგინა ამ მივიწყებული ქალის პორტრეტი, ჩვენ გულმოდგინედ გადავათვალიერეთ იმდროინდელი ქართული პრესა, მოვინახულეთ მისი შვილები გულნარა და ევგენია ფალავები, შვილიშვილები ია გაბუნია, ცნობილი ექიმი დავით ფალავა, დარია ფალავასგან შვილივით აღზრდილი ქ. გაბუნია (იგი ახლაც სიყვარულით უვლის და დასტრიალებს დარიას საფლავს) და მისი ვაჟი-შვილი ადვოკატი ალექსანდრე გაბუნია, რომელთაც ბევრი საინტერესო ცნობა მოგვაწოდეს ორატორი ქალის ცხოვრებიდან. გარდა საყურადღებო ცნობებისა, ალ. გაბუნიამ მოგვაწოდა დარია ფალავას პორტრეტიც.

ყველა ამ მონაცემის საფუძველზე, რომელსაც აკაკი წერეთლის მიერ დარიას უკვდავსაყოფად დაწერილი გულთბილი ნეკროლოგიც ასხივოსნებს, ორატორი ქალის ასეთი მედალიონი გვეხატება.

დარია მურზაყანის ასული ფალავა დაბადებულა 1869 წელს სოფ. ზანას (ზუგდიდის მაზრა).

დედიდან მისი პაპა ყოფილა კონსტანტინე აფაქიძე, კაცი თავისი დროისთვის საკმაოდ განათლებული; მისი ცოლი, დადიანის ქალი, ახლო ნათესავი ყოფილა ნიკო დადიანისა.

სწორედ ამ ოჯახში დაბადებულა და აღზრდილა ბანძელი გოგონა. აქვე შეუსწავლია წერა-კითხვა, სასულიერო მჭევრმეტყველების შედეგები. დედუღეთშივე გაიზიარა და შეიტკბო უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ღრმად ისუნთქარუსთველის ენის სტიქია.

წლებმა სწრაფად გადაიქროლეს... დარია გასათხოვარი ხდება.

დედისერთა მდინდარ, თვალტანად ქალიშვილზე ბევრს ეჭირა თვალი, ბევრს ეკვეთა მისგან ტრფობის ისარი. მაგრამ წინდახედულ, დინჯ, ზნემაღალ ოჯახზე მეოცნებე დარიას ასე ადვილად როდი მოხიბლავდა უპაქმურ, ფუქსავატ ჩოხოსანთა ცრემლით ნამული სამიჯნურო უსტარები.

რჩეული რჩეულს უხმობდა, გული დაეძებდა გულს.

დარია ფაღავას რომანტულ თავგადასავალში მრავალთაგან ერთი ეპიზოდს სამუდამოდ ჩაიწერა.

ერთმა უგონოდ გამიჯნურებულმა თავადმა, როცა მისგან ცოლობაზე სასტიკი უარი მიიღო, მოტაცება სცადა, მაგრამ მამაცი გოგონა არ დაიბნა, თავსლაფი გადაასხა თოფ-იარაღში ჩამჯდარ „რაინდებს“. იგი ელვის სისწრაფით გაღმოველო მაღალ მოაჯირს და ზნელ ღამეს შეუერთდა.

ბანძელ გოგონას ეს „ლეგენდარული ნახტომი“ მთელ დასავლეთ საქართველოში დაირხა, პრესაშიც კი გახმაურდა.

ამ ამბავმა კიდევ მეტი თაყვანისმცემლები შესძინა დარიას და, აჰა, ტოლიც გამოჩნდა. ეს რჩეული გახლდათ მთელ დასავლეთ საქართველოში სილამაზითა და ნიჭიერე-

ბით განთქმული. ლიცეუმდამთავრებული იურისტი მეჭი ფა-
ლავა. მეჭის სახელს კიდევ უფრო ამაღლებდა ის გარემოება,
რომ მას ახლო მეგობრობა და საბანკო საქმეების გამო საქ-
მიანი დამოკიდებულება ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან.

მის ბიოგრაფიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ილიას მიპა-
ტიყება ბანძაში 1885 წელს, როცა დიდი პოეტი, როგორც
ქართველთა შორის წ.-კ. გ. საზოგადოების თავმჯდომარე,
სამეგრელოს ესტუმრა ნიკო დადიანის (მინგრელსკის) საგვა-
რეულო ბიბლიოთეკის გადმოსაბარებლად.

აქ აღარაფერს ვამბობთ მასპინძელთაგან ილიას გულუხვ
მიღებაზე, პოეტის მოღბენაზე, ენამზეობაზე, სამეგრელოს
ხილვით გამოწვეულ აღტაცებაზე. ამაზე საკმაოდ ბევრი ითქ-
ვა და დაიწრა.

დავუბრუნდეთ ისევ დარია ფალავას ცხოვრების გზას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარიამ თავისავე გვარის, მაგ-
რამ სისხლით შორეულ ვაჟკაცს მეჭი ფალავას გაუწოდა
ხელი.

ახალგაზრდა ქალი ყოველმხრივ ღირსეულად შეხვდა დე-
დობის უმძიმეს, მაგრამ სახარბიელო ტვირთს.

აფაქიძეების ძველ ქართულ ოჯახში ტრადიციულად
აღზრდილ, შინაური სწავლითა და თვითგანვითარების გზით
გონებაგახსნილ დარიას ამაყად ეჭირა თავი იმ წრეშიც, რო-
მელიც მეჭი ფალავას გარშემო ტრიალებდა. უნდა ვივარაუ-
დოთ, რომ დარია ჯერ კიდევ გათხოვებამდე სავსებით მომზა-
დებული ყოფილა ცხოვრებისათვის. ნუ დაგვაფიწყდება, რომ
ძველ ქართულ ოჯახებში, როგორც ვახუშტიც გვიმოწმებს, ქა-
ლების საერთო საქმიანობაში „ცოდნა-ხელოვნების მოყვა-
რულობას“ საპატიო ადგილი სჭერია.

ეს წეს-ჩვეულება ოდიდანვე მთელი ტრადიციულობით იყო დაცული სამეგრელოში. არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც თითქმის 20 წელი დაჰყო სამეგრელოში, წერს: „ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი“.

რაც შეეხებოდა მათ სულიერ საზრდოს, იმას, თუ რა წიგნებით იკმაყოფილებდნენ გონებრივ და ესთეტიკურ მოთხოვნილებას, ამაზე ჩვენს სახელოვან ისტორიკოსს დ. ბაქრაძეს მოვუსმინოთ: „ოსინი ტკბებოდნენ ჩვენს ენაზე დაწერილის ანუ სხვა ენათ გადმოღებულის საერო თხზულებებით; კითხულობდნენ უფრო განთქმულს რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც უმწვენიერებდა სიტყვიერებას და განუწმენდდა აზრსა და ზნეობითს გემოვნებას, მრავალთ იცოდნენ ზეპირად; კითხულობდნენ საბერძნეთის ფილოსოფოსთა მშობლიურს ენაზედ, მამათა ცხოვრებასა და საღმრთო წერილებსა“¹.

არა ნაკლებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ორატორი ქალის ნათესავი, მწერალი შ. დადიანიც. „ქალი — წერს იგი — არამც თუ ჩვეულებისამებრ მცოდნე იყო ქართული ენისა, „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვადასხვა ხელსაქმისა, რომელიც სავალდებულოც კი იყო მაშინდელი ქართველი ქალისათვის, არამედ საფუძვლიანად იცოდა თურმე, იმ დროის შესადაოდ, საქართველოს ისტორია, ვარსკვლავთმრიცხველობა, დიდი ხელთა, რომელიც მეტად რთულს — მთვარისა და მზის, დრო და ჟამის ტრიალთა აღნუსხვის კომბინაციებს წარმოადგენს. ზედმიწევნით იცოდა საღმრთო რჯული. მაგ-

¹ დ. ბაქრაძე, ქართველი ქალები, 1891 წ., გვ. 9.

რამ მარტო ისტორია და ლოცვები კი არა, არამედ დოგმა-
ტური გამოკვლევანი და ყოველივე საეკლესიო წესები და
ტაბიკონი“¹.

მართალია, დარია ფაღვაც ასეთ ატმოსფეროში იყო
აღზრდილი, მაგრამ ახლა, განახლებისა და გრიგალის ქროლ-
ვის საუკუნეში, ეს ცოდნა უკვე აღარ უმაროდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივი აზ-
როვნების დუღილი რომ გეგრძნო, ახალ სოციალურ და პო-
ლიტიკურ ვითარებაში რომ ჩაგეხედა, საჭირო იყო ჩვენი
პერიოდული პრესის, ბეჭდვითი ლიტერატურის თვალყურის
დევნება.

დარია ფაღვა, როგორც გახსნილი გონების ქალი, აქაც
თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა; ქუთაისში ცხოვრების წლებში
იგი ძალზე ბევრს კითხულობდა, ახლოს იმყოფებოდა მოწი-
ნავე ინტელიგენციასთან, განსაკუთრებით ორ პოეტთან —
აკაკისთან და ცახელთან. თავის მხრივ, როგორც ერთი, ისე
მეორე მოხიბლული ყოფილა შინაურულად განსწავლული
ქალის ნიჭიერებით, მისი მაღალი ზნეობით და ეროვნული
იდეალებით. დარია სისტემატურად ესწრებოდა წარმოდგე-
ნებს. იგი უღრმეს პატივსა სცემდა ქართული სცენის ვეტერა-
ნებს, ლადო მესხიშვილსა და ვასო აბაშიძეს, ქალთაგან კი
ნუცა ჩხეიძეს, რომელიც მისმა ქმარმა მექიმ მონათლა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დ. ფაღვას კულ-
ტურულ-საქველმოქმედო საქმიანობა. მან საუცხოო წიგნთ-
საცავი გახსნა თავის სოფელში და თავისივე ხარჯით ბევრ
ახალგაზრდას გაუკათა გზა ცოდნისა და განათლებისაკენ.

¹ შ. დადიანი, რაც გამახსენდა, 1959 წ., გვ. 259.

ქუთაისის მოწინავე საზოგადოებაში ტრიალმა კიდევ უფრო გააფართოვა ბუნებით ნიჭიერი ქალის გონებრივი ჰორიზონტი, კიდევ უფრო მეტად აზიარა იგი მოწინავე და პროგრესულ იდეებს.



როგორც მშობელი ქვეყნის მხურვალე პატრიოტი და თავისი დროისათვის საკმაოდ განვითარებული ქალი, დარია ფალავა გაფაცვიცებით აღწევნებდა თვალყურს ქართულ პრესას, ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას, აზრთა და იდეათა შეხლა-შემოხლას.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის აბოზოქრეზულ საუკუნეში, რომლის ტალღებიც ილიას ფოლადის მკერდს ენთუაქებოდა, მოწინავე ქალისთვისაც მიუღებელი და დასაგმობი უნდა ყოფილიყო ყველაფერი ის, რაც სახალხო საქმეს ზიანს მიაყენებდა, ეროვნული შეგნების მთლიანობას დაასუსტებდა, ძირს გამოუთხრიდა.

დარია ფალავამ „ივერიის“ ფურცლებიდან საინტერესო პოლემიკა გაუმართა გ. წერეთელს, რომელმაც წერილში — „საით მივისწრაფით?“ ქალაქის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, ცოტა არ იყოს, ტენდენციური თვალსაზრისი განავითარა ზოგიერთი საკითხის ირგვლივ.

გამოჩენილ ბელეტრისტთან და საზოგადო მოღვაწესთან კამათის დროს, ზოგიერთი თავგზააბზნეული, ქარაფშუტა პატრიოტების გამოხდომებით გულმოკლული ქალი, ნაღვლიანი კილოთი შენიშნავს: „ვინ არ იცის, რომ ჩვენში, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს ეგრეთ წოდებული „პრო-

ვინციული პატრიოტობა“. ამ ორი წლის წინათ თვით საქართველოს დედამამუცის კეთილშობილთა კრებულში ბანკის ყრილობაზე, ათასი კაცის წინაშე, ზოგიერთმა მამულიშვილმა (?) საქვეყნოდ წარმოსთქვა შეუწყნარებელი სიტყვები: „იმერლები ნუ ერევიან ჩვენს საქმეშიო“¹.

დარია ფაღვას იდეალით ყველა ქართველისათვის ერთგვარად სათაყვანო უნდა იყოს ჩვენი საზიარო დედა—საქართველო, „კორტოხის ორივე მხარე — იმერეთ-ამერეთი“.

ნიჭიერი ქალის სმენას მთელი გრძნობით ატკბობდა დიდი ეროვნული პოეტის აკაკის გულში ჩამწვდომი სტრიქონები:

ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველათ...

დარია ფაღვას სხვა ნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია. სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერების საკმაოდ მოზრდილი რვეული მისი გარდაცვალების შემდეგ მექის მეორე ცოლმა, ანჩხლმა დედააკცმა, ცეცხლს მისცა.

როგორც გულნარა ფაღვამ გადმოგვცა, მისთვის დაუვიწყარი დედის ამ ძვირფას რვეულში თავმოყრილი ყოფილა საკუთარი ლექსები, ვრცელი საენათმეცნიერო ნარკვევი ქართული და მეგრული ენების ახლო ნათესაობის შესახებ და, რაც ყველაზე დიდი დანაკარგია, განსაცვიფრებელი ორატორული ხელოვნებით დაწერილი სიტყვა ილია ქავჭავაძის საოუბილოდ. ეს სიტყვა დარიას უნდა წარმოეთქვა საგანგებოდ შეკერილ ქართულ კაბაში, რომელიც მან ერთ

¹ „ივერია“, 1897 წ., № 87.

ზნეერ მოლოზანს თვალისმომკრელი სილამაზით მოაქარგვი-
ნა: მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს! ამ საოჯნებო კაბაში
იგი იხლოლოდ კუბოში იხილეს.

* * *

1899 წლის 18 იანვრის სუსხიანი საღამო იდგა. ქუთაი-
სის თეატრში ტევა არ იყო. ვლ. მესხიშვილი და ვ. აბაშიძე
ელავდნენ სცენაზე. მეორე მოქმედებისას მოულოდნელად
ხმაური ატყდა. რამდენიმე წუთიც და პარტერიდან გულწა-
სული ქალი გაიყვანეს.

ეს ქალი დარია ფაღავა იყო. იგი კონსერვს მოეწამლა
და მომაკვდინებელი შხამი სწრაფად ედებოდა მთელ სხე-
ულს, გულისკენ მიიწევედა. სიკვდილთან ბრძოლა ხუთ დღეს
გაგრძელდა. დღისა და ღამის გაყრას რუსთველის ბრძნულ
აფორიზმებზე აღზრდილი ქალი ორი სიტყვით და წყვილი
კურცხალით შეეგება:

— არაფერია — მშვიდობით, — წამოიძახა მან და მის
ლაწვთავან სასიკვდილო აგონიის კვალი ორმა მარგალიტმა
ჩარეცხა. ქმარი კედელს ეხეთქებოდა, ოთხი პატარა ბავშვი
კი გიშრისფერ დალალებს ელამუნებოდა. ყველა დააღონა
ზნემალაღი, სამაგალითო ქართველი ქალის უდროოდ ვარ-
დაცვალებამ.

მისი დაკრძალვის დღეს ქუთაისის თეატრმა წარმოდგე-
ნა გადადო. ჩანს, საზოგადოება გლოვობდა თავის მშვე-
ნებას.

მწუხარების დღეებში „ივერიაში“ გამოქვეყნდა ილია

ჩიქოვანის (პონტელის) წერილი — „სასიქადულო ქალის ხსოვნას“.

მაშინ ახალგაზრდა მსახიობმა ნინო ჩხეიძემ კი იმავე „ივერიაში“ (1899 წ., № 23) თავისი გამოსათხოვარი სიტყვა ასე დაამთავრა: „საუკუნო იყოს ხსენება შენი, პატროსანო ქართველო დედავ“.

აკაკიმ თავის „კრებულში“ საგულდაგულოდ დაწერილი ნეკროლოგი მიუძღვნა დ. ფალავას ხსოვნას; ამავე დროს ილია ჩიქოვანის წერილი უცვლელად გადმოაბეჭდინა „ივერიიდან“.

თუ რა ღირსებით ბრწყინავდა დარია ფალავა და მისი სახით ვინ დაჰკარგა მაშინდელმა ქართველმა საზოგადოებამ, ამაზე შეაფიოდ მეტყველებს საყვარელი პოეტის შემდეგი სიტყვებიც: „ის იყო ერთი უკანასკნელი ნაშთთაგანი იმ ძველებურ ქართველ ქალებისა, რომელნიც დროს და ვითარებას დღეს ჩვენთვის საოცნებოდ გაუხდია“¹.

24 იანვარს ბანძის სასაფლაოზე დიდძალ საზოგადოებას მოეყარა თავი. ყველა მწუხარე სახით გამოიყურებოდა. აღარც აკაკის ბაგეზე კრთოდა ჩვეული ღიმილი. მისი ნაღვლიანი თვალები დარიასათვის გათხრილ ბნელ სამარეს ჩასცქეროდნენ.

სიტყვები დამთავრდა.

ვლადიმერ მესხიშვილის ხმამაღალი ტირილიც მიწყდა. მესაფლავეებმა ბარი მოიმარჯვეს. კიდევ რამდენიმე წუთიც და ბანძის მიცვალებულთა მარადიულ სამყოფელს გვირგვინებით შეზვინული ერთი საფლავიც შეემატა.

¹ აკაკის „კრებული“, 1899 წ., ტ. III, გვ. 1.

რატის მავაიკიადუკი კადგუკის ეკთი ისვოკიუდი ძეგლი

საქართველოს ისედაც მორთულ-მოკაზმულ მიწა-წყალზე ჩვენი მატერიალური კულტურის უთვალავი და უდიადესი ძეგლია მიმოზნეული.

ბევრ მათგანს უამთა დენამ და ვერაგი მტრის შემმუსვრელმა ხელმა პირველქმნილი სახე უცვალა, ბევრიც საგსებით მოსპო და აღგავა პირისაგან მიწისა. ხოლო ის, რაც ამ სიავეს გადაურჩა და მშობელი მიწის კალთამ დღემდე შეიფარა, ახლაც გვხიბლავს და ვალმოხდილი წინაპრების ქებათა-ქებას წარმოგვათქმევინებს.

უცქერით გრძნობა-გონების ამ მომაჯადოებელ ძეგლებს და გაოცებთ მამა-პაპათა საქმენი საგმირონი, მათი სულიერი და ფიზიკური ძალების კიდე-განი. ან როგორ არ ვაქოთ იმათი დაძარღვული მარჯვენა და მოუღალავი მუხლი, ვინც ეს პიტალო ლოდები ჩვენი სამშობლოს ქარაფებსა და მწვერვალებზე აზიდა! როგორ არ უნდა ვადიდოთ ის საქვეყნოდ ცნობილი თუ უსახელო ოსტატები, რომელთა უშრეტმა გენიამ ცივ ქვებს მეტყველი სული ჩაჰბერა და მრავალსახოვანი ჩუქურთმები ერთოვნულ ჰანგზე ააქდერა!

მართლაც შესანიშნავად და მოხდენილად უთქვამს ვალაკტიონ ტაბიძეს:

- ქვა, მოწყვეტილი აქ კლდეებს,
ქვა კი არ არის — სიმია,
გარდასულ საუკუნეებს
ეტყვი: ეს თქვენი ღიმია.

უდავოა, ჩვენი ეროვნული ხუროთმოძღვრების ეს საკვირველებანი, შრომისა და აზრის ეს უღვეველი საგანძურის მთელი ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის უკუფენაა. და ის, რაც ხალხმა შექმნა, ცხადია, ხალხმავე უნდა დაიცვაოს და გააპატიოსნოს.

ახლა, როცა კულტურის ძეგლთა დაცვა საყოველთაო სახალხო საქმედ იქცა, საკმარისი როდია მარტოოდენ ამ ძეგლთა აღრიცხვა-გამოვლინებით დავკმაყოფილდეთ.

დროა, საქართველოს მიწაზე და მის გარეთ მიმობნეული ყოველი მნიშვნელოვანი ძეგლი ამავე დროს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაც იქნას შესწავლილი, რომ მომავალმა თაობებმა კიდევ უფრო ხმამაღლა ისმინონ „ქვათა ლაღადი“.

ჩვენც სწორედ ამ მიზნით გეწადია ვესაუბროთ მკითხველს ქვითა და ჩუქურთმით დაწერილი „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ საკმაოდ ძველ ძეგლზე, მრავალძალის წმ. გიორგის ტაძარზე.

* * *

ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია ბედნიერება მოწმენდილ ამინდში ლეჩხუმის ან ნაქერალას გზით რაჭას სწვეოდა, შეუძლებელია მისი თვალი შორიდანვე არ მიეზიდა ცის მახ-

ლობლად, მაღალი იმწვერვალეზიდან ყელმოღერებული გედ-
ვით თეთრად გადმომზირალ მრავალძალის ეკლესიას.

ეს ისტორიული ტაძარი ონის რაიონში, სოფ. მთისკალ-
თაში (უწინ მრავალძალი) მდებარეობს, ზღვის დონედან 2.000
მეტრის სიმაღლეზე.

არა ნაკლებ პოეტური განწყობილება აღგებვრებათ, როცა
ამ ეკლესიას მაღალი სამრეკლოდან გადასცქერით რაჭა-
ლეჩხუმის მომხიბლავ ხედს, მშფოთვარე რიონის თვალ-
უწვდენელ ხეობას.

მზეზე ვერცხლისფრად აწლვარებული რიონი თითქოს
უძრავად წევს თავის უგრძელეს კალაპოტში და მარადიული
ძილი მორევიათ ტალღებს, რომელნიც სინამდვილეში თავ-
ბრუდამხვევი სიჩქარით მიექანებიან შავი ზღვისაკენ.

მრავალძალის ტაძრის კალთებიდან ჰორიზონტამდე გა-
დაშლილმა ამ მომჯადოებელმა პანორამამ ბევრ სტუმარსა
და მოგზაურს მოჰგვარა აღტაცება.

მაგრამ მარტო გარეგანი სილამაზით როდი იწონებს
თავს ეს ტაძარი და მისი შემოგარენი. იგი მრავალი ისტორი-
ული განსაცდელის, ჳირისა და ლზინის უტყვი მოწამეც ყო-
ფილა.



გადმოცემით სოფ. მრავალძალში (ახლანდელი მთისკალ-
თა) უძველესი დროიდან ყოფილა მონასტერი, სადაც შავად
შემოსილი ბერები თსალმუნის კითხვასა და გაბმულ ლოცვა-
ვედრებაში ატარებდნენ წუთისოფლის ერთფეროვან დღეებს.

მაგრამ მათი თავდაპირველი ადგილსამყოფელი დღევან-

დელი სოფლიდან დაახლოებით 3 კილომეტრით ყოფილა დაშორებული. ჭოლევის კლდის დაბოლოებასთან, „ჭიქის ტბის“ ზევით, ახლაცაა ქვის შენობათა ხავსმოდებული ნანგრევები, რომელთაც ხალხი „ნაეკლესიევს“ უწოდებს.

როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არაბების ბატონობის ხანაში, რაღაც მიზეზის გამო, ბერები აქედან აყრილან და უფრო ფართო სამონასტრო ცხოვრება გაუჩაღებიათ იქ, სადაც ახლა კვინწინის გორის უბე-კალთებზე მრავალძალის შესანიშნავი ტაძარია აღმართული.

აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი მთიანი რაჭის იმ ზონას მიეკუთვნება, რომლის გეოგრაფიულ მდებარეობასაც ვახუშტი ასეთი სიტყვებით გვაცნობს: „ფრიად მაგარი მთითა, კალთითა, ხრამითა, ხევითა და ტყითა, შეუვალი გარე მტრისაგან“.

ადვილი წარმოსადგენია, რა იქნებოდა ეს ადგილი შორეულ წარსულში, როცა ველური ბუნება რაღაც იდუმალ მყუდროებას ინარჩუნებდა და პირვანდელი სიქალწულით ჰშვეწოდა.

უდავოა, ასეთი მიყრუებული და თავისებური გარემო მყუდრო საფანე იქნებოდა განმარტოების მოყვარე ბერებისათვის.

საინტერესოა, რომ სწორედ აქ, ბუნების ამ მეტად მკაცრ სამეფოში, გადმოცემით, ოდესღაც თავი შეუფარებია ჯან-ლონით აღსავსე ვაჟაკს, რომელსაც სოციალური უსამართლობის ნიადაგზე რაღაც უბედურება შემთხვევია. სათნოებით აღსავსე ბერებს ლტოლვილი მამაშვილურად მიუღიათ და ყოველგვარად ხელი შეუწყვიათ, რათა ოჯახს მოჰკიდებოდა. გადმოცემით, მისი განშტოებიდან წარმომდგარა

დღევანდელი სოფლის ძირითად მკვიდრთა გვარი — სხირტ-
ლაძე.

მრავალძალში რომ უზსოვარი დროიდან მონასტერი ყო-
ფილა, გარდა ზებირგადმოცემისა და ანგარიშგასაწევი ტო-
პონიმიკური მონაცემებისა, ისტორიული საბუთებითაც დას-
ტურდება.

ჩვენ მიერ ახლახან მიკვლეულ ერთ-ერთ სიგელ-გუჯარში,
რომელიც იმერეთის მეფის სოლომონ II და მისი ცო-
ლის მარიამ დედოფლის მიერაა გაცემული და 1804 წელს
დიდი რიტორის სოლომონ ლიონიძის ხელითაა დაწერილი,
გარკვევით ვკითხულობთ:

„ჩვენ კეთილმსახურებით მორწმუნენი და დამსდებელნი
სასოებისა ჩვენისანი, მრავალძალსა და საკვირველთ მოქმედ-
სა ხატსა შენსა ზედა, მპყრობელი სრულიად იმერეთისა და-
ვითიან ბაჯრატოანი მეფე იმერთა სოლომონ, და თანამეც-
ხედრე ჩვენი დადიანის ასული დედუფალი მარიამ, გიძღვნით
გუჯარსა ამას სასოებით სახსენებლად და განსაძლიერებლად
ჩვენდა, და საოხად სულისა და ცხოვრებისა ჩვენისა წარმარ-
თებად კეთილდღეობით; ესრეთ რომელ წმინდა და სასწა-
ულთმოქმედი ეკლესია შენი იყო ძველთაგან მონასტერ წმინ-
და საკრებულო, სადა იგი აწცა იხილვებიან ქვაბნი სადაყუ-
ლებულონი და ცვლილებისაგან დაუწყნარებელთა დროთასა
შექმნილიყო საერისკაცოდ“¹.

მრავალძალში რომ უწინ მონასტერი ყოფილა, ამას ისიც
ადასტურებს, რომ ეკლესიის მიდამოებში ახლაც შეინიშნება

¹ საქ. სახ. მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, Ad 7234.

სენაკებისა და ბერებისათვის განკუთვნილი სამარხის კვალი, ე. წ. საძვალე.

ამჟამად ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რომელი საუკუნე-ნიდან ჩაეყარა საფუძველი მრავალძალის მიწა-წყალზე სამონასტრო ცხოვრებას, ან რა სახისა და მასშტაბის იყო მოქმედების არე.

უცილობლად მხოლოდ ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მრავალძალში ბერებისავე ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით აგებულა ეგრეთ წოდებული მონასტრის საკრებულო ტაძარი, რომელიც თავიდანვე წმინდა გიორგის სახელობაზე წოდებულა.

საფიქრებელი და დასაშვებია, რომ თავისი დროისათვის ამ სერიაოზული საქმის წამომწყები რომელიმე მეფეც იქნებოდა, მაგრამ ამის საბუთი ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

რაც შეეხება ტაძრის მშენებლობის საქმეში ბერების განსაკუთრებულ დამსახურებას, ამის უტყუარი ნიშნები, ჩვენი აზრით, თვით შენობის ნაგებობაშიც გამოკრთის.

მართლაც, რატომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილი წარწერა: „წმიდაო გიორგი, შეიწყალენ კეთილად მოღვაწენი ამის ეკლესიისანი“, ან კიდევ: „წმიდაო გიორგი, მეოხ ეყავ სულსა იოვანესა“ იქ მოღვაწე ბერების სულის სათხოვარს უფრო შეიცავს, ვიდრე ტაძრის მშენებელი საერო პირების მუდარას.

საკითხი, თუ სახელდობრ რომელ საუკუნეშია აგებული ეს ტაძარი, ვფიქრობთ, უახლოეს დროში გახდება სპეციალისტების მსჯელობის საგანი. ერთ-ერთ საეკლესიო დოკუმენტში, რომელიც 1879 წლითაა დათარიღებული, მხოლოდ ასეთ ზოგად ცნობას ვკითხულობთ: „ეკლესია ქვითკირისაა,

სახელსა ზედა წმიდის გიორგისა. აღშენებულ არს უხსოვარ დროშიდ“.

აკადემიკოს ბროსეს მიაჩნია, რომ აღნიშნული ეკლესია X საუკუნის ძეგლია. დ. ბაქრაძე და პ. უვაროვა თავს იკავებენ აშენების თარიღის დადგენაზე, ხოლო ისტორიკოსი გ. ბოჭორიძე, რომელმაც საბჭოთა პერიოდში შედარებით ყველაზე უფრო გულდასმით შეისწავლა ეს ძეგლი და მის მიერ თავმოყრილი მონაცემებით აკადემიკოსები ივ. ჯავახიშვილი და გ. ჩუბინიშვილი დააინტერესა, თავის მხრივ ასკენის: „ეკლესიის აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლის წარწერები და ქანდაკებები ეკუთვნის XI საუკუნეს; ძველი ეკლესიაც ამავე ხანებში უნდა ყოფილიყო აშენებული“¹.

თუ დიდი ერუდიტის, აკადემიკოს ბროსეს ამ დასკვნას ანგარიშს გავუწევთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მრავალძალის წმ. გიორგის ტაძარი დაახლოებით X—XI საუკუნეთა ზღვარზე უნდა იყოს აგებული.

* * *

მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიას უძველესი დროიდანვე დიდძალი ხალხი ეტანებოდა, მისი სახელი ძალზე შორს იყო განთქმული.

საქართველოს რომელი კუთხიდან არ ნახავდით აქ რელიგიურ დღესასწაულებსა და დღეობებზე ღამისათვეად მოსულთ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თავის დროზე

¹ გ. ბოჭორიძე, რაქის ისტორიული ძეგლები. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. 8, თბ., 1935 წ., გვ. 304.

მთელ დასავლეთ საქართველოში მისი „გავლენის ძალას“ და რელიგიურ „ავტორიტეტს“ ძნელად თუ შეედრებოდა სხვა რომელიმე საკულტო დაწესებულება.

ამ ეკლესიისადმი საყოველთაო პატივისცემა და მოკრძალება ადგილი ასახსნელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისტორიულად საერთოდ ქართველი ხალხის რწმენაში წმინდა გიორგის წარმართობის დროინდელი მთავარი ღვთაების — მთვარის ადგილი ეკავა.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „ქართველი ერის სარწმუნოებრივ წარმოადგენაში უფროსობითა და ძლიერებით პირველი ადგილი წმ. გიორგის უკავია, მეორე ღმერთს — შემოქმედს, მესამე — ელიას“¹.

ჩამოთვლის რა წმინდა გიორგის სახელობაზე აშენებულ ტაძრებს დასავლეთ საქართველოში, გამოჩენილ მეცნიერს მათ რიცხვში მოხსენებული აქვს სახელგანთქმული „მრავალძალის წმინდა გიორგი სასწაულთმოქმედიანი ჯვართურთ“ (უნდა იყოს: „სასწაულთმოქმედიანი ხატიურთ“. — ს. ს.).

ამ ეკლესიის საკულტო გავლენის მასშტაბზე კარგად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ონის რაიონში შემაჯავალ სოფელ სორის საკმაოდ ძველი „ჯვარცმის მონასტერი“ (XIII საუკ.) მის სახელობაზე ყოფილა აგებული.

ეს გარემოება არც აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს გამოპარვია, როცა წერს: „რაჭის მაზრაში, სოფ. სორს არის „ჯაჭვის მონასტერი“ მრავალძალის წმინდა გიორგის სახელობაზე“².

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1928 წ., გვ. 44.

² იქვე, გვ. 50.

ფრიად საყურადღებოა, რომ აღნიშნული მონასტრის¹ ჩრდილოეთ კედელზე მოხატულია უცნობი თავადი, რომელიც მუხლმოდრეკილი მფარველობას ემუდარება უზენაესს. ფრესკის თავზე კი ვკითხულობთ: „წმინდაო გიორგი მრავალძალასაო, მეოხ და მფარველ ექმენ წინაშე ღვთისა ჭარელისძესა—ქველსა“. თუ ვის მიმართ აღავლენს ლოცვას ეს რელიგიური გრძნობით შეპყრობილი ადამიანი, ამაზე თვით სორის მკვიდრი, განსვენებული ნესტორ მინდელი შენიშნავს: „Мравалдзали или Бравалдзали—село в южной части Рачинского уезда, с церковью св. Георгия, в которой находится чудотворная его икона“².

მრავალძალის ეკლესიისადმი ერთგვარი კრძალვა და რიდი შემოწირული ხატების წარწერებიდანაც იგრძნობა. წმიდა გიორგის ერთ-ერთ საკმაოდ ძველ ხატზე პროფ. ა. ხახანაშვილს ასეთი წარწერა ამოუკითხავს: „ქ. წმ. გიორგი მრავალძალო, შეიწყალე მონა შენი უღირსი, წინაშე ღვთისა მცველ ექმენ ღღესა მას სასჯელისასა მონასა შენსა გიორგის“³.

ისტორიკოს გ. ბოჭორიძის წაკითხვით მრავალძალის ეკლესიაში დაცულ მე-15 საუკუნის ხატს ასეთი წარწერა ჰქონია: „წმინდაო მრავალძალო ფარახეთისაო, მეოხ და მფარველ ექმენ ხეფსა ფარახეთსა ღვთის წინაშე“.

¹ ცნობა მონასტრის სახელწოდებაზე შეედომით მიუწოდებიათ აკად. ჯავახიშვილისათვის. უნდა იყოს არა „ჯაქვის მონასტერი“, არამედ „ჯვარცმის მონასტერი“.

² Н. Миндели, селение Сори, „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, Тбилиси, 1894 г., стр. 117.

³ Материалы по археологии Кавказа; Выпуск IV, стр. 125.

ასეთი „ძლიერების“ გამო მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიას ანგარიშს უწევდნენ არა მარტო უბრალო ადამიანები, არამედ მეფეებიც. კერძოდ, ამ ეკლესიას დიდი მავედრებელი და გულშემატკივარი ჰყოლია იმერეთის მეფეების სახით, რომელთა სამეფოშიც იგი კვლავ მოქცეულა რაჭის ურჩი ერისთავის როსტომის საერისთავოს განადგურების შემდეგ.

სოლომონ მეორის მიერ მრავალძალის ეკლესიის სახელზე გაცემული ერთ-ერთი სიგელი გვაუწყებს, რომ მის სახელოვან ბიძას სოლომონ I-ის სიკვდილის გამო ვეღარ განუხორციელებია თავისი გადაწყვეტილება, „რათამცა დაედგინა ეკლესიასა მას ზედა წინამძღვარი“. ამავე სიგელიდან სჩანს, რომ სოლომონ I-ს ამ ეკლესიისათვის დაუბრუნებია „ძველად შეწირულნი მის ეკლესიისადმი და ჟამთა ვითარებისაგან გაბნეულნი ოთხნი გლეხნი ბარს მოსახლენი პეტრიაშვილები და ოთხი ამბროლაურს ტაბუცაძენი“.

აღნიშნული ეკლესიისადმი მოკრძალება და სასოება არ შეუენელებიათ არც სოლომონ მეორეს და არც მისი სამეფო კარის მსახურთ. კერძოდ, სოლომონ II-ს 1804 წელს მრავალძალის ეკლესიაზე არქიმანდრიტად გაუწესებია ჯერ არსენიოზ გამყრელიძე, ხოლო შემდეგ ეს ეკლესია დაუქვემდებარებია ჯრუჭის მიტროპოლიტ დავით წერეთლისათვის.

სხვათაშორის დავით მიტროპოლიტთან ხანგრძლივი ბრძოლა ჰქონია სოფ. მრავალძალის მკვიდრს გიორხუცესს (იგივე გიორგი სხირტლაძეს), რომელსაც სხირტლაძეების ერთი ნაწილი როგორც იქნა გამოუხსნია საჩხერელი წერეთლების ბატონობისაგან.

აღსანიშნავია, რომ მრავალძალის ეკლესიას „ხარჯს, ე. ი.

საზედაშო და სასეფისკვეროს, აძლევდნენ სოფლები: სარე-
კი, ბარი, კრინი და კვაცხუთი, კომლზე თითო თუნგ ღვინოს
და თითო ლიტრა პურის ხორბალს“¹.

მრავალძალის ეკლესიაში ლოცვა-კურთხევის მიღება, იქ
ჯვარის დაწერა თუ სხვა საარიტუალო ცერემონიალში მონა-
წილეობა ყველას უსახელებოდა, ყველას რაღაც რომანტი-
კულ ოცნებად ჰქონდა გადაქცეული.

მაგრამ ცალმხრივობა იქნებოდა, თუ ვიტყვოდით, რომ აღ-
ნიშნულ ტაძარში მხოლოდ და მხოლოდ წმინდა რელიგიური
მიზნებით მიედინებოდა ხალხი. ეს ეკლესია თავისი დროსა-
თვის გარკვეულ საყოფაცხოვრებო დანიშნულებასაც ასრუ-
ლებდა.

აქ გამართულ დღეობებში, რომელსაც ძველ-ქართული
ხადილას სახე ჰქონდა, საუკუნეთა მანძილზე იჭედებოდა და
ყალიბდებოდა რაჭველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი, მისი ეთ-
ნოგრაფიული თავისებურებანი.



მრავალძალის ტაძრის თავდაპირველი ნაგებობისათვის
გამოყენებულია მოყვითალო და იისფერი სპონდიოს ქვები,
რომელნიც ფერთა საუცხოო გამას ქმნიან.

ამ ეკლესიის ადგილმდებარეობისა და მასში დაცული
ნივთების შესახებ ყველაზე სარწმუნო ცნობებს გვაწვდის
ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბა-
ტონიშვილი თავის კაპიტალურ ნაშრომში — „აღწერა სამე-

¹ „ივერია“, 1894 წ., №43.

ფოსა საქართველოსა“. იქ 159-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ამავ ბარის წყალს ზეით არის მთაში მრავალძალის ეკლესია წმიდის გიორგისა და ჯვარი დიდი ოქროსი, სასწაულთმოქმედი. ამას შესწირა შაჰაზ I ხრმალი ოქროთ მოოქვილი, აწცა ძეს მუნ, არა თუ სარწმუნოებით, არამედ სცნან რამეთუ ხმალი მისი ჰკიდავს მუნ“.

ვახუშტის ამ საინტერესო ცნობაში განცვიფრებას იწვევს ის ფაქტი, რომ მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიისათვის საკუთარი ხმალი შეუწირავს ჩვენს უბოროტეს მტერს, ქართველების სისხლით განბანილ მტარვალს, შაჰ-აბაზ I-ს.

ეხება რა შაჰისეული ხმლის ისტორიას, პლატონ იოსელიანი წერს: „შაჰ აბასმა შენიშნა, რომ ლუარსაბ მეფის ბედის შესახებ მოლაპარაკების დროს (რაც ქ. გორში მიმდინარეობდა.—ს.ს.) იმერეთის ელჩები აფიცებდნენ გიორგი სააკაძეს წმ. გიორგის სახელით და მისი სასწაულთმოქმედი ხატით იმერეთის დაბა მრავალძალში, რომელიც იმერლების ჯდიდესი სათაყვანებელი სალოცავი იყო. შეიტყო რა ეს, შაჰმა გადასცა იმერეთის დიდებულებს მდიდრულად შემკული თავისი ხმალი, საჩუქრად მათ მიერ თაყვანისმცემელ ტაძარს, და სთხოვა ეს საჩუქარი ტაძრის კედელზე დაეკიდათ.

...ეს ხმალი 1745 წელშიც ხსენებულ ეკლესიაში იყო. არ ვიცი ახლაც იქვე არის თუ არა“¹.

ვახუშტას და პლ. იოსელიანის ზემოთ მითითებულ ცნობებზე დაყრდნობით, ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი ვ. პოტტოც აღნიშნავს, რომ ეს ხმალი შაჰს იმერეთის დიდე-

¹ პლ. იოსელიანი, დიდი მოურავის ცხოვრება (რუსულ ენაზე), 1848 წ., გვ. 47.

ბულთათვის გადაუცია და თანაც უთხოვნია, „თავის ძვირფასი ხმალი, როგორც საჩუქარი, მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიის კედელზე დაეკიდათ“¹.

* * *

აკადემიკოს მარი ბროსეს, რომელმაც რაჭის შესანიშნავი ძეგლები 1848 წელს მოინახულა, აღტაცება მოჰგვარა მრავალძალის ტაძარმა.

გამოჩენილმა ქართველოლოგმა საკუთარი თვალით ნახულთ დაამოწმა ვახუშტის ზოგიერთი ცნობა ეკლესიაში დაცულ ფასეულობათა შესახებ და თავის მხრივ შენიშნა, რომ გარდა ოქროთი მოჭედილი ხმლისა, „იქვეა შუბი და ორი ყანწი“.

უფრო გვიან, 90-იან წლებში, პ. უვაროვასაც ინტერესით დაუთვალიერებია ეს მართლაცდა იშვიათი ქარასხები. თავის აღწერილობაში იგი შენიშნავს, რომ სხვა განძეულობასთან ერთად მნახველთა ყურადღებას იპყრობს „два огромных рога для питья в серебрянной гладкой оправе“.

ამავე ყანწების შესახებ 1894 წლის „ივერიაში“ (№ 43) ვკითხულობთ: „ყანწები ფერად წითელის სისხლივით არის... ყანწებში ჩადის თითოში თითქმის თითო თუნგი“.

გადმოცემით, ეს ყანწები იმ ლეგენდარული ხარისა და ძროხის რქებია (ერთი — ხარისა და ერთიც — ძროხის), რომლებიც, ნიშნად მრავალძალის წმ. გიორგისაგან ძლევისა,

¹ ვ. პოტტო, საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, თბ., 1894 წ., გვ. 37.

თითქოს ოსმალებს მსხვერპლად შემოუწირავთ ამავე ეკლესიისათვის.

საყურადღებოა, რომ საქართველოში წმ. გიორგის სახელობაზე აგებული ეკლესიების უმრავლესობა თითქმის ანალოგიური ლეგენდებით იკვებებოდა (მაგ., ილორის და სხვ.).

არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც საკმაოდ დიდი დრო დაპყრო სამეგრელოში, მშვენივრად ხსნის ამ გულუბრყვილო, მაგრამ ქრისტიანული რელიგიისათვის სასარგებლო ლეგენდების ნამდვილ არსს. ცნობილ ეთნოგრაფიულ ნაშრომში— „სამეგრელოს აღწერა“ იგი წერს: „ნოემბრის ოცს დღესასწაულობენ წმ. გიორგის დღეს. ხალხში ის ცრუმორწმუნეობა არის გავრცელებული, რომ ამ დღეს დიდებული მოწამე მოიპარავს არემარეში ხარს და დამით მოაყვანს ილორის ეკლესიაში, რომელიც მის სახელზე არის აშენებული“.

ნამდვილად კი, როგორც იგივე ლამბერტი შენიშნავს:

„წმინდა გიორგის როდი მოჰყავს ეს ხარები; არამედ თვით მეგრელებსა, რომლებიც მოკლე ხანში წავლენ მოსაყვანად და მოიყვანენ კიდევ“¹.

თუ ამ თქმულებებს რელიგიურ საბურველს ავზდით და სხვა თვალსაზრისით ჩავუყვირდებით, უცნაური არაფერია. თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი ქრისტიანულ რელიგიას სხვა რელიგიებზე მაღლა აყენებდა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით მის უძლეველობას მრავალგვარი ლეგენდით აფერხდებდა.

მრავალძალის ტაძარში დაცული ზოგიერთი ნივთის შე-

¹ ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 1938 წ., გვ. 41—44.

სახეზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ისტორიკოსი დ. ბაკრაძე, როცა წერს: „Кроме того в Мравал-дзალской церкви я видел железную корону в виде шапки, неизвестного происхождения“¹.

უფრო გვიან „ივერიაში“ (1894 წ., № 42) ვკითხულობთ: „ეკლესიაში ოსმალთს ჯარისკაცთაგან არის შემოწირული უწინდელი მათი გამოჩენილი მეომრისა და ჯარისკაცის ვებერთელა რკინის ქუდი, ჩაფხუტი და ხმალი, რომელსაც უწოდებენ ხვარაშნის ხმალს, აგრეთვე შუბი და სხვა“.

როგორც სჩანს, ჩვენს სახელოვან ისტორიკოსს და ამ ცნობის ავტორს იმ ხანებში მიყვლეული არ ჰქონიათ „ამირეჯიბთა გვაროვნებითი სიგელი“, რომელიც 1897 წელს თავისი „ქრონიკების“ მეორე წიგნში (გვ. 210) გამოაქვეყნებდნენ თეოდო უორდანიამ.

ამ სიგელიდან ირკვევა, რომ ეს საომარი ნივთები პირადი საკუთრება ყოფილა ხვარაზმის სულთანის ჯალალედინისა, რომელიც იმერეთის საზღვარზე სასტიკად დაუმარცხებია ამერეთიდან გადახვეწილ რუსუდან მეფეს (თამარის შვილს) და მის ჯარებს.

დასახელებულ ამირეჯიბთა სიგელში ვკითხულობთ: „შევსწირეთ ოდეს წარგუჩინა თვთ და ამისად რუსუდან მეფემან (+1245 წ.) ლაშქარსა სპარსისა და გაგუჭმარჯვეა; მინდორს შევიბენით და ამოვსწყუდეთ, მოვართვთ დროშა და თაჯი თვთვან მალლისა სულთანისა და გყყო წყალობა და გვბოძა ჯილდოდ, რაც ვიაჯეთ“.

¹ Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 1875 г., стр. 104.

ფრიად საყურადღებოა, რომ ეს თავი, ე. ი. რკინის საომარი ქუდი, ნიშნად მტერზე გამარჯვებისა მაშინვე შეუწირავთ მთელ იმერეთში სახელგანთქმული მრავალძალის მონასტრისათვის. ამის შესახებ იმავე სიგელში ნათქვამია: „...და დროშაცა შევსწირეთ მეხოიშნესა (ე. ი. რუსუდან მეფესა.— ს. ს.) ჩუჭნსა, და თავი მრავალძალსა“.

ჩვენი მხრით უნდა შევნიშნოთ, რომ ამ თავთან ერთად ეკლესიაში ინახებოდა იმავე ჯალალედინის დროშა და შუბი, რაც სხვა აღწერილობებშიცაა მოხსენებული. საფიქრებელია, რომ ისინი თვით რუსუდან მეფემ შესწირა მრავალძალს, რადგანაც იქ ჯალალედინის ქუდი ეგულვებოდა. ტყუილა როდი იტყვის რუსუდან მეფეზე ლაშა გიორგის მემბტიანი: „ხელთა მისთაგან ნაქმარი საყდართა და ეკლესიათა იგზავნებოდა“.

ეკლესია განსაკუთრებით მდიდარი ყოფილა სხვადასხვა სახეობისა და ზომის ხატებით. ამაზე პ. უვაროვაც მიუთითებს: „Церковь весьма богата крестами и иконами“.

ხატების უმრავლესობა შემკული იყო ფაქიზად შესრულებული მხატვრობით და ძვირფასი თვლებით — „... украшены они камнями. Тонкая, изящная живопись“, — დასძენს პ. უვაროვა.

ისტორიკოს გ. ბოჭორიძის აღწერილობით მრავალძალის ეკლესიის ძვირფას ფასეულობას ძველთაგანვე ამშვენებდა ვერცხლის ბარძამი და ფეშხუმი, რომელიც 1806 წელს, ამ ეკლესიაზე არქიმანდრიტობის დროს, განუახლებია არსენიოზ გამყრელიძეს.

ეკლესიის სიძველეთა შორის ყოფილა რვალის სარკე, შემკული ადამიანთა და ფრინველთა საუცხოო გამოხატულე-

ბებით. აქვე ინახებოდა სხვადასხვა დროს გადაწერილი სახარება-სამოციქულონი, კონდაკები და სხვ. მათში ერია სამაგალითო ხელრთვიით შესრულებული ეტრატზე დაწერილი „სამოციქულო“.



ცალკე ყურადღების ღირსია ეკლესიის უძველესი ნაწილის ფრესკული მხატვრობა და რელიეფური გამოსახულებანი.

როგორც ცნობილია, ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძისა და პ. უვაროვას მოგზაურობის დროს მრავალძალის ტაძრის თავდაპირველი ნაგებობა სავსებით ხელუხლებელი იყო და, ცხადია, მხატვრობის კვალიც შედარებით უფრო სრული სახით იქნებოდა წარმოდგენილი.

ისტორიკოსი დ. ბაქრაძე მრავალძალის ეკლესიის უძველესი მხატვრობის შესახებ წერდა: „Внутри имеется фресковая живопись, между прочим с изображением мучений св. Георгия от Деоклитиана“¹.

პ. უვაროვას ძველი, ერთნავიანი ეკლესიის კედლებზე შეუნიშნავს ბიბლიური სამყაროს ანარეკლი — ლომისა და ხბოს თავების გამოხატულებანი: „...На западной стороне телец, на северной—лев“.

ჩვენამდე შემონახულ საკურთხეველში დაკვირვებულ თვალს ახლაც შეუძლია შეამჩნიოს უძველესი მხატვრობის გადარჩენილი კვალი. კონქში მოჩანს ტახტზე მჯდომარე მაც-

¹ დასახ. შრომა, გვ. 104.

ხოვარი, რომელსაც მარცხენა მუხლზე გაშლილი სახარება უდევს, მარცხენა მხრივ მოხატულია ღვთისმშობელი, მარჯვნივ კი იოანე ნათლისმცემელი.

ტაძრის განახლების შემდეგ გადარჩენილი თავდაპირველი რელიეფური გამოსახულებანი მხოლოდ და მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადზეა შემორჩენილი. საგულდაგულოდ გადაბმულ ქვებზე ამოკვეთილია ჯვარცმა, მის ქვემოთ რელიეფური ხატებაა ფეხზე შდგომი ორი პიროვნებისა, რომელთაც სათითაოდ ჯვრიანი კვერთხი უჭირავთ ხელში. რაც შეეხება ზოგიერთ სარკმელს, იგი საკმაოდ ნატიფი ჩუქურთმითაა ნაქსოვ-ნაწნავი.

მრავალძალის ეკლესიის მთელ ისტორიაში ყველაზე დიდი რომანტიკის შემცველია გადმოცემა, თითქოს რაჭაში მოგზაურობის დროს ეს ტაძარი თამარ მეფეს მოენახულებინოს და იქიდან კი ჯრუჭში გადასულიყოს. საყურადღებოა, რომ ხიზამთაზე იმერეთისკენ მიმავალი გზის ერთ-ერთ ადგილს დღესაც „თამარის ღელე“ ეწოდება. ამ გადმოცემის (საფუძველზე) აღნიშნულ იყვლისათან თამარის ურთიერთობის შესახებ, დ. ბაქრაძე შენიშნავს: „Говорили, что тут сохраняются волосы царицы Тамары“ (გვ. 104).

შესაძლებელია ამ გადმოცემაში ერთგვარი გაზვიადებაც იყოს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ქართველთა მოწყალე დედას — თამარს მრავალძალის სახელგანთქმული ტაძარიც მოენახულებინოს. განა ტყუილად იტყვის მემკვიდრე: მან ქებით აღბეჭდა თავის სახელი საქართველოს მთებსა და მდებლობებს.

რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ ტაძრის განახლებაზე. მის ისტორიაზე.

მრავალძალის ეკლესიის განახლებისა და გადიდების საქმეს დიდი ამაგი დასდო ზაქარია მღვდლის შვილმა დეკანოზმა მიხეილ სხირტლადემ. ეს ნაბიჯი მან იმერეთის ეპარქიის ნებართვით გადადგა და სამუშაოთა შესრულებასაც თვითონ ჩაუდგა სათავეში.

როგორც განათლებულ ადამიანს, მიხ. სხირტლადეს კარგად ესმოდა ძველი შენობის ისტორიული მნიშვნელობა და 1894 წ. „ივერიაში“ (№ 92) წერდა: „შეკეთება და გადიდება აღნიშნულის ეკლესიისა არ არის დაწესებული ძველის ეკლესიის დანგრევით და განადგურებით“. რა თქმა უნდა, რეკონსტრუქციის პროცესში ბევრი რამ უდავოდ დაიღუპებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე ძვირფასი — აღმოსავლეთ ფასადი, საკუთრივ საკუროთხევლით, ხელუხლებლად იქნა დატოვებული, რაც მრავალძალის ტაძარს ისტორიულ ღირებულებას უნარჩუნებს. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც 1920 წელს მოინახულა რაჭის სიძველენი და მათ რიცხვში მრავალძალის ტაძარი, წერს: „მრავალძალის ძველი ეკლესია ყოფილა პატარა, თლილი ქვით ნაშენი და ბარელიეფებით და ჩუქურთმებით შემკული. ახალ ეკლესიაში უცვლელად დაუყოლებიათ ძველი ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილი: ზემოთ — კუთხეებში ჩანს თითოჭკური ხმის გამაძლიერებელი“¹.

ასე იყო თუ ისე, 1894 წელს ლაქვარდ სივრცეში თეთრი

¹ ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, 1963 წ., გვ. 56—57.

სვეტივით აღიზარა იქვედრად ნაშენი, ჭოლევის გათლილ ქვით შემოჯავშნული განახლებული ტაძარი.

განახლებული ეკლესია, მთელი მისი ფასადები, არსებითად, ქართული საეკლესიო არქიტექტურის იმ სტილითაა დამშვენებული, რომელიც ფეოდალური მონარქიის გაძლიერების ხანაში იყო შემუშავებული.

ფრიად საყურადღებოა, რომ ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, სამრეკლოს ქვემოთ, სწორედ იმ მხარეზე, საითკენაც ხალხი მიედინება, ყველასათვის სათვალთვალოდ სწორუპოვარი ოსტატობითაა გამოქანდაკებული ლეგენდარული ხარისა და ძროხის თავები.

მრავალძალის ტაძრის ძველსა და ახალ, ოსტატურად გადაბმულ არქიტექტურულ კომპლექსში სავსებით დაცულია ადგილობრივ მთიან პეიზაჟთან შეხამება. იქმნება შთაბეჭდილება მთელ გარემოზე ტაძრის ზვიადი ბატონობისა, თითქოს იგი თავის გავლენას უმორჩილებს ირგვლივ შემოერთებულ არემარეს, მთელი რაჭა-ლეჩხუმის თვალუწვდენელ ხედს, ჭაღარა კავკასიონის დაკბილულ ქედებს.

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ყველაზე დიდი ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელია არა მარტო ლამაზად გამოჩენილი ტაძრის შენობა, არამედ მისი განუუმეორებელი გარემო, საიდანაც მნახველის თვალს თითქოს „მთელი ქვეყნიერება“ ეშლება.

კიდევ უფრო ზღაპრულ სამოსში ეხვევა ეს არემარე, როცა დღე და ღამე იყრება, როცა ციური მნათობები სხივთა მთელი სიუხვით დაქათქათებენ ჭოლევის კლდეს, ტევრის დაკლაკნილ გზებს, ღვინისა და სურმულის დაბურულ ტყეებს, ცამდე აზიდულ პირწითელის მწვერვალს.

გეჩვენებათ, თითქოს ვარსკვლავთა ხომლით მოჭედილ ზე-
ცას ხელით მისწვდებით და რომელიმე მოციმციმე პლანე-
ტას მოსტაცებთ.

ამ ჯადოსნურ სანახაობას, ბუნების ფერთა ამ დიად ჰარ-
მონიას ისევ გალაკტიონის სტრიქონები თუ განაცდევინებენ
აღამიანს:

მომხიბვლელ ჯადოს მყუდროებისას
ქვეშ მოჰყოლია მაღალი მთები,
და მუდმივ თოვლით გადაფარულნი,
სხედან ამაყად, როგორც დევეები.

ვდგევარ მთის წვერზე განმარტობით,
გულში ვიკავებ მომსკდარ სიმღერას,
ვარსკვლავიანი კამარა ჯაჭვავს
სმენას, სიმღერას და თვალთა ცქერას...

მრავალძალის წმ. გიორგის ტაძარი, როგორც ჩვენი
ქვეყნის ისტორიული წარსულის, მისი ბედისა და უბედობის
თანაზიარი, საგანგებო ყურადღების ღირსია.

წიგნის ავტორ-აღმსრულებლის წინასწარი სიტყვა კრებულში

თავის ხანგრძლივ, მაგრამ ბედუკუდმართ სიცოცხლეში დ. გურამიშვილი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ოდესმე მისი შემოქმედება მოძმე საბჭოთა ხალხების მრავალფეროვანი კულტურის საგანძურში ესოდენ ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებდა.

როდესაც მეორე სამშობლოდან — საყვარელი უკრაინიდან, რომლის მადლიანი მიწაც ასე სათუთად ინახავს უკვდავი პოეტის ნეშტს, ქართველი უფლისწულის ხელით იგი თავისი ხელნაწერი ლექსების ძვირფას კრებულს გზავნიდა, მას ამოქმედებდა სურვილი იმისა, რომ მისგან შორსმყოფ სამშობლოს ბედკრული ძის მწარე გოდება ესმინა, მისი რჩევა-დარიგება მიეღო.

დავით გურამიშვილი, როგორც პოეტი და მოაზროვნე, დიდაქტიკოსი და მორალისტი, მისთვის განკუთვნილი საზომით შედარებით გვიან დააფასა მშობელმა ქვეყანამ.

ამის მიზეზი იმ ეპოქის ვითარებაში მარხია, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

პოეტის სიცოცხლეში და შემდეგაც ქართველმა ხალხმა იმდენი უბედურება გამოიარა, რომ მას სულიერი სიმშვიდე

სითქმის არც უგრძვნია, თავისი ეროვნული კულტურის საგანძურში დამჯდარი გონების თვალთვლით ერთხელაც კი არ ჩაუხედნია. მხოლოდ მე-19 საუკუნის ზღურბლიდან ჩვენი ქვეყნის ისტორიული მსვლელობა სრულიად ახალი პოლიტიკური და კულტურული გზით წარიმართა.

ჩვენი ეროვნული ყოფის ბრძენი მსჯავრმდებლის ილია ჭავჭავაძის დახასიათებით ამიერიდან „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღლილი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაღუმდა ქღერა ხმლისა და მახვილისა, მტრის ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვაავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა დარბევა-აკლება“.

მიუხედავად თვითმპყრობელობის კოლონიური სისტემის მეტად მძიმე შედეგებისა, ბუნებით მამაცმა და ნიჭიერმა ქართველმა ხალხმა მაინც შესძლო თავისი შემოქმედებითი პოტენციის გაშლა, კულტურულ ღირებულებათა აწონ-დაწონვა, გაჩხრეკვა და გადაფასება.

დავით გურამიშვილის დროც დადგა. თუმცა სამშობლოს უბედობით გულგასენილ პოეტს დიდი ხანია მირგოროდის მიწაში ეძინა, მაგრამ მისმა სულიერმა შემკვიდრებმა—ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა და ვაჟაფშაველამ სრულიად ახლებური და ფრიად მაღალი შეფასება მისცეს თავის „უძვირფასეს პაპას“ (ვაჟას გამოთქმით).

მართლაც დ. გურამიშვილის შემოქმედება ყველა ჩვენი განს არა მარტო დიდი პოეტური ცეცხლით აღაგზნებს, არამედ ღრმად აფიქრებს, საკაცობრიო აზრებს აწაფებს, გულ-

სა და გონებას უწყენდს, დიდაქტიურ-პედაგოგიური იდე-
ებით ასაზრდოებს.

ჩვენი წერილის მიზანია მოკლე წარმოდგენა მისცეს
მკითხველს დ. გურამიშვილის პედაგოგიურ ნააზრევზე, რო-
მელიც მარგალიტებადაა გაფანტული მის უკვდავ „დავითი-
ანში“.

* * *

რამდენადაც დ. გურამიშვილის პედაგოგიური შეხედუ-
ლებანი სწავლა-აღზრდის საკითხებზე ეპოქის საერთო ხასი-
ათითაა განპირობებული, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდ სიტყ-
ვით გაგვიხსენოთ იმდროინდელი საქართველოს სოციალური
და პოლიტიკური ვითარება, კულტურულ-მორალური დონე.

როგორც ცნობილია, ბედუკულმართი ისტორიული ვითა-
რების შედეგად ქართველი ხალხი ხანგრძლივი წლების მან-
ძილზე ირან-ოსმალთა ბატონობის მძიმე უღელს ატარებდა;
ზედდართული ლეკთა გამუდმებული თარეშიც სულიერ
სიმშვიდეს უკარგავდა ხალხს.

თემურ-ლენგის ბარბაროსული შემოსევის შემდეგ, ჩვენი
ქვეყნის გმირული ბრძოლის ისტორიაში მე-17—18 საუკუნე-
ები ყველაზე შავბნელ ხანას განეკუთვნება.

გარეშე და შინაური მტრის შემმუსვრელმა ზელმა საე-
სებით მოშალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ბაზისი, რასაც
შედეგად მოჰყვა გაუგონარი პოლიტიკური სიბეცე და კულ-
ტურული დაკნინება.

მთავარი უბედურება, რომელიც ქართველ ხალხს ეროვნუ-
ლი სახის დაკარგვით ემუქრებოდა, გათათრების ეპი-

დემია იყო. მეფეთა და მთავართა ლტოლვამ განცალკევებისაკენ ლახვარი ჩასცა ეპოქის საუკეთესო შვილთა მისწრაფებას — კიდევ მეტი ძალით ებრძოლათ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ქვეყნის ეს საერთო უბედურება მთელი თავისი სოციალური და ეკონომიური სისასტიკათ მშრომელ გლეხობას დაატყდა.

ამავე დროს საზოგადოების ფართო წრეები შემარყველმა გონებრივმა ობსკურანტიზმმა და ზნეობრივმა ზრწნამ მოიცვა.

ვერ ხუჭავს რა თვალს არსებული სინამდვილის წინაშე, გულდაკოდრილი პოეტი სიმართლის მთელი ძალით აშიშვლებს ირგვლივ ჩამოწოლილ სოციალურ-პოლიტიკურ უსამართლობას, ჩვენი ეროვნული უბედურების მიზეზებს, ხალხის ფართო ფენებში ღრმად ფესვგადგმულ ბიწიერებას.

ეპოქის ეს ტკივილები დ. გურამიშვილმა ძირითადად „დავითიანის“ იმ ნაწილში გამოხატა, რომელსაც „ქართლის ჭირი“ ეწოდება. მაგრამ თავის სათქმელსა და საფიქრალს პოეტი მარტო ეროვნული და ფილოსოფიური მოტივებით როდი შემოფარგლავს. იგი საგულდაგულოდ ჩერდება საერთოდ ადამიანის, კერძოდ, მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საკითხებზე, რაც დ. გურამიშვილის პოეზიას აღმზრდელობითი თვალსაზრისით გარკვეულ პედაგოგიურ ღირებულებას ანიჭებს.

ამდენად, დ. გურამიშვილი ჩვენთვის ძვირფასია არა მარტო როგორც პოეტური სიტყვის უბაღლო ოსტატი, არამედ როგორც დიდი განმანათლებელი, ზნეობრივი მოძღვარი, დაკვირვებული პედაგოგი და თვალსაჩინო მორალისტ-დიდაქტიკოსი.

ამოდ როდი უთქვამს დაუფაწყარ ი. გოგებაშვილს:

„თუ ქართველი მწერალი მგოსანაა, საკმარისი არ არის იგი გენიალური პოეტი იყოს, — უკიდურესად საჭიროა, რომ ეს გენიალური პოეტი იყოს აგრეთვე გენიალური მოძღვარი, გენიალური პედაგოგი თავის ერისათვის“.

* * *

ლექსების ერთადერთ კრებულში, რომელსაც თვით დავითმა „დავითიანი“ უწოდა, ავტორი სიამაყით აცხადებს, რომ მისი მიზანია დამოძღვროს ახალგაზრდობა, სულისა და გულის მარგებელი საზრდო მისცეს მას.

უთუოდ შორს იხედებოდა უშვილობის გამო „სახლკარ დასამზობლად“ განწირული პოეტი, როცა აცრემლებულ თვალს მომავლისაკენ მიაპყრობდა:

თუ არ შევკრებ და არ ვუძღვნი
ყრმათ ია-ვარდის კონებსა,
ცოცხალიც არვის ვახსონვარ,
შკვდარს ვინდა მამიგონებსა?!

საწუთროზე გულალრენილ პოეტს მუდამ სტანჯავდა ფიქრი იმისა, რომ, თუ ეს „სულთა მარგებელი“ წიგნი დაილუპებოდა, მასში დარგული ხეც გადახმებოდა და მისი უტკბილესი ნაყოფით პირს ველარავინ ჩაიგემრჩიელებდა. ამდენად, სავსებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს დავითის გულწრფელი თხოვნა:

ყრმათ შევავედრე, ეს წიგნი
არ შექმნან დასახეველად.

დ. გურამიშვილის პოეზიის დიდაქტიკურ-ალმზრდე-ლობით ნაკადს ერთი არსებითი მიზანი გასდევს: მრავალტანჯულ სამშობლოს, ხშირად თავისავე უღირს ქეთავან გვემულს, ახლო მომავალში მაინც აღუზარდოს ისეთი მოქალაქენი, რომელნიც წინაპართა მომაკვდინებელ ცოდვებს აღარ გაიმეორებენ, გონებრივად და ზნეობრივად გარდაიქმნებიან, ახალსავალ გზებს გაჰყვალავენ.

დავითი მთელ თავის ოქროპირობას იმაზე ხარჯავს, რომ თანამოძმენი ფეხზე დააყენოს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოარჯულოს“. მაგრამ მძიმე საზოგადოებრივ გარემოს პირობებში ხშირად მისი ხმა რჩება ხმად მლაღაღებლისა უღაბნოსა შინა.

ამიტომ პოეტი დიდხანს აღარ ჩერდება მათზე და იმედის თვალი ახალგაზრდობაზე გადააქვს. იგი პირდაპირ უცხადებს უფროს თაობებს:

მე შენთვის აღარ მცალიან,
ყმაწვილის ვალი მკიდია.

საინტერესოა ვიცოდეთ, რა ვალი ჰკიდია ასეთი პოეტს, რას ჰპირდება იგი ახალგაზრდობას, რა გემოს „მაჭარი“ უნდა შეუქმნალოს მას?

პოეტი წინასწარ ბოდიშობს, რომ იგი ცხოვრების ავბედითი პირობების გამო უწვრთნელი და უსწავლელია, რომ მისი შეგონებისა და დამოძღვრის ძალა ვერ გაუტოლდება შოთა რუსთაველის სიბრძნის თვალუწვდენელ ზღვას; თანაც იქვე მოკრძალებით დასძენს:

სად მაღალი არცად იყოს,
მუნ დაბალი გამაღლდების.

დავითის შემოქმედების, კერძოდ, დიდაქტიკურ-აღმზრდელ-
ლობითი ნაკადის სათავე უმთავრესად რუსთაველისა და
აღორძინების ხანის მწერლების (არჩილი, საბა, ვახტანგ VI)
ნააზრვეიდან მომდინარეობს. ამას უნდა დაემატოს ისიც,
რომ ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვების ნიჭმა პოეტს უდიდესი
გამოცდილება შესძინა, რაც ჭეშმარიტების შესაცნობად
მისთვის ყველაზე უტყუარი კრიტერიუმი იყო.

გაზედულად შეიძლება ითქვას, რომ ბრძენი რუსთაველის
შემდეგ ადამიანის აღზრდის პრობლემას არც ერთი პოეტი
არ შეხებია ისეთი ძალითა და სიღრმით, როგორც დ. გუ-
რამიშვილი. იგი ბევრად შორს წავიდა თავისი ეპოქის პოე-
ტებზე და ზნეთასწავლულების საინტერესო სისტემა შექმნა.

მიუხედავად რომ ვთქვათ, დავითი დიდი წონის
დიდაქტიკოსია, რომელმაც შესანიშნავად იცის ნორჩის ბუნება,
ღრმად იხედება მის სულში და იშვიათი პედაგოგიური სი-
ფრთხილით უკაფავს საველ გზებს. ეს რომ ასე არ იყოს და
პოეტს თავისი ზნეობრივი მოძღვრების კეთილისმყოფელი
გავლენის ძალა არ სწამდეს, მაშინ იგი დაბეჯითებით აღარ
ურჩევდა შთამომავლობას:

მაგ ჩემს წერილსა წიგნებსა
წაიკითხვედეთ;
რაც რომ ანდერძად დამეგდოს,
აღასრულებდეთ.

ახლა დავუბრუნდეთ საკითხს, თუ როგორი გზებითა
და პედაგოგიური ხერხებით ნერგავს დიდი დიდაქტიკოსი
მომავალ თაობაში სწავლა-ცოდნის 'სიყვარულს. წინასწარ
უნდა შევნიშნოთ, რომ დ. გურამიშვილის აღზრდის სისტემა

ღრმად ნაციონალურია, ეროვნულ საწყისებს ემყარება. მას გაუმართლებლად მიაჩნია, რომ ახალგაზრდობას ადრეული სწავლა-აღზრდის პროცესში თავს მოახვიონ უცხო აზრები, უცნობი ზნე-ჩვეულებანი. ამიტომ ემუდარება იგი ბრძენ კაცს, „დავითიანი“ დაკვირვებით გადაიკითხოს და იქ

თუ რამ იყოს სხვის სჯულისა,
მამიქციოს, გამიქართლოს.

ან კიდევ:

ეგ წიგნი წმინდად სახმარი
არვინ გამიჩირქოსათ!

ბუნებრივი პედაგოგიური ნიჭითა და ალღოთი დაჯილდოებული დიდაქტიკოსი წინასწარ მომართავს ყმაწვილს სმენას ცოდნის შესათვისებლად. ახასიათებს რა მრავალი პროფესიის ადამიანს, იგი ყველაზე მეტად ცოდნითა და სიბრძნით აღსავსე პიროვნებას შენატრის:

ვსძებნე და ვერა ვპოვე რა
მჯობი ამ სწავლა-მცნებისა,
ბრძენსა აქვს თავისუფლება,
სოფელში ყოფნა ნებისა.

„დავითიანის“ დიდაქტიკური ციკლის ცენტრალურ ნაწილში, რომელსაც „სწავლა მოსწავლეთა“ ეწოდება, პოეტი ჩაგონების ტონით მოუხმობს სწავლის მაძიებელთ: ყურადღებით იხმინონ მისი რჩევა-დარიგება და ხარბად დაეწაფონ სწავლა-მეცნიერებას. არაჩვეულებრივი პედაგოგიური ხელოვნებითა და დიდაქტიკური ძალით გველაპარაკება იგი ცოდ-

ნით განმტკიცებული სიბრძნისა და სიბრძნით დამშვენებული
ცოდნის სიღიაღეზე:

ცოდნა თან დასდევს მცოდნესა,
რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე,
ხელი არ შაეკარების.

დავითის წრფელი ნატვრაა, რომ ახალგაზრდობა სწავლას
შთელი გულისყურით ეკიდებოდეს. ცოდნა ზეციიდან როდი
ცვივა, მისი შეძენა იოლი საქმე როდია.

საფუძვლიანი ცოდნა მოითხოვს მტკიცე ნებისყოფას,
ხანგრძლივ და მოუწყინარ შრომას. დ. გურამიშვილი გვირ-
ჩევს, რომ არც ერთი წუთი უქმად არ დაეკარგოთ:

ვიდგეთ, ვიჯდეთ, ანუ ვიწვეთ,
ხანსა ცუდად არ დავზმიდეთ.

პოეტს სძაგს და ეზიზღება ზარმაცი, სწავლაზე ურჩი და
გულაცრუებული ახალგაზრდა. ოჯახმა და ფართო საზოგა-
დობამ ასეთი ყმაწვილი სასტიკად უნდა გაეციხოს:

სწავლაზე ურჩი და მორცხვი
თვალთ არ დასანახია.

დავითი იმდენად აღშფოთებულია ზოგიერთი ახალგაზრ-
დის უვარგისი საქციელით, რომ წკეპლით დასჯასაც კი არ
ფრიდება. რა თქმა უნდა, ამ უკიდურესი ფიზიკური ღონის-
ძიების გატარებას იგი ყველას მიმართ როდი ქადაგებს. პო-
ეტი გვიჩვენებს ერთგვარად ინდივიდუალური მიდგომის გზით
„თავზე ხელადებულნი“ „დასურველ კალაპოტში ჩაყაყუნაო:
და სწავლის სურვილი მის შინაგან მოთხოვნილებად ვაქ-

ციოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იშობლები და საზოგადოება მეტად საკალალო ნაყოფს მოიძეიან. ეს ყაში, პოეტის განმარტებით, მთელი სიმწვაავით მაშინ დადგება, როცა ყმაწვილს „რიკ-ფაინის დრო გარღუა“, და ცხოვრებასთან ბრძოლას, უცოდინარობის გამო, დიდი ანგარიშით წააგებს. საგულისხმოა მოხდენილი სტრიქონები ასეთი გზააბნეული კაცის მიმართ:

ეძებდეს, ვერას პოებდეს
საქმესა სამჯობინარსა,
თავს იწყველიდეს, ამბობდეს
დედ-მამის შესაგინარსა.

დავითის პოეტური შედარებით, როგორც რკინას არბილებს ცეცხლი, ისე ყრმას აკეთილშობილებს და აღამიანურ ღირსებას ანიჭებს აღზრდა-განათლება.

ცოდნის ანკარა წყაროს აღამიანი მთელი სიხარბით უნდა დაეწაფოს მანამდე, ვიდრე მისი ნორჩი ძალები არ გამოფიტულა და სიჭაბუკის დილა სიბერის ჩრდილებს არ შეუცვლია. კიდევ მეტი: დაკვირვებული თვალის პოეტი იმ დასკვნამდეც კი მიდის, რომ ხანდაზმული კაცის განსწავლა ძალზე საძნელოა და თათქმის შეუძლებელიც. ამ მხრივ საგულისხმოა ცნობილი სტრიქონები:

ვით ძნიად წნორი ბერ-ფუყი
დაიგრიხების წნელადა,
აგრეთვე კაცი მსცოვანი
განისწავლების ძნელადა.

პოეტი არც იმას ფარავს, რომ სწავლა რთული და ერთგვარად მომაბეზრებელი პროცესია. სამაგიეროდ ამქვეყ-

ნად ვერაფერი შეედრება იმ ნაყოფის გემოსა და სურნელ-
ბას, რომელსაც სიბრძნის ხე ისხამს და გამოსცემს. პოეტა
დასძენს:

სწავლის ძირი მწარე არის,
კენწეროში გატკბილდების.

და რაც მთავარია: განსწავლა, ცოდნის სრულყოფა, გარ-
და იმისა, რომ ცხოვრებასთან ჭიდილში ორლესული იარა-
ღია, ამავე დროს სულიერი. შევების მომნიჭებელიცაა. ღრმა
ფსიქოლოგიური დაკვირვების შედეგად დავითი ასეთ დასკვ-
ნამღე შიდის:

ეგრეთ მოსწავლე სწავლასა
რა სრულყოფს, განისვენებსა.

ცოდნა არ უნდა იყოს თვითმიზანი; იგი პრაქტიკულად
უნდა მოხმარდეს და დაუბრუნდეს ხალხს. ადამიანმა ბუნე-
ბისაგან მომადლებული ნიჭი ცოდნის საშუალებით უნდა ამ-
რავლოს, ამოქმედოს, არ გაივლოს გულში სინანული იმისა,
რომ ამით მას რაიმე აკლდება ან უკარგება.

ცოდნა, რომელიც ნაყოფს არ გამოიღებს, მოქმედებაში
არ გადავა, დავითის შედარებით იგივეა, რაც მიწაში დაფ-
ლული მოუხმარებელი საგანძური.

კარგად უთქვამს რუსთაველის სიბრძნეზე აღზრდილ
პოეტს:

თქმულა: საუნჯე უხმარი
არა-რად გამოსაყენად.

საფუძვლიანი სწავლა-განათლება ადამიანს უადვილებს
ჭეშმარიტების შეცნობას, აძლევს ორიენტირებას, უწვითა-
რებს ინიციატივას და თვითმოქმედების უნარს.

ცოდნა პატრიოტული და ზნემაღალი სულისკვეთებით გვაკავშირებს მშობელ ხალხთან, მის ისტორიულ წარსულთან და აწმყოსთან, მთელ გარემყართან.

ცხოვრება დავითს წარმოდგენილი აქვს, როგორც ადიდებული მდინარე, რომელიც დახრჩობას უქადის ყველას, გინც ცურვა არ იცის. ამაზე საუცხოოდ უთქვამს პოეტს:

თუ ცურვასა არ ისწავლი,
ვერ გაუსვალ წყალთა ღრმათა.

დავითს ისათამაშო ნივთად მიაჩნია უწიგნური და უცოდინარი კაცი და შებრალების ტონით დასძენს:

თუ კაცსა ცოდნა არა აქვს,
გასტანჯავს წუთისოფელი.

მაგრამ ცოდნაც არის და ცოდნაც! ბრძენი პოეტი ახალგაზრდობას ურჩევს, რომ შექნილი ცოდნა იყოს მტკიცე და მყარი, შესწევდეს უნარი მოვლენებში გარკვევისა.

თგი ემუდარება სწავლისმადიებელთ, თავს ყველაფრით ნუ გამოიტენით, რაც აუცილებელია, ის შეიძინეთ:

ალაბულათი ნუ ავსებ
წმინდად გარცხულსა მენასა,
გაგიჭირდების გარეცხა,
შეიქ ოხერას და ქშენასა.

ამავე დროს დავითი იმ აზრისაა, რომ ცოდნას უნდა ამშვენებდეს და მხარდამხარ მისდევდეს ჭკუა, წინდახედულობა. ცოდნის გარეშე ჭკუა ბრმაა, მაგრამ უჭკუო ცოდნაც მჩატეა და წონადობას მოკლებული. შესანიშნავად უთქვამს დავითს:

ჭკუა უხმარ არს ბრყვითათვის,
ჭკვა ცოდნით მოიხმარების,

კიდევ მეტი: ჭკუას დავითი ადამიანის სულიერ ღირსება-
თა შორის ერთ-ერთ უძვირფასეს საუნჯედ მიიჩნევს, როცა
წერს:

ჭკვის უკეთესი საქონლად
არა რა საქონელია.

თუ ყმაწვილის ჭკუა და გონება სიკვდილამდე შეთანხმე-
ბით იმოქმედებენ, ცხოვრების მრავალფეროვან მოვლენებში
უფრო ღრმად ჩაიხედავენ, მაშინ მისთვის ადვილია დადინჯე-
ბულად გასცეს პასუხი ამაღელვებელ კითხვებზე:

ვინ არის, სიღამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

ვინაიდან ცხოვრების სავალი გზა სვეგამწარებულ პოეტს
ეკლიანად ეჩვენება, იგი მომავალი თაობისაგან დაბეჯითებით
მოითხოვს სიღინჯეს, სიფრთხილეს, წინდახედულობას, ჩა-
სავარდნად გამზადებულ ორმოს გვერდის ავლას. ამ მხრივ
შეგონების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს დიდაქტიკური
სტრიქონები ლექსიდან „სიმღერა ქართლ-კახეთის ჯვარობის
სანაცვლოდ თქმული“:

ყრმავ, გონება უგუნური აგონიარეო,
თავს ნუ გახდი უღონოდა, აღონიარეო,
აქვთ-იქით მიიხედე, ათვალღიერეო,
არს გზა ვიწრო, ორმო ხნარცვი მოგანიარეო,
გაუფრთხილდი, არ ჩავარდე, ამოდ იარეო.
...დავით რაც გპრქვა შეენიერად, ამშვენიარეო.

დ. გურამიშვილი მრავალი დიდაქტიკური ხერხით ცდი-

ლობს მოსწავლეში განამტკიცოს ყურადღება, მიმბაძველობა, წვრთნის მოუწყობრობა, ნებისყოფა, აზრისა და მოქმედების ერთიანობა. ახალგაზრდობისაგან, საერთოდ ადამიანისაგან, დავითი მოითხოვს დასახული იდეალისათვის შეუპოვარ ბრძოლას.

პოეტის ღრმა რწმენით მხოლოდ გამბედაობას და მიზნის სიცხადეს შეუძლია სძლიოს ყველა ის დაბრკოლება, რასაც კი ცხოვრების ეცლიან გზაზე შევეყრებით.

გავიხსენოთ თუნდაც, რა წარმოუდგენელი სიძნელეების გადალახვა მოუხდა დავითს, ოდეს იგი დალისტნის ტყვეობიდან გამოიპარა!

* * *

ანიჭებს რა უპირველეს და, შეიძლება ითქვას, არსებით მნიშვნელობას გონებრივ განათლებას, დავითი ქებას არ იმეტებს ისეთი ახალგაზრდისადმი, რომლის ცოდნაც დამშვენებული არ იქნება სამაგალითო ზნეობით.

ამ საკითხის დაყენება-გადაწყვეტაში დიდი დიდაქტიკოსი გაბედულად აყენებს ჰარმონიული პიროვნების აღზრდის პრობლემას, რითაც იგი ბევრად უსწრებს წინ თავის ეპოქას. შეკუმშული ფორმით რომ გამოვთქვათ, დავით გურამიშვილს უბედნიერესად მიაჩნია ის, ვისაც სიცოცხლის მიზნად სიკეთის სამსახური გაუხდია და ხმალამოწვდილი ებრძვის ბოროტებას.

პოეტის აღიარებით, ნამდვილად უბედურნი და შესაბრალისნი არიან ის მშობლები, რომელთა მემკვიდრენიც უზრდელნი და უტიფარნი არიან:

შვილის. უსაქციელობით სიცოცხლეგამწარებულ ოჯახის-
თვის ბევრად უკეთესია თავს აბეზრებდეს უწვრთნელი ძალ-
ლი, ვიდრე ბრყვი და უვიცი შვილი:

სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა
უწვრთელის შვილის ყოლასა.

მორალში, როგორც ზნეობრივ ნორმათა მთლიანობაში, დავითი მრავალ საგულისხმო ვალდებულებას ითვალისწინებს. ახალგაზრდობას მოეთხოვება: შრომისმოყვარეობა, მოკრძა-
ლება, თავაზიანობა, ზომიერება, უფროსების პატივისცემა, მშობლებისა და მასწავლებლების ღირსეული დაფასება. რო-
გორც რელიგიური აღზრდის მხურვალე დამცველი, დავითი ახალგაზრდობას მოუწოდებს ზნეობრივი თავდაჭერილობისა და სათნოებისაკენ.

გარდა ღირაკული ლექსებისა, სადაც უხვადაა გაფანტუ-
ლი პოეტის შეხედულებანი აღზრდის საკითხებზე, განსაკუთ-
რებული ყურადღების ღირსია ბუკოლიკური პოემა „ქაცვია მწყემსი“.

დავითის იდეალია, რომ ქრისტიანული წესით შეუღლე-
ბულმა ცოლ-ქმარმა შექმნას ისეთი მყარი ოჯახი, რომელიც მყუდრო სავანე იქნება წესიერი, ერისათვის გამოსადეგი შვილების აღსაზრდელად.

პოემაში პოეტი წარმტაცი ფერებით გვიხატავს უბრალო ადამიანების ცხოვრებას, მშრომელ ხალხში ღრმად შემონა-
ხულ ზნეობას, რასაც ხშირად დაშორებულნი იყვნენ გაბა-
ტონებული წრეები.

დიდი მორალისტი ოჯახს, მის სიწმინდეს ერის სასი-
ცოცხლო უჯრედად თვლის. როცა დაავადდება ეს უჯრედი, მთელ სხეულს დაშლა და ხრწნა მოიცავს.



დავით გურამიშვილი მოზარდის გონებრივი და ზნეობრივი ფორმირების საქმეში უაღრესად დიდ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებელს, მშობლებს, გამზრდელს, საერთოდ უფროსებს.

მართალია, საგანმანათლებლო კერების მოშლის გამო დავითს არც აღმზრდელი მასწავლებლის ალერსი უგემნია და არც შინდის წკეპლით ასწვია ბეჭები, მაგრამ უფროსების რჩევა-დარიგება კი მრავალგზის ჰქონია დაცდილი. ბავშვისადმი მეთვალყურეობა, მისი ბედით დაინტერესება დავითს ფრიად საჭირო და კანონიერ პედაგოგიურ პროცესად მიაჩნია.

დავით გურამიშვილმა, როგორც დაკვირვებულმა ფსიქოლოგმა, კარგად იცის, რომ საერთოდ ბავშვის გული და გონება დაფანტულია, რომ მისი შინაგანი მოთხოვნილებაა მთელი ენერგია უანგარიშოდ დახარჯოს, სწავლას, როგორც „სატანჯველს“, თავი აარიდოს.

ამიტომ პოეტი-დიდაქტიკოსი მოითხოვს უფროსების ჩარევას, მათი მხრივ მტკიცე კონტროლის დაწესებას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დავითი ოსტატს ანუ მასწავლებელს.

აღორძინების ხანის პოეტებიდან ჯერ კიდევ არჩილმა, რომელიც თვით იყო პრაქტიკოსი პედაგოგი, ფრიად საყუარადღებო, პედაგოგიურად გამართლებული აზრი გამოთქვა:

სიბრძნე ის უფრო მტკიცეა,
ვის ოსტატი ჰყავს—ასწავლის.

დავითიც სავსებით იზიარებს იმ შეხედულებას, რომ მოს-

წავლის აღზრდა-განათლება ოსტატის, მწვრთნელის ხელმძღვანელობით უნდა მიმდინარეობდეს.

ნიშანდობლივია, რომ, შოთა რუსთაველის მსგავსად, გურამიშვილიც მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს უმეტესად სიბრძნით განსწავლულ ადამიანს მიაწოდებს.

რამდენადაც ურთიერთობა აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მშობლიური უნდა იყოს და ერთი სანუკვარი მიზნით მიემართებოდეს, პოეტის იდეალია, რომ აღმზრდელი უწინარეს ყოვლისა ზნეობრივი სრულყოფილებით ბრწყინავდეს. აქედან დასკვნა: დავით გურამიშვილის სწავლა-აღზრდის სისტემაში მასწავლებლის შერჩევას გადამწყვეტი როლი ენიჭება.

თუ რამდენად კეთილისმყოფელია კარგი მასწავლებლის მზრუნველი ხელი მოსწავლეზე, დავითი ასეთ პოეტურ შედარებას მიმართავს:

ვით ახალ მორჩი ვაზისა
ხელს მიყუევს საფურჩნელადა,
ეგრეთ ახალი მოზარდი
ყრმა — ოსტატს გასაწვრთნელადა.

ფრიად საყურადღებოა, რომ დიდაქტიკოსი პოეტი ერთგვარ დოზირებასაც კი ქადაგებს, რათა მოსწავლეს არ უძნელდეს შესასწავლი მასალის ათვისება და გადახარშვა. საგულისხმოა დავითის რჩევა:

რაც არა მხამდეს ჩიორას,
ნუ უყრი ასაკენკადა.

დავითი მკვეთრად ასხვავებს „ბევრთა და ცოტას მწველელთ“, კარგ და ცუდ აღმზრდელს. პოეტი გვაფრთხილებს,

რომ ერთნაირი საზომით არ მივუღვეთ კარგისა და ავის მთესველს, ვაზისა და ეკლიანი ჯაგის დამრგველ-გამხარებელს:

ვაზის მრგველთან ის არ ვაქო,
ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო.

მიაჩნია რა მასწავლებლის ზვედრი დიდ და საპატიო საქმედ, დ. გურამიშვილი ამავე დროს არ ივიწყებს, რომ მოზარდის მოქარბებული ძალების შეკავება, მისი სასარგებლო გზით წარმართვა, ერთი პიროვნების ძალ-ღონეს აღემატება.

დავითი საგულდაგულოდ ჩერდება საქართველოში უძველესი დროიდან გაბატონებულ საოჯახო აღზრდაზე, კერძოდ მშობლებისა და გამზრდელის, ეგრეთ წოდებულ ლალას მოვალეობაზე.

მომავალი თაობის ბედით დაინტერესებული პოეტი საგანგებოდ აფრთხილებს მათ, რომ მოზარდის სწავლა-აღზრდის საქმეს თავიდანვე მთელი სერიოზულობით მოეკიდნონ, გაითვალისწინონ მისი ინდივიდუალური თავისებურებანი და აუცილებლობის შემთხვევაში ფიზიკურ დასჯასაც კი (გაწკეპვლას) მიმართონ.

აღმზრდელისა და მშობლების მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ბოლოს მათ ასცილდეთ მოსალოდნელი საყვედური უსწავლელობით გზააბნეული და უნაყოფო შრომით ილაჯგაწყვეტალი აღამიანისაგან.

დავითი შენატრის მათ ბედს, ვინც კარგი, დახელოვნებული ოსტატის ხელში ჩაგარდება, ვინც მისგან გონებრივად, ზნეობრივად და ფიზიკურად სრულყოფილ წვრთნას მიიღებს. დავითის მოხდენილი შედარებით, როგორც მეღვინისაგან

გულმოდგინედ გარეცხილი ჭურჭელი არ უცვლის ფერსა და გემოს საუკეთესო ხარისხის ღვინოს, ასევე გამზრდელთაგან ზნეობრივად განსპეტაკებული ახალგაზრდა სიკვდილამდე არ შებღალავს შეძენილ სულიერ საუნჯეს. საზოგადოებაში გავლენიან პიროვნებას, ვინც უნდა იყოს იგი, მარადის უნდა ახსოვდეს, რომ მისი ყოველი ნაბიჯი სათვალთვალთ, სამაგალითო და ყველასათვის მისაბაძია.

ეს მაღალი ღირსება განსაკუთრებით უნდა ამშვენებდეს სწავლა-სიბრძნით აღჭურვილთ, ვინაიდან

ბრძენის ურიგოდ ქცევათა
ბაძით წახდების ვრია.

დავითი კიდევ უფრო შორს მიდის: ადამიანი რაც უფრო ბრძენია, მით უფრო შეუწყნარებელია მისგან დაშვებული უმნიშვნელო შეცდომაც კი. ამიტომ დავითის რჩევაა: ყმაწვილმა ურიგო ქცევის ადამიანს, თუნდაც ბრძენი იყოს იგი, ზურგი აქციოს, მისი არ ისმინოს.

დიდაქტიკოსი პოეტი მთელი შეუპოვებლობით მოითხოვს მათ განკიცხვა-მხილებას, ვინც თავისი ქცევით ცუდ მაგალითს აძლევს წესიერ ადამიანებს:

ბაძით მორცხვიც გაურცხვდების,
უსირცხვილოს თუ არ არცხვენ.

სამაგიეროდ პოეტს სწავლის მაძიებელთაგან ფრიად საჭებრად მიაჩნია ყოველივე კარგის მიბაძვა, პირად ცხოვრებაში მისი გადმოღება. ამაზე უთქვამს დავითს:

კარგ საქმეზედა მიბაძვა
არა რა დასაძრახია,

სმენა, თქმა, სწავლის ძიება
მაცემართაგან ახია.

მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში, მასწავლებელზე, საერთოდ აღმზრდელზე მეტს თუ არა, ნაკლებ მნიშვნელობას როდი ანიჭებს დავითი მშობლებს, მათ როლსა და ავტორიტეტს. მათი სახით შვილებს წინ უდგას სარკე, რომელშიც მთელი სისრულით მოსჩანს როგორც კარგი, ისე ცუდი მხარე. პოეტმა კარგად იცის, რომ მაგალითის და მიმბაძველობის ზეგავლენით

ყოველი წული მშობელთა
მსგავსი მსგავსს ემსგავსებიან.

შესანიშნავი პოეტური ოსტატობით დაწერილ პოემა „ქაცვია მწყემსში“ დ. გურამიშვილი მრავალი მაგალითით აფრთხილებს მშობლებს შეუწინაღებელი ყურადღებით აღევნონ თვალი თავისი შვილების ცხოვრების გზას, სამარცხვინო და გასაკიცხი არ გახდნენ ისევე, როგორც ეს დაემართათ ქაცვიას მშობლებს.

დავითი არა ერთგზის აფრთხილებს მშობლებს, რომ ყოველი მათი ნაბიჯი აღმზრდელობით სფეროში უნდა ტრიალებდეს. მშობლებმა და მასწავლებლებმა რომ სასურველ შედეგს მიაღწიონ და საზოგადოების სასარგებლო წევრი აღზარდონ, დავითი ურჩევს მათ ბავშვის მიმართ ქმედითად გამოიყენონ ზნეობრივი ზემოქმედების ისეთი საშუალებები და მეთოდები, როგორიცაა მიმბაძველობა, დარწმუნება, შთაგონება, იძულება და სხვა.

მართალია, დ. გურამიშვილის ზრუნვის დიდი საგანი ახალგაზრდობაა, მაგრამ შეცდომა იქნებოდა, თუ „დავითი-

ანს“ მარტოოდენ ყრმათათვის განკუთვნილ წიგნად მივიჩნევდით. დიდი პოეტი და მორალისტი უფრო ფართო მიზანს ისახავს...

შ. რუსთაველის უკვდავი პოემის მსგავსად დ. გურამიშვილის შემოქმედება ადამიანის ზოგადი აღზრდის პრობლემასაც დასტრიალებს. მისი, როგორც პატრიოტიკისა და ზნეობრივი ქურუმის, მიზანია ამამაღლებელი გავლენა იქონიოს მთელ ერზე, დიდსა და პატარაზე.

აღორძინების ხანის სხვა დიდაქტიკოსების მსგავსად დავითი არაა აბსოლუტიზმის ვიწრო რკალში ჩაკეტილი.

როგორც ნამდვილი განმანათლებელი, იგი ყველა წოდების ჭირსუფალია, მთელი ერის ხსნა სწყურია. მართალია, დავითი, როგორც ეპოქის მემატიანე, არ ფარავს ჩვენი „წახდენის“ ფაქტს, მაგრამ ამავე დროს იქვე მიუთითებს იმ სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებზე, რამაც ჩვენი მეობა შეარყია, ქართველი ხალხის კულტურასა და მორალზე უარყოფითი გავლენა იქონია.

დავითმა იცის, რომ ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე ესაჭიროება თვალყურის დევნება და რომ რადიკალურ ჩარევას ხშირად ზნეობრივად გაბზარული პიროვნების შემობრუნება შეუძლია.

პატრიოტული აღზრდის თვალსაზრისს პოეტი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ქართველი ადამიანი პრაქტიკული მოქმედებისათვის უნდა ემზადოს, მებრძოლი ძულისკვეთებით უნდა გაიმსჭვალოს.

წინააღმდეგ ქრისტიანული შეგონებისა — სამაგიერო არ მივუზლოთ მტერსო, — დავითი მაზვილსა ლესავს ორგულთა და ბოროტთა შესამუსრავად. ერთ თავის დამრიგებლობითი

ბასიათის ლექსში მტერთან შერკინებული პოეტი სასოებით
ემუღარება მხსნელ ძალას:

თავის მჭრელი ლახვარი
ლესოს, გაიმახოსა,
ჩემს მტერს გულზედ აძგეროს,
არა წყნარად ახოსა.

ასევე ნიშანდობლივია, რომ დავით გურამიშვილის შემოქმედების დიდი ნაწილი პესიმისტური განცდებითაა და-
თალხული. უდავოა, ეს მოჭარბებული გოდება პირადი და
საზოგადოებრივი უბედურებით იყო განპირობებული. ერთ-
გან დავითი პირდაპირ აცხადებს:

თავის და თავის ქვეყნისას
უბედობასა ჩიოდა.

მიუხედავად ამისა, პოეტი მთელი ძალით უმღერის „ტკბილ
სიცოცხლის“ სიდიადეს, მზის ცხოველმყოფელობას, ყინუ-
ლის ახვეტას და გამთბარი მიწის საგაზაფხულო ფერებით
მორთვას.

დავუბრუნდეთ საკითხს, თუ როგორი თვალით უტრია-
ლებს პოეტი ადამიანის მორალური განახლების პრობლემას.

დავითი თუმცა ემდურება თვალის სიბრმავეს, მაგრამ სია-
მაყით აცხადებს, რომ იგი გონების თვალით სხვებზე უფრო
შორს იხედება:

თუმცა ბრმა ვარ, კიდევ ვხედავ
ქვეყნად ჩემგან უფრო ბრმათა.

დიდი მორალისტი და დიდაქტიკოსი ორივე ხელით ძირ-
კვავს იმ ეკალს, რომელიც ამოსვლას უშლის კეთილი ნაყო-

ფის მომსახმელ ხეს. ავისმქნელი კაცის მხილება, მისი ნამოქ-
მედარის საქვეყნოდ გამოტანა, დავითს მიზანშეწონილად
მიაჩნია. ეს საჭიროა თუნდაც აღმზრდელობითი თვალსაზრ-
სით. პოეტი წერს:

ამად სძრახვენ, ვინც ავს ჩადის,
კულავ აღარ ჩაიდინოს,
სხვა გაფრთხილდეს, მისებრ ცრემლი
თვალთა არვინ ჩაიდინოს.

ზოგიერთი ადამიანი მოკლებულია უნარს შეიცნოს საკუ-
თარი თავი, გაითვალისწინოს და განაზოგადოს ცხოვრების
მწარე გაკვეთილები. ასეთი ადამიანი იმდენად დაბრმავებუ-
ლი და ყნოსვადაკარგულია, რომ, პოეტის სიტყვით, მას
ხშირად „საკმლად მიუჩანს თავის სიმყრალის სუნება“.

ადამიანი რომ საზოგადოების მკაცრ სამსჯავროს ასცდეს,
თავიდანვე უნდა გაუფრთხილდეს თავს, საკიცხავი საქმე არ
უნდა ჩაიდინოს. ასეთების მიმართ უთქვამს პოეტს:

ვინც რომ ძრახვას თაკილობდეს,
ნურასა იქს. საძრახვასა.

დავითის ფილოსოფიური განსჯით ყველაზე დიდი გამ-
მარჯვება საკუთარ თავზე გამარჯვებაა.

თუ ადამიანი ფრთხილი გონების თვალთ არ განსჭვრეტს
ცხოვრების სავალ გზას, მას საწუთროსაგან „არ ასცილდე-
ბის დაცემა“. მისი დაკვირვებით ყოველ ადამიანს თვით
უპყრია ხელში ისეთი ქმედითი იარაღი, რომლითაც ნამდ-
ვილად შეიძლება საკუთარი ბედის გამოქვედვა.

აი, როგორ გაფრთხილებას იძლევა იგი:

შენ თვალები ღმერთმან მისთვის
მოგცა, ხედო სახედარი,
სულ გამოსცნა ავი-კარგი,
რაც ნანახი სახედ არი.

ასევე ვერ იქნება სულიერად მოსვენებული და ზნეობ-
რეუად მოწესრიგებული ის, ვის არსებასაც უზომო ნდომის
სურვილი დაეუფლება. იმოწმებს რა ბრძენი ეპიკურის შე-
ხედულებას, დავითი დაასკვნის:

თუ კაცი ნდომას მიჰყვების,
მიღღებში არ გამდიდრდება.

ყოველგვარი უბედურების დედად დიდ პოეტს სიზარმა-
ცე, უმოქმედობა მიაჩნია. ფრიალ საყურადღებოა, რომ სხვა
დიდაქტიკოსებთან ერთად დავითიც დიდსა თუ პატარაში
იშვიათი გულმოდგინებით ნერგავს შრომის სიყვარულს.
მხოლოდ ის ლუკმაა ტკბილი და შემრგე, რასაც ადამიანის
„ცხელი ოფლი ეფრქვევა“.

პოეტი წინააღმდეგია სხვისი ნაოფლარის მითვისებისა და
ყველასათვის სავალდებულოდ მიაჩნია:

რაც თვით ეხნას-ეთესოს
ანუ დაეფარცხოსა,
ის მოიმკას, გაღწოს,
დაიფქოს და აცხოსა.

დ. გურამიშვილს ადამიანის უდიდეს მასწავლებლად გა-
მოცდილება მიაჩნია. თვითონ ჭირგამოვლილი პოეტი რჩევა-
დარიგებით მიმართავს სხვებსაც:

ერთხელ რომ გემოდ გენახოს,
მეორედ რად ჭამ ნწარესა?

რათა მომავალ თაობაზე აღმზრდელობითი ზეგავლენა შოახდინოს, დავითი მთელი გულახდილობით ცდილობს სა-
აშქარაოზე გამოიტანოს წინაპართა ნამოქმედარი, დაგმოს ცუ-
დი და მისაბამად დასახოს კარგი.

მართალია, დიდაქტიკოს-მორალისტი ყველას მოძღვრავს,
მაგრამ პასუხისმგებლობასაც იხსნის მათ მიმართ, ვინც მის
სწავლა-დარიგებას ვერ მოიხმარს, ცხოვრებაში პრაქტიკული
მიზნებისათვის ვერ გამოიყენებს. საუცხოოდ ამბობს დავითი:

მე ეს ხიდი სავლელად დიად სწორედ გავდეთ,
შენ თუ მრუდათგაივლი, მე რა წყალში ვვარდეთ.

• * •

დ. გურამიშვილის პოეზიას სიბერე და სიკვდილი არ უწე-
რია. როგორც ხორციელი არსება, იგი სიკვდილის წინაშე
ცახცახებდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ უკვდავი
„დავითიანით“ უკვდავებას ეზიარებოდა. და მართლაც, მის
მიერ გადებული ხიდი ჯერ არავის ჩატეხია, რაც დრო გადის,
უფრო მეტი სიმტკიცე ემატება.

ქართველ ხალხთან ერთად პროგრესისა და საკაცობრიო
კულტურის პატივისმცემელ ერებს ყოველთვის ექმნებათ შე-
საძლებლობა დატკბნენ იმ სულიერი საუნჯითაც, რომელიც
დ. გურამიშვილის შემოქმედებაში ობოლ მარგალიტებად
ციმციმებენ.

წერილს ვამთავრებთ დავითის იმ სტრიქონებით, რომ-
ლის გამეორებაც ხშირად უყვარდა ილია ჭავჭავაძეს —

მოკვდა და თავის ანდერძით
აწ ისევ საქმობს მკვდარიო.

მამია გურიელი

ფეოდალური საქართველოს რღვევისა და ნგრევის ისტორიულ პროცესს გრ. ორბელიანის შემდეგ ყველაზე ღრმა გულისტკივლით პოეტი მამია გურიელი შეხვდა.

და ეს მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო იმ ადამიანისაგან, რომელიც, მისი ბიოგრაფის იონა მეუნარგიას მოხდენილი გამოთქმით, „ვეფხისტყაოსნის ქვეყნის ჩამონათალი იყო“.

მართლაც, გურიის მთავრების მდიდრულად მორთული სასახლეები თავისი საწვეულო დარბაზებითა და ხავსმოდებული ციხე-კოშკებით რაღაც გრანდიოზულ სანახაობას წარმოადგენდა ფეოდალური საქართველოს ფონზე.

ირაქრაყებდა თუ არა, სანადიროდ დაგეზებული ქორმეძებრები ათეული კილომეტრებით გადაჭიმული ქალებისა და ტევრებისაკენ აიშლებოდნენ, ხოლო საქერავით შეხურებული არაბული ბედაურები ტორთა ცემითა და ჭიხვინით საჯირითოდ იწვევდნენ ოჯალეშით შეზარხოშებულ მხედრებს. და ეს ყოველივე ხდებოდა არცთუ შორეული ხნის წინათ, აგერ მე-19 საუკუნის 40—45-იან წლებში.

აღვილი წარმოსადგენია, რაღა იქნებოდა წინა ეპოქაში, როცა ფეოდალური ფორმაციის რღვევის სტადიაშიც კი მა-

მიას მამის—გურიელთა სამთავრო ტახტის უკანასკნელი მემკვიდრის — დავით გურიელის სასახლეში თითქმის ყოველდღე ორი-სამი ძროხა იკვლებოდა.

გურიელის სასახლის მუდმივი და მოუწყინარი სტუმრებო იყვნენ გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის თავადაზნაურობა, რომელთა შესაქცევად იმართებოდა გაბმული ქეიფა. ცეცვა-სომღერა, შაირობა, ჯირითი, ჭიდაობა და სხვ. ასეთ სოციალურ გარემოში — 1836 წელს — დაიბადა პოეტი მამია გურიელი, რომელმაც შემდეგში მძარად მშფოთვარე რიონის უძველესი საბელწოდების პატივსაცემად ლიტერატურულ ფსევდონიმად „ფაზელი“ აირჩია.

დაკანონებული ტრადიციის მიხედვით გურიის უმდიდრესი და უძლიერესი მთავრების მემკვიდრე აღსაზრდელად სათნო გლეხის ქალს ჯანვერდის შიბარეს, რომელმაც ისედაც ნიჭიერი ბავშვის ფანტაზია ქართული საგმირო ზღაპრებითა და ლეგენდებით სრულიად ახალ სამყაროს აზიარა.

მოჰავალ პოეტს წერა-კითხვა კარის ეკლესიის მღვდელმა შეასწავლა, რის შემდეგაც იგი საკმაოდ დიდხანს ნებივრობდა საგვარეულო სასახლეში; მხოლოდ 15 წლისა შეიყვანეს მამია ქუთაისის გიმნაზიაში. ორიოდღე წლის შემდეგ თბილისში მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად. აქ მას ყირიმის ომმა მოუტანა.

თუ როგორი გონებრივი და ზნეობრივი ავლადილებით იკვებებოდა ის წრე, რომელშიაც მამიას ბავშვობიდანვე უხდებოდა ტრიალი, ადვილი წარმოსადგენია მისივე ლექსის სტრიქონებიდანაც:

აქ შეიქნება ხუმრობა, სიცილი, ლაზღანდარობა,
აზნაურთ შორის მასხრობა, ერთმანეთისა ჯავრობა.

თავი რომ დავანებოთ გონებრივი გაანათლების შეზღუდულობას, თვით ფიზიკური წროთბაც კი, რომელსაც იმდროინდელი აღზრდის სისტემაში მთავარი ადგილი ეჭირა, თვითნებურა, სტიქიური სახით მიმდინარეობდა.

ძნელი დასაჯერებელია, სერიოზული გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა-განათლებისათვის დაედო გული იმ ახალგაზრდობას, რომელიც, გაბმული ქეიფით აღგზნებული, კვებნით გაიძახოდა:

ნეტა ამ ქეიფს და სმაში ვინ არ მოილხენს, განცხრება.

ამ ოჯახის წევრთა წოდებრივ ამპარტავნობასა და თავგასულობაზე კარგად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მამიას რძალმა, ჯაბას მეუღლემ, გლეხობის წრიდან გამოსულ, გამხდარ და ფერმიხდილ ეგნატე ნინოშვილს ხელიც კი არ ჩამოართვა.

ბატონყმურ გარემოში ფუქსავატურად აღზრდილი მამია შემდეგში სამხედრო კარიერამ გაიტაცა და აღარც თვითგანვითარების გზით უცდია თავისი ბუნებრივი ნიჭისათვის რაიმე სერიოზული გონებრივი საზრდოა მიცემა. ამიტომაცაა, რომ მის შემოქმედებას შეზღუდულობისა და პრაქტიკიზმის დაღი აზას.

უაღრესად მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიური ძვრები ახასიათებდა იმ ეპოქას, როდესაც მამია გურიელს მოუხდა კალმის აღება.

კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრამ მძლავრად შეარყია ნატურალური მეურნეობის ისედაც დრომოჭმული საყრდენები. ისტორიული კანონზომიერებით განწირული ფეოდალური წყობილების შეჩერება აღარავითარ ძალას არ შეეძლო.

მარტო გურიის 1841 წლის აჯანყებაც საქმარისა იყო იმის გასათვალისწინებლად, თუ რა მკაცრი განაჩენი გამოჰქონდა დროს გაბატონებული კლასების ძალმომრეობის დასათრგუნავად.

ცოტა მოგვიანებით სამართლიანად შენიშნავდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საუკეთესო მხატვარი გიორგი წერეთელი, როცა წერდა: „თავდაზნაურობა დარჩა. ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში. შრომა იმას არ შეუძლია, სწავლა და მოხერხება არა აქვს. ამის გამო ის თანდათან ღარიბდება, საშუალება ხელიდან ეცლება და თანდათან ჰქრება იმათი სახელწოდება“.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩვენს საზოგადოებრივ სინამდვილეში სრულიად ახალი ძალები და იდეოლოგიური შეხედულებანი იკაფავენ გზას. ამ ხანებში პროგრესულ იდეებზე აღზრდილმა თერგდალეულთა თაობამ აღმართა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის დროშა, რომელიც, ნ. ნიკოლაძის სიტყვით, „მსხედ და გაბედულად ეპყრა ილია ჭავჭავაძეს“.

ჩინვ ამ გზას არ გაჰყვა, --- კონსერვატორთა ბანაკში დარჩა, კომპასი დაჰკარგა და ბრმად მიენდო აბობოქრებული ცხოვრების ტალღებს.

მამია გურიელიც ორ წყალს შუა მოჰყვა. მას ძველი მდინარის კალაპოტის დათმობა ეძნელებოდა, მისი რომანტიკული შემოგარენი ხიბლავდა, ხოლო ახალი, აზვირთებული ტალღების მუქარა შიშსა და სიძულვილს ჰგვრიდა. ამიტომაც იყო, რომ იგი წინადაც უკან ნხედებოდა, თავის იდეალს კვლავ ძველის აღდგენაში ხედავდა:

თაყვანი ვცეთ ძველსა ღმერთსა.
მო, შევიქნეთ წასახელი,
ღრო წარსული მოგვიბრუნე
შემოგვძახე — ალავერდი.

თბილისში ცხოვრების საუკეთესო წლებშიც კი, როდესაც განახლების ქროლვა ასე მძლავრად იგრძნობოდა, როდესაც თერგდალეულთა ბელადმა ილიამ ფუჭად დანთქმულ წარსულზე გოდება გონებრივ რეგრესად, ჩვენნი ერის დაღარებად აღიარა, მამია გურიელი მძიმე სინანულს გამოთქვაჲდა იმის გამო, რომ მას არ ეღირსა გურიის მთავრობა. ლექსში „ფიქრი ყრმობისა“ ის წერდა:

მე სახელ-გვარად,
ვინ იყო მთავრად,
მპყრობი გურიის ჩაქვ-აჭარისა,
ვევეარ მას, მარა
არვინ მამთავრა,
არცა ვარ მეფე ზღვა-ლაშქარისა.

ასე მწვავედ განიცდიდა პოეტი მაღალი წოდების ტრაგედიას, და რაც უფრო ხელშესახები ხდებოდა ფეოდალური კლასის აღსასრულის მოახლოება, მით უფრო ძლიერდებოდა ეს აგონია. ამოდრემუდარებოდა პოეტი ყველას:

მოდით, მიშველეთ, კვლავ აღმადგინეთ,
კვლავ მაქნევენეთ ჩემი საქნარი,
ერთი კვლავ ყრმობის ეშხით მალხინეთ
ხელში მომეცით ნებისა ქნარი.

გარკვეულმა სოციალურმა პირობებმა და გარემომ, რომლის შემოქმედებითაც იზრდებოდა მამია, თავისებურად განსაზღვრეს მისი შემოქმედების თემატიკაც.

გურიელის ლექსებში გაბატონებულ მოტივებად გვევლინება წარსულის იდეალიზაცია, მომავლის იქვი, უკიდურესი ინდივიდუალიზმი, პატრიოტიზმი, სიყვარულისა და ღვინის კულტი.

რამდენადაც რეალიზმის ბატონობის ეპოქაში მამია გურიელს წილად ერგო აღნიშნული მოტივების სუსტად გადამღერება, ამდენად იგი ვ. ორბელიანთან, ნინო ორბელიანთან და გრ. აბაშიძესთან ერთად რომანტიზმის დეკადანსის ტიპური წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. პოეტის ლირიკული ლექსების უმრავლესობა დაწერილია ელეგიური განწყობილებით და არსებითად განწირული წოდების დამსხვრეულ იმედთა დატირებაა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თათქოს მამიას ეროვნულ-პატრიოტული და სოციალური თემატიკისათვის გარკვეული ხარკი არ გადაეხადოს. მაგრამ როდესაც მისი ლექსების ამ ციკლს ვაღარებთ ილიასა და აკაკის პატრიოტული ლირიკის ნიმუშებს, მათში გატარებულ საკაცობრიო იდეალებს, ბრძოლისა და მხნეობის აღმძვრელ ნაღარას, ჩვენს თვალწინ მთელი სიღრმადით აღიმართება ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ბუმბერაზთა პოეტური სიღრმე და მოქალაქეობრივი აზოვნება. მიუხედავად იმისა, რომ მამია გურიელი თავისი პოეტური მრწამსით ძველი ქვეყნის ტყვეობაში დარჩა და სამარის პირამდე გულს უღრღნიდა სევდა-პესიმიზმი, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ილიასა და აკაკის პატრიოტული და სოციალური ლირიკის მძლავრი გავლენა მის შემოქმედებაზე. განა „ჩაბალახახდილი“ სამშობლო ქვეყნის სიყვარულს, უსამართლო ტირანიასთან მის ბრძოლასა და შემართებას არ შეუძღვნა მან პატრიოტული ლირიკის ისეთი შედეგვრები, როგორი-

ცაა „ქარჩხალის მთები“, „შოშია“, „საქართველოს მზე“, „ჩემი ალავერდი“ და მრავალი სხვა?!

საქართველოს დამცირებელი სახე, მისი ტანჯვა და მონური ხეიდრი თვითმპყრობელობის სუსხიან წლებში პოეტმასე გამოხატა ლექსში „საქართველოს მზე“:

სამარისფერ ლოყებზე სისხლის ღვარი სდიოდა,
გრძელ დამწვებულ წამწამზე ცრემლები დასდიოდა,
მის ოხვრაში ისმოდა ეს სიტყვები დამწველად,
თორემ ენა სად ჰქონდა მწუხარების სათქმელად.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მოწოდება გაისმის ოპტიმიზმით აღსავსე ლექსში „ჩემი ალავერდი“, რომლის ისედაც მეზრძოლ სტრიქონებს რალაც მაგიურ ელერადობას შატებდა ავტორის — განუმეორებელი დეკლამატორის — წაკითხვა:

სისხლი ჩვენი ჩვენს ტბილ აღმზრდელს
გადავასხათ, მოვალეკოთ,
ან სულ გავწყდეთ ბრძოლის ველზე,
ან მცველებად უნდა ვეყოთ.
ესე ვუთხრათ: საქართველოვ,
აღსდექ, გასდი კვლავ თავხედი,
არა რა არს უსამველო,
ყმაწვილებო, ალავერდი.

ერთხანად მამია, ისევე როგორც გენიალური ბარათაშვილი, სიყვარულში ეძებდა შვებას, უმალლეს ბედნიერებად თვლიდა სატრფოს კალთაზე თავის მიდრეკას, მაგრამ აქაც დაიამსხვრა და იავარიქმნა მისი სამლოცველო ტაძარი.

როგორც აღვნიშნეთ, ილიასა და აკაკის შემოქმედების

იდეური ზეგავლენით პატრიოტული მოტივი მამია გურიელის შემოქმედებაში, ბოლო ხანებში მაინც, თითქმის გაბატონებულ მოტივად იქცა. ცხოვრებით მოღლილ-მოქაჩული პოეტი გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და საფლავში უკეთესი მომავლის ნატვრა ჩაიტანა:

ფოთოლთ შრიალი ჩამომასმენდეს
სამშობლოსა ბედნიერებას,
ჩიტთა ჭიკჭიკი გამაგონებდეს
მისსა დიდებას, მის განათლებას!
ბუღბული სტვენით ჩამძახდეს მარად,
რაც გულისათვის უფრო ტკბილია,
რომ მთელ კავკასში მტკიცედ და მყარად
კეთილდღეობა დადგენილია.

მეტად რწმუნდობლივია, რომ უმაღლესი არისტოკრატიის ჩამომავალმა პოეტმა, კვლავ თერგდალეულთა გავლენით, საკმაო ადგილი დაუთმო სოციალურ საკითხს. ამ თემაზე დაწერილი ლექსებიდან შესანიშნავია „ქობულეთური ყანის სიმღერა“, რომელშიც აკაკისებური სიმანჭილითა და ენობრივი სამკაულითაა გადმოცემული მშრომელი გლეხობის შიშიმე ზვედრი თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის გარემოცვაში.

ლატაკი და უფლებააყრილი გლეხი ასე ჩასტირის მიწას:

ყრველდღე გეაღერსებით,
გავლებთ მოპირულ თოხსაო,
მაგრამ ჯერ ვერა ვუშველეთ
ჩვენს წაფერდებულ ქოხსაო.

მართალია, მამია იდეურ-თემატოკურად რომანტიზმის რკალში იყო მომწყვდეული, მაგრამ საგულისხმოა ისიც,

რომ მან შეგნებულად გაიზიარა მესამოციანელთა ესთეტიკური შეხედულებანი პოეზიისა და პოეტის დანიშნულებაზე.

პოეტის მოქალაქეობრივი ვალდებულების თავისებური ჰიმნია ცნობილი ლექსი — „პოეტი და ჩვენება“.

განცალკევებითა დგას მისი ყველაზე პოპულარული ლექსი „ადამიანი“, რომელსაც ავტორი ფართო აუდიტორიის წინაშე განსაკუთრებული პათოსით კითხულობდა.

აღნიშნულ ლექსში საკმაოდ შეკუმშულ და ლოგიკურად გამოკვეთილ იმბატვრულ ფორმებშია მოცემული ადამიანის მოქალაქეობრივი დანიშნულება, მისი ყველაზე საამაყო ტიტული, რომ ის ყველგან და ყოველთვის ადაჰიანია, რომ ერთსა და იმავე დროს პარნასზეც ავა და ბრბოს საყაყანოც გაზღება, ღმერთიცაა და ჭიაც.

გარდა ორიგინალური ლექსებისა, მამიას აქვს რუსულა და ევროპული პოეზიის ნიმუშების თარგმანებიც. იგი უფრო ისეთ პოეტებს თარგმნიდა, რომელთა შემოქმედების ნაღვლიანი ტონიც შინაგანად ესალბუნებოდა მის სულიერ განწყობილებას (ბაირონი, მუერი, სოლოგუბი).

მამია გურიელის პოეტური მოღვაწეობის გვერდით საჭიროა გავიხსენოთ ის საბრძოლო დამსახურებაც, რომელიც მას თავისი დროისათვის მიუძღვის სამშობლო ქვეყნის წინაშე. რუსეთ-ოსმალეთის ომში მამიას ხმალიც ვაჟაკურად ელაგდა. სისხლის მღვრელი ომების უშუალო მონაწილე პოეტა 1853-55 წლებში, ყარსის აღების ისტორიულ დღეებში, მძიმედ დაიჭრა. მამია გურიელს არც 1857-59 წლებში ჩაუგია ხმალი.

ქართველი ხალხის სახელოვან შეილებთან გრიგოლ და ზაქარია ორბელიანებთან ერთად ახალგაზრდა უნტეროფიცე-

რი თავგანწირულად იბრძოდა შამილის ურდოების წინააღმდეგ, მცირე შესვენების დროს კი დალისტნის აულებში სატრფოსთან გასაგზავნად ბარათებს ჰქარგავდა.

ერთ-ერთ ინტიმურ ლექსში სანგრებში ღამენათევი პოეტი ასეთი სტრიქონებით აბრალებდა თავს თავის სათაყვანოს:

ნახე შენსა მწერალსა
როგორ იმსახურებენ:
შენს ბუღბულს, შენს მღერალსა
შემას აზიდვინებენ.

მამია გურიელის საბრძოლო დამსახურება ჰქონდა მხედველობაში რუს ოფიცერს მენშიკოვს, როცა დაკრძალვის დღეს (1891 წელს) პოეტი დაახასიათა, „როგორც უკეთესი პატრიოტთაგანი და თავისი საყვარელი მამულისათვის მებრძოლი“.

მამია გურიელის უპირველესი ნატვრა ის იყო, რომ თუ თვითონ ვერ მოესწრებოდა, მისი სიკვდილის შემდეგ მაინც გამხდარიყო საყვარელი სამშობლო თავისუფალი, ძლიერი და ბედნიერი.

1

უცხოელების უკმალო ვაქა-ფაქვანას უსიქლოგოიკი და პერიოგოიკი ნაუკაქვიან

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მდიდარ ფონდში ერთი საქმაოდ ძველი, მაგრამ ფრიად საინტერესო რვეული ინახება¹.

ეს რვეული ვაქა-ფაქველას მამის პავლე რაზიკაშვილის ხელიდანაა გამოსული და ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში „დარიგებანი“ სახელწოდებითაა ცნობილი².

მართალია, მასში თავმოყრილი სწავლა-მოდერებანი არც ორატორული ხელოვნებით გვნიბლავენ და არც ეთიკურ-ფილოსოფიური მსჯელობის სიღრმით გვაფიქრებენ, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით ნამდვილად საგანგებო ყურადღების ღირსნი არიან.

პავლე რაზიკაშვილის „დარიგებანი“ ძვირფას მასალას შეიცავს არა მარტო მე-19 საუკუნის II ნახევრის ფაქვანესეურეთის ეთნოგრაფიული ყოფისა და ამ მხრის რელიგიურ-სარიტუალო წარმოდგენათა გასაცნობად, არამედ, უპირ-

¹ ვაქა-ფაქველას არქივი, № 209 (S-5322).

² სოლ. ყუბანეიშვილი, ვაქა-ფაქველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატინე, თბილისი, 1940 წ., გვ. 234.

ველეს ყოვლისა, ერთ-ერთ ყველაზე უშუალო წყაროსაც წარმოადგენენ გენიალური ვაჟას მსოფლშეგრძნების, მისი შემოქმედებისა და პოეტური ენის სპეციფიკის შესასწავლად.

და აი, როცა ამ მადლიანი კაცის ხელნაწერს ვკითხულობდით, როცა ჟამთაღმდენისაგან გადაყვითლებული, დაშლილი და დაზიანებული რვეულის 43-ე გვერდს გავცდით, ჩვენი ყურადღება მიიქცია მისმა გაგრძელებამ (44-დან 54-მდე გვერდის ჩათვლით), რომელიც ცალკე რვეულის სახით ერთ-ვის პავლე რაზიკაშვილის ხელნაწერთა ძირითად ნაწილს (ნუმერაცია რვეულის ცალ გვერდზეა ნაწარმოები).

ეს სხვადასხვაობა პავლე რაზიკაშვილის ხელნაწერსა და მასთან მიკედლებულ ნაწილს შორის ნიშანდობლივი შეიქნა არა მარტო გარეგნულად, არამედ იდეურ-თემატურად, მსჯელობის ფორმით, სტილით.

კარგად ვიცნობდით რა სხვა ხელნაწერების მიხედვით ვაჟას ხელრთვას (თუმცა კალიგრაფიულად მამა-შვილის ნაწერს ბევრი მსგავსებაც აქვს), ჩვენ მაშინვე გვენიშნა, რომ ეს რვეული დიდი პოეტის კალმის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ჩანს, ვინც თავდაპირველად ვაჟას ხელნაწერთა აღწერა-კლასიფიკაციას ახდენდა, რაღაც მოსაზრებით ეს რვეული პავლეს „დარიგებათა“ გაგრძელებად მიიჩნია, რაც, ცხადია, შეცდომა იყო. უდავოა, ამ შეცდომის სათავე ვაჟასეული რვეულის ის თეოლოგიური დასაწყისი უნდა გამხდარიყო, სადაც ლაპარაკია ცისა და ქვეყნის შემოქმედზე, სულზე, ტაძარზე. ვაჟას არქივის მომწესრიგებელმაც ბევრი აღარ ახანა, მომდევნო სტრიქონებს აღარ ჩაჰყვა და ეს რვეულიც (შესავალი და ბოლო ნაწილი აკლია) პავლე რაზიკა-

შვილის რელიგიურ „დარიგებათა“ ორგანულ ნაწილად ჩათვალა.

ასე დაბინავდა ერთად არქივის მდუმარე სეიფში მამა-შვილის ხელნაწერი¹.

მართალია, ჩვენთვის სურათი უკვე ნათელი იყო, მაგრამ ცნობისმოყვარეობისათვის მაინც ჩავხედეთ სოლ. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილ „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეს“. და იქ, სადაც ლაპარაკია პავლე რაზიკაშვილას „დარიგებათა“ შესახებ, წიგნის სქოლიოში ასეთი შენიშვნა ამოვიკითხეთ: „აქვეა ვაჟას დეფექტური ხელნაწერიც, რომელიც უმთავრესად შვილის აღზრდის საკითხს ეხება“².

ჩვენც მეტი რაღა გვინდოდა... დაუყოვნებლივ შევუდგით ვაჟა-ფშაველას დღემდე უცნობი, გამოუქვეყნებელი ხელნაწერის გაცნობა-გადმოწერას. და აი, ახლა უკვე ხელთა გვაქვს დიდი პოეტის მეტად საინტერესო, შეიძლება ითქვას, ერთადერთი, თუმცა არასრული ნაშრომი, რომელშიც დაკვირვებული ფსიქოლოგისა და ღრმად ჩანედული პედაგოგის თვალათაა დანახული ბავშვთა სულიერი სამყარო, მათი ფსიქიკური განცდები, მშობლების აღმზრდელობითი როლი და მოვალეობა შვილების წინაშე.

იბადება კითხვა: როდის და რატომ დასჭირდა პოეტური გენიით აღგზნებულ ვაჟას ამ საკითხებს ჩაფიქრებოდა და,

¹ ცხადია, ამერიიდან პოეტის ხელნაწერი ვაჟას პირად არქივში უნდა იქნას შეტანილი სათანადო განმარტებით.

² სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე, გვ. 234.

თუ შეიძლება ითქვას, თავისებური ტრაქტატი დაეწერა ბავშვების აღზრდაზე, მშობლების მოვალეობაზე?

ამ თვალსაზრისით საჭიროდ მიგვაჩნია ერთბელ კიდევ გავიხსენოთ დიდი პოეტის ბიოგრაფია, მისი ურთიერთობა სკოლასთან, პედაგოგიურ საქმიანობასთან.

როგორც ცნობილია, დაამთავრა თუ არა გორის საოსტატო სემინარია (1882 წ.), კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ ვაჟა იმავე წლის 1 ივლისიდან მასწავლებლად დანიშნა ერწოში, სოფ. ამტნისხევში.

მიუხედავად ცუდი პირობებისა, ახალგაზრდა პედაგოგი დიდი გატაცებით შეუდგა მომავალ, თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს. „როგორც მასწავლებელი, — წერს პოეტის ბიოგრაფი სოლ. ყუბანეიშვილი, — ვაჟა მხნე და ბეჯითი იყო, მოწაფეებს ღამეც კი ასწავლიდა“¹.

ყურადღების ღირსია ისიც, რომ პოეტმა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებით რამდენიმე ეგზემპლარი „ბუნების კარი“ და „დედაენა“ გამოიწერა, რითაც ამ სკოლაში დედაენაზე სწავლების საქმეს დიდი ამაგი დასდო. ეს კი გაბედული ნაბიჯი იყო 80-90-იან წლებში, როცა მთელ იმპერიაში საშინელი რეაქცია მძვინვარებდა, როცა მეფის გაქნილი აგენტების პოზედონოსცევოსა და დიმ. ტოლსტოის „საგანმანათლებლო“ პოლიტიკის შედეგად ნაციონალური უმცარესობის სკოლებიდან სასტიკად იღვევებოდა მშობლიური ენა.

როგორც მოწინავე და რადიკალური იდეების ადამიანი.

¹ სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების პატრიანე, გვ. 167.

ვაჟა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. სხვათა შორის, მისი პედაგოგიური „საქმიანობის“ გასაცნობად სოფ. ამტნისხევში საგანგებო დავალებით მიდის სახალხო სკოლების ინსპექტორი დარსკი, რომელსაც უკიდურესად ტენდენციური და თვითნებური გამოხდომებისათვის ვაჟა მეტად „უკმეხად“ ხვდება.

მიუხედავად ამისა, დარსკიმ ყველაფერი ხელაღებით ვერ ჩაწიხლა. რევიზორმა მაღალი შეფასება მისცა ვაჟას პედაგოგიურ ოსტატობას და შემდგომი წარმატებაც კი უსურვა ამ სარბიელზე.

არქივში ახლაც შემონახულია დარსკის გამოკვლევის ანგარიში, სადაც ვკითხულობთ: სკოლაში ყველაფერი კარგად არის და ვაჟაც საუკეთესო მასწავლებელიაო.

ადგილობრივ მოხელეებთან სერიოზული შეტაკების გამო ვაჟას აქაც აღარ ედგომებოდა. პოეტზედაც ახლა ნათქვამი: ერთი ჭირი მარგებელიაო...

სულ მალე ცოდნის გაღრმავების მიზნით ვაჟა პეტერბურგში მიემგზავრება და თავისუფალ მსმენელად ისმენს იურიდიული ფაკულტეტის ლექციებს.

1884 წელს ეკონომიური ხელმოკლეობის გამო ვაჟა სამშობლოში ბრუნდება და თან ჩამოაქვს მცირეოდენი ლიტერატურა, მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან მოსმენილი ლექციების ვრცელი კონსპექტები.

სოფელ ოთარაშენში (ამილახვრის ოჯახში) მცირე ხნის შინამატწავლებლობის შემდეგ, 1886 წლის ოქტომბრის თვეში, ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება ვაჟას მასწავლებლად ნიშნავს დიდი თონეთის სკოლაში (ეს სკოლა საზოგადოებამ 1883 წელს გახსნა და მასწავლებლად

თავისივე სტიპენდიანტი ბ. ჭილაძე დანიშნა; შემდეგში ავად-
მყოფობის გამო იგი ვაჟამ შესცვალა).

ვაჟა-ფშაველას პედაგოგიური მოღვაწეობის ამ პერიოდზე
ცოტა უფრო ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რომ ვფიქრობთ,
ჩვენთვის საინტერესო, დღემდე უცნობი ხელნაწერი ვაჟას
სწორედ ამ ხანებში უნდა დაეწერა და მოხსენების სახით
გაეტანა დიდი თონეთის მრავალრიცხოვანი მოსახლეობის წი-
ნაშე (ვაჟას გადმოცემით მოსახლეობის რიცხვი 1.200 სულს
შეადგენდა).

ვაჟა-ფშაველას პედაგოგიური მოღვაწეობის ამ პერიოდის
მონაცემები ცხადად მეტყველებენ, რომ ახალგაზრდა მასწავ-
ლებელი მთელი გატაცებით მიეცა მისთვის საყვარელ საქ-
მეს. პოლიტიკური რეაქციის სუსხიან წლებში იგი ნამდვილი
ხალხოსნური ენთუზიაზმით იჭრება სოფლებში და როგორც
სკოლაში, ისე მოსახლეობის ფართო ფენებში გაბედულად
აჩაღებს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

თანაც დიდი ილიას ეროვნულ-გამათავისუფლებელ იდე-
ებზე აღზრდილი პოეტი თვითმპყრობელობის საწინააღმდე-
გო აზრებს ქადაგებს, უკეთესი მომავლის იმედით ასაკლ-
დევებს თანამოდმე მთიელების გაუტეხელ გულსა და რწმე-
ნას.

ფრიად საყურადღებოა, რომ ცოტა უფრო ადრე, ვიდრე
მასწავლებლობას დაიწყებდა, გორის ხალხოსანთა წრესთან
დაახლოებულ ვაჟას ერთ-ერთ არალეგალურ კრებაზე სიამა-
ყით განუცხადებია: „კოკისპირულ წვიმასა და ქარბუქში შე
გამოვიარე თითქმის მთელი ფშავ-ხევსურეთი და ყველგან
ერთსა და იმავეს მეკითხებოდნენ — როგორ გადაწყდება მი-
წის განაწილების საკითხი. უკეთუ გლეხებს მივცემთ მიწას,

ჩვენს მუშაობას ექნება დასაყრდენი სოფლად და წელში გაწყვეტილ გლეხობას გადმოვიყვანთ ჩვენს მხარეზე. მაშინ საფუძველი ეცლება მთავრობას და ჩვენთვის საშიში არ იქნება არც მემამულეების მუქარა, არც მეფის რუსეთის ბიშტიანი ლეგიონები“¹.

დავუბრუნდეთ ისევ ვაჟას მასწავლებლობის წლებს.

შეუდგა თუ არა მუშაობას დიდი თონეთის სკოლაში, მომავალი თაობის ბედით შეწუხებული პედაგოგი მოხსენებას მოხსენებაზე წერს მაზრის უფროსისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე. ამ მოხსენებითს ბარათებში ვაჟა დასაბუთებულად, მთელი კატეგორიულობით მოითხოვს სასწავლო-საადმინისტრაციული პირობების გაუმჯობესებას, სკოლისათვის მატერიალური, თუნდაც ელემენტარული ბაზის შექმნას, მასწავლებლის უფლებისა და ავტორიტეტის დაცვას ადგილობრივ მოხელეთა თავგასულობისაგან.

ვაჟას დაუცხრომელი სურვილია, მოსწავლეთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი შემოიკრიბოს, დიდი თონეთის სკოლას სასწავლო-საადმინისტრაციული დაწესებულებების სახე მისცეს. ერთ-ერთ მოხსენებითს ბარათში, რომელიც წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების მისამართითაა დაწერილი, მუშაობას მოწყურებული ვაჟა წერს: „როგორც საზოგადოება და მამასახლისი იმედს მაძლევენ, მოსწავლეთა რიცხვმა ერთი ორად უნდა იმატოს“².

¹ სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული II, მ. კეკელიძე, ლუკა რაზიკაშვილი, 1955 წ., გვ. 225.

² სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე, გვ. 186.

როგორც ყოველთვის, აქაც ვაჟა მოწოდების სიმალლეზე დგას. იგი სასტიკად ებრძვის მათ, ვინც მას ამ დიდ ეროვნულ საქმეში წინ ეღობება, ხელს უშლის.

თუ რა პედაგოგიური გატაცებით მუშაობდა ახალგაზრდა მასწავლებელი სკოლის კეთილმოწყობისათვის, მოსწავლეთა მოზიდვისა და ცოდნით შეიარაღებისათვის, ამაზე მკაფიოდ მეტყველებენ დიდი თონეთის სკოლაში მრავალჯერ ჩატარებული რევიზიის მასალები.

ამ რევიზიების სიხშირე და სიმკაცრე უმეტესად გამოწვეული იყო იმ გაბმული საჩივრებით, რომლებსაც წერდნენ დემოკრატიული ძალებისადმი, კერძოდ, მებრძოლი და სამართლიანობის დამცველი ვაჟასადმი მტრულად განწყობილი ადგილობრივი მოხელეები.

განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო პოეტის შეტაკებამ თავგასულ მამასახლისთან, რაც საბოლოოდ ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა.

დიდი თონეთის სკოლაში ჩატარებული რევიზიების მასალებიდან და თვით ვაჟას ახსნა-განმარტებითი მიმოწერიდან სავსებით ნათელი ხდება, რომ ახლად დანიშნული პედაგოგის უპარველესი ზრუნვის საგანი სოფლის ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმა და მათი აღზრდა-განათლება იყო. ამ მიზნის მისაღწევად ვაჟას განსაკუთრებული მუშაობა, თავისებური პედაგოგიური პროპაგანდის გაწევა უხდებოდა მშობლებთან. კიდევ მეტი: როცა დარწმუნება არ უმართლდებოდა, იგი მუქარითა და ჭარბით ცდილობდა მათ „მორჩულებას“.

ნიშანდობლივია, რომ როცა ამაყმა ვაჟამ უწესო, ხალხის შემაწუხებელი მამასახლისი მიბეგვა, მაშინაც არ დაივიწყა თავისი მაღალი მოვალეობა და თავქუდმოგლეჯილს

მაძახა: შვილი სკოლაში გამოგზავნე, თორემ უარეს დღეს დაგაყენებო. თუ რა წინააღმდეგობები ელობებოდა ვაჟას მშობლების მხრივ, რა ბრძოლა და ღონისძიებების გატარება უხდებოდა მას ბავშვების შემოკრების მიზნით, მოვუსმინათ კვლავ მის ბიოგრაფს: „სკოლაში ნორმალურ მუშაობას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ მშობლები ხშირად თავიანთ შვილებს სკოლაში გაგზავნის ნაცვლად ნახირში ან სხვა სამუშაოზე გზავნიდნენ“¹.

ვაჟა ძალ-ღონეს არ ზოგავს, რათა ბავშვები მიიზიდოს, მეცადინეობაში ჩააბას, სკოლა სკოლას დაამსგავსოს. პოეტი მარტო სავალდებულო გაკვეთილების ჩატარებით არ კმაყოფილდება; ბუნების წიაღში, მშობელი მხარის საკეთილდღეოდ მზრუნველი ვაჟა თავისებურ კლასგარეშე მუშაობასაც ეწევა; ნიქით აღსავსე მთიელებში იგი ამ გზითაც აღვიძებს სწავლის სიყვარულს, ბიძგს აძლევს ცოდნის შეძენის წყურვილს, აფაქიზებს პატარების სულსა და გულს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ უთუოდ დიდი იქნებოდა ადგილობრივ მოსახლეობასა და მოზარდ თაობაზე ახალგაზრდა პედაგოგის აღმზრდელიობითი ზემოქმედების ძალა. მართლაც, ერთხანად ვაჟამ კიდევაც მიაღწია საწაღელს, გაპარტახებული და გამოკეტილი სკოლა ფეხზე დააყენა, აახმაურა, ბავშვები შემოიკრიბა და მთელი გატაცებით მიეცა საქმეს.

რევიზიების გამო გამწვავებული მდგომარეობის შესახებ საზოგადოების სახელზე დაწერილ ერთ-ერთ განმარტებითს ბარათში ვაჟა თუმცა თავმომწონედ, მაგრამ თანაც გულის-

¹ სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატყანე, 1937 წ., გვ. 190.

წყრომით აცხადებს: „ჩემს სკოლაში დღეს 40 შეგირდი სწავლობს. მეტი ადგილი არც კი არის. თუ ხუთიოდე შეგირდის მეტი არა მყავს, მაშ რის მუშა ვარ?

ნუთუ 300 მანეთია თავი და ბოლო ჩემის კაცობისა და სხვა არაფერი? არ ვიცი, ღმერთმანი, რაღა ვთქვა?“

აღნიშნული საზოგადოების წევრისა და მდივნის, იაკ. მანსვეტაშვილის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მასალებიდან მთელი სიცხადით ირკვევა, რომ ვაჟას, როგორც პედაგოგს, დიდი თონეთის სკოლაში მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მოვალეობის შესრულება, რომ მას სიცოცხლეს უწამლავდნენ და სისხლს უშრობდნენ არა მარტო ბიუროკრატიის ჯაშუში მოხელეები, არამედ ჩარჩ-ვაჭრული სულისკვეთებით შეპყრობილი ადგილობრივი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ფენებიც.

ვაჟა მაინც არ იშლის თავისას, ცდილობს ცოდნის შეძენის შეგნება და სიდიადე დანერგოს ხალხში: „თვითონ მე იძულებული ვხდები ხშირად ვაწუხო ხალხი“, — აცხადებს ერთ საპასუხო ბარათში იგი.

თუ როგორ დონეზე მდგარა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმე დიდი თონეთის სკოლაში ან რა კვალი დაუტოვა მათს ყოფაქცევასა და აკადემიურ წარმატებაზე ახალგაზრდა მასწავლებელს, ამაზე კვლავ ი. მანსვეტაშვილს მოვუსმინოთ: „მასწავლებელს თამამად ეპყრობიან და ამასთანავე დისციპლინაც კი მშვენივრად არის დაცული, ეტყობა მასწავლებელს ყმაწვილები შიშით კი არა, სიყვარულით მოუხადირობია“ (იქვე, 196). ვაჟას მოწინააღმდეგეთა პროვოკაციული საჩივრების საპასუხოდ ი. მანსვეტაშვილი იქვე დასძენს: „შეგირდები პასუხს რიგიანად იძლევიან და ეტყობათ, ესმით,

რაზედაც პასუხს ამბობენ და არა თუთიყუშივით გაუზეპირებით“ (ამ შემოწმების დროს სკოლაში 26 ბავშვი გამოცხადებულა).

ვიმეორებთ, ვაჟა-ფშაველას პედაგოგიური მოღვაწეობის ამ პერიოდზე შედარებით დიდხანს იმიტომ შევჩერდით, რომ ჩვენი ვარაუდით, ჩვენთვის საინტერესო რვეული ამ ხანებში უნდა იყოს დაწერილი და მოხსენების სახით მშობელთა წინაშე გამოტანილი. ეს კი უნდა მომხდარიყო 1886 წელს, როცა ვაჟა თონეთის სკოლაში დიდი წადილით მივიდა და ნამდვილად მხურვალე გატაცებით ჩაება მისთვის სათაყვანო პედაგოგიურ საქმიანობაში. მას დიალაც ეამაყებოდა კულტურის თავისებური ალამდარი ყოფილიყო სამშობლო ქვეყნის ერთ-ერთ მიყრუებულ კუთხეში და თანაც პირნათლად მოეხადა ვალი ისეთი დიდი ეროვნული დაწესებულების წინაშე, როგორც ამ ხანებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ვაჟა მთელი გატაცებით ტრიალებდა ხალხში, განსაკუთრებით ახლოს იდგა მშობლებთან, რომელთაგანაც ბევრ რამეს მოითხოვდა ვზააბნეული შვილების მიმართ.

ირკვევა, რომ ამ საკითხზე ვაჟას ბევრი აღმზრდელითი საუბარი ჩაუტარებია, მრავალგვარი რჩევა-დარიგებით მიუშართავს მათთვის. ი. მანსვეტაშვილიც გვიმოწმებს: „მასწავლებელმა წინათვე მითხრა, რომ გლახებს რამდენჯერმე ველაპარაკეო“ (იქვე, გვ. 199).

ფრიალ საყურადღებოა, რომ ვაჟა დაჟინებით მოითხოვდა მეოთხე განყოფილების გახსნასა და მეცადინეობის ორ ცვლად მოწყობას (მოზრდილებისათვის დილის საათებში, პატარე-

ვისათვის კი 'ნაშუადღევს). მიუხედავად ასეთი ენთუზიაზმისა, ადგილობრივი მოხელეები ბოროტი მამასახლისის მეტაურობით ვაჟას ათასგვარი დაბრკოლებით უღობავენ გზას, პროვოკაციული საჩივრებით ცდილობენ სახელი გაუტეხონ მას.

ვაჟა მაინც არ იღრეკდა ქედს, მტრები კი არ ცხრებოდნენ... 1888 წელს მათ ცილისწამებით აღსავსე საჩივარი დაწერეს საზოგადოების თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძის სახელზე და მისი უწყებისადმი დაქვემდებარებული სკოლიდან დაჯინებით მოითხოვეს ვაჟას გაძევება.

მალე საზოგადოებამ ამ საჩივრის საფუძველზე დიდი თონეთის სკოლაში სარევიზიოდ მოავლინა ალ. მირიანაშვილი. არდადეგების გამო ვაჟა ადგილზე არ აღმოჩნდა, იგი ჩარგალში იმყოფებოდა. ალ. მირიანაშვილმა ძალზე ტენდენციურად და ზერელედ შეაფასა ვაჟას მუშაობა და პოეტის განთავისუფლების პროექტი წარადგინა.

ბუნებით ამაყი ვაჟა დიდხანს ებრძოდა ადგილობრივ ყვავ-ყორნებს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც იძლია.

მისი საკითხი ი. მაჩაბლის თავმჯდომარეობით განხილულ იქნა ერთ-ერთ სხდომაზე და მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის მიუხედავად (მის მოხსნას მხარს არ უჭერდნენ ა. ჭყონია და ნ. ცხვედაძე) ვაჟა განთავისუფლებულ იქნა მასწავლებლობიდან.

ასე უნებურად და უმადურად გამოეთხოვა ვაჟა სკოლას.

ამიერიდან იგი ჩარგალში დამკვიდრდა და იქ აღაგზნო ის შემოქმედებითი ცეცხლი, რომელიც თვალისმომჭრელი ელვარებით ანათებს მთელ პოეტურ სამყაროს.

ვაჟა სიკვდილამდე მომავალი თაობის მოტრფიალე დარ-

ჩა. თავისი დიდი წინამორბედის დ. გურამიშვილის მსგავსად, ერის ხსნას, მისი მომავლის საიმედო დასაყრდენს ისიც ახალგაზრდობაში ხელავდა. ბავშვების ეს დიდი სიყვარული ვაჟამ თავის უკვდავ საბავშვო ნაწერებში ჩააქსოვა, — იგი ხომ შეუდარებელი საბავშვო მწერალიცაა!

ფრიად საყურადღებოა, რომ ვაჟას სიკვდილამდე არ აუღია ხელი უკეთილშობილეს განზრახვაზე — პრაქტიკულად მოეხადა ვალი ახალგაზრდობის წინაშე. დიდი პოეტის არქივში ახლაც დაცულია მისი მოხსენებითი ბარათი (დაწერილი 1893 წ.) ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე, სადაც იგი მჭევრმეტყველურად ასაბუთებს ფშავისა და ივრის ხეობაში მოძრავი სკოლების გახსნის აუცილებლობას, ამ სკოლების უზრუნველყოფას მომზადებული და გამოცდილი პედაგოგით. აი, რას ვკითხულობთ ამ ბარათში: „ეს ოცი წელია ფშავის ხევმა (არაგვის და ივრის ხეობა) აღარ იცის რა არის სკოლა და მასწავლებელი, თუმცა ფშავეები დიდი მოყვარულნი არიან სწავლისა. შფავში რომ გაიმართოს ერთი მოძრავი სკოლა, თუ ხეირიანი მასწავლებელი ექნა, გაუწევს ექვსი სკოლის სამსახურს“¹.

უნდა ვიფიქროთ, რომ უსამსახუროდ დარჩენილი ვაჟა უარს არ იტყოდა თვითონ ჩასდგომოდა ამ საპატიო საქმეს სათავეში, მაგრამ როგორც ბევრი სხვა სურვილი, მისი ეს განზრახვაც იმხანად განუხორციელებელი დარჩა. დასაფარავი არაა, რომ სულით გაუტეხელ ვაჟას მძიმე მატერიალურ პირობებში უხდებოდა ცხოვრებასთან ბრძოლა, ბოლოს სწავლებამაც დარია ხელი და, წარმოიდგინეთ, სულისჩამდგმე-

¹ სოლ. ყუბანეიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 226.

ლი მთების დატოვებაც კი აფიქრებინა. ნამდვილად გულის-
მომკვლელი გრძნობების აღმძვრელია ნაღველში ამოვლებუ-
ლი სტრიქონები, დაწერილი 1909 წელს „ნაკადულის“ რე-
დაქტორის მ. დემურიას სახელზე:

„ჩემმა სოფლად ცხოვრებამ ბევრი არც არა სოფელს არ-
გო და მე ხომ დამაუძლურა ყოველმხრივ. მეყოფა ამდენი
ძალღუმადური ცხოვრება. საზოგადოებას თუ რადმე ეფასა
ჩემი თავი, მიპატრონოს“¹. გენიოსის მუდარა არავინ ისმინა,
უპატრონობამ და გართულებულმა ავადმყოფობამ იგი სრუ-
ლიად ახალგაზრდა მიიყვანა სამარის კართან.



დავუბრუნდეთ ვაჟას დღემდე უცნობ რვეულს და მასში
გამოთქმულ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ მოსაზრებებს.

გვაქვს თუ არა საფუძველი ვთქვათ, რომ ეს აზრები და
დებულებანი მთელი კანონზომიერებით, სავსებით ბუნებრი-
ვად გამომდინარეობენ დიდი პოეტის პრაქტიკული და თეო-
რიული ცოდნის არსენალიდან?

როგორც უკვე ითქვა, ვაჟამ გორის საოსტატო სემინარია-
ში თავისი დროისათვის საუკეთესო განათლება და პედაგოგი-
ური დაოსტატება მიიღო.

ამ ხანებში აღნიშნული სემინარიის სული და გული იყო
უშინსკის ნამოწაფარი და მის მოწინავე ოდეებზე აღზრდილი,
დიდად ჰუმანური პიროვნება დიმიტრი სემიონოვი (გორის
სემინარიაში პირველმა მან შემოაღებინა ქართული ენის

¹ ურ. „ჩვენი თაობა“, 1935 წ., № 3—4.

სწავლება. — ს. ს.). დ. სემიონოვმა, როგორც სასწავლებლის ხელმძღვანელმა და პედაგოგიკის თვალსაჩინო თეორეტიკოსმა, სამაგალითო განმარტებითი ბარათი დაურთო პედაგოგიკის პროგრამას, სადაც შეტად მკაფიოდ განსაზღვრა პედაგოგიკის სპეციფიკა თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, საერთოდ ამ საგნის დიდი როლი და ადგილი სახალხო მასწავლებლის მომზადების საქმეში. ამ ბარათში სემიონოვი მოუთითებდა, რომ „პედაგოგიკის სრულ კურსში, როგორც ცნობილია, შედის 4 განყოფილება: ა) საკუთრივ პედაგოგიკა, ბ) დიდაქტიკა, გ) სპეციალური მეთოდოლოგია, დ) თეორიული საგნისა და აღზრდის ისტორია“¹.

რამდენადაც ვაჟა მოწაფეობის წლებში ამ პიროვნებისადმი დიდი სიმპათიებით იყო განწყობილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას მისი იდეური და ზნეობრივი გავლენაც უნდა განეცადა.

დ. სემიონოვის ენერგიული მოთხოვნითა და მეთვალყურეობით სემინარიაში პედაგოგიკის სწავლება შედარებით მაღალ დონეზე იდგა, სახალხო მასწავლებელთა მომზადების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

ვაჟაც, როგორც მომავალი მასწავლებელი, ჯერ კიდევ მოსწავლეობის წლებში მთელი გატაცებით სწავლობდა პედაგოგიკას და მის მოსაზღვრე დისციპლინებს, ტექსტებში ეცნობოდა პედაგოგიკის გამორჩენილ კლასიკოსთა შრომებს.

აღსანიშნავია, რომ მისი ცოდნის შეფასება პედაგოგიკაში თითქმის ყოველთვის „5“-ს იმსახურებდა.

¹ მის. კეკელიძე, დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში, 1954 წ., გვ. 23.

არანაკლები სერიოზულობით ეკიდებოდა ვაჟა პრაქტიკული გაკვეთილების გადაცემას. არცთუ მცირე დროის მანძილზე, დახელოვნებული პედაგოგების ხელმძღვანელობით, მან სამაგალითო წრეთნა მიიღო, სათანადოდ შეიარაღდა პრაქტიკოსი პედაგოგისათვის საჭირო მეთოდური ცოდნით, ტაქტიით, ჩვევებით. იმდროინდელი საარქივო მასალები მოგვითხრობენ, რომ ვაჟა გადასაცეში გაკვეთილების ვრცელ კონსპექტებს ადგენდა, წინასწარ ათანხმებდა საგნის მასწავლებელთან და ისე შედიოდა კლასში.

გორის საოსტატო სემინარიაში აღსაზრდელებისადმი ამ მიმართულებით გაწეულ მუშაობაზე სახსებით სწორად შენიშნავს მიხ. კეკელიძე, როცა წერს: „გორის სამასწავლებლო სემინარიაში განსაკუთრებულ სიმადლებზე იდგა მოსწავლეთა პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარების საქმე, რომლის წესებიც და სახელმძღვანელო მითითებებიც შეიმუშავა დ. სემიონოვმა (1879 წ.) კ. დ. უშინსკის პედაგოგიურ შეხედულებათა საფუძველზე“¹.

ყოველივე აქედან ნათელი ხდება, რომ სემინარიის კედლებიდან სხვა მოწინავე ამხანაგებთან ერთად (თ. ხუსკივაძე, ნ. ლეონიძე და სხვ.) ვაჟაც საკმაოდ მომზადებული უნდა გამოსულიყო პედაგოგიური საქმიანობისათვის.

თავის აღმზრდელებთან საზეიმო შეხვედრის დროს იგი პანიბალისებურ ფიცსა სდებდა, რომ მთელ თავის სიცოცხლეს მომავალი თაობის აღზრდას შეაღწევდა, არასოდეს უღალატებდა იმ უძვირფასეს იდეალებს, რაც მას სემინარიიდან მიჰქონდა.

¹ მიხ. კეკელიძე, გორის სამასწავლებლო სემინარია, 1955 წ., გვ. 157.

სემინარიის ხელმძღვანელობა კარგად ხედავდა ვაჟას განსაკუთრებულ სიყვარულსა და მისწრაფებას პედაგოგიური სარბიელისადმი და გამოსაშვებ სადამოწმე, საზეიმო ვითარებაში, ალბათ იმიტომაც დააჯილდოვა იგი კომენსკის უკვდავი „დიდაქტიკით“.

თავისი ცოდნა პედაგოგიისა და, კერძოდ, ფილოსოფიო-ფსიქოლოგიის საკითხებში ვაჟამ კიდევ უფრო გააღრმავა პეტერბურგის უნივერსიტეტში, იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალ მსმენელად ყოფნისას.

რამდენადაც დასახელებულ ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის კურსიც იკითხებოდა, ამდენად გამართლებული უნდა ყოფილიყო პოეტის ინტერესიც ამ საგნისადმი, მით უფრო, რომ მისი საფუძვლები და პედაგოგიკასთან ურთიერთობა უკვე გორის საოსტატო სემინარიაში ჰქონდა შესწავლილი. ასეც რომ არ ყოფილიყო, ვაჟა ბუნებით უდიდესი ინტუიციის პატრონი იყო და ადამიანის სულის ურთულეს ლაბირინთებში ადვილად შეეძლო ჩახედვა.

ერთი სიტყვით, სწავლისა და თვითდაკვირვების გზით იგი ნამდვილი ფსიქოლოგი იყო და ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს მის ახლად მიკვლეულ რვეულში თავისი დროისათვის მეტად საინტერესო მსჯელობა ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის საკითხებზე. კვლავ იბადება კითხვა: როდის და რა მიზნით უნდა იყოს დაწერილი რვეული?

როცა ამ ხელნაწერის წაკითხვას შევუდგებით, ისეთი შთაბეჭდილება დაგვჩა, თითქოს იგი რეფერატი უნდა ყოფილიყო, დაწერილი სემინარიის დამთავრების პერიოდში. მაგრამ რვეულის შინაარსმა, მსჯელობისა და გამოთქმების ფორმამ მალე დაგვარწმუნა, რომ პოეტს იგი დაუწერია დიდ თო-

ნეთში მასწავლებლობის წლებში, სპეციალური დანიშნულებით—მშობლებისათვის. ახალგაზრდა, უკვე განსწავლულ ვაჟას დიდაც ეამაყებოდა, რომ მისი სახით დიდი თონეთის მრავალფეროვან მოსახლეობას პირისპირ უნდა ეხილა ის აღამიანი, ვის ხელშიც იყო მათი შვილების სწავლა-აღზრდის ბედი. და ვაჟაც პედაგოგის მთელი კეთილშობილებით, მშობლიური გულშემატკივრობითა და მზრუნველობით დგას მშობელთა წინაშე, გატაცებით საუბრობს მათს მაღალ დანიშნულებაზე, მათს უპირველეს საზრუნავზე — შვილების აღზრდაზე.

გასაგები, მარტივი ენით აცნობს იგი თავის აუდიტორიას—თონეთელ მშობლებს — იმ ჭეშმარიტებას, რომელიც მათ ჯერ არ სმენიათ: რომ მარტო მასწავლებელი, როგორი მხურვალეც არ უნდა იყოს მისი წადილი, ვერაფერს გახდება, თუ გვერდით მშობლებიც არ ამოუდგებიან და მის მძიმე ხვედრს არ გაიზიარებენ.

აღსანიშნავია, რომ დიდი პოეტი მეტად მარტივი, ყველასათვის გასაგები ენით, ცხოვრებიდან მოტანილი, გამოცდილებით შემოწმებული მაგალითებით, გაბედულად მსჯელობს სწავლა-აღზრდის საჭირობოროტო საკითხებზე. ვაჟა არ მიმართავს მაღალფარდოვან ფრაზებს, არ ახდენს რომელიმე ფილოსოფიური სკოლის ან საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტების ციტირებას. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ვაჟას, თვითონ ზრძენსა და მოაზროვნეს, სრულიადაც არ ესაჭიროება გარეშე ავტორიტეტები, მას თვითონაც კარგად შეუძლია მოვლენების გაანალიზება და იქიდან სათანადო დასკვნების გამოტანა. და, რაც მთავარია, იგი ანგარიშს უწევს თავის აუდიტორიას, მისი ცოდნისა და მომ-

ზადების დონეს. მართლაც, ისინი ხომ რიგითი ადამიანები-
საუკუნეობრივად ჩამორჩენილი სოფლის მკვიდრნი არიან.
ამიტომაც ვაჟა მათთვის გასაგები ენით უსაუბრება სწავლა-
აღზრდის საკითხებზე, მათს დიდ მოვალეობაზე შვილების
მიმართ.

აქ ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი პოეტის
ხელნაწერში უშუალოდ ვხვდებით ისეთ გამოთქმებსა და
მიმართვებს, რომელნიც პირდაპირ მიუთითებენ მისი მოხსენ-
ების დანიშნულებაზე, მსმენელი აუდიტორიის ვინაობაზე.
თუ ვის წინაშე დგას პოეტი-პედაგოგი, ნათლად იგრძნობა
შემდეგი გამოთქმებიდანაც:

„ბევრი დამრჩა სათქმელი: ყველაფერს კაცი ერთბაშად
ვერ იტყვის. უნდა მხოლოდ ჩვენს თავს დავეკითხოთ: რო-
გორ მოვიქცეთ შვილებთან? ამისათვის საჭიროა შვილებზე
თვალყური გვექიროს და კარგი მაგალითი ვაჩვენოთ“...
„ბოროტი არ იზადება არადროს კაცი, მის გაბოროტებაში
გამზრდელი, მშობლები, თვითონ ჩვენ ვართ დამნაშავე, ამ-
ში ჩვენი უყურადღებობა და ცუდი მაგალითია. ცოლშვილ-
ში ხშირად თავდაუუქერლად ვიქცევით, რასაც უნდა ვამბობთ,
რასაც უნდა ვშვრებით, არ ვუყურებთ არც გონებას და არც
სვინდლას... ეს დაიხსოვით მკვიდრად, ნუ დაივიწყებთ“...
„დედ-მამამ უნდა შვილებს შესწირონ თავის სიცოცხლე...
უმეტესი ჩვენი ფიქრი, ყურადღება შვილებზე უნდა იყოს.
მიქცეული, თუ გვინდა ჩვენს სიტყვას შვილებმა ფასი დას-
დონ, ხუმრობითაც ტყუილი არ უნდა უთხრათ და სხვებსაც.
უნდა ვთხოვოთ, ტყუილს არ მიაჩვიონ ჩვენი შვილები...
განა მოუცლელობა და უქონლობა თავის გასამართლებელი-
საბუთია?..“

მოტანილი ამონაწერებით სავსებით ცხადი ხდება, რომ ვაჟას უცნობი ხელნაწერი სოფ. დიდ თონეთში მოღვაწეობის დროს, მშობლების პედაგოგიზაციის მიზნით საგულდაგულოდ დაწერილი მოხსენებაა.

• • •

რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ საკითხთა იმ წყებაზე, რომელთაც ვაჟა უტრიალებს, უმთავრეს ყურადღებას აქცევს.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი პოეტის ხელნაწერი დაზიანებულია (აკლია თავი და ბოლო), მაინც შეგვიძლია ხელი ჩავჭიდოთ იმ არსებითს, ძირითადას, რაც მაშინ სრულად ახალგაზრდა პედაგოგს აინტერესებდა, აფიქრებდა და აღლევებდა. დეფექტური ხელნაწერის დასაწყისში, რომელიც შესავალი ნაწილის გაგრძელებაა, ჩვენ ვეცნობით ვაჟას თეოლოგიურ მსჯელობას შემოქმედის უნივერსალიზმზე, მის ყოვლისშემძლეობაზე, ყველგანმყოფობაზე.

პოეტი მისთვის ჩვეული ხატოვანი თქმებით იმეორებს ყველა დროისა და ბანაკის ფილოსოფოსთაგან აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ ბუნებაში ყველაზე სრულფასოვანი ქმნილება ადამიანია და რომ მისი სწრაფვა პროგრესისაკენ განუსაზღვრელია.

მიუხედავად მეტაფიზიკური გადახვევებისა, მსჯელობის ამ ნაწილშიც ვაჟა გაბედულად აღიარებს სამყაროს ობიექტურ კანონზომიერებას, მისი დიალექტიკური განვითარების პროცესს. რაც უფრო ღრმად ვეცნობით დიდი პოეტის ფილოსოფიურ მემკვიდრეობას, კერძოდ, ჩვენთვის საინტერე-

ხო, დღემდე უცნობ ხელნაწერს, მით უფრო ცხადი ხდება ვაჟას თვალსაზრისი, რომ მატერია ჩვენი შეგრძნებების უშუალო წყაროა, რომ ადამიანის შემეცნება აღქმიდან იწყება, შეგრძნებათა გზით გადადის აზროვნებაში.

ვაჟა-ფშაველას ეს შეხედულებები შემეცნების დიალექტიკური გზის შესახებ ერთგვარ დამოწმებას პოულობს ლენინის გენიალურ ფორმულირებაში: „ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტულ აზროვნებამდე და მისგან პრაქტიკამდე“.

ვაჟა არსად არ ივიწყებს, რომ ასახვის პროცესში ამ ასახვის ჭეშმარიტების ნამდვილ კრიტერიუმს ადამიანის პრაქტიკა წარმოადგენს. დიდი პოეტი სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ ადამიანი ბუნების მიმართ უაღრესად აქტიურია, რომ ყველა სხვა სულდგმულისაგან განსხვავებით, სწორედ მას ახასიათებს ცხოვრების გარდაქმნის წყურვილი და პროგრესისაკენ ლტოლვა. „სული — წერს პოეტი — არის ძალა, იარაღი, რომელიც უნდა მოიხმაროს კაცმა, რომ გახდეს ჭკვიანი, გონიერი, პატიოსანი, შეიძინოს სწავლა, გამოიცადოს და ეს თავისი გამოცდილება შვილებსაც გადასცეს. სულით კაცი ყველა სხვა ცხოველზე მაღლა დგას“¹.

ფრიად საყურადღებოა, რომ ჩვენთვის საინტერესო ნაშრომში ვაჟა საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ფსიქოლოგიის საკითხებს. პოეტი ჩერდება საერთოდ აღზრდის ფსიქოლოგიურ საფუძვლებზე, ახდენს ჩვენი შეგრძნებების კლასიფიკაციას და ამით ერთგვარ ნიადაგს ამზადებს თავისი პედაგოგიკური დასკვნებისათვის.

ვაჟა ღრმად ჩახედული ფსიქოლოგის უნარს ამჟღავნებს

¹ ყველა გამოყენებული ციტატი მოტანილია ვაჟას ხელნაწერიდან.

ყველგან, სადაც კი მსჯელობა უხდება ადამიანის ფსიქიკურ პროცესებზე, ჩვენი შეგრძნებების უმნიშვნელოვანეს რეცეპტორებზე.

სათანადო თეორიული ცოდნის, უშუალო თვითდაკვირვებისა თუ სხვათა დაკვირვების განზოგადების გზით ვაჟა მეტად მისაწვდომ ფორმებში გაღმორგეცემს მეცნიერული ფსიქოლოგიის მიერ საბოლოოდ დადგენილ ჭეშმარიტებას იმის თაობაზე, რომ ადამიანის შეგრძნებები აღმოცენდებიან მასზე საგანთა ზემოქმედების შედეგად და რომ აღქმის პირველ თვისებას მისი საგნობრივობა შეადგენს. ჩამოთვლის რა იმდროინდელი ფსიქოლოგიის კლასიფიკაციით მიღებულ ხუთ ძირითად გრძნობას, დიდი პოეტი იქვე მიუთითებს მათს სასიცოცხლო მნიშვნელობაზე:

„ამ ხუთი გრძნობის შემწეობით კაცს შეუძლია გაიცნოს მთელი ქვეყანა, ხუთი გრძნობა რომ არ გვექონდეს, არაფერი გვეცოდინებოდა და თუ რამეს ვსწავლობთ, იმათ შემწეობით. ხუთი გრძნობა ბევრს გვასწავლის. ჩვენი გარეგანი გრძნობები იმნაირად არიან მოწყობილნი, რომ ყველაფერს, რასაც შეეხებიან, რაც კი ხელში ჩაუვარდებათ, გაიცნობენ, შეიტყობენ და გვაგრძნობინებენ.

...ერთი სიტყვით, სიკვდილამდე გარეგანი ჩვენი გრძნობები დაულალავად შრომობენ, მოძრაობენ როგორც ცხადად, ისე ძილში“.

ფსიქოლოგიის საკითხების განხილვის პროცესში ვაჟა დიდ ადგილს უთმობს ადამიანის შეგრძნების რეცეპტორებზე მსჯელობას.

ნიშანდობლივია, რომ მისი დასკვნები ბევრ შემთხვევაში ეხმაურება თანამედროვე ფსიქოლოგების შეხედულებებს.

თუმცა თავისი ეპოქის ზეგავლენით საკმაოდ ემჩნევა ერთგვარი შეზღუდულობისა და იდეალისტური კონცეპციების დაღი.

როგორც ვთქვით, ვაჟას უცნობ ხელნაწერში მეტად საინტერესო აზრებია გამოთქმული ადამიანის შეგრძნებებზე. როცა ვაჟა სმენაზე (იგივე ყურადღება) გველაპარაკება, სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ ადამიანის ამ უღარესად სათუთ რეცეპტორზე თუმცა მრავალგვარი გამლიზიანებელი მოქმედებს, მაგრამ ყურადღება მაინც განსაკუთრებით იმ საგანზე ჩერდება, რაც უფრო მეტად გვაინტერესებს: „თუ გვინდა წიგნის გაგება, უნდა ყურადღებით წავაკითხოთ. კაცი იმას უფრო იხსომებს, რასაც დიდ ყურადღებას აქცევს,“—გვარწმუნებს პოეტი.

მართალია, ჩვენს ყურადღებაზე შედარებით მეტი ინტენსიურობით მოქმედებენ ძლიერი გამლიზიანებლები (მაგ., როგორც თვითონ შენიშნავს, წისქვილის საცხველის რაკარუკა), მაგრამ პოეტს არც ის რჩება შეუმჩინეველი, რომ ამათუ იმ საგანზე ჩვენი ყურადღების კონცენტრაცია უცვლელი არაა, ხშირია მისი გადანაცვლება, განაწილება ერთი საგნიდან მეორეზე.

ადამიანის უდიდეს ჯილდოდ, მის უპირველეს მადლოდ მიანჩნია ვაჟას აგრეთვე სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი უძლიერესი იარაღი—მეხსიერება. პოეტი თავისებური სიტყვებით ახერხებს იმის გადმოცემას, რომ მეხსიერება ოდესღაც აღქმულის შენახვას ემსახურება (ვაჟა იგონებს და აცოცხლებს ბავშვობის შთაბეჭდილებას თავის საბლ-კარზე).

მსჯელობის ამ ნაწილშიც ვაჟა ეჭვკვირტანგლს ხდის. რომ.

ადამიანი გაცილებით უფრო ადვილად და ღრმად იმპრესი-
რებს იმას, რაც თვით გამოუცდია.

მეტად საინტერესოა პოეტის ფსიქოლოგიური დასკვნებო-
ყნოსვისა და გემოს რეცეპტორებზე: ვაჟა აქაც გამოცდილე-
ბის საფუძველზე მკვერმეტყველურად გვიმტკიცებს. რომ
საგნის აღქმა (ამ შემთხვევაში — სუნი და გემო) შეგრძნე-
ბათა საფუძველზე ხდება და რომ საგანთა საერთო ნიშანი
მათი ცალკეული თვისებების განზოგადების გზით უნდა დად-
გინდეს (ვაჟას მაგალითით, ღვინო და არაყი თუმცა სხვა-
დასხვა ფერისაა, მაგრამ მათი საერთო ნიშანი მათრობლო-
ბაა). კითხვაზე, თუ როგორ შეიტყო ადამიანმა სხვადასხვა
სასმელის (ღვინო, არაყი, ლუდი) საერთო თვისება — მათ-
რობლობა, პოეტი ასე უპასუხებს: „ჯერ ერთი სასმელი გა-
მოსცადა თავის თავზე, მერე მეორე, ეგრეთვე მესამე, მეოთ-
ხე, შეადარა ეს სასმელები ერთად, — გამოვიდა, რომ თუმც
ფერი და გემო სხვადასხვანაირი აქვთ, განსხვავდებიან, თვით
შიწარსი, თვისება მათი ერთია (მათრობელობა)“.

აქედან ვაჟასათვის საძნელო აღარაა დაასკვნას, რომ
„წყლულელების“ (ამ სიტყვაში ვაჟა სხვადასხვა სასმელს გუ-
ლისხმობს) გასინჯვის შედეგად, რაც გარკვეულ ფიზიოლო-
გიურ პროცესთანაცაა დაკავშირებული, წარმოიშვება ფსი-
ქიკურ განცდათა პროცესიც. თუ რა დიდი როლი ენიჭება
გემოს შეგრძნებაში ყნოსვას, ამაზე ორი სიტყვითაც კარგად
მიუგებს პოეტი, როცა წერს: „უყნოსოდ ვერ გავიგებდით,
წმინდა ჰაერით ვსუნთქავთ ოთახში, თუ მყრალით, დამპალ
ხორცსა ვსჭამთ თუ ახალს“.

ვაჟამ კარგად იცის, რომ ერთი რეცეპტორის (ვთქვათ,
ყნოსვის) გაღიზიანება მყისვე იწვევს სხვა კერების აღზნე-

ბას, დიდ მანძილზე გავრცელებას (პოეტს მოჰყავს იმის მაგალითი, თუ თოფის ხმას ყური როგორ სწრაფად გადასცემს გონებას, ანდა ხანძრის შემთხვევაში, მძინარე ადამიანს ყნოსვა როგორ აღუგზნებს სხვა კერებს თავდაცვისათვის და სხვ.).

ასევე საყურადღებო აზრებს გამოთქვამს პოეტი სიბზო-სიცივის შეგრძნებაზე, რომლის კერებიც ძირითადად კანშია განლაგებული. მიმოიხილავს რა ჩვენს შეგრძნებებს, დიდი პოეტი ყველაზე ბედნიერად იმ ადამიანს მიიჩნევს, რომლის რეცეპტორები გარესამყაროს ნორმალურად რეაგირებენ, ჰარმონიულად ურთიერთმოქმედებენ.

„ბედნიერია ის კაცი, — წერს ვაჟა, — ვისაც ყველა ეს გრძნობები მთელი აქვს და უბედურია, ვისაც რომელიმე ან უმთავრესთაგანი აკლია“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პოეტი ჩვენი გრძნობის ორგანოებიდან ყველას თანაბარ მნიშვნელობას როდი ანიჭებს.

ფსიქოლოგიის საკითხებზე მსჯელობის დროს ვაჟა გაკვრით ეხება აზრსა და ცნებას, როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვის ურთულეს ფორმებს.

ვაჟასთვის ნათელია, რომ ცნებაში იგულისხმება საგნის არა მარტო ცალკეული (ვთქვათ, სასმელის ფერი და გემო), არამედ ზოგადი ნიშანი (მათრობელობა), და პირუკუ: აზროვნებითი ანალიზით ადამიანს შეუძლია მთლიანი საგნის აღქმაში ცალკეული ნაწილების გამოყოფა, განსხვავებული თვისებების დანახვა. ამავდროულად დროს ცნება და აზრი გაცილებით უფრო ღრმად სწვდება საგნის არსს და შეიცნობს სინამდვილეს, ვიდრე შეგრძნებითი აღქმა.

ვაჟა შესანიშნავად მსჯელობს ადამიანის საზოგადოებრივ ფუნქციაზე, მის სოციალურ დანიშნულებაზე.

ადარებს რა ცხოველსა და ადამიანს, პოეტი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი უმაღლესი ტიპის სოციალური არსებაა და მისი ზრდა-განვითარება მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი. და რამდენადაც ადამიანთა შორის ურთიერთობა ორი უძლიერესი სულიერი ფუნოქციის — აზროვნებისა და მეტყველების შემწეობით მყარდება, ამდენად იგი წარმოუდგენლად მაღლა დგას ცხოველზე.

სწორედ ამ ორი მონაცემის წყალობით შეუძლია ადამიანს დაისაკუთროს საზოგადოების, მთელი კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება და პირუკუ, მისგან შეძენილი საკუთარი გამოცდილებაც შთამომავლობას უანდერძოს. ადამიანის გონებრივი პროგრესით აღტაცებული პოეტი წერს: „ღღეს კაცი თავის აზრს, ცოდნას, ფიქრებს სწერს ქაღალდზე. თუნდა მოკვდეს, იმისი აზრი არ დაიკარგება, ნაწერებიდან ყველაფერს მის გამოცდილებას, ცოდნას, ხელისგულზე გადმოვარწყობთ; შეიქმნა უკვდავი კაცის ფიქრი და რჩევა“

რამდენადაც ცხოველები მეტყველების უნარს მოკლებულნი არიან და მხოლოდ გამოსახულებითი მოძრაობა შეუძლიათ, ამდენად ისინი ვერასოდეს გაუტოლდებიან ადამიანს, ვერ ამალღდებიან მის დონეზე.

ფიქრობთ, ამ გაგებით უნდა წერდეს იგი: „სულით კაცი ყველა სხვა ცხოველზე მაღლა დგას. რაც უნდა ასწავლო ცხოველს, მას არ შეუძლია თავისი სწავლა შეიღებს მოახმაროს“.

ეს გამოთქმა იმაზედაც მიუთითებს, რომ ვაჟა იზიარებს მეცნიერებისაგან დაკანონებულ ობიექტურ ქეშმარიტებას

იმის თაობაზე, რომ ადამიანის აღზრდა უაღრესად სოციალური მოვლენაა, ხოლო ცხოველის განვითარების გზა ბიოლოგიური კანონზომიერებით არის განსაზღვრული.

ვაჟა საუცხოოდ არკვევს მსმენელს, რომ ადამიანი გონიერი, იარაღის მკეთებელი არსებია, რომ კაცობრიობის მიერ დაგროვილი გამოცდილება არ იკარგება და თაობიდან თაობას კულტურის გზით გადაეცემა. ამიტომ იგი ცნობს პროგრესის ცნობას (პოეტი ალტაცებით ლაპარაკობს იმაზე, თუ ადამიანი ცხენიდან როგორ გადაჯდა მატარებელზე და თვითმფრინავით როგორ აიჭრა ჰაერში).

როგორც მკითხველიც დაინახავს, ვაჟა თავის ხელნაწერში საკმაოდ ბევრს გვესაუბრება ფსიქოლოგიის სფეროდან. ეს ვაჟას ესაჭიროება იმდენად, რამდენადაც წამოჭრილ საკითხებს გარკვეული ურთიერთობა აქვთ პედაგოგიკასთან და აღმზრდელობითი მიზნებთან დაკავშირებით მათი გვერდის ახვევა შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერში, სადაც კი ლაპარაკია ბავშვის ფსიქიკურ სამყაროზე, აღზრდის გზებსა და საშუალებებზე თუ მშობლების ამოცანებზე. ვაჟა მთელ რიგ საკითხებს ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ ასპექტში განიხილავს. როგორც ფსიქოლოგმა და დახელოვნებულმა პედაგოგმა, მან საუცხოოდ იცის, თუ როგორია ზრდადამთავრებული ადამიანისა და ბავშვის დამოკიდებულება საგნებსა და მოვლენებისადმი, რა განსხვავებულ აღქმებთან გვაქვს საქმე ორივე შემთხვევაში, რომ აღზრდის მეთოდი და სისტემა იმის მიხედვით გამოვიმუშაოთ.

ამჯერად თავისებურად საინტერესოა ნაშრომის ის ნაწი-

ლი, სადაც პოეტს აღზრდის ძირითად ობიექტზე --- ბავშვზე უხდება მსჯელობა.

რამდენადაც ყველა წვრილმანი აღმოუფხვრელ შთაბეჭდილებას ახდენს და მეტად ღრმა კვალსა სტოვებს მოზარდის ფსიქიკურ არსებაზე, ამდენად ვაჟას აუცილებლად მიაჩნია. აკვნაიდანვე თუ არა, პირველი წლებიდანვე მაინც ზედმიწევნით ფრთხილად მოვეყიდოთ აღსაზრდელს.

გაუჩინდება თუ არა ბავშვს შემეცნებითი ინტერესები, მშობლებმა მაშინვე უნდა შეცვალონ თავისი დამოკიდებულება მისდამი. ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყურადღების შენელება ამ მხრივ შეიძლება დამღუპველი და საბედისწერო აღმოჩნდეს, რომ ერთხელ ფეხმოკიდებულმა ცდუნებამ შესაძლოა სხვა უფრო სავალალო საქციელისაკენ უბიძგოს მას.

მშობლებისა და აღმზრდელების დამოკიდებულება ბავშვისადმი რომ უფრო ქმედითი იყოს, საჭიროა მთელი სიღრმით გავითვალისწინოთ ასაკობრივი თავისებურებანი, შეგნებული გვექონდეს, რომ ბავშვი თავისი ზრდა-განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გარკვეულ შინაგან კანონზომიერებას ექვემდებარება და რომ გარესინამდვილესთან ურთიერთობის გზით გამოცდილებაც განსხვავებული აქვს. მართალია, ბავშვის ცხივრების პირველ წლებში მეტწილად სენსორულ აღქმასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ისიც უდავოა, რომ მას სასკოლო ასაკში უფრო უადვილდება საგნებისა და მოვლენების აღქმა, უვითარდება ფანტაზია, ემოციები და, რაც მთავარია, სწავლა-ცოდნის შეძენის სურვილი მისი ქცევის წამყვან ფორმად იქცევა.

რა თქმა უნდა. ამ ასაკში ჭერ კიდევ არა გვაქვს უფლება

ბავშვს სიანამღვილის შემეცნების აქტიური პროცესები მოვთხოვოთ; უკვე მოგვიანო ასაკის საქმეა, როცა ადამიანი ანაღლიზისა და სინთეზის უნარით შეიარაღდება.

ვაჟას ფსიქოლოგიური დაკვირვებებიდან ნათელი ხდება, რომ ახალშობილი ბავშვი, თუ იგი მახინჯი არაა, შეგრძნების უნარით არის დაჯილდოებული. „მთელ ბავშვს, — წერს პოეტი, — თუ მახინჯი არ არის, აქვს ყველა ხუთი გრძნობა: სითბოს, სიცივეს, შიმშილს, წყურვილს, სინათლეს, სიბნელეს, ხმაურობას, სიჩუმეს ყმაწვილი გრძნობს, მაგრამ გრძნობა და შეგნება ერთი როდია“. ე. ი. ვაჟას მიაჩნია, რომ ბავშვს შეგრძნების ორგანოები თავისი ცხოვრების პირველი წლებიდანვე უვითარდება, ასე ვთქვათ. აქვს შეგრძნება, მაგრამ არა აქვს შეგნება, არაა გაცნობიერებული.

პოეტის ამ შეხედულებას სავსებით ადასტურებენ თანამედროვე ფსიქოლოგის მიერ ექსპერიმენტული გზით მიღებული მონაცემები.

* * *

როგორც არა ერთხელ ითქვა, პოეტი-პედაგოგი გატაცებით საუბრობს მშობლების მოვალეობა-დანიშნულებაზე.

ვაჟა შენიშნავს, რომ ბავშვისათვის ისევე არაფრის მომტანია განყენებული მორალური სენტენციები, როგორც უადგილო გაწყრომა, დატუქსვა, ცემა-ტყეპა. პირადი გამოცდილებისა და მოწინავე დიდაქტიკური პრინციპების საფუძველზე ვაჟა მიზანშეწონილად მიიჩნევს დარწმუნების მეთოდს, მაგალითის ძალას, მიზანმიმართულ რჩევა-დარიგებას.

აი, რა საყურადღებო აღმზრდელობითს მითითებას იძლე-

ვა პოეტი: „სუდით ბოროტი კაცი ვის გაუკეთებია? ცემით დაშინება შეიძლება კაცისა, გაპატიოსნება კი არასოდეს. სული, მხოლოდ სული მოქმედებს სულზე, მხოლოდ გული იცნობს გულსა. სიყვარულით და ჩაგონებით შეიძლება ასწავლოს შვილს მშობელმა სიყვარული, გულკეთილობა, გონიერება. ვინ დაიჯერებს ამ გვარს რჩევას: „გცემ და შემიყვარე, მე ტყუილს გეტყვი, შენ მუდამ მართალი მელაპარაკეო, ტუ-ტუსს, გიჟს დაგიძახებ, არაფერს გასმევ, არც გაქმევ, შენ მარტო ითმინე და პატივი მეციო“.

მოზარდისაგან რომ სრულფასოვანი მოქალაქე მოვაშა-დოთ, ვაჟას აუცილებლად მიაჩნია მასწავლებელსა და მშობ-ლებს შორის მჭიდრო აღმზრდელობითი კონტაქტი, ურთი-ერთნდობა და გაგება, ინტერესთა სრული თანხმობა ერთი უწ-მინდესი მიზნისათვის. ამ დებულებებს წინა პლანზე დაყენე-ბა უდავოდ დიდი სიახლე იყო იმ ეპოქაში, როცა მშობ-ლებს უფლება არ ჰქონდათ სკოლასთან ახლო ყოფილიყვნენ. იმდროინდელი სწავლა-აღზრდის უვარგის სისტემაში ღრმად ჩაეხედათ, უშუალოდ ეხილათ და განეცადათ ის გონებრივი თუ ზნეობრივი ავლადიდება, რითაც ძველი სკოლა მომავალ ჯაობას ზრდიდა და კვებავდა. ამიტომაც სავსებით ბუ-ნებრივია ვაჟას განსაკუთრებული ყურადღება მშობლებზე, საოჯახო აღზრდაზე. პოეტმა-პედაგოგმა კარგად იცის, რომ ზნეობის საძირკველი ოჯახში ინასკვება, იქ ყალიბდება და რომ შემდეგში ყველაფერი აღვილდება, თუ ეს საძირკველი მკვიდრ ნიადაგზეა დაფუძნებული.

წინააღმდეგ ამისა, ეს საძირკველი ირღვევა, იზარება და თავის ცხოველმყოფელობას ჰკარგავს, თუ ოჯახისა და სკო-

ლის ინტერესები სხვადასხვა გზით მიემართებიან, მოწინააღმდეგე პოლუსებზე დარჩებიან.

ვაჟა განსაკუთრებული მღელვარებით ლაპარაკობს, როცა საქმე ეხება დედ-მამის მოვალეობას შვილებისადმი, და როცა ეს ტვირთი ორივეზე თანაბარი პასუხისმგებლობით არ ნაწილდება. პოეტს ყველაფერი წყალში ჩაყრილად მიაჩნია, თუ დედასა და მამას შორის აღმზრდელობითი თვალსაზრისი გათიწეულია, თუ მამის გონივრულ მაგალითსა და რჩევადარიგებას დედა საწინააღმდეგოთი უპასუხებს.

ვაჟას მრავალი მკვევრმეტყველი მაგალითი მოჰყავს იმისა, თუ რა დამღუპველ გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე, როცა მას ცუდი საქციელისათვის მამა ტუქსავს, დედა კი უყვავებს და ელოლიავება.

თუ მშობლებმა შვილებისადმი ერთიანი მომთხროვნელობა არ გამოიჩინეს, თუ რომელიმე მხარე შეეცდება შეარბილოს და მიაფუჩეჩოს ჩადენილი დანაშაული, ანდა უყოყმანოდ, ყოველგვარი სამართლიანი განსჯის გარეშე დააკმაყოფილოს შვილის აკვიატებული სურვილები (ხშირად კაპრიზში გადასული), უდავოა, შედეგიც სავალალო იქნება.

ამგვარი დამოკიდებულება დედის ან მამის მხრივ, ვაჟას აზრით, დამღუპველ გავლენას ახდენს შვილზე, მისი ცუდი შედეგები თავს იჩენს ცხოვრების მთელ მანძილზე და ადვილი შესაძლებელია მძიმე დანაშაულამდეც მიიყვანოს იგი.

მართალია, ვაჟა ხშირად გველაპარაკება ზემოქმედების საკმაოდ მძლავრ ღონისძიებებზედაც, მაგრამ სრულიადაც არ გულისხმობს იმას, რომ ჩაბნობილ იქნას ბავშვის შინაგანი ძალები, მისი დამოუკიდებელი მისწრაფებანი და რწმენა.

ფრიად საყურადღებოა, რომ ვაჟას ერთ-ერთ უძლიერეს

აღმზრდელობით ღონისძიებად მიაჩნია მოწინავე პედაგოგიკის მიერ დიდი ხნიდან აღიარებული საშუალება — მაგალითის ძალა. ეს მაგალითი ბავშვმა, უპირველეს ყოვლისა, მშობლებისაგან, ოჯახის წევრთაგან უნდა გადმოიღოს. „რაც უნდა კეთილი გვინდოდეს შვილებისათვის, — წერს პოეტი, — თუ კეთილს არ გავაგონებთ, კარგს მაგალითს არ ვაჩვენებთ, შვილების სიკეთით დატკობას ვერ მოვესწრებით“. ხელნაწერის მეორე ადგილას ვაჟა კვლავ ასეთ შეგონებას იძლევა: „უნდა მხოლოდ ჩვენს თავს დავეკითხოთ, როგორ მოვიქცეთ შვილებთან? ამისათვის საჭიროა შვილებზე თვალყური გვექიროს და კარგი მაგალითი ვაჩვენოთ“.

მშობლების მაგალითს რომ ხვედრითი წონა ჰქონდეს და აღმზრდელობათი ზემოქმედების მძლავრ ბერკეტად იქცეს. საჭიროა, თვითონ მათ ჰქონდეთ მაღალი ავტორიტეტი როგორც საზოგადოებაში, ისე შვილების თვალში. (თუ მამა ქურდია, ან სხვა ზნეობრავი მანკითაა შეპყრობილი, რა ნაყოფი შეუძლია მან მოუტანოს შვილებს? - კითხულობს პოეტი.)

ერთ-ერთ დამლუპველ მანკად, რომელიც ძალზე უარყოფითად მოქმედებს მოზარდის სულზე, ვაჟას სიცრუის თქმა მიაჩნია. ამიტომაც პოეტი მთელი კატეგორიულობით მოითხოვს მის აღკვეთას როგორც ოჯახის წევრებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ მხრივ საინტერესოა ვაჟას დიდაქტიკური რჩევა-დარიგებანი: „თუ გვინდა, — წერს იგი, — ჩვენს სიტყვას შვილებმა ფასი დასდონ, ხუმრობითაც ტყუილი არ უნდა უთხრათ და სხვებსაც უნდა ვთხოვოთ, ტყუილს არ მიაჩვიონ ჩვენი შვილები. ამიტომ მშობლებმა უბრალო ხუმრობაშიც ტყუილს უნდა თავი დაანებონ“. მშობლების მაგა-

ლითს არ შეიძლება რაიმე ქმედითობა მოჰყვეს, თუ მათი სიტყვა და საქმე გათიშულია. ვაჟას აზრით, ბავშვის ზნეობრივი წვრთნა ოჯახში პრაქტიკული გზით უნდა ხდებოდეს, თვალსაჩინოებისა და ცოცხალი მაგალითის ზეგავლენით უნდა ყალიბდებოდეს.

რამდენადაც უმცროს ასაკში ბავშვს მოჭარბებული მიმბაძველობა ახასიათებს, ამდენად მისი ყოფაქცევის წარმართვისათვის უფროსების მაგალითს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება.

„ცოლ-შვილში — წერს ვაჟა — ხშირად თავდაუტყერლად ვიქცევით, რასაც უნდა ვამბობთ, რასაც უნდა ვშვრებით, არ ვუყურებთ არც გონებას და არც სვინდისს.

ბავშვების მახვილი გონება ამას იბეჭდავს გონებაში და გულში, მოსწონს, კარგი გონია. არც ერთი სიტყვა და საქმე, რომლისაც ჩვენ თვითონ გვრცხვენთან შემიდეგ, ბავშვს არ გამოეპარება“.

მართლაცდა, რა ქნას ბავშვმა, როცა იგი ცუდ მაგალითს წარამარა აწყდება ოჯახში; უმეტეს შემთხვევაში მას არ ძალუძს თავი დააღწიოს მის უარყოფითს გავლენას, არ შეუძლია არ გაჰყვეს მის დამღუპველ ცდუნებას.

საყურადღებოა, რომ დიდი პოეტი აღზრდის პროცესში არ სცნობს ფატალიზმს, ბედისწერის გარდუვალობას, რომელსაც თითქოს რაღაც ძალა შესწევს ბავშვი თავის ნებაზე გაიტაცოს და მის ყოფაქცევას მისთვის სასურველი მიდრეკილება მისცეს. პირიქით, ვაჟას აღზრდა უძლიერეს ფაქტორად მიაჩნია და აღამიანის გონივრულ ჩარევას მისი წარმატების ერთ-ერთ საიმედო პირობად მიიჩნევს.

მოვუსმინოთ პოეტს:

„აბა ყველამ გავსინჯოთ ჩვენი ცუდი ჩვეულებანი და კარგად დაუჟკვირდეთ, თუ მასში აღზრდა არ იყოს დამნაშავე. ბევრი არ დაიჯერებს და იტყვის: რასაც წერა-მწერელი დაუწერს კაცს, ისე გათავდება მისი ბოლო... მაგრამ ბედის წერა აქ არაფერ შუაშია“.

ვაჟა არც ნატივისტურ თეორიას (ლომბროზო) იწყნარებს, როცა წერს: „ბოროტი არ იბადება არას დროს კაცი, მის გაბოროტებაში გამზრდელი, მშობლები, თვითონ ჩვენი ვართ დამნაშავე. ბოროტება, სიგულფიცხე, ბრაზი, ბავშვის გულში ცოტ-ცოტაობით იზრდება, ამაში ჩვენი უყურადღებობა და ცუდი მაგალითია“.

მართალია, აქ ვაჟა სუბიექტურ თვალსაზრისზე დგას, როცა არაფერს გვეუბნება სოციალური გარემოს როლზე, მის დიდ მნაშვნელობაზე აღაპიანის ზნეობრივი და გონებრივი ფორმირების საქმეში, მაგრამ მისი საყვედური მშობლების უყურადღებობაზე შვილებისადმი და აქედან გამომდინარე ცუდ შედეგებზე საფასვრით მართებულია.

თავისი შრომის დასკვნითს ნაწილში ვაჟა ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ პასუხისმგებლობაზე, რაც მშობლებს ევალებათ შვილების მიმართ. პოეტის ღრმა რწმენით, მშობლებს არ უნდა ჰქონდეთ სხვა უფრო წარმტაცი და დიადი საქმე, ვიდრე შვილების აღზრდაა. ამ დიდი, ქეშმარიტად ეროვნული ამოცანისათვის ბრძოლაში მშობლებმა არ უნდა დაზოგონ არც დრო, არც ენერგია და არც მატერიალური შესაძლებლობანი. ვისაც შვილების ბედნიერება სურს, მან ფეხდაფეხ უნდა სდიოს თავის პირმშოს მანამდე, ვიდრე იგი სრულფასოვანი მოქალაქის თვისებებით არ განიმსჭვალება,

ვიღრე იგი საჭირო ცოდნითა და გამოცდილებით არ შეიარაღდება.

პოეტი უკუაგდებს და უღმობელი სარკაზმით შანთავს ყველას, ვინც შეეცდება უადგილოდ იმართლოს თავი, ჩადენილი დანაშაულისათვის რაღაც გასამართლებელი მიზეზები მოიშველიოს.

ვაჟას ღრმა რწმენით, შვილების მომავალი ბედნიერებისათუ უბედურების სადავე მშობლებს უპყრიათ ხელთ. ნათელი თუ ბნელი, შარაგზა თუ ხრამი დამოკიდებულია იმაზე, რა მიმართულებით დაიძვრიან ეტლში გაბმული ბეჯაურები: მიგვიყვანენ ისინი მიზანმიმართულ ადგილზე, თუ საბედისწეროდ შეტორტმანდებიან უფსკრულის პირად.

აი, როგორი ამონაკენესით ამთავრებს ვაჟა თავის სიტყვებს: „ბევრს დარდს, ვაებას, ჭირს გამოივლის კაცი, მაგრამ სამუდამოდ დაღუპულის შვილისთანად გულის არაფერი მოსწყვეტავს მშობელს. ტირიან და ვაგბენ მშობლები დაღუპულ შვილზედ, მაგრამ თავის თავს დამნაშავედ მაინც არ სთვლიან.

განა მოუცლელობა და უქონლობა თავის გასამართლებელი საბუთია? განა მართლა მშობლები არ არიან მიზეზი შვილების უხეირობისა?“

ერთი სიტყვით, ვაჟა ამხედრებულა მშობლებზე და მთელ პასუხისმგებლობას შვილების აღზრდის საქმეში მათ აკისრებს.

დიდი პოეტის ეს შეხედულებები ბევრ რამეში ეხმაურებიან საბჭოთა სკოლის საფუძვლის ამოცანებს, კერძოდ — მშობლების მოვალეობა-დანიშნულებას შვილების მიმართ.

ვაჟა-ფშაველას ხელნაწერი სხვა მხრივაც იპყრობს ჩვენს

ყურადღებას. პროექტის ნააზრევში არა ერთხელაა ხაზგასმული, რომ ადამიანის უდიდესი მასწავლებელი არის გამოცდილება, და რომ ეს გამოცდილება გაცილებით უფრო ძლიერი და ქმედითია, როცა იგი კოლექტივის, ხალხის, მთელი კაცობრიობის მდიდარ, ხანგრძლივი დაკვირვების გზით შემოწმებულ გამოცდილებას ეყრდნობა. ეს უკანასკნელი ბევრად უფრო საიმედო, ღრმა და ჭკუის მასწავლებელია, ვიდრე ერთი რომელიმე ინდივიდის გამოცდილება.

საყურადღებოა პროექტის დასკვნები:

„ძალა, რომელიც კაცს აქვს, მას ამაღლებს, ბევრ საკვირველ საქმეს ჩაადენინებს, მაგრამ მარტოკა კაცს იმდენი ძალღონე არა აქვს, რამდენიც მთელ ხალხის გროვას, კაცობრიობას. მთელ კაცობრიობას შეუძლიან გადასცეს თავისი გამოცდილება ახალ-თაობას, ყველა ახალგაზრდას, თუკი იმას სურს ისარგებლოს სხვის გამოცდილებით. სხვის გამოცდალება უადვილებს კაცს ცხოვრებას, ასწავლის გზებს“.

სამწუხაროდ ვაჟა-ფშაველას ხელნაწერის როგორც შესავალი, ისე ბოლო ნაწილი დაკარგულია¹.

უნდა ვივარაუდოთ, რომ პროექტი საინტერესო დასკვნებს გააკეთებდა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხებზე — კერძოდ მშობლების მაღალ მოვალეობაზე შვილების ზნეობრივი ფორმირების საქმეში. მაგრამ ისიც, რაც უკვე ხელთა გვაქვს და ჟამთაღენის სიავეს გადაურჩა, მთელი სიცხადით მეტყველებს ვაჟას ღიდ ინტერესზე ბავშვთა ფსიქო-

¹ ეს ხელნაწერი ჩვენი პუბლიკაციის მიხედვით პირველად შევიდა ვაჟას თხზულებათა X ტომში, სახელწოდებით — „საუბარი ბავშვებზე“, 1964 წ., გვ. 98.

ლოგისა და აღზრდის პრობლემებისადმი. ამ ხელნაწერში თვალში გეცემათ პოეტის განუზომელი სიყვარული მომავალი თაობისადმი, რომლის ავკარგიანობაზე იყო და კვლავაც იქნება დამოკიდებული შშობელი ქვეყნის ბედიღბალი.

ვაჟა ხალხის შვილი იყო და სიკვდილამდე მის ჳირისუფლად დარჩა, ჳისი უკეთესი მომავლისათვის უძგერდა ჳეშმარიტად ღვთიური გული.

დიდი პოეტის ღღემდე უცნობი რვეული ერთხელ კიდეე ადასტურებს იმ უღავო ღებულებას, რომ მისი ავტორი თავისი ღრონისათვის ფრიაღ განათლებული აღამიანი იყო და მისთვის ამოდ არ ჩაუვლია არც გორის სამასწავლებლო სემინარიასა და არც პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებულ წლებს.

მართალია, ვაჟას ნააზრევში აშკარად იგრძნობა იდეალისტურ-რელიგიური მსოფღმხედველობის გავღენა, მაგრამ ეს სრულიადაც ვერ ჩრდიღავს იმ გაბედულ და პროგრესულ აზრებს, რომლებსაც შრომის ავტორი მეტად გამოკვეთილ ფორმებში ავითარებს.

რად ღირს თუნდაც ის, რომ იგი ჳეშმარიტების შემეცნების უტყუარ კრიტერიუმად პრაქტიკას, გამოცდიღებას აღიარებს.

დასასრულს გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ სრულიადაც არ გვიცღია დიდი პოეტის პეღაგოგიური და ფსიქოლოგიური ნააზრევის სრული შეფასება. ჩვენ გვეწადა ზოგადი წარმოდგენა მაინც მიგვეცა მკითხვეღისათვის იმ საკითხების შესახებ, რომელიც თავის ღროზე აღღვებდა და აფიქრებდა გენიალურ პოეტს და ერთი მიყრუებული სოფღის პეღაგოგს.

ღანიელ ჭონქაძე

ფრიად თავისებური და საგულისხმოა ის სურათი, რომლითაც „სურამის ციხე“ იწყება. ანჩისხატის გასწვრივ, რიყეზე, ცხელი ზაფხულის გრილ საღამოობით თავს იყრიან ქართველი ჭაბუკები და რიგრიგობით ჰყვებიან საქართველოს იმდროინდელი ცხოვრების შემზარავ ამბებს. გვიან ღამით კი მძიმე ამოოხვრით ეთხოვებიან ერთმანეთს. რათა მეორე დღეს კვლავ განაგრძონ შეწყვეტილი მოთხრობა.

აქ მოთხრობილ ამბავთა ციკლს ეკუთვნის ღურმიშხანის, გულისეარდისა და ოსმან-აღას თავგადასავალიც.

ეს იყო საქართველოს წარსულის გულისმომკვლელი სინამდვილე, როდესაც ჩვენში ბატონყმობა მძვინვარებდა და ისედაც გათავხედებულ ბატონს ველური კანონი სრულ უფლებას ანიჭებდა ჩვენი ერის სიმტკიცის ძალა — ახალგაზრდობა მწევარ-მეძებრებზე გადაეცვალა ან სამაჰმადიანოს შორეულ ბაზრებზე გროშის ფასად გაეყიდა.

მას შემდეგ მართლაც ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ქართველმა ხალხმა დიდი ხანია დავიწყებას მისცა ბნელით მოცული დრო. ისტორიამ საბოლოო ანგარიში გაუწაწორა იმ კლასებს, რომელნიც საუკუნეთა განმჯღობაში სხვისი ნაოფლარით ცხოვრობდნენ.

ჩვენი ეპოქის ადამიანები მოკრძალებით ეპყრობიან მათ სახელებს, ვინც იმ მართლაცდა შავბნელ დროში გაბედულად შეებრძოლნენ უსამართლობას.

დანიელ ჭონქაძის სახელოც მათ რიცხვში იხსენიება, იხსენიება მეტად გამოკვეთილი სახით...

საგულახსმია, რომ ნიჭიერმა ბელეტრისტმა თავისი უკვდავი მოთხრობა გულითად ამხანაგებს მიუძღვნა. სჩანს, ამით ავტორმა იმათი სათქმელიცა თქვა, ვინც მასთან ერთად ებრძოდა ბნელეთის ძალებს, შემართებული იყო წოდებათა შორის აღმართული ყრუ კედლის გასარღვევად.

დიდი რუსი მწერლის რადიშჩევის მსგავსად, ნამდვილი რევოლუციური გამბედაობით ქართველ მწერალთაგან პირველმა დანიელ ჭონქაძემ გაილაშქრა ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ და არათუ დაჰგმო იგი, არამედ კატეგორიულად მოითხოვა მისი შეცვლა სამართლიანი წესწყობილებით.

მართალია, უფრო ადრე იოანე ბატონიშვილმა „კალმასობაში“ გაგვაგონა ოსმალეთისაკენ გასაყიდად გარეკილ ტყვეთა „ხმა რაიმე მწუხარებისა“, მაგრამ ეს მხოლოდ ფაქტის აღწერა იყო და არა უსამართლობასთან შეჭიდება; გლახობისადმი მემამულეთა გულქვა და უდიერი მოპყრობის სიტყვიერ მხილებას ვხვდებით გ. ერისთავის კომედიებშიც.

მაგრამ სულ სხვა ტონით ლაპარაკობენ „სურამის ციხის“ გმირები. თავისი დროისათვის უთუოდ დიდი პრინციპული შეურიგებლობით იყო წარმოთქმული დურმიშხანის ცნობილი სიტყვები: „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება“.

ცოტა უფრო გვიან იგივე აზრი მეტი პოეტური სიძლი-

ერითა და პროტესტანტული სულით გაიმეორა ილიამ ზაქროსა და კაკოს დიალოგში.

დანიელ ჭონქაძის მოთხრობის შემტევემა სტილმა დიდი შემფოთება გამოიწვია გაბატონებულ წრეებში. უკმაყოფილების ტალღა ამ წოდების თვალსაჩინო მესიტყვემ ალ. ორბელიანმა ააგორა. „სურამის ციხის“ პირველი შემფასებელი ანტ. ფურცელაძე კი 1863 წელს „ცისკარში“ გაბედულად წერდა: „სურამის ციხემ“ დასცა ზარი და აუშალა ტანში ქრუანჭელი სიძველისა და სიცრუის მქადაგებლებსა... გადაიღეს, გადმოიღეს ეს თხზულება და როგორც სარკეში, ისე დაინახეს თავისი თავი“.

მიუხედავად ავტორის დევნა-შეგვიწროებისა, „სურამის ციხე“ ხელიდან ხელში გადადიოდა; ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით „ცისკარის“ ნომრებს თურმე აქეთ-იქით დაარბენინებდნენ და აღტაცებით კითხულობდნენ.

მოთხრობა განსაკუთრებული სიყვარულით მიიღო მოსწავლემ ახალგაზრდობამ, რომელმაც 1860 წელს თვალცრემლიანმა მიაცილა მწერალი ვერის ძველ სასაფლაოამდე, ხოლო ივ. კერესელიძემ მგრძნობიარე ლექსით დაიტირა ჩაგრულთა მფარველი და მოამაგე.



როდესაც დანიელ ჭონქაძის ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ცხოვრებას ვეცნობით, ვრწმუნდებით, რომ ნიჭიერი ბელეტრისტი თავისი დროისათვის განათლებული პიროვნება ყოფილა.

ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ თუნდაც მრავალ-

მხრივი და საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც გაუწევია მას რუსეთის საიმპერატორო აკადემიის დავალებით. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დანიელი გასაოცარ მეცნიერულ ერუდიციას იჩენს ოსური ფოლკლორის შესწავლის, რუსულ-ოსური ლექსიკონის შედგენისა და ოს ხალხზე ეთნოგრაფიული დაკვირვების საქმეში. სამწუხაროა, რომ მისი მდიდარი არქივი მისი უვიცი მამიდის ხელით შეუგნებლად დაიღუპა და აღარა გვაქვს შესაძლებლობა ჯეროვნად შევაფასოთ ამ საინტერესო პიროვნების მეცნიერული აღლო და ინტერესთა სფერო.

რამდენადაც მწერლის ბიოგრაფიიდან ვიცით, გონებრივი დუდილის საუკეთესო წლებში დანიელი სტავროპოლში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას (1851-55 წ.წ.). შეუძლებელია ამ ხანებში მას ხელთ არ ჩავარდნოდა „ოტენესტვენეე ზაპისკისა“ და „სოვრემენიკის“ ნომრები და მეზრძოლი სულსკვეთებით არ გამსჭვალულიყო.

ესეც რომ არ ყოფილიყო, არ შეიძლებოდა დ. კონქაძე თბილისის სემინარიაში მოწაფეობისა თუ მასწავლებლობისა და მეცნიერული მუშაობის პერიოდში ხარბად არ ჩასწვდომოდა რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატების აღმაფართოვანებელ ნაწერებს.

აღსანიშნავია, რომ ცოლისძმისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში დანიელ კონქაძე აღტაცებით ლაპარაკობს ქართველი ხალხის ეროვნულ გამოღვიძებაზე. ეტყობა ამ ღროს საქართველომდეც აღწევდა იმ ზართა გუგუნი, რომელიც დამონებულ ერებს გამათავისუფლებელი ბრძოლებისაკენ მოუწოდებდა.

ამ მეზრძოლ სულსკვეთებას მწერალს კიდევ უფრო

უძლიერებდა იმდროინდელი საქართველოს საშინელი საზოგადოებრივი სინამდვილე.

დანიელ ჭონქაძე ყოველ ზაფხულს სამშობლო სოფელში ატარებდა და არაგვის ატეხილ ხმაურთან ერთად თანამოდმეთა ყრუ კენესაც ესმოდა.

მწერალი დარწმუნდა, რომ სოციალური და ეკონომიური უთანასწორობის საფუძველზე წარმოშობილმა კლასთა ბრძოლამ წოდებათა შორის ხიდი ჩატეხა.

ვინ იყო დამნაშავე? — ამ საჭირობოროტო კითხვას გაბედული, თითქმის სარისკო პასუხი გასცა დანიელ ჭონქაძემ.

* * *

„სურამის ციხის“ თემა მწერლისაგან დიდი ფანტაზიის მოშველიებას არ საჭიროებდა. ამ მხრივ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ბატონყმური საქართველოს სინამდვილეს უხვ მასალას იძლეოდა.

უმძიმესი და უსაშინელესი ექსპლოატაცია, რომელსაც მშრომელი ხალხი საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა, კიდევ უფრო აუტანელი შეიქნა თვითმპყრობელური რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ.

ათასგვარი გადასახადით ილაჯგაწყვეტილმა გლეხობამ აჯანყებებით გამოხატა უსამართლო ტირანიისადმი შეურთებლობა.

ქართველ ფეოდალთა ძველ კანონს — „ყმისა ყოველივე ბატონისა არს“ — მხარს უჭერდა და კიდევ მეტ სიმკაცრეს მატებდა თვითმპყრობელური რეჟიმი.

ამ ბარბაროსულმა ზომებმა მაინც ვერ გასტეხა მშრომელი ქართველი ხალხი, რომლის წრიდან გამოვიდა სახალხო გმირი არსენა ოძელაშვილი. „სურამის ციხის“ გმირებიც ამ „ჯოგიდან“ არიან.

მართალია, მოთხრობის ამბავი მწერალმა, გარკვეული მოსაზრებით, ძველ ხალხურ ლეგენდაში გახვია, მაგრამ არსებითად მე-19 საუკუნის საქართველოს რეალური სურათი გადაგვიშალა.

რა არ გამოსცადეს ნაწარმოების გმირებმა. ესენი ტანჯვასა და წამებაში გაზრდილი ადამიანები არიან; გულქვა ბატონმა ღურმიშხანი სხვას აჩუქა, უბედურმა დედამ კი ტანჯვაში დალია სული. ბატონის კარზე, მონობაში აღზრდილმა ჭაბუკმა თითქოს ვარდოს სიყვარულში ჰპოვა ბედნიერება, მაგრამ ბედუკუღმართი ცხოვრების გამო მისი ერთადერთი ვაჟი, ზურაბი მიტოვებული სატრფოს შურისძიების მსხვერპლი ხდება.

მოთხრობის ყველაზე უმძაფრეს ნაწილს — ოსმან-ალას თავგადასავალს ავტორმა ეპიგრაფად იეზუიტთა უმკაცრესი კანონი წარუმძღვარა: „იყავ ლეში“, და ეს როდი იყო მწერლის სუბიექტური კაპრიზი; ზატონყმობა მართლაც რომ ბარბაროსული სოციალური ინსტიტუტი იყო.

შეუბრალებელმა ბატონმა უდროოდ დაობლებულ ოსმან-ალას ყველაფერი წაართვა, ხოლო მისი დედა და დი ყმებად გაიხადა.

შვილებზე გადამკვდარ დედას, კევრში პირუტყვივით ფაბმულს, მხეცმა ბატონმა ცემით ამოხადა სული, ოსმან-ალას კი ხელიდან გამოსტაცა უკანასკნელი ბედნიერება, საცოლვე ნატო. შემდეგში საბედისწერო გზაზე დამდგარი

ოსმან-ალა მწარე ირონიით მოუთხრობდა ღურმიშხანს: „იმათ ჰგონიათ, რომ ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, რომ ჩვენ არ გვექონდეს გული“.

ყოველმხრივად დამცირებული და შეურაცხყოფილი ოსმან-ალა ამოხოცავს ბატონის ოჯახს და მის შესაპყრობად დადევნებული, არანაკლებ გამწარებული კაცებისავე დახმარებით უცნოეთში გადაიხვეწება. თუმცა იანიჩარის ჯარში ერთხანად იგი „თავის დამღუპველ ოსმალებს ამშვენებდა“, მაგრამ სიკვდილამდე სამშობლოზე ფიქრობდა და ბორგავდა. თავისი ქონების დადი ნაწილი ოსმან-ალამ მშობლიურ ქვეყანას შესწარა, ხოლო წინაპართა ტრადიციების შებღალვას ოსმალთაგან წამებით სიკვდილი ამჯობინა.

საერთოდ ოსმან-ალას თავგადასავალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი ფურცელია, რომლის ანალოგიურ სცენებს ილია ჭავჭავაძის პოემებსა და მოთხრობებში თუ შევხვდებით.



დანიელ ჭონქაძემ, როგორც რეალისტმა მწერალმა, უყუჩადღებოდ არ დასტოვა ის დიდი ცვლილებები, რაც კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ხდებოდა მე-19 საუკუნის საქართველოში.

როგორც ღურმიშხანი, ისე ოსმან-ალა საკმაო წარმატებას რჩენენ აღებ-მიცემობაში და დიდძალ ფულსაც იხვეჭენ.

მაგრამ ფეტიშიზმამდე მისულმა ფულით გატაცებამ იმდენად ძლიერად შეიპყრო ღურმიშხანი, რომ მან, ავტორის

სიტყვით, „სიმდიდრის მოპოვებას შესწირა ყოველივე კეთილი გრძნობა გულისა“. იგი გახდა პირადი ანგარების მონა, გულგრილად უკუაგდო როგორც უმანკო სატრფოს სიყვარული, ისე ოსმან-აღას მეგობრობა.

დანიელ ჭონქაძის მოთხრობა, უფრო თემატური თვალსაზრისით, თავისებური საფეხურია ქართული პროზის განვითარების ისტორიაში.

ნიჭიერმა ბელეტრისტმა, ძალზე დაძაბული ფსიქოლოგიური მომენტების პარალელურად, საუცხოოდ დაგვიხატა საქართველოს „ფირუზივით ღია და ლურჯი ცა“, აპრილის მყუდრო საღამო და მზის სხივთა შადრევნებში მოჭიკჭიკე ფრინველები.

„სურამის ციხის“ ავტორს რომ დასცლოდა, შესაძლებელია მისი მარჯვენა კიდევ უფრო ამაღლებულ ტილოებს შექმნიდა, მაგრამ ეს ერთი მოთხრობაც საკმაოდ ძლიერი მოწოდება იყო მათთვის, ვინც მზად იყო ოსმან-აღას დედა გუთნიდან გამოეშვა, სამართლიანობისათვის სიცოცხლე გაეწირა.

დანიელ ჭონქაძე ჩვენს სინამდვილეში ერთგვარი წინამორბედი იყო 60-იანი წლების იმ მებრძოლი თაობისა, რომელიც დიდი ილიას დროში, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ბუკითა და ნაღარით ღონივრად მიიკვლევდა გზას სრულიად ახალი და გონივრული სოციალური წყობილებისაკენ.

იაკობ გოგებაშვილი და გებრიელ ქიქოძე

დიახ, საქართველომ დაჰკარგა უკეთილშობილესი შვილი, რომელიც ფლობდა სულის იშვიათ სიდიადეს, მაგრამ მას შეუძლია თავი ინუგემოს იმით, რომ მის წრეში ასეთ უაღრესად დაჯილდოებულ პიროვნებათა გამოვლინება მისი მომავლის უტყუარი საწინდარია.

ი. გოგებაშვილი

ქეცხრამეტე საუკუნის ამ ორი შესანიშნავი და მაღალნიჭიერი ქართველის ურთიერთობა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე დამშვენებული იყო მასწავლებლისა და მოსწავლის, აღმზრდელისა და აღზრდილის უსპეტაკესი შარავანდედით.

დიდი ქართველი პედაგოგის უღრმეს პატივისცემას მისი მასწავლებლისადმი ისიც მოწმობდა, რომ თავის სამუშაო ოთახში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, დიმიტრი ყიფიანის სურათის გვერდით, გაბრიელის გადიდებული პორტრეტი ჰქონდა მოთავსებული.

იაკობ გოგებაშვილი მთელი სიცოცხლის მანძილზე უდიდესი თაყვანისმცემელი დარჩა ამ მართლაცდა „საინტორიეკაცისა“ (ილიას გამოთქმეა), ხოლო, თავის მხრივ, გაბრიელსაც

ძალზე ეამაყებოდა სახელგანთქმული ნამოწათარი, რომელმაც უკვდავი სახელმძღვანელოებით და კლასიკური პედაგოგიკური თუ პუბლიცისტური ნააზრევით ასახელა ეროვნული კულტურა.

უდავოა, ქართველი ხალხის დიდ მოამაგეს, მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის შეუდრეკელ მებრძოლს, ბევრი რამ საერთო უნდა ჰქონოდა გაბრიელთან, იმ აღამიანთან, ვინც, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მთელი თავისი სიცოცხლე იმის მსახურებაში იყო, რომ თვით მოსწმინდოს ერს თვალთაგან ცრემლი ნუგემისცემითა და მადლის ფენითა“¹.



გაბრიელ (გერასიმე) ქიქოძეზე, როგორც აღმზრდელსა და პიროვნებაზე, ყველაზე ნათელი მოგონებები იაკობ გოგებაშვილს თბილისის სასულიერო სემინარიიდან გამოჰყვა, სადაც ის სწავლობდა 1855 წლიდან 1861 წლამდე.

იაკობ გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში გაბრიელ ქიქოძის უშუალო მოსწავლე იყო. ბუნებით ნიჭიერმა, ბეჯითმა და სიცოცხლით აღსავსე იაკობმა თავიდანვე შიიპყრო მასწავლებლის ყურადღება. აქ გაინასკვა უღრმესი სიყვარული აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე უბერებელი გრძნობით აღაგზნებდა ორივეს გულს. და აი, როდესაც 1861 წელს იაკობი კიევს გადაწყვეტს გამგზავრებას, რჩევა-დარიგები-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1952 წ., ტ. 8, გვ. 542.

სათვის თავის ძვირფას მასწავლებელს მოინახულებს ქუთაისში.

სწორედ იმ ხანებში, როცა იაკობ გოგებაშვილი კიევის აკადემიის სტუდენტი იყო, „სოვრემენიკის“ ფურცლებზე ცხარე ფილოსოფიური კამათი გაჩაღდა მატერიალისტურ და იდეალისტურ ბანაკს შორის. ჩერნიშევსკიმ და ღობროლიუბოვმა ბუნებისმეტყველების უახლეს მონაპოვართა საფუძველზე, მატერიალიზმის პოზიციებიდან სამკვდრო-საპიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს მეტაფიზიკურ, ყოველივე არამეცნიერულ თვალსაზრისს.

იაკობ გოგებაშვილი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ამ ჭიდილს და თავის მეცნიერულ სიმპათიებს გამოცდილებით შემოწმებულ ჭეშმარიტებას უცხადებს. სწორედ ამ მატერიალისტური მსოფლმხედველობის გავლენით დააღწია მან თავი თეოლოგიურ არტახებს და გადაჭრით უკუაგდო ბავშვობაში აკვიტებული ასკეტური მიდრეკილებანი.

რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში მომხდარი ეს „ორომტრიალი“ ი. გოგებაშვილმა მთელი სიცხადით გადაგვიშალა 1896 წელს „ნოვოე ობოზრენიეში“ (№ 4193) გამოქვეყნებულ წერილში: „იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, როგორც პედაგოგი“.

დიდი პედაგოგი აღტაცებით ლაპარაკობს იმ წარმატებაზე, რომელიც ამ მძაფრ პოლემიკაში წილად რგებია გაბრიელ ქიქოძის ფილოსოფიურ შრომას — „Основания опытной психологии“. აი რას ვკითხულობთ აქ: „სწორედ ამ მომენტში დაიბეჭდა არქიმანდრიტ გაბრიელ ქიქოძის მეცნიერული ნაშრომი სათაურით: „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“. მოსალოდნელი იყო, რომ ამ შრომასაც იგივე ბედი

ეწეოდა (გულისხმობს იურკევიჩის ფილოსოფიურ თხზულებას, რომელიც „სოვრემენიკის“ ფურცლებზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული. — ს. ს.) მაშინ ყველაზე უფრო პოპულარული ჟურნალის მიერ... მოხდა კი პირიქით: „სოვრემენიკმა“ არა თუ აღნიშნა ამ შრომის გამოსვლა, არამედ თავისი საუკეთესო კრტიკოსის დობროლობოვის სახით გამოიჩინა მისდამი სრული გულწრფელობა და პატივისცემა და უსურვა ავტორს შემდგომი წარმატება ფილოსოფიური საკითხების დამუშავების სარბიელზე¹.

საყურადღებოა, რომ გაბრიელის შრომას არანაკლები ინტერესი გამოუწვევია იდეალისტურად მოაზროვნე ბანაკშიც, რომლის საუკეთესო წარმომადგენლად მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგე იურკევიჩი ითვლებოდა. ეს ინტერესი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მათ სურვილიც კი აღძვრიათ დაწვრილებით გაეგოთ ვინაობა „ცდისეული ფსიქოლოგიის“ ქართველი ავტორისა. იურკევიჩის ინიციატივით მოუწახვეთ კიევის აკადემიის სტუდენტი იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც „რამდენიმე დღის კარგად მომზადების შემდეგ“ წარმტაცი ენით გაუზიარებია „მასპინძელთათვის“ ყველაფერი, რაც კი ცოდნია გაბრიელ ქიქოძის პიროვნებისა და ცხოვრების შესახებ².

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954 წ., ტ. 3, გვ. 37. ი. გოგებაშვილს მხედველობაში აქვს ნ. დობროლობოვის რეცენზიის შემდეგი სტრიქონები: „Обращаясь еще раз к автору рассматриваемой книги, считаем нужным заметить, что мы вовсе не отвергаем его основных положений“.

² გაბრიელის შრომა დიდი ხნის განმავლობაში იყო ერთადერთი სახელმძღვანელო 60-იანი წლების რუსულ სემინარიაში.

ამ საინტერესო ეპიზოდს ი. გოგებაშვილი ასე იგონებს: „როცა მესამოცე წლების დამდეგში დაიბეჭდა განსვენებულის თხზულება რუსულად: „ОСНОВАНИЯ ОПЫТНОЙ ПСИХОЛОГИИ“ და ამ თხზულებამ მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება მთელის განათლებულის რუსეთისა, ამ სტრიქონების დამწერს, რომელიც მაშინ კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, იქაურმა საუკეთესო პროფესორებმა სთხოვეს ეამზნათ მათთვის ყველაფერი, რაც კი იცოდა არქიმანდრიტს ქიქოძეზედ“¹.

თუ როგორი შთაბეჭდილება მოუხდენია მათზე ქართული სტუდენტის საკმაოდ ვრცელ ნაამბობს სახელგანთქმული თხზულების ავტორზე, მოვეუსმინოთ თვითონ ი. გოგებაშვილს: „პროფესორებმა გაბრიელში დაინახეს მრავალმხრივი და ცნობისმოყვარე გონებით დაჯილდოებული, ჰუმანიური გულისა და ძლიერი აქტიური ნებისყოფის პიროვნება, აღჭურვილი ყველა მონაცემით ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის“².

* * *

მაგრამ ი. გოგებაშვილის ეს წერილი გაბრიელს შესახებ უფრო სხვა მხრივ იპყრობს ჩვენს ყურადღებას. იგი ყველაზე სარწმუნო დოკუმენტია 50-იანი წლების თბილისის სასულიერო სემინარიის, კერძოდ გაბრიელ ქიქოძის, როგორც იმ

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 10.

² იქვე, გვ. 44.

დროისათვის საქართველოში უაღრესად თვალსაჩინო ინსპექტორისა და პედაგოგის დასახასიათებლად.

თუ რას წარმოადგენდა მაშინდელი სემინარია და რა სახის რადიკალური ღონისძიებები გაატარა მის სასწავლო-სააღმზრდელი სისტემაში „ყველაზე მეტად განვითარებულმა მეცნიერმა“ (გამოთქმა ი. გოგებაშვილს ეკუთვნის), ამის შესახებ სიტყვა ისევ გაბრიელის ნამოწაფარს, ი. გოგებაშვილს დავუთმოთ: „შეუდგა თუ არა ინსპექტორის თანამდებობის შესრულებას, მან გააუქმა დისციპლინის ყველა წვრილმანი წესი, უფრო ნათლად, მკვეთრად და კატეგორიულად განსაზღვრა კეთილგონივრული ყოფაქცევის მნიშვნელობა და არსებითი წესები, რომელთა შესრულებას ის მთელი მგზნებარებით მოითხოვდა“¹.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ფილოსოფიურ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებში განსწავლულ მაგისტრს ასევე საფუძვლიანად ექნებოდა შესწავლილი პედაგოგიკის გამოჩენილი კლასიკოსების აზრები და იდეები მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლებას შესახებ. შეუძლებელია, ავტორს „ცდისეული ფსიქოლოგიისა“, რომელშიაც ასე ფართოდ აგრძნობა მეცნიერების ყველა დარგის ცოდნა, პირველწყაროებში არ ჰქონოდა დამუშავებული კომენსკის, პესტალოცას, ლოკის, რუსოს, პიროგოვის და სხვათა პედაგოგიკური-მორალისტური ნააზრევი (გაბრიელმა გარდა კლასიკური ენებისა შესანაშნავად იცოდა ფრანგული და გერმანული).

ამიტომაც იყო, რომ ბუნებით ნამდვილმა პედაგოგმა, ბავშვთა ფსიქოლოგიური სამყაროს იშვიათმა მკვლევარმა შედგა

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 41—42.

თუ არა ფეხი ამ საპატიო ასპარეზზე, გასაოცარი ენერგიით გაარღვია თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩამოწოლილი სქოლასტიკზმის ბურუსი და ფორმალურ სწავლებას მთელი შეგნებით დაუპირისპირა რეალური განათლების სისტემა. მისგან გადადგმულ გაბედულ ნაბიჯზე, სემინარიის ისტორიაში ჯერ არნახულ ამ გარდატეხაზე მოგვეწონხრობს იაკობი, რომელმაც უშუალოდ გამოსცადა ამ პროგრესული რეფორმების ცხოველმყოფელი შედეგები.

დიდი პედაგოგის წერილებიდან მკაფიოდ ირკვევა, რომ ახალგაზრდა მაგისტრმა შეძლებისდაგვარად სცადა სწავლების შეერთება აღზრდასთან, გონებრივი და ფიზიკური შრომის დაახლოება, შრომითი აღზრდის ელემენტების შეტანა მანამდე დოგმატიზმით დაობებულ გარემოში. რაც მთავარია, გაბრიელ ჭიქოძე პირადი მაგალითის ჩვენებით მისაბამი შეიქნა ყველასათვის. მოუყსმინოთ ისევ ი. გოგებაშვილს: „კეთილა, ჯანსაღი და ზნეობრივი ცხოვრების საუკეთესო საშუალებად ის თვლიდა გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთთან შენაცვლებას. ამ წესს ის თვითონვე მკაცრად იცავდა... მოსწავლეები ბაძავდნენ თავიანთ ინაპექტორს და თვითონაც ხშირად ჰკრიდნენ შეშას, მონაწილეობდნენ სამეურნეო სამუშაოებში“¹.

ი. გოგებაშვილის დაზასიათებით გაბრიელ ჭიქოძის საინსპექტორო და პედაგოგიური მოღვაწეობიდან ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობდა მისი ზრუნვა მასწავლებელთა და მოსწავლეთა ზოგადი განათლებისათვის, დოგმატიზმის ტყვეობიდან მათი ნიჭისა და უნარის გამოხსნისათვის;

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 40.

გამოიწერა რა რუსეთიდან თითქმის ყველა ყურნალ-გაზე-
თი და უახლესი ლიტერატურა, მან სტიმული მისცა
მეცნიერული აზრის გაღვივებას, მისდამი ლტოლვის გაძლი-
ერებას. „ყოველ საღამოს — წერს გოგებაშვილი — სემინა-
რიის აივანი წარმოადგენდა გაცხოველებულ დავის ასპა-
რეზს“.

კიდევ უფრო საინტერესოა სპეციფიკა იმ ხერხებისა და
მეთოდებისა, რომელთაც ქიქოძე მიმართავდა ამა თუ იმ
დისციპლინის სწავლების პროცესში. ამ მხრივ პირდაპირ
განცვიფრებას იწვევს მის მიერ მათემატიკური საგნების,
კერძოდ კი ფიზიკისა და ასტრონომიის სწავლება. საუცხოოდ
მოწყობილ, მაშინ მთელ საქართველოში ერთადერთ ფიზი-
კის კაბინეტში, თვალსაჩინოების გზით, გაბრიელმა შესძლო
თეორიული სწავლებისა და პრაქტიკის თავისებური შერწყ-
მა. საინტერესო და ყველასათვის მისაწვდომი ცდების
შემდეგ იგი მიმზიდველი ცოცხალი სიტყვით (სმენითი
ილქმით) საბოლოოდ ამტკიცებდა მოსწავლეთა გონებაში
ცოდნას. ასევე საყურადღებოა, რომ ახალგაზრდა პროფე-
სორს შეუძენია ზოგიერთი ასტრონომიული ხელსაწყო,
„რომელთა დახმარებით იგი... სემინარიის აივნიდან საღამო-
ობით აწარმოებდა ასტრონომიულ დაკვირვებებს“¹.

როგორც ი. გოგებაშვილი გადმოგვცემს, გაბრიელ ქიქო-
ძემ სემინარიის სწავლა-აღზრდის უვარგის სისტემაში თითქ-
მის ერთმა პირველთაგანმა შეიტანა აქტიურობისა და შეგ-
ნებულობის პრინციპი და, რაც მთავარია, მთელი სასწავლო-
სააღმზრდელო პროცესი მოსწავლეებში მყარი ყურადღების

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 39—40.

აღზრდას დაუქვემდებარა. იგი თავისი აღსაზრდელებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა არა ზუთხვას, არამედ სასწავლო მასალის გაცნობიერებულ, გააზრებულ შეთვისებას. ამ როგორი სიცხადით გადმოგვცემს ი. გოგებაშვილი ამას: „მანამდე სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში გამეფებული იყო გამომყეყეჩებელი ზეპირობა, ზუთხვა. იშვრათად ესმოდა რომელიმე მოსწავლეს მექანიკურად გაზეპირებული გაკვეთილების შინაარსი... ასეთი იყო მაშინ თითქმის მთელი სწავლება. ზუთხვის აღმოსაფხვრელად ახალგაზრდა ინსპექტორმა შემოიღო შემდეგი რადიკალური ზომა: მან გამოუცხადა მოსწავლეებს, რომ მის საგანში სახელმძღვანელოები არ შეეძინათ. (რადგანაც უვარგისი სახელმძღვანელო თავგზას აუბნევდა ბავშვებს. — ს. ს.). გაკვეთილები კლასში არ ჩაეწერათ, არამედ ყურადღებით მოესმინათ მისი ახსნა-განმარტება კლასში და მასალა შეეთვისებინათ მისი სიტყვებით. ის გაკვეთილებს ხსნიდა მთელი სიმარტივით, ზედმეტი სიტყვებისა და გამოთქმების გარეშე. გაინეორებდა მას რამოდენიმეჯერ და შემდეგ კი იმასვე გაამეორებინებდა მოსწავლეებს... კლასში შესწავლილი მასალის სრულ შეთვისებამდე... ამიტომ ისინი სმენად და ყურადღებოდ იქცეოდნენ კლასში და ეჩვეოდნენ დაძაბული ყურადღებით ყოფილიყვნენ მთელი გაკვეთილის განმავლობაში“¹. მარტო გ. ქიქოძე როდი იჩემებდა ამ გზას. „ცოცხალი სწავლების ეს ხერხი გადაიღო ზოგმა სხვა ახალგაზრდა მასწავლებელმაც და ძველი მკვდარი ზუთხვაც გაუქმდა“, — დასძენს იაკობი.

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 43 — 44.

თავის ფრიად საინტერესო წერილში, რომელიც ამ პერიოდის თბილისის სასულიერო სემინარიის გასაცნობად უტყუარი სარკეა, ი. გოგებაშვილი ჩერდება გაბრიელის მიერ გატარებულ კიდევ ერთ ახალ ღონისძიებაზე — მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაზე. „გერასიმე ქიქოძემ — წერს ი. გოგებაშვილი — სულ სხვა თვალსაზრისი დაამყარა. ის თამაშობას თვლიდა აუცილებლად სასარგებლო მეცადინეობად არა მარტო სხეულისათვის, არამედ სულისათვისაც... ყოველდღე, ნასადილევს, რამდენიმე საათის განმავლობაში სემინარიის ეზო წარმოადგენდა ფრიად მრავალფეროვან, მაგრამ სავსებით წესიერ თამაშობათა ასპარეზს... ყველასათვის ცნობილ, მკაცრად განსაზღვრულ მომენტში სემინარიის ეზოში თამაშობა წყდებოდა.

ამის შედეგად — განაგრძობს იაკობი — აშკარად შემცირდა ბავშვთა საიდუმლო ბიწიერებანი, რომელიც ასე გავრცელებული იყო დახურულ სასწავლებლებში“.

აჯამებს რა გ. ქიქოძის უნაყოფიერეს მოღვაწეობას სემინარიაში, მისი სასიქადულო მოსწავლე ასკენის: „საერთოდ გერასიმე ქიქოძის საინსპექტორო და სამასწავლებლო მოღვაწეობა, რომელიც ყოველთვის მიზნად ისახავდა მნიშვნელოვანს და არსებითს და არა ხურჯღავდებოდა წვრილმანებად, უაღრესად ნაყოფიერი იყო და ღრმა კვალი დასტოვდა სემინარიაში“¹. კარგა ხნის შემდეგ ასეთივე შეფასებას აძლევდა გაბრიელის პედაგოგიურ მოღვაწეობას იმდროინდელი რუსული პრესაც: „Как педагог, он оставил в своих учениках самые лучшие воспоминания. Ораторский талант

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 45.

დავალ ემუ ვოზმოჟნოსტ ვოზბუჟდატ ვ ნიჰ ჯივოი ინტერესკ ნაუკე, ი ნრავსტვენნიე ეგო კაჩესტვა ვნუშალი კ ნემუ ლობოვნი ი უვაჟენიე“¹.

დაბრუნდა თუ არა ი. გოგებაშვილი სამშობლოში, მისი თვალი და ყური კვლავ გაბრიელისაკენაა მიქცეული. თბილისის სასულიერო სასწავლებლიდან, სადაც მას 1864 წლიდან მოუხდა მასწავლებლობა, იგი უწინდელი გულმოდგინებითა და პატივისცემით ეხმაურება სათაყვანო აღმზრდელის მოღვაწეობას, მაგრამ ახლა უკვე სულ სხვა ასპარეზზე².

ი. გოგებაშვილი აღფრთოვანებით მიეგება 1867 წელს ლონდონში გაბრიელის „ქადაგებანის“ ონგლისურ ენაზე გამოცემას (თარგმნა სოლომონ მალანმა). დიალაც რომ სამაყო იქნებოდა მისთვის ქართველი კაცის ეთიკურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა მოწონებით აღიარება ევროპის კონტინენტზე, რომლის მცხოვრებთა დიდ ნაწილს, უურნალ „Русская Мысль“-ის (1894 წ., გვ. 594) სიტყვებს თუ ვერწმუნებით, სწორედ გაბრიელის ქადაგებათა წაკითხვის შემდეგ აღძვრია განსაკუთრებული სურვილი უფრო ახლოს გაცნობოდა ქართველი ხალხის ისტორიასა და ლიტერატურას.

¹ „Церковния Веломости“, 1896 г., № 9, стр. 330.

² როგორც ცნობილია, 1860 წლიდან გაბრიელს იმერეთის საეპარქიო კათედრაზე ეხედავთ, სადაც მან ახალი ძალით გაშალა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა და პუბლიცისტურ კილოზე წარმოთქმული ღრმად მორალისტური ქადაგებებით მთელი საქართველოს ყურადღება მიიპყრო. ფრიად საყურადღებოა, რომ ი. გოგებაშვილმა თავის უკვდავ „ბუნების კარში“ გაბრიელის ცხოვრების სინამდვილიდან შეიტანა აღმზრდელობითი შინაარსის საკმაოდ ვრცელი ეპიზოდი „ქვემარაბიტი მოძღვრის“ სახელწოდებით.

იაკობ გოგებაშვილმა ისტორიული თვალსაზრისით მეტად მაღალი შეფასება მისცა იმ დიდ ბრძოლას, რომელიც გ. ქიქოძემ გასწია ქართული ენის დასაცავად. ამ ღვაწლზე ილია ჭავჭავაძეც ხომ მიუთითებს, როცა ამბობს: „იგი თავგამეტებით იღგა ჩვენის ენის მწეღ და მფარველად“.

როგორც ცნობილია, ქართული ენის დევნა რუსიფიკატორ მოხელეთა მიერ განსაკუთრებით გამძაფრდა 70-იანი წლებიდან. ამ „ლაშქრობასთან“ დაკავშირებით ჩვენი გამოჩენილი პუბლიცისტი ნ. ნიკოლაძე 1876 წელს წერდა: „ამ 5—6 წლის წინეთ იცით რა დრო და ამინდი იყო ჩვენთვის... ქართული ენა ვის ახსოვდა, ქართულ მწერლობას ვინ აქცევდა ყურადღებას“.

1873 წელს სინოდის განკარგულებით ქართული ენის დევნამ უკიდურესი სახე მიიღო, როგორც თბილისის სასულიერო სემინარიაში, ისე საყოველთაოდ.

მთელი უბედურება ის იყო, რომ მეფის რუსეთის მოხელეები დასაყრდენს თავისი ბნელი ზრახვების განსახორციელებლად ზოგიერთ რენეგატ ქართველში პოულობდნენ. ერთი ასეთთაგანი მე-19 საუკუნის 70-იან წლებში იყო მეფის სენატორი, ცნობილი მონარქისტი გიორგი მუხრანსკი, რომელიც ერთ თავის ბროშურაში უტიფრად ამტკიცებდა ქართველი ხალხის ასიმილაციისა და მისი ენის უთანთქმის (ე. ი. მოსპობის) აუცილებლობას. სწორედ ეს გადაგვარებული ადამიანი ჰყავს მხედველობაში ი. გოგებაშვილს, როცა წერს: „ბევრს არა სწამს მომავალი ქართველი ერისა და სიკვდილს უწინასწარმეტყველებს მას“¹.

¹ ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, 1940 წ., გვ. 531.

თავგასული მუხრანსკის ასალაგმავად ბევრი საპასუხო წერილი დაიწერა (ს. მესხი, პ. უმიკაშვილი, გ. ქალაღიდელი და სხვ.), მაგრამ არგუმენტაციის ძალითა და მეცნიერული სიღრმით ყველასაგან გამოირჩევა გაბრიელ ქიქოძის პასუხი. რადგანაც იაკობ გოგებაშვილი თავის პედაგოგიურ და პუბლიცისტურ წერილებში ხშირად ეყრდნობა და იშველიებს ამ წერილში გამოთქმულ აზრებს, შევჩერდეთ მის მხოლოდ ზოგად ნაწილზე. ეხება რა ქართული ენის თვითმყოფობას, გ. ქიქოძე მუხრანსკისადმი საპასუხო წერილში წერს: „ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა, მაშასადამე ისიც საჭირო არის ხალხის ბედნიერებისათვის... თუ ენას ასე დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტესად ძნელია და შეუძლებელი ხალხისათვის მისი მოსპობა; მით უმეტესად უნდა ეცადოს ხალხი მისს შეკეთებას, გავრცელებას და არა დაკარგვას...“

ქართველის და სომხების ენანი თუმცა მცირე ხალხის ენანი არიან, მაგრამ არა ღარიბნი. ამ ენებს აქვს მწიგნობრობა, ლიტერატურა, სამღვთო წერილი, წმ. მამათა წერილნი ნათარგმნი. ამ ორ ენაზე ყოველი მეცნიერება და აზრი გამოითქმის; მათ აქვსთ ორი ათასი წლის მეტი ისტორია; ისანი იყვნენ ოდესმე თვითმღვომნი სახელმწიფონი, ერთი სიტყვით აქვთ მათ ყოველნი ელემენტნი არსებობისა და სიცოცხლისა. ამისათვის მათი ენის განქარვება ძნელად საფიქრებელია, შეუძლებელია“¹.

აკამტვერებს რა მუხრანსკის ბროშურაში წამოყენებულ ანტიმეცნიერულ დებულებებს, „ღრმად მიწევნილი მეცნიე-

¹ „მოამბე“, 1896 წ., № 3, გვ. 99.

ზი“ (ილიას გამოთქმა) ასკვნის: „თეორია გამოცდილებაზე უნდა იყოს დამყარებული, ფაქტებიდან უნდა იყოს გამოყვანილი და არა უკუღმა, ე. ი. ფაქტები თეორიიდან არ გამოიყვანება... აქსიომები მარტო მათემატიკაში არიან მისაღებნი, ისტორიაში და ფილოსოფიაში ძნელად მოიპოვებიან ისინი“¹.

საბრძოლო ასპარეზზე გამოსული გაბრიელი სახელმწიფოებრივი წყობილების აკარგვიანობის განსჯაშიც კი შედის. როცა მონარქისტ მუხრანსკის მისამართით ამბობს: „შვეიცარია დიად მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო არის... ფედერაციას და რესპუბლიკას შენ სახელმწიფოდ არ სთვლი... ნუ თუ მარტო მონარქია არის მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო და რესპუბლიკა არა. ივგონებ შვეიცარიასთანა განათლებული, მაგარი, ერთობით და თანხმობით სავსე სახელმწიფო არც კი არის ევროპაში“².

დიდ ქართველ პედაგოგს, რომელიც სიკვდილამდე უღმობლად ებრძოდა ქართული ენისა და მისი შემქმნელი ერის ყველა ჯურის მტერს, გაბრიელ ქაქოძის სწორედ ეს წერილი ჰქონდა მხედველობაში, როცა 1902 წელს პოლემიკური კილოთი დაწერил „ივერიის“ მეთაურში წერდა: „მუხრანსკის აზრი... დაჰგმო და შეაჩვენა ჩვენმა მწერლობამ, ინტელიგენციამ, თავადაზნაურობამ, სამღვდელოებამ, მთელმა საქართველომ. თვით მშვიდობიანი და მომთმენი გაბრიელი ააღელვა, შეადრწუნა ამ უკუღმართობამ და მოაწერინა ავტორისათვის წერილი, რომელშიაც იგი აბრალებდა მას უღმობელოებას, უდიერობას. ეს ღვაწლით შემოსილი გვაში

1 „მომამე“, 1896 წ., № 3, გვ. 97

2 იქვე. გვ. 94.

უმტყიციებდა უკუღმართის წიგნაკის ავტორს, რომ... განათ-
ლება, ყოველი პროგრესიული მიმართულება ჩვენს ხალხში
შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ ქართულის ენის მეოხებით.
ამის გამო ამ ენის შევიწროება, შესუსტება და გაქრობაო
აუცილებლად დაჰბადებს ჩვენის ერის შეჩერებას, უკან-
აუკან წასვლას, გადაშენებას და მიწასთან გასწორებასო“¹.

როგორც უკვე ითქვა, მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან
ქართული ენისა და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის
დევნამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ კერსკის რევიზია, რომ-
ლის უდანაშაულო მსხვერპლიც კინალამ შეიქმნა იაკობ გო-
გებაშვილი. რა თქმა უნდა, კერსკი მარტო როდი ყოფილა.
მას უკან ედგა და პროვოკაციული „დანოსებით“ ლესაედა
მაშინდელი ეგზარქოსი ევსევი. საქმე იმაშია, რომ ქართვე-
ლების მოძულე ევსევს იმ ხანებში და შემდეგშიც დიდი
შეტაკება ჰქონდა გაბრიელთან, გოგებაშვილის ამ სათაყვა-
ნო აღამიანთან. ეს მაღალიდეური დამოკიდებულება გოგე-
ბაშვილსა და გაბრიელს შორის არ შეიძლებოდა მას არ
ხსცოდნოდა.

ერთი საინტერესო ეპიზოდი ნათელსა ჰფენს არა მარტო
ევსევის მტრულ დამოკიდებულებას გაბრიელისადმი, არამედ
ამ ნიადაგზე გოგებაშვილსა და ევსევის შორის ჩამოვარდნილ
განხეთქილებასაც. ი. გოგებაშვილი იგონებს: „გაბრიელმა
ამ სტრიქონების დამწერს დასაბეჭდად გამოუგზავნა თავისი
ქადაგებანი ქართულ ენაზე. ქართული ენის მასწავლებელს
ა. ი. პაპინაშვილს ვთხოვე ეს ქადაგებანი საცენზუროდ წა-

¹ ი. გოგებაშვილი, თხულებანი, 1945 წ., ტ. 3, გვ. 338.

რედგინა ეგზარქოსისათვის. პიპინაშვილი დიდი თაყვანის-
მცემელი იყო გაბრიელისა და სიხარულით დათანხმდა. მაგ-
რამ როგორ განცვიფრდა ის, როცა დაბეჭდვის ნებართვის
თხოვნაზე ეგზარქოსმა უდიდესი გაბრაზებით უპასუხა: რა
უნდა ნეტავი... სურს კიდევ უფრო გამოიჩინოს თავი და გა-
ნათლდეს? მაშ თვითონვე გაატაროს ცენზურაშიო,— და არ
დაიტოვა ხელნაწერი. მაშინ ხელნაწერი წარუდგინე სა-
ცენზურო კომიტეტს, რომელმაც დაუბრკოლებლივ და დაუ-
ყოვნებლივ მოგვცა დაბეჭდვის ნებართვა და თქვა: გაბრიე-
ლი თავის თავის საუკეთესო ცენზორიაო“. ცხადია, გოგება-
შვილის ასეთი ზრუნვა გაბრიელზე არაფრად ექაშნიკებო-
და ინტრიგების ქსელში გახვეულ ევსევს. ეგზარქოსის სი-
ძულვილს სასულიერო სასწავლებლის ამ ჩინებული ზედა-
მხედველის, შესანიშნავი პედაგოგისა და ქართული ენის შე-
უდრეკელი დამცველისადმი ესეც თან დაერთო და ამიტომ
იყო, რომ ავადმყოფობის დროს თავს დაასხა რევიზია კერს-
კის მეთაურობით. ი. გოგებაშვილის აზრით, ევსევი ასე ვე-
რაგულად იმიტომ ეპყრობოდა გაბრიელს, რომ შურჯა მისი
მალალი და საქვეყნოდ განთქმული ავტორიტეტი.

კერსკის არაობიექტურ რევიზიასთან დაკავშირებით
მთელ საქართველოში დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა. ყველამ
აფიქრებდა ი. გოგებაშვილის ბედი, რომელმაც საბოლოოდ
ჩაიქნია ხელი სკოლაში პრაქტიკული მოღვაწეობის გაგრძე-
ლებაზე. ეგზარქოსი ევსევი გაფაციცებით ადევნებდა თვალ-
ყურს, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. იგი განსაკუთრებით ვერ
ურიგდებოდა ქართველი სამღვდელოების, კერძოდ, მისი
საუკეთესო წარმომადგენლის გაბრიელის შეურიგებელ პო-
ზიციას სინოდის განკარგულებებისადმი. გაბრიელი, ეს

მართლაცდა „მებრძოლი ბერი“ (ილია ხონელის გამოთქმა):
შეუპოვარი იყო მეფის მოხელეებთან, რასაც სიამაყით მი-
უთითებს გოგებაშვილი: „თავის მოქმედებაში ის არასოდეს
არ ხელმძღვანელობდა მთავრობის შეხედულებით, არასო-
დეს არ ცდილობდა ეამებინა თავის უფროსებისათვის და
მუდმივ გულწრფელად და დამოუკიდებლად იქცეოდა“¹.

ესეც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ, გოგებაშვილი-
სავე მოწმობით, ეგზარქოსი „სიამოვნებით ღებულობდა ცი-
ლისმწამებლურ დაბეზლებას მის (გაბრიელის. — ს. ს.) საწი-
ნაალმდევგოდ და მოითხოვდა განმარტებებსა და თავის მართ-
ლებას“.

სწორედ ერთი ასეთი ახსნა-განმარტება მოუთხოვნია
ეგზარქოს ევსევს გაბრიელისაგან 1874 წელს. აი ეს საინ-
ტერესო, არაოფიციალური დოკუმენტი, რომლის ხელნაწე-
რის ასლიც ჩვენთან ინახება:

„№ 505, 22 апреля 1874 г. Экзарху Евсевию. Ваше
Высокопреосвященство, милостивейший Архипастырь!
На секретное отношение Вашего Выс-ва от 8 апреля 1874
года за № 1703, о выборе-смотрителями Тифлисского и
Кутаисского духовных училищ лиц только русского проис-
хождения и о представлении Вам по сему предмету мо-
его отзѣва, ямею честь сообщить, что предположение
г. Керского относительно этого дела, по моему крайне-
му разумению, не может быть признано рациональным;

Во 1-ых, когда дело идет о замещении служебных
мест и должностей в Закавказском крае, то справедли-

¹ ა. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940 წ., გვ. 452.

зность и, смею думать, здравая политика требуют не делать никакого иного различия между соискателями, кроме благонамеренности, честности и справедливости их, а в особенности не делать различия между лицами русского и не русского происхождения.

...При определении на службу лиц, нужно всегда иметь в виду, главным образом, только пользу службы, а не личностей того или другого происхождения... опыт прошлого и настоящего времени показывает, что на всех поприщах, вместе с лицами русского происхождения, с честью и пользою служили и служат и туземцы...“.

ფრიალ საყურადღებოა, რომ ეს აზრი გაბრიელმა მთელი პირდაპირობით გაიმეორა 1880 წელს, როცა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი უნდა აერჩიათ. გაზ. „ღროების“ კორესპონდენტის გადმოცემით გაბრიელს დაახლოებით ასეთი სიტყვით მიუმართავს დეპუტატებისათვის: „დიდი ფიქრი და სიფრთხილე გმართებთ, რომ შეცდომა არ მოგივიდეთ. სასწავლებლის ზედამხედველი უნდა იყოს ჭკვიანი, მცოდნე, გამოცდილი და კარგი ხასიათის კაცი. მთელს სასწავლებელს ისეთი მიმართულება და ხასიათი ექნება, როგორც მისს ზედამხედველს. ამჟამად ბევრია კანდიდატი რუსებიც და აქაურებიც. ზემოურ-ქვემოურს ნუ შიაქცევთ ყურადღებას. აგრეთვე ნურც იმას, ეს რუსია და ეს ქართველიო. განხეთქილებას ნუ ჩამოაგდებთ ერთმანეთში. ეს საძაგლობაა: კაცი სულ ერთია ვინც უნდა იყოს და საიდანაც იყოს, ოღონდ კი შეეფერებოდეს თავის ადგილს და დანიშნულებას“.

დაჯუბრუნდეთ ისევ ეგზარქოს ევსევისადმი გაბრიელის

წერილის იმ ადგილს, სადაც, კერსკის რევიზიასთან დაკავშირებით, მის ნამოწათარ ი. გოგებაშვილზეცაა ლაპარაკი. ვაბრიელის მხრივ ეს მეორე წერილია ევსევისაღმი დათარიღებული 1874 წლის 16 სექტემბრით. აი ზოგიერთი რამ ამ წერილიდანაც:

„При письме от 31 августа В. Выс-ву угодно было прислать ко мне новый на меня донос, или лучше продолжение, отчасти повторение прежняго доноса и опять требуют от меня обстоятельного на него объяснения. В особенности Вы спрашиваете меня: какие я имею доказательства на то, что Вы, будто, преследовали Гогებაшвили и при этом, как бы в оправдание свое, прилагаете какое-то действительно отвратительное описание его болезни, им самим составленное“. ცოტა ქვემოთ, ამავე განმარტებითს წერილში ვკითხულობთ: „Что же касается собственно до Ваших отношений к Гогებაшвили, то в суждении об этом я основывался, во 1-ых, на всеобщем слухе, разнесшемся у нас, что Гогегов, пред своим уходом из училища, или как здесь говорили, покушением на самоубийство, оставил в своей квартире записку, приблизительно следующего содержания: „Обрадуйте Экзарха, я окончательно погибаю“ и пр., во 2-х, мне попало в руки одно собственноручное его письмо, не помню к кому именно и когда писанное, в коем он упоминал, что Вы решились во чтобы то ни стало его погубить“.

ასე ესარჩლებოდა ვაბრიელი ი. გოგებაშვილს, რომელსაც მეფის აგენტებმა საყვარელი პროფესია მიატოვებინეს,

თუმცა სამაგიეროდ მან მაღლიანი კალმით შთამომავლობისათვის საუკუნო განძი გაიღო.

ეგზარქოს ევსევას დევნისა და კერსკის უსამართლო რევიზიისაგან გულდაკოდლი იაკობი ერთ თავის მოგვიანო წერილში, ეხებოდა რა თბილისის სასულიერო სემინარიის უნუგეშო მდგომარეობას, წერდა: „მაგრამ ვინ არის დამნაშავე ამაში, თუ არა ის წესები, რომელნიც ათი წლის წინად შემოიღეს სემინარიაში კერსკის რევიზიის გამო, რომელსაც რამდენიმე ღვარძლი მოეჩვენა და მასზედ გაჯავრებულმა მთელი ყანის გადაგლეჯა წამლად დაუნიშნა. დიახ..., — განაგრძობს ი. გოგებაშვილი, — აწინდელი სემინარიულებისაგან ვერ გამოვლენ ვერც დიმიტრი ბაქრაძეები, ვერც გერასიმე ქიქოძეები (იგივე გაბრიელი. — ს. ს.), ვერც პეტრიაშვილები, ვერც ცაგარლები“¹.

* * *

გაძლიერდებოდა თუ არა რეპრესიები ქართული ენისა და საერთოდ ქართული კულტურის წინააღმდეგ, დიდი ქართველი პედაგოგი დაუყოვნებლივ ამოიყენებდა გვერდით რჩეულ თანამოღვაწეებს.

როდესაც 80-იანი წლებიდან იანოვსკი-ლევიტსკის რუსი-ფიკატორულმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ახალი ძალით მიიტანა იერიში, რათა დასავლეთ საქართველოს სკოლებიდან გამოეძევებიათ ქართული ენა და უაზრო, პედაგოგიურად გაუმართლებელი მუნჯური მეთოდი დაენერგათ, ი. გო-

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954 წ., ტ. II, გვ. 361.

გეგმაში ილია ჭავჭავაძეც ჩააბა.

სწორედ ამ პერიოდში გამოქვეყნდა გაზ. „დროებაში“ (1881 წელს) იაკობ გოგებაშვილის წერილი — „მზრუნველ იანოვსკის სამოსწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა“, რომელშიც სასტიკად იყო გაკრიტიკებული კავკასიის ოლქის მზრუნველის ანტიხალხური ზრახვები.

იანოვსკი-ლევიტსკის ამ თავზნდურ ლაშქრობას დასავლეთ საქართველოში გაბრიელ ქიქოძე აღუდგა წინ. გაქნილი აგენტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მშობლიურ ენას, მის დაცვასა და წარმატებას გაბრიელი მფარველობდა. ამ მხრივ გაბრიელს ძალზე გადაეკიდა და, რომ იტყვიან, კრიჭაში ჩაუდგა ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორი ლევიტსკი. იგი დასმენას დასმენაზე წერდა და ეპარქიის კათედრიდან გაბრიელის გადაყენებას მოითხოვდა. მზრუნველის სახელზე დაწერილ ერთ-ერთ მოხსენებითს ბარათში ლევიტსკი წერდა: „ამ ხიფათიდან (ლაპარაკია რუსული ენის არადამაკმაყოფილებლად სწავლებაზე. — ს. ს.) საქმეს ვერ იხანის სკოლების ინსპექტორად რუსის დანიშვნაც, რადგან ეპარქიის ხელმძღვანელი „ტუზემეცი“ არის, რომელიც მოსთქვამს და გოდებს, რომ რუსული ენის ხარჯზე ითვლება და იზღუდება მშობლიური ენა“¹.

გაბრიელმა იანოვსკის გამანადგურებელი პასუხი გასცა, რომელშიც, დავით კლდიაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ,

¹ ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, 1935 წ., გვ. 69.

„გაბედულად გადაუშალა მისი ანტიბედაგოგიური მიმართულება“.

ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ი. გოგებაშვილი, გაბრიელ ქიქოძე, ს. მესხი და სხვები უსაჭიროესად ცნობდნენ ქართველი ხალხისათვის რუსული ენის შესწავლას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვდნენ, რომ „სწავლება ყველა საგნებისა უნდა მიდიოდეს დედა ენაზედ მთელის კურსის განმავლობაში... რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი, და მის დაწყებას უნდა ჰქონდეს ადგილი მხოლოდ მესამე წლიდან“¹.

თავის პასუხში იანოვსკისადმი გაბრიელ ქიქოძესაც, მსგავსად გოგებაშვილისა, შეუძლებლად მიაჩნია სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მცირე დროის მონაკვეთში რუსული ენის საფუძვლიანი შესწავლა.

რაც შეეხება საკითხს, თუ რა აზრის იყო გაბრიელი მშობლიურ ენაზე სწავლების შესახებ, ამაზე დამაჯერებელ პასუხს ვხვდებით გ. შარაშიძის წერილში — „ცოტა რამ გურიის სკოლების წარსულიდან“².

როგორც წერილიდან ვგებულობთ, 1880 წელს გაბრიელი დასწრებია იანოვსკის ინიციატივით მოწვეულ ქუთაისის მასწავლებელთა კრებას და გაკვეთილების მოსმენის შემდეგ თავისი აზრი გამოუთქვამს იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე უნდა იყოს სწავლება სკოლებში: „თუ სწავლა სკოლაში მშობლიურ ენაზე არ სწარმოებს, ფუჭია ყოველი შრომა“.

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 77.

² „განათლება“, 1916 წ., № 1, გვ. 12—19.

და მეცადინეობა. არა თუ დაბალ სკოლებში, გიმნაზიაშიც სწავლება სამშობლო ენაზე უნდა იყოს. რა დიდი შეცდომაა, როცა ზოგიერთების აზრით არა თუ სხვა საგნები, ასე გასინჯეთ საღვთო სჯულიც უცხო ენაზე უნდა ისწავლებოდეს. ამ სიტყვამ—დასძენს გ. შარაშიძე — დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, განსაკუთრებით დამსწრე, რუს პედაგოგებზე. გაბრიელის სიტყვას ხშირად მოიხსენებდა კრებაზე დირექტორი მარსოვი“.

ეწეოდა რა მშობლიური ენის დაცვის დაუცხრომელ პრობაგანდას, ი. გოგებაშვილი ხშირად მიმართავდა გაბრიელ ქიქოძის ავტორიტეტს. წერილში „რა დავკარგეთ“ დიდი პუბლიცისტი ვრცლად ეხება ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის მტკივნეულ საკითხებს და პატივისცემით იხსენიებს გაბრიელ ქიქოძისა და სხვათა ამაგს მშობლიური ენის წინაშე: „ესენი ხშირად ესაუბრებოდნენ ქართველს ქალწულებს დედა ენაზედ, ურჩევდნენ დედა ენაზე წიგნების კითხვასა“¹.

მეორე საინტერესო წერილში — „რუსული ენა ქართულ სახალხო სკოლებში“ ი. გოგებაშვილი ეხება რუსული ენის საფუძვლიანად შესწავლის აუცილებლობას, კერძოდ, მშობლიური ენის ადგილს სკოლაში, და კვლავ გაბრიელ ქიქოძის შეხედულებებს იმოწმებს: „როცა 1884 წელს საქართველოს ეგზარქოსი პავლე დაეკითხა გაბრიელს, საჭიროდ მაგაჩნია თუ არა რუსული ენა სამრევლო სკოლებისათვის, პასუხად მიიღო, რომ თუ რუსული მთლად იქნა გამოტოვებული

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 538.

ბული ახალის სკოლების პროგრამიდან, ხალხი უკმაყოფილო დარჩება“¹.

ეგზარქოს პალლადისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში გაბრიელი, იხსენებს რა 1884 წელს ეგზარქოს პავლესთან საუბარს და მის საპასუხო სიტყვებს რუსული ენის სწავლებასა, მის როლსა და ადგილზე ჩვენს სკოლებში, აღნიშნავს: საქართველოში სკოლა წარმოუდგენელია რუსული ენის გარეშე, ვინაიდან ხალხი ასეთ სკოლაში ბავშვს არ მიაბარებსო.

სავსებით ანალოგიურ აზრს ავითარებს ი. გოგებაშვილიც რუსული ენის შესწავლის აუცილებლობაზე, მისდამი ქართველი ხალხის დიდ სიმპათიაზე, როცა წერს: „ჩვენს ხალხს სურს იცოდეს რუსული ენაც. ეს სურვილი — უნდა მართალი ვთქვათ — იმდენად საგრძნობელია, რომ სახალხო სკოლა, რომელშიაც რუსულ ენას ადგილი არ ექნება, ვერ მოიპოვებს ჩვენის ხალხის სრულს სიმპათიასა“².

* * *

როგორც არა ერთხელ ითქვა, იაკობ გოგებაშვილს შეტად ესახელებოდა გაბრიელი, „ეს ერთი ყველაზე უფრო ღირსეული და სრულყოფილი ფიგურა ჩვენი დროისა“ (ნ. ნიკოლაძე). დიდი ილიაც ხომ მოხიბლული იყო გაბრიელის პიროვნებით, მისი სიღიადით: „როცა რომელსამე ერის სიკეთე

¹ ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, 1940 წ., ტ. 11, გვ. 42.

² იქვე, გვ. 541.

ენებავთ დაანახვით ვისმე, ერის აღმატებულობა დააჯეროთ, ამისთანა კაცებს დაასახელებენ ხოლმე“¹.

ვისით შეიძლებოდა მოეწონებინა თავი ევროპის წინაშე ი. გოგებაშვილს, თუ არა „მსოფლიოში უდიდეს მქადაგებლად მიჩნეული“ (მოსე ჯანაშვილის თქმავ) გაბრიელით. და აი, როდესაც დიდ პედაგოგს დაევალა სპეციალური წერილის დაწერა პარიზის გამოფენისათვის, მან გაბრიელ ქიქოძეს ასეთი სტრიქონები მიუძღვნა: „თვითნებულს კეთილად მოწყობილის სკოლის წიგნთ-საცავს საქართველოში ამშვენებს ქართული კლასიკური ქადაგებანი აწ გარდაცვალებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, რომელსაც ღვთისმეტყველების დრმა ცოდნასთან შეერთებული ჰქონდა ვრცელი ფილოსოფიური და ფართო სამეცნიერო განათლება, რის წყალობითაც განამდიდრა რუსული ფილოსოფიური ლიტერატურა შესანიშნავის შრომით „Основания опытной психологии““. მისი ქადაგებანი ქართულიდგან გადათარგმნილია არა თუ რუსულად, არამედ ინგლისურადაც კი“².

ერთ თავის საყურადღებო წერილში, რომელიც დიდი პატრიოტული მგზნებარებითაა დაწერილი, ი. გოგებაშვილი საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ ბიუროკრატია სათანადოდ არ აფასებს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებს და უვიცი მოხელეებით ანაგვიანებს თვალსაზირობად გილებს.

წერილში — „ქართული ეკლესიის ბედის საკითხისათვის“ ი. გოგებაშვილი, ეხება რა ეროვნული ეკლესიის ბედს, მის

¹ „ივერია“, 1869 წ., № 32.

² ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954 წ., ტ. 3, გვ. 221.

ბრძოლას ავტოკეფალიისათვის, მთელი პირდაპირობით აცხადებს: „1819 წლიდან დაწყებული ჩვენს დრომდე მთელი-საუკუნის განმავლობაში საქართველოს ეგზარხოსად ერთ-ჯერაც არ ყოფილა დანიშნული ქართველი, თუმცა ქართველ სასულიერო პირთა შორის იყვნენ ისეთი მაღალი განათლებულნი და ფრიად ღირსეული იერარქები, როგორც, მაგალითად, იმერეთის განსვენებული ეპისკოპოსი გაბრიელი — პეტერბურგის სასულიერო აკადემიის მაგისტრი, ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი“¹.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველმა იცოდეს, რომ ი. გოგებაშვილის წინადადებით გაბრიელი არჩეული ყოფილა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრად. ესმოდა რა ამ ორგანიზაციის დიდი ეროვნული მნიშვნელობა, გაბრიელი გულმოდგინედ ეხმარებოდა მის ყოველ ახალ წამოწყებას. გაბრიელს არც სიკვდილის წინ დავიწყებია ეს საზოგადოება, რასაც 1896 წლის „ივერიაში“ (№ 28) გამოქვეყნებული ცნობაც ადასტურებს: „ჩვენ ნამდვილის წყაროდამ გავიგეთ, რომ ნეტარხსენებულ გაბრიელს უთხოვნია თავის ძმისწულებსათვის, რომ ფულები, რომელიც მის დასაფლავებას გადარჩება, შესწირონ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. როგორც ამბობენ, ეს შეწირულება ათას მანეთამდე იქნება“.

გაბრიელის უზადო პირადი ცხოვრებისა და მისი გონებრივ-ზნეობრივი ზემოქმედების ძალა ხალხზე ი. გოგებაშვილმა ასეთი სიტყვებით დაგვიხატა: „ხალხი დაემსგავსა

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1955 წ., ტ. 4, გვ. 101.

მეტ-ნაკლებობით თავისს მწყემსთმთავარს, რომლის გამუდმებულის გავლენის ქვეშ იგი დიდხანს იმყოფებოდა“¹.

აჯამებს რა ამ „დიდბუნებოვანი“ (ილიას გამოთქმაა) ადამიანის ხანგრძლივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას, გამოჩენილი პედაგოგი ერთგვარი დასკვნის სახით დასძენს: „არ მგონია, რომ რომელიმე მწყემსთმთავრის მოქმედებას არამც თუ ჩვენში და რუსეთში, არამედ ევროპაშიაც მოეტანოს სამწყისოსათვის იმაზე უუნაყოფიერესი შედეგი, რომელიც შესძენა იმერთა ერსა განსვენებულის ოცდათხუთმეტის წლის თავდადებულმა მოღვაწეობამ“².

ქართველ ხალხთან ერთად ი. გოგებაშვილიც სიხარულით მოელოდა სასიქადულო აღმზრდელის 35 წლის მოღვაწეობის იუბილეს, რომელიც 1895 წლის 8 სექტემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ იუბილარის მძიმე ავადმყოფობის გამო ეს განზრახვა ჩაიშალა.

მიუხედავად ამისა, იაკობმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა გაბრიელს: „მიბოძეთ ნება, მეუფეო, მოგიძღვნათ თქვენ უპატივცემულესი და უგულწრფელესი მოლოცვა თქვენი ოცდათხუთმეტი წლის დიდებული და უნაყოფიერესი მსახურების იუბილესა და გისურვოთ მსურვალედ მთელი გულით განახლება თქვენი უძვირფასესი ჯანმრთელობისა საკეთილდღეოდ ეკლესიისა და მამულისა, რომელიც ღრმად შეწუხებულია თქვენი უძლურებისა გამო“³.

1 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1955 წ., ტ. 4, გვ. 14.

2 იქვე, გვ. 15.

3 მელ. კელენჯერიძე, გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა, 1913 წ., გვ. 204.

გაბრიელის ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. ი. გოგებაშვილი განსაკუთრებით განიცდიდა მის ავადმყოფობას. გაბრიელის განუშორებელი მესენაყის მარკოზ სხირტლადის გადმოცემით, როცა გაბრიელის დავალებით მას გოგებაშვილი უნახავს და ყველაფერი დაუფარავად უთქვამს, დიდ პედაგოგს ცხარე ცრემლები უფრქვევია და აკანკალებული ხელით დაწერილი წერილი გაუტანებია ძვირფასი ადამიანისთვის გადასაცემად. „ორი სამი კურცხალი ნაწერზეც დაეცა, მაგრამ გოგებაშვილს ამისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია“, — იგონებს მესენაყე.

თვლიდა რა გაბრიელის ერთ-ერთ ყველაზე მახლობელ და გულშემატკივარ ადამიანად ი. გოგებაშვილს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ი. მეუნარგიას 1895 წლის 2 სექტემბერს ასეთი წერილი გამოუგზავნია მისთვის: „ძმავ იაკობ! გუშინ ერთი უბედურება ვნახე, რომელმაც დიდად შემაწუხა და მინდა, რომ მით ვარამი შევიმსუბუქო. რომ შემოვუარე ფიქრით ჩემს ნაცნობ-მეგობრებს, ყველაზე უფრო შენკენ მიიწია გულმა, რადგან ვიცი, შენ სხვაზე მეტად შეგაწუხებს ეს უბედურება და ამიტომ გწერ ამ ბარათს. ძმავ, გუშინ ვნახე — ნეტა არ მენახა — გაბრიელ ეპისკოპოსი... ერთი სიტყვით რაღა ბევრი გავაგრძელო, ძმავ, ეს ჩვენი სასიქადულო გაბრიელი, ეს ჩვენი ოქროპირი დღეს შეშლილია და საუკუნოდ დაკარგული ჩვენი ქვეყნისათვის. პირველად ამ ხუთი თვის წინად შეუნიშნავთ ბიჭებს, რომ იმას მოჩვენებები ელანდებოდა, გალიუცინაცია. რომ მაშინვე ყოფილიყო პატრონი და ავადმყოფი წაეყვანათ სადმე შორს კარგ

ჰაერში და ქონოდა მოვლა სულიერი და უფრო ხორციელი, შეიძლება ამ ყოფაში არ მოსულიყო. ჩემს ჰაზრს რა ფასი აქვს, თორემ მე მგონია, რომ იმის მორჩენა შეუძლებელი არ არის. მიხა ქიქოძემ მითხრა მასთან დიალოგი: „Скучно“, სტქვა თურმე ავადმყოფმა. „и грустно,“ უპასუხა მიხამ. „И некому руку подать“ — დააბოლოვა ავადმყოფმა. მართლა, გასაოცარი ის არის, რომ ავადმყოფი გრძნობს თავის მდგომარეობას. ერთხელ უთქვამს: „Ведь я с ума схожу“.

გაბრიელის დღეები უკვე დათვლილი იყო. შედარებით ნაადრევი სიკვდილის მიზეზებზეც ი. გოგებაშვილმა მიუთითა: „იგი ისე იწვოდა... მოყვასის სიყვარულით, არ შეიძლებოდა ნაადრევად არ დაფერფლილიყო. ასეც მოხდა“¹.

გაბრიელის გარდაცვალებამ (1896 წ. 26 იანვარს) დიდად დაამწუხრა მისი საამაყო მოწაფე ი. გოგებაშვილი. მან იმ დღეებში რამდენიმე გულთბილი წერილი მიუძღვნა გაბრიელის ხსოვნას და ბევრი გონივრული ღონისძიებაც დასახა გამორჩენილი ადამიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად. ერთ-ერთ თავის წერილში — „მთავარი ღირსება გაბრიელ ეპისკოპოსისა და საუკეთესო ძეგლი“ იგი მიესალმება საზოგადოების მოთხოვნას, რომ დაარსდეს სტიპენდიები და სკოლა მეცნიერი არქიერის სახელზე, მაგრამ კიდევ უფრო საშვილიშვილო საქმედ მიაჩნია „სასულიერო და საერო მწიგნობრობის აღორძინება ქართულს ენაზედ, განსვენებულის სახელით, გამდიდრება ჩვენის ლიტერატურისა, სასულიეროსი

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954 წ., ტ. 3, გვ. 46.

და საეროსი, დარბაისლური, კლასიკური თხზულებებითა, რომელთაგან ზოგი გადმოითარგმნება და ზოგი დაიწერება ქართველ სწავლულთაგან“¹.

* * *

ასეთ იდეალად დარჩა სიკვდილამდე დიდი პედაგოგის წარმოდგენაში უძვირფასესი აღმზრდელის, გაბრიელ ქიქოძის ნათელი სახე და საქმე.

დიდბუნებოვანი ქართველის დიდებულ ცხედარს იაკობი გამოეთხოვა იმის მტკიცე რწმენით, რომ სამშობლო ქვეყანა მომავალში კიდევ მრავლად წარმოშობს ასეთ მოკაშკაშე მეტეორებს.

¹ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954 წწ., ტ. 3, გვ. 10 — 11.

აკაკი მარაველიძე

უცნობი ფაქტი ჰოქტის ცხოვრებიდან

დიდ აღამიანს ბიოგრაფიაც დიდი და მრავალფეროვანი აქვს. ბიოგრაფიაში, არანაკლებ შემოქმედებისა, სრულად მოჩანს პიროვნების სულიერი ახოვნება, ზნეობრივი და გონებრივი საწადელი.

ერთი და ორი თაობის მიერ გაწეულ შრომას, რაც არ უნდა გულმოდგინე იყოს იგი, არ ძალუძს შეავსოს და საბოლოოდ შეჰკრას საქვეყნოდ ცნობილი პიროვნების ბიოგრაფიული რკალი. მთლიანი და დასრულებული მედალიონის შექმნა ნამდვილად ხანგრძლივ დროს მოითხოვს, იგი მთელი თაობების საპატიო საქმეა.

რაც გინდა პატარა იყოს ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრებისეული ფაქტი, ჩვენი ვალია მთელი სიღრმით შევისწავლოთ იგი და სათანადო მეცნიერული კლასიფიკაციის შემდეგ გარკვეული ადგილი მივუჩინოთ ბიოგრაფიულ ქარგაში.

როგორც წვეთ წყალში გამოჩნდება მზე, ასევე პატარა, მაგრამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტში შეიძლება ბევრი რამ ამოვიკითხოთ, ბევრი რამ გვენიშნოს. და რამდე-

ნადაც დიდი პიროვნება უკვდავებასთან წილდებულო ადამიანია, ისტორიისა და ზალხის კუთვნილებაა, ამდენად ყოველი მისი ნაბიჯი სათვალთვალო და შესასწავლია, რათა არაფერი დავუჟარგოთ შთამომავლობას მისი ცხოვრებიდან თუ გონების ნაჭირნახულებიდან.



ამ წერილის მიზანია დღემდე სრულიად უცნობი, მაგრამ მეტად საინტერესო ფაქტით კიდევ ერთი ეპიზოდი შევმატოს დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის ისედაც მდიდარ ბიოგრაფიას.

საინტერესოა საკითხი, ყოფილა თუ არა პოეტი რაჭაში იმ შარავანდედით მოცულ მოგზაურობამდე (1912 წ.), რომელმაც თავის დროზე მთელი საქართველო აალაპარაკა. ამჟამად თვითონ აკაკის ერთ-ერთი წერილიდან სავსებით სარწმუნო ხდება, რომ დიდი პოეტი სიყმაწვილეში მოხვედრილა მთიანი რაჭის საკმაოდ მივიარდნილ სოფელ მრავალძალში, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ამავე სახელწოდების მონასტრით იყო ცნობილი.

ამ საინტერესო ფაქტის დასახელებას ვერ ვხვდებით ვერსად, ვერც აკაკის ავტობიოგრაფიულ ნაწერებში და ვერც პოეტის ცხოვრების მკვლევარის ლევან ასათიანის ნაშრომში — „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“.

მკვლევარი მდიდარი და დოკუმენტური მონაცემების საფუძველზე ვრცლად გვაცნობს აკაკის სიცოცხლის უკანასკნელ წლებს, კერძოდ რაჭა-ლეჩხუმში განზრახული მოგზაურობის წინასწარ სამზადისს, და წერს: „ის ცდილობდა

უკანასკნელი ხანები თავისი ცხოვრებისა ხალხში გაეტარებინა და გასცნობოდა საქართველოს იმ კუთხეებსაც, რომელიც მას მანამდე არ ენახა“¹.

როგორც უკვე ითქვა, აკაკის ერთი წერილიდან, რომელიც პოეტს 1904 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოუქვეყნებია, ვგებულობთ, რომ ის ბავშვობაში წაუყვანიათ ზემო რაჭაში, ძრავალდალის ეკლესიაზე.

შორეულ წარსულში მომხდარი ეს ფაქტი აკაკის გაუხსენებია გელათის ხელმეორედ გაძარცვასთან დაკავშირებით; აღშფოთებულ პოეტს საგულდაგულო ფელეტონიც კი დაუწერია „სამძიმრის“ სახელწოდებით. სამშობლო ქვეყნის დიდი მოქირანახულე ვეღარ ფარავს თავის გულისწყრომას იმის გამო, რომ ხალხის ზნეობრივი დაცემის შედეგად საქართველოს ისტორიული სიძველენი და მატერიალური ფასეულობანი ასე უმოწყალოდ ნიავდება. პოეტი წყევლაკრულვით იხსენიებს შეიარაღებულ ავაზაკებს, რომელთაც დღისით-მზისით ხელჰყვეს დიდებული გელათი და იქიდან გაიტაცეს დავით აღმაშენებლის ბეჭედი, თამარის ქოში, მეფეთა გვირგვინები, ოქროქედილი შესამოსლები და სხვა უძვირფასესი ნივთები. სამარცხვინო ბოძზე აკრავს რა მძარცველებს, აკაკი მაგალითისათვის მიუთითებს ჩვენს წინაპრებსა და საქართველოს მიწა-წყალზე დასახლებულ გარეშე ტომებზე, რომელნიც, მკვიდრთა მიბაძვით, განსაკუთრებული მზრუნველობითა და მოკრძალებით ეკიდებოდნენ ჩვენი ქვეყნის ეკლესია-მონასტრებში დაცულ ისტორიულ განძეულობას.

¹ ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1953 წ., გვ. 473.

ამ ჭეშმარიტების ნათელსაყოფად პოეტი ასახელებს მრავალძალია მონასტერს, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა შაჰ-აბასის მიერ შეწირული, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ხმალი, რაც აქაკის თურმე პატარაობის წლებში საკუთარი თვალით უნახავს. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ დასახელებულ „სამძიმარში“: „ჩვენი ძველები და მათის წამხედურობით სხვა რჯულის ტომებიც, საქართველოს მიწა-წყალზე დასახლებულნი, ვერ გაბედავდნენ, რომ საყდრიდან, გინდ მარტო ძველი ნანგრევიც-ღა ყოფილიყო, გალავნიდანაც კი, გამოეტანათ და წაეღოთ, გინდ თვალი და მარგალიტი ყოფილიყო.

ისე დიდი იყო მათი სასოება და პატივისცემა... შახ-აბაზმა რომ რაჭაში მრავალძალის მონასტერს ძვირფასი თვლებით შეჭედილი ხმალი შემოსწირა, ის საუნჯე, ორას-სამასი წლის განმავლობაში, აქვე გარეთ ერთ ნანგრევში ეყუდა და ვერავინ ხელს ვერ ახლებდა ხატის საკუთრებას. იმ შემოსაწირავმა ჩვენ დრომდი მოატანა და მე ჩემს პატარაობაში კიდევ მინახავს ის ძვირფასი ნივთი...“¹ (ხაზგასმა ჩვენია — ს. ს.).

ეს ამონაწერი კომენტარს აღარ საჭიროებს. სავსებით უდავო ხდება, რომ აქაკი ჯერ კიდევ პატარაობისას რაჭაში ყოფილა.

მრავალძალი მთელ იმერეთში განთქმული და დიდად პოპულარული სალოცავი ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ მრავალძალის ეკლესიას სავედრებ-

¹ „ივერია“, 1904 წ., № 182. ეს წერილი შეტანილია აქაკის თხზულებათა სრულ კრებულში, 1959 წ., ტ. 7, გვ. 398.

ლოდ და სულის საოხად მიმართავენ არა მარტო დაბალი წოდების ადამიანები, არამედ სახელოვანი მეფენი და სამეფო კარის სხვა მსახურნი. კერძოდ, ამ ტაძრის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა დედის მხრით აკაკის წინაპარი, სოლომონ I. დასახელებული ეკლესიისადმი არანკლებ მზრუნველობას იჩენდა სოლომონ მეორეც. ამ ფაქტზე მეტყველებენ სათანადო სიგელ-გუჯრები, რომელთა ერთი ნაწილი ჩვენს ისტორიულ საცავებში ინახება.

უნდა ვიფიქროთ, რომ უდიდესი სასოებით და რძლით იქნებოდა დაკავშირებული მრავალძალის ტაძართან იმერეთის სახელოვან მეფეთა შთამომავალი, დედა პოეტისა — ეკატერინე და, მაშასადამე, მთელი მისი ოჯახი.

ამიტომ გასაგებია თუ რატომ და რისთვის უნდა წაეყვანათ აკაკი მრავალძალის ეკლესიაზე. ეს შედარებით შორეული მგზავრობა მოხდა ან უშუალოდ მშობლების წინასწარი აღთქმით, ანდა პატარა აკაკის სახელზე შეპირებულ შეწირულებასთან დაკავშირებით (ანალოგიურ ამბავს იხსენებს ნ. ნიკოლაძე მოგონებათა ციკლში — „წარსულიდან“. ბავშვობის წლებში იგი, ავადმყოფ ბაბუასთან ერთად, ხარ-ურძმით წაუყვანიათ ჩხარის წმიდა გიორგისა და სკანდეს სალოცავზე).

* * *

გარდა იმისა, რომ მრავალძალის მონასტერი (შემდგომში უკვე ეკლესია) თავისი დროისათვის მთელ იმერეთში სახელგანთქმული სალოცავი ყოფილა, იქ საუკუნეთა განმავლობა-

ში ინახებოდა ისტორიული თვალაზრასით ღირსშესანიშნავი ნივთები და სხვა ფასეულობანი.

საკმარისია ითქვას, რომ ამ ტაძრის კედელზე ასეული წლების მანძილზე ეკიდა და მნახველთა დიდ ინტერესს იწვევდა შაჰ-აბასის მიერ შემოწირული, ძვირფასი თვლებით მოოქვილი ხმალი (ხმალი ეკლესიის ეზოში მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულ რელიგიურ დღესასწაულზე გამოჰქონდათ. ცხადია, ამით უნდოდათ ხალხის წარმოდგენაში მრავალძალის რელიგიური „ავტორიტეტი“ აემალღებინათ. ყველას უნდა შეეხედა და ეგრძნო, როგორ მოახრევენა ქედი „სასწაულმოქმედმა ხატმა“ ისეთ ტირანსა და საქრისტიანო ქვეყნების მათხრებელს, როგორც შაჰ-აბასი იყო).

მაგრამ მარტო ვერაგი შაჰის მომწყვლელი მახვილის ხილვა როდის აუბგერებდა გულს აკაკის. მრავალძალის ტაძარში აგი საკუთარი თვალით იხილავდა ჩვენი მიწა-წყლის კიდევ ერთი მათხრებლის—ჯალალედინის მუზარადსა და სხვა საომარ იარაღებს, რომლებიც ბრძოლის ველზე დააყრევინეს მომხდურთ მამაცმა ქართველებმა.

აღსანიშნავია, რომ ეს შეტაკება ხვარაზმის სულთანსა და რუსუდან მეფის ჯარებს შორის იმერეთის საზღვარზე მომხდარა, რაც ჩვენს მემკვიდრეებს აღუნუსხავი გამოიჩენიათ (ეს ფაქტი არც „ქართლის ცხოვრებაშია“ მოხსენებული), ამიტომ ამ ნივთების სადაფრობა და მიზეზი, თუ საიდან და როგორ მოხვდნენ ისინი იმერეთის ყველაზე მიუდგომელ მრავალძალის ტაძარში, დიდხანს უცნობი იყო.

მაგრამ შემდგომში, უფრო გვიან, ერთი უძველესი დოკუმენტის წყალობით, სავსებით აეხადა ფარდა ამ ნივთების

ისტორიას. ისტორიკოს თ. ყორღანიას ხელთ ჩაეკარდნია „ამირეჯიბთა გვაროვნობითი სიგელი“, რომელიც უცვლელად გამოაქვეყნა მან თავისი ქრონიკების კრებულში¹.

ახლად აღმოჩენილ სიგელიდან ირკვევოდა, რომ რუსუდან მეფის ლაშქარს ხვარაზმის სულთნისათვის ბრძოლაში წართმეული საომარი იარაღებიდან „დროშა და თაჯი თვთან მალლისა სულთანისა“ მიუერთმევია რუსუდანისათვის, რასათვისაც „გვყო წყალობა და გვიბოძა ჯილდოდ რაც ვიაჯეთ“. ცოტა ქვევით იმავე სიგელში ვკითხულობთ:

„...და დროშაცა შევსწირეთ მესოიშნესა ჩვენსა და თაჯი მრავალძალსა“.

როცა კარგა ხნის შემდეგ აკაკი თ. ყორღანიას „ქრონიკებში“ ამ სიგელს გაეცნობოდა, ცხადია, მის შორეულ მოგონებებში ერთხელ კიდევ გაცოცხლდებოდა მრავალძალის ტაძარი და ჟანგისაგან შექმული ჯალალედინის მუზარადი, რომელსაც ოდესღაც ქართველი ვაჟკაცების ძლიერი მკლავით მოქნეული ხმალი ცეცხლის ნაპერწკლებს აყრევიანებდა.

მრავალძალში დაცული ნივთებიდან აკაკის ყურადღება უნდა მიეპყრო ლეგენდარული ხარისა და ძროხის რქებსაც (ცალ-ცალი).

ამ შესანიშნავ ქარახსებს დიდი ინტერესით იხსენიებენ მ. ბროსე, დ. ბაქრაძე და პ. უვაროვა. გადმოცემით, ეს ყანწები იმ ხარისა და ძროხის რქებია, რომლებიც თითქოს XV საუკუნეში, კოლევის კლდეზე დატრიალებული ტრაგედიის

¹ თ. ყორღანია, ქრონიკები, 1897 წ., ტ. 2, გვ. 210 — 211.

გამო ოსმალეთის ჯარს შეუწირავს მრავალძალის წმიდა გიორგისათვის (ჯალალ-ედინის მუზარადი და ეს ისტორიული ყანწები ამჟამად ინახება საქ. სახ. მუზეუმში).

სხვათა შორის, ეს მართლაცდა საარაკო სასმისები მხოლოდ საგანგებოდ თუ გამოჰქონდათ ტაძრიდან. მათი დაცვის უფლება, გარკვეულ რელიგიური რიტუალის შესრულების შემდეგ, მართო ჯან-ლონით აღსავსე ვაჟკაცებს ეძლეოდათ, ისიც ქორწილებსა და დღესასწაულებზე. მომსწრეთა გადმოცემით, გაჭირებული ქეიფის შემდეგ ეს ყანწები ბევრჯერ ზედინზედ გადაუვლია გულზე ღვინოში უძლეველ ფალავანს შქმერელ აღდგომელას.

ცნობისმოყვარე აკაკის დააინტერესებდა და მოხიბლავდა უძველესი დროის ხატები, სახარება-სამოციქულონი, კონდაკები და სხვ. ეკლესიის ერთ-ერთი აღწერილობის დამოწმებით, მათში გამოირჩეოდა იშვიათი ხელოვნებით შესრულებული, ეტრატზე დაწერილი სამოციქულო და ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებით შემკული რვალის სარკე.

აკაკი არა ერთხელ შეავლებდა თვალს ტაძრის ფრესკულ მხატვრობასაც, სადაც წმიდანების გვერდით თუმცა ფერმკრთალად, მაგრამ მაინც შეინიშნებოდა ბიბლიური სამყაროს ანარეკლი.

არანაკლებ ინტერესს აღუძრავდა მეოცნებე ყრმას ეკლესიის ოსტატურად ნატიფი ჩუქურთმები და რელიეფური გამონახატულებანი, კერძოდ — საკურთხევლის უკანა კედელზე დღესაც უცვლელად შემორჩენილი ჯვარცმა.

ახლა ძნელია წარმოდგენა იმისა, თუ რა შთაბეჭდილებებით დატვირთული დაუბრუნდებოდა აკაკი მშობლიურ

სხვიტორს. ერთი კი უცილობელია: თუ გავიხსენებთ, რომ მომავალ პოეტს უკვე 10—11 წლის ასაკში, გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, გადაკითხული ჰქონდა დ. ჩუბინიშვილის ქრესტომათია და ზეპირგადმოცემით იცოდა მრავალი ტრაგიკული ეპიზოდი ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულისა, მაშინ ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს ისიც, რომ მრავალძალის ეკლესიაზე ნახულ-განცდილს იგი საკმაოდ გაცნობიერებულად აღიქვამდა და დავიწყებასაც ასე ადვილად აღარ მისცემდა. მით უფრო, რომ ჩვენი ვარაუდით, აკაკი აღნიშნულ ტაძარში გიმნაზიაში შესვლამდე უნდა იყოს მიყვანილი, ანდა სწავლების პირველ წლებში, როცა იგი 13—14 წლის ყმაწვილი იქნებოდა.

ადვილი წარმოსადგენია, ოცნებათა რა იალქნებს გააშლევინებდა ისედაც მეოცნებე ყრმას აქედან თვალდაკრული ჭაღარა კავკასიონის მაღალი ქედები, საიდანაც მონაბერ ნიავს კილითი კილემდე მიჰქონდა იქ მიჯაჭვული, მაგრამ ბედთან შერკინებული ამირანის კენესა.



მრავალძალის ეკლესიაში მიღებული შთაბეჭდილებანი უკვალოდ როდი გამქრალა დიდი პოეტის ცნობიერებიდან.

თავის უკვდავ შემოქმედებაში აკაკიმ არაერთხელ გააცოცხლა და ადიდა ეს ტაძარი, ერთი მხრივ, როგორც ქართველი ხალხის ისტორიული განსაცდელის უტყვი მოწამე, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც წარსულ საუკუნეთა ადამიანების რელიგიურ წარმოსახვაში ჩაქსოვილი რაღაც „ძლევა მოსილების“ სიმბოლო.

ნამდვილად საგულდისხმო და თავის დროზე განცდილი შთაბეჭდილების ერთგვარი გამოძახილი უნდა იყოს თუნდაც ის, რომ აკაკიმ ცნობილ დრამატიულ ნაწარმოებში — „სცენა საპატიმროში“ ერთ-ერთ პერსონაჟს, რაჭველ არჩუაძეს, ამხანაგების შეკითხვაზე: რა დანაშაულისათვის შეგიპყრესო, ასეთი სიტყვები ათქმევინა: „ერთ ღამეს ვილაცა მგზავრები შემოვუშვი შინ. ღამე გავათევიწე, იმათ ჯი გოუწყრათ ჩემი მრავალძალის პირყვითელი და ხელებგაშლილი წმინდა გიორგი, ჭი“.

მრავალძალის ტაძარმა აკაკის პოეტურ წარმოსახვაში ერთხელ კიდევ გაიელვა მისი სიცოცხლის მწუხრზე, 1912 წელს, როცა „დაბერებული ბუღბული“ რაქა-ლექსუმს ეწვია.

ვის არ წაუკითხავს სტრიქონები პოემიდან — „რაქა-ლექსუმი“:

თითქოს ფიქრს უზიარებდა
ჩემს მოუსვენარ აზრებსა,
„ნიკორწმინდის“ და „მრავალძლის“
შექლადებდა ტაძრებსა...

ვინ იფიქრებდა, რომ ამ ზღაპრული მოგზაურობიდან რაღაც სამიოდე წლის შემდეგ საქართველოს უგვირგვინო მეფე სამარადისოდ დაიკრეფდა გულზე ხელებს!

ჭოლა ლომთათიძე

ჭოლა ლომთათიძის მოთხრობების უმრავლესობა ციხის ნესტიან კედლებში იწერებოდა.

თავისუფლებას მოწყურებული, სიცოცხლეზე ხარბად შეყვარებული ლირიკოსი იმითაც კმაყოფილი იყო, თუ მისი სატუსაღოს რაფასთან მერცხალი აქლურტულდებოდა ანდა ბელურა შეიფრთხილებოდა.

საუბედუროდ ეს თავისებური სიამოვნებაც მეტად ხანმოკლე იყო. ციხის უამრავ მცველთა ხიშტებს უწყინარი ფრინველებიც უფრთხოდნენ და მათზე შეყვარებულ პატიმარს მხოლოდ ერთი ნატვრალა დარჩენოდა: „გაფრინდი, ჩემო ბელურა! გისურვებ გადარჩენოდე ქორის კლანჭებს!“

მაგრამ ფიზიკური რეპრესიები ვერ ჰკლავდა ჭოლას მებრძოლ სულს, ციხე—ადამიანთა ეს ცოცხალი სასაფლაო—ვერ ახშობდა მის ცხოველ ფანტაზიას, წარმოსახვის ძალას. „ჯარიჟაკს ჰგონია მე ვერ ვხედავ ზეცას. მე ვხედავ მთელ ზეცას მოჭედოილს ვარსკვლავებით... მე ვხედავ ყველას, რაც თვალით მოსჩანს და იმასაც, რაც არ მოსჩანს თვალით“...

დიახ! ჭოლა ხედავდა „დიდებულ გუმბათს იმ დიდი ტაძრისას, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ“ და რომელზე-

დაც ცხოვრება თვითმპყრობელობის წლებში მშრომელთა გაბმული კენესა-ვაება იყო.

ჰოლა ხალხის უკეთესი მომავლისათვის იწვოდა და იფერფლებოდა. იგი ამაყად და წარბშეუხრელად აცხადებდა განცხრომის ძეთა საყურადღებოდ: „...და დამერწმუნე, ვარდით ფერილ შენს ცხოვრებაში, მოვკვდები, მაინც არ გაგიცვლი ეკლიან გზასა“.

ანდა რამდენის მთქმელია მებრძოლი მწერლის შეძახილი ბნელეთის ძალებისადმი: „აქრე სინათლე, აქრე, მე მაინც ავანთებ მას“.

ჰოლა ლომთათიძის შემოქმედება ერთი დიდი სარკეა, რომელშიაც შეუფერადებლად მოჩანს ხალხთა საპყრობილე— მეფის რუსეთი, ციხე თავის ჩაბნელებული ჯურღმულებითა და ველური კანონებით, გულქვა უფროსებითა და რეგენი ზედამხედველებით, სულიერი მამებით, რომელნიც უდანაშაულო ადამიანის ჩამოხრჩობას საცეცხლურის ქნევითა და გუნდრუკის კმევიჯ ეგებებიან.

ნიჰიერი მწერლის შემოქმედებაში უდიდესი ძალით იგრძნობა არა მარტო პროტესტი და ჩაგვრის სამეფოს სიძულვილი, არამედ იმედი და რწმენა მშრომელთა გარდაუვალი გამარჯვებისა.

უდავოა, ამ რთული და უაღრესად ორიგინალური შემოქმედის ყოველმხრივი შესწავლა კიდევ უფრო მაღლა ასწევს უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი რაინდის სახელს, კიდევ უფრო ღრმად ჩაგვახედებს სისხლით დაწერილ მის სტრიქონებში, რომელიც თავის ღროზე ნამდვილად მრისხანე მოწოდება იყო უსამართლო ტირანიასთან შემართებისა. მართალია, ჰოლა ლომთათიძის შესახებ საბჭოთა პერიოდში

საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა¹, მისი ნაწერების სრული კრებულიც ჩვენს სინამდვილეში გამოიცა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ფრიად კოლორიტული ფიგურის წინაშე ჯერ კიდევ ვალშია ქართული სალიტერატურო კრიტიკა. ასევე შეუფასებელია ჭოლას შეხედულებანი ფილოსოფიური, ესთეტიკური და, განსაკუთრებით, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.



ჭოლა ლომთათიძემ ჯერ კიდევ ბავშვმა ხიდისთავის ბიბლიოთეკაში გადაიკითხა ქართველი კლასიკოსები და უყოყმანოდ ირწმუნა ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანის მაღალი დანიშნულება მხოლოდ ბრძოლა და შრომაა, რომ ნაძრახ სიცოცხლეს ბევრად სჯობია სახელოვანი სიკვდილი.

მოსწავლე ჭოლა გატაცებით ებმება მიხა ცხაკაიას მიერ დაარსებულ მარქსისტულ წრეში. აქედან იწყება მისი, როგორც პროფესიონალი რევოლუციონერის წარმტაცი, თავისებურად სახარბიელო, მაგრამ მძიმე და ეკლიანი გზა.

ამიერიდან ჭოლა სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში „მოგზაურობს“, თუმცა ხანგრძლივად არსად ედგომება, უკეთ რომ ვთქვათ, არ აჩერებენ, სდევნიან. მისი მემამბოხე სული ვერსად ურიგდება უზარმაზარ საპყრობილეს — მეფის რუსეთს, რომელსაც ასე გულმოდგინედ

¹ ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დ. რამიშვილის ვრცელი მონოგრაფია.

ამაგრებდნენ და იცავდნენ „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“. ჭოლა ამ ხანებში ბევრს კითხულობს. იგი თავისი მკვირცხლი და ნათელი გონებით ადვილად დანავარდობს აზროვნების ყველა სფეროში. მაგრამ ჭოლას სტიქია მაინც პოლიტიკა და ლიტერატურაა.

ძველ ჭვეყანაზე ამხედრებული ჭაბუკის ბასრი კალმის პირველ ნიმუშებს 90-იანი წლებიდან ვხვდებით „კვალის“ ფურცლებზე, სადაც იგი დაუზოგავი სარკაზმით ამათრახებს მტაცებელთა ხროვას, საძულველ სოციალურ უსამართლობას. „ჩვენი ჭაბუკები მაინც ნუ იქნებიან მონები“, — აცხადებს მომავალი თაობის ბედზე დაფიქრებული ჭოლა.

თავისებური და ხშირად მერყევი იყო ჭოლას პარტიული მოღვაწეობა, მისი პოლიტიკური კონცეფციები და შეხედულებანი.

როგორც რ. ს.-დ. მ. პ. წევრს მას ხშირად სერიოზული კონფლიქტი ჰქონდა მენშევიკებთან, არ ეთანხმებოდა მემციირესეთა ლიდერების პოლიტიკურ მრწამსს. სამაგიეროდ მასაც არაერთხელ განუცდია მენშევიკების უნდობლობა, ცილისწამება, სახალხო დისკრეტიზაცია.

ამ უთანხმოების ერთ-ერთი მთავარი პუნქტი იმაში მდგომარეობდა, რომ ჭოლა, წინააღმდეგ მემციირესეთა რეფორმისტული თეორიისა, მოითხოვდა და მხარს უჭერდა შეიარაღებულ აჯანყებას.

საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც სტრიქონები მისივე მხატვრული ნააზრევიდან: „შევცქერო ყველა ამას და მაგონდებიან ბრიყვები, რომლებიც მშვიდობიანი საშუალებებით ჰფიქრობენ მოსპონ დიდი დავა სიმღიდრე-სიღარიბეს შორის... თუ მაგარი მუჯღლუგუნი არ უთავაზე იმათ, მიხვდებიან

განა ისინი, რომ ცხოვრების სუფრაზე სხვებსაც უნდათ ალა-
გი?... ნებით არ დათმობენ ისინი არაფერს — ძალით უნდა
დავაშარცხოთ ისინი... მაშ ქუჩაში დროშით ხელში“; ანდა
მოიგონეთ მებრძოლი სტრიქონები მოთხრობიდან „მატლი“:
„ჰმ, მოთმინება, აი, ის წყეული ჯაჭვი ამირანისა, რომლის-
განაც არ იქნა და არა, ვერ გაითავისუფლა თავი ამ უებრო
გმირმა. მოთმინება — ეს თითქოს ჩაქუჩია, რომელმაც უნდა
ამსხვრიოს ადამიანის სურვილიცა და მისწრაფებანიც. არა,
ძმავ, მოთმინებით ჩვენ ვერ დავიმკვიდრებთ ქვეყანას. მოთ-
მინება და იმედი კი არა, ბრძოლა და იმედი“.

დიანს! ჭოლამ არ იცოდა უკან დახევა და კომპრომისი,
მისთვის უცხო იყო შენიღბვა, გულჩახვეულობა, ქურდულად
ღანის ჩაცემა.

თავისი პირდაპირობით 1906 წელს სტოკჰოლმის ყრილო-
ბაზე, რომლის სხდომებიც ლონდონში მიმდინარეობდა, მან
ლენინის ყურადღებაც კი მიიქცია, თუმცა მისგანვე გამა-
ნადგურებელი კრიტიკაც იგემა.

უდავოა, ჭოლას, როგორც რევოლუციონერს, სოციალ-
დემოკრატიული პარტიის წევრსა და მწერალს, ახასიათებდა
გარკვეული წინააღმდეგობანი, ახასიათებდა შეცდომები.
მაგრამ ამ შეცდომებსაც თავისი სუბიექტური და ობიექ-
ტური საწყისები ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ერთი რამ
აუცილებელ ჭეშმარიტებად რჩება: ჭოლა ლომთათიძე დიდი
დემოკრატიული სულის მწერალია; იგი თავისი ცხოვრების
გზაზე კალმითა და იარაღით ხელში სამკვდრო-სასიცოცხ-
ლოდ ებრძოდა ძალმომრეობას.

„ან სიკვდილი, ან გამარჯვება“ — ასეთი დევიზით აღ-
მაზთა მან მებრძოლის დროშა და ასეთად ჩავიდა საფლავში

იმ რწმენით, რომ აღრე თუ გვიან სიმართლე გაიძარცვებდა, ბნელს ნათელი სძლევდა.

განსაკუთრებით მძიმე და აუტანელი იყო ჭოლას ცხოვრება 1907 წლიდან, ვიდრე გარდაცვალებამდე. მას, როგორც მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრს, მეფის მთავრობამ 7 წლის კატორღა მიუძაჯა.

პატიმრობის წლებში, რომელიც იმპერიის სხვადასხვა ციხეში ნელი ზლაზუნით მიდიოდა, ჭოლამ შექმნა თავისი ლირიკული პროზის შედეგები და იქვე სრულიად ახალგაზრდამ შეწყვიტა სიმღერა.

ამ პერიოდის მხატვრულ ნაწერებსა და ეპისტოლეებში დიდი სულიერი მღელვარებითაა გადმოცემული მწერლის სიცოცხლის უკანასკნელი წლები, ოჯახური ტრაგედია (ცოლის ღალატი) და ბოლოს ტანჯვით, მაგრამ სამშობლოს მომავალზე ოცნებით განსპეტაკებული სიკვდილის მოლოდინი.

რევოლუციურ-დემოკრატიული სკოლის მწერლებიდან ჭოლა ლომთათიძემ ერთმა პირველთაგანმა შეითვისა მე-19 საუკუნის II ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები და ახალ, კიდევ უფრო გამწვავებულ კლასობრივ ვითარებაში განაგრძო ბრძოლა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის.

დღეს აღარავინ იზიარებს ზოგიერთი კრიტიკოსის მცდარ შეხედულებას, თითქოს ჭოლა ლომთათიძის პროზა უკიდურესად სუბიექტური განცდების, მთლიანად ავტობიოგრაფიული ხასიათისა იყოს.

ნიჭიერი ლირიკოსის შემოქმედებაში ბევრგან, შეიძლება ითქვას, ეპიური სიდინჯით გადაიშალა ობიექტური სამყარო, ანტაგონისტურად განწყობილი კლასების ბრძოლა,

ნაზოგადობების სხვადასხვა ფენის მისწრაფებანი და იდეა-
ლები.

ფრიად საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ 1905 წლის რე-
ვოლუციის წინაპერიოდის მხატვრულ ნიმუშებში მწერლის
თემატიკაში სქარბობს სოციალური პრობლემები. მოთხრო-
ბებში „დავითი“, „ცხოვრების გულიდან“ და სხვ. რეალის-
ტურადაა დახატული ეკონომიური უთანასწორობისაგან ჩა-
წიხლულ, დასაღუპად განწირულ ადამიანთა პორტრეტები.
თავისებურად საგულისხმოა ფიგურალური შედარებაც იმრს
შესახებ, რომ გაბატონებული კლასები, კაპიტალიზმი „ისე
ვაჭრობს ადამიანით, როგორც ძროხის ხორციით“.

სოციალური მოტივის პარალელურად, ჭოლა ახალი კუთ-
ხით უტრიალებს ეროვნულ საკითხს. მას იტაცებს და ხიბ-
ლავს ბობოქარი ზღვა, რომლის მრისხანე ტალღებიც მძლავ-
რად ეხეთქებიან დაშმორებული ჰაერით მოწამლულ გარე-
მოს, ირგვლივ ჩამოწოლილ წყვიდადს.

ჭოლა იმედის თვალით შესცქერის ყველა ქვეყნის ჩაგ-
რულებს და მათი დახმარებით მოვლის „მიჯაჭვული ამირა-
ნის“ განთავისუფლებას, თუმცა საბოლოოდ იგი. მაინც
„თერგდალეულთა“ ეროვნულ იდეალებს უბრუნდება. იქ
მძლავრად იგრძნობა ილიასა და აკაკის უდავო გავლენა —
(ჩვენ მხედველობაში გვაქვს დამონებული სამშობლოს,
მშობელი ხალხის სიყვარულის შთამაგონებელი ძალა თუნ-
დაც „მგზავრის წერილებსა“ და „აჩრდილში“).

განა სამშობლოს სავალალო ბედზე ანალოგიური ამო-
ნაკენესი არ მოისმის ჭოლას სტრიქონებშიც: „სამშობლო
ქვეყანავ... განა შეიძლება კი ჩემსავით უყვარდე ვინმეს?
შენ და მხოლოდ შენ გეკუთვნის ჩემი სიცოცხლე! შენ და

მარტო შენ შეადგენ ჩემს მიზანს, შენ და მარტო შენ მაკავშირებ ცხოვრებასთან... დედამიწაზე შენზე უკეთესი არაფერი მინახავს მე, ჩემო სამშობლო ქვეყანავ!“

აკაკის პატრიოტული ლირიკის ლეიტმოტივზე უღერს აგრეთვე ჭოლას აღსარება: „მე მსურს იცოდეთ თქვენ მაინც, რომ მე დავსტირი ჩემს სატრფოს“. და ის ტარიელივით იბრძვის შეუტრაცხოფილი სატრფოს, „ცხრაკლიტულში მჯდომარე“ ნესტანის გამოსახსნელად.

მართალია, ხშირად მწარე და შავი ფიქრები უკაწრავენ გულს პოეტს, მაგრამ სამშობლო ქვეყნის უკეთესი მომავლის რწმენას იგი ეტრფის ისეთივე ძლიერი ოპტიმიზმით, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ქურუმები ილია და აკაკი.

დიდი პოეტური ექსპრესიითა და ფსიქოლოგიური სიღრმით არის დაწერილი ჭოლა ლომთათიძის ლირიკული პროზის ზოგიერთი შედევრი (განსაკუთრებით, 1907 წლიდან 1914 წლამდე). ქართული ლიტერატურის ისტორიაში ძნელია დავასახელოთ მეორე მწერალი, რომელსაც ასეთი გულთამხილაობით შესძლებოდა აემეტყველებინა ადამიანის სულის უღრმესი და უფაქიზესი განცდები.

რად ღირს თუნდაც ცნობილი ფსიქოლოგიური მოთხრობა „სახრჩობელას წინაშე“, რომლის ცენტრალური გმირი ჯეირან ვარდოსანიძე უმძიმეს განაჩენს — ჩამოხრჩობით სიკვდილს — გმირთა ნებისყოფით ხვდება.

სიკვდილ-სიცოცხლის ბნელ მიჯნაზე აღმართული შინაგანი ჭიდილი, სუბიექტურ განცდათა აფეთქებები ბოლოს და ბოლოს ცხრება, რეალურ გადაწყვეტილებას იღებს.

ჯეირან ვარდოსანიძემ, როგორც დემოკრატიული იდე-

ებნათვის თავგანწირულმა რევოლუციონერმა, თავის თავში გაანადგურა, მოჰკლა ძე კაცისა, და როგორც ძე საზოგადოებისა, გაბედულად ავიდა სახრჩობელაზე.

სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი მამაკაცების გვერდით ჭოლამ იშვიათი ოსტატობით დაგვიხატა მებრძოლ ქალთა პორტრეტებიც. ჭოლა ქალს ეტრფის არა როგორც მართო მშვენიერ სქესს, ოჯახზე გადამკვდარ დედას, არამედ როგორც საზოგადოების წევრს, ცხოვრების გარდაქმნისათვის აქტიურ მებრძოლს.

მართლაც, ჭოლას მოთხრობებში გვხვდება სხვადასხვა ეროვნების (ქართველი, რუსი, ებრაელი, სომეხი, უკრაინელი) რევოლუციონერ ქალთა მთელი პლეადა, რომელთა უმრავლესობა ბარიკადებზე ან საბრძოლო დავალებათა შესრულების დროს იღუპება.

ჭოლა მაღალ შეფასებას აძლევს ქალს და სჯერა, რომ მისი პოტენცია და ნიჭი უკეთეს გარემოში სხვაგვარად აეღვარდება. „დავანებოთ ისინი უკეთეს დროს და გარემოებას, — წერს ჭოლა, — და ვნახავთ, რომ ქალი ღირსი იქნება თაყვანისცემისა, რომ ისინი მოლოდინს გაამართლებენ“. მწერალი ხანდახან სცოდავს, უყიდურესად ლუბიექტურ აზრს აწვითარებს, როცა წერს, თითქოს ქართველმა ქალმა „მოვალეობა სამშობლოს წინაშე, მოვალეობა საზოგადოებრივი მიმართულების წინაშე არც მაშინ იცოდა და არც ახლა იცის“. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ აზრს თვითონვე მრავალგან აბათილებს. სჩანს, მწერალი ვერ უგულვებელჰყოფს იმ დიდ ვალდებულებას, რომელიც ერისა და ხალხის წინაშე ამოქმედებდა ჩვენს ისტორიულ დედებს, რუს-

თაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას პოეტურ ქმნილებათა გმირ ჭალებს.

ჭოლას მხატვრულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი აქვთ დათმობილი წვრილბერძნულ ინტელიგენციის წარმომადგენლებს. მებრძოლი სულის მწერალი დაუზოგავად ამათრახებს მხდალ, უპრინციპო, მერყევ, მოწუწუნე ადამიანებს. მართლაც, რა საერთო შეიძლება ჰქონოდა რევოლუციურ ბრძოლებში დამფრთხალ, უიმედო და მონური ფსიქოლოგიის ადამიანებთან მას, ვის ნაწერებშიც ასეთი შემართების ხმები გაისმის: „ვერა, მხდალნი ვერ დაისაკუთრებენ ქვეყანას.. ან სიკვდილი, ან გამარჯვება, შერიგება კი არასოდეს... თქვენ მხდალნი ხართ, თქვენ ყველაფერი გაშინებთ... თქვენ, ბატონებო, კურდღლები ხართ, რომელთაც წყალში გადამხტარი ბაყაყიც კი აგიტეხთ გულის კანკალს“.

ჭოლა მიწასთან ასწორებს ბიუროკრატიული აპარატის მოხელეებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ მათი სულიერი და ზნეობრივი გადაგვარება არსებითად უკუღმართი საზოგადოებრივი წყობილების ნაყოფია.

წარმტაცი ასახვა ჰპოვა ჭოლა ლომთათიძის ლირიკულ პროზაში მშობლიური ქვეყნის დიადმა და ზვიადმა ბუნებამ. ამ მხრივ მრავალი პარალელით შეიძლება ცხადყოფნა იმ ურთიერთობისა, რომელიც ჭოლას აკავშირებს ქართულ კლასიკურ მწერლობასთან, კერძოდ გრ. ორბელიანსა, ილიასა და ვაჟა-ფშაველასთან.

ჭოლას შემოქმედებაში ჩვენ ვერ ვხვდებით ბუნების სტატიკურ ასახვას. ღრმა განცდების ლირიკოსი უფრო დინამიკაში, ადამიანის სულიერ განწყობილებასთან ურთიერთობაში გვიხატავს მას. ჭოლას, ისევე როგორც აკაკის, ყაზ-

ბეგს და ევდოშვილს, ნაკლებად იტაცებს ბუნების მეჭლისი მაშინ, როცა მის მოძმეთა უმრავლესობა ეროვნულ ჩაგვრასა და სოციალურ კირთებას განიცდის. ადამიანის სულისა და გულის კარი მხოლოდ მაშინ გაიღება ბუნების ჯადოსნურ მშვენიერებათა აღქმისათვის, როცა მისი ცხოვრება მოწესრიგდება, როცა ჩაგრულთა კვნესა შეწყდება.

ჭოლას, როგორც რევოლუციური სულის მწერალს, გატაცებით უყვარს ზღვის მედგარი სტიქიონი, მისი ტალღების გუგუნი. იგი მ. გორკის მსგავსად (ჭოლა კარგად იცნობდა გორკის შემოქმედებას) ეტრფის ქარიშხალს, რომელმაც უნდა გაწმინდოს შეგუბებული ჰაერი.

ჭოლა ბუნებას უყურებს არა მარტო როგორც ესთეტიკური ტკბობის მომნიჭებელს, არამედ როგორც მატერიალური სიკეთის უღვეველ საუნჯეს. „ადამიანი შეწყვეტს ადამიანთან ბრძოლას—ამბობს ჭოლა — და მთელი თავისუფალი ძალით შეებრძოლება ბუნებას, წაართმევს მას საიდუმლოებას და მოიხმარს თავის ცხოვრების გასაუმჯობესებლად“.

ჭოლა ა. ყაზბეგის მსგავსად ჩშირად მიმართავს ბუნების პერსონიფიკაციას და თავის სულიერ განწყობილებას ბუნების მეტამორფოზებს უქვემდებარებს. მოვუსმინოთ მწერალს: „ტირის ბუნება, ტირის ჩუმად, წყნარად, მაგრამ გულწრფელი და დაღონებული ტირილით კი ტირის ის და მეც მინდა ტირილი, მეც მინდა ცრემლები გადმოვღვარო, მეც მინდა ავქვითინდე“.

ჭოლა ლომთათიძეს საერთო არაფერი აქვს ანტირეალისტურ ხელოვნებასთან. უდავოა, ჭოლა რეალისტი. იგი აღიზარდა ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებზე და

არასოდეს გადაუხვევია იმ მაგისტრალური გზიდან, რომელიც ილიამ და აკაკიმ გაჰყვალეს. შესაძლებელია იგი აქაოქ იყენებდეს იმ პოეტურ ხერხებსა და გამოთქმებს, რასაც სიმბოლისტები და დეკადენტური სკოლის სხვა მწერლები მიმართავენ, მაგრამ ეს როდი ლაპარაკობს საერთო გავლენაზე, არ იძლევა საფუძველს დავასკვნათ, თითქოს ჭოლას რაიმე იდეური აერთებდეს ამ ანტირეალისტურ მიმართულებებთან. ანდა რა შეიძლებოდა საერთო ჰქონოდა მებრძოლი სულის მწერალს ცხოვრებისადმი ინდიფერენტულად განწყობილ, უკიდურესი ინდივიდუალიზმის ნაჭუქში გამოკეტილ, ნერვებმოშლილ ატავისტებთან.

განა ჭოლას არ ეკუთვნის სიცოცხლისა და ცხოვრების მშვენიერებით ნაკარნახევი სტრიქონები: „ცხოვრება მშვენიერებაა და აღტაცებაა საჭირო იმის წინაშე... ცოცხლებმა სიცოცხლისაკენ და ბრძოლა სიკვდილს!“

ჭოლა ბოლომდე რეალისტად - დარჩა; მას არასოდეს გაუზიარებია ანტირეალისტური ხელოვნების ესთეტიკური პრინციპები, იგი სიკვდილამდე არ გაქცევია ცხოვრების მღვრიე ტალღებთან შეხლას, მას ხმალი არ ჩაუგია და არც მშრომელთა საბოლოო გამარჯვების რწმენაზე აუღია ხელი. დიახ! ჭოლას წერის მანერა რეალისტურია, მაგრამ მის პოეტურ ლირიზმს ხშირად შეცდომაში შეჰყავს მკითხველი. ამიერიდან უნდა გაიფანტოს ყალბი შეხედულება მის შემოქმედებაში დეკადენტურ-სიმბოლისტური დაცემულობის შესახებ.

უდავოა, ჭოლას შემოქმედებაში ადგილი აქვს მთელ რიგ წინააღმდეგობებს, ხშირად ექცევა იგი სევდისა და პესიმიზმის რკალში, მაგრამ იგი მაინც მებრძოლი სულის

მწერლად დარჩა. „სევდა ამინდის შვილია“ — ამბობს ჭოლა და, ვფიქრობთ, აქ მეტაფორულ გამოთქმასთან გვაქვს საქმე.

შიედილებოდა რამდენიმე სიტყვა გვეთქვა ჭოლა ლომთათიძის პოეზიაზე, მაგრამ ამჯერად დუმილს ვამჯობინებთ. მართალია, იგი რამდენიმე (ხშირად თემატიკურად საინტერესო) ლექსის ავტორია, მაგრამ პოეტური ძალა და უშუალობა მათში ნაკლებად იგრძნობა. უპირველეს პოეტად და შეუდარებელ ლირიკოსად ჭოლა მხოლოდ და მხოლოდ პოეტურ პროზაში გვევლინება.

ჭოლა დიდი ოპტიმისტია, მის შემოქმედებაში მძლავრად გაისმის რუსთაველის ფრთამალი ტაიჭისა და ბარათაშვილის მერანის ფლოქვების თქარათქუარი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაღალ ტრადიციებზე აღზრდილს, მას ნათელ ფერებში ეხატება სამშობლო ქვეყნის უკეთესი მომავალი. „ეს წვიმა, ეს ქარი დროებითია, გაივლის, გამოიღარებს, იმედი და სულ იმედი დაისადგურებს“.

ჭოლა ლომთათიძეზე ბევრი ჟუნდა ითქვას და დაიწეროს!

ილია ჭავჭავაძის ერთი უსწობი ნაჩიღისა და მისი გამომხვევი მიზეზის გამო

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა მათ სახელებს, ვისაც ქართველი ერის წარმატებაში რაიმე ღვაწლი მიუძღვოდა.

ფრიად საყურადღებოა, რომ კერძოდ, მე-19 საუკუნის კორიფეებიდან იგი ერთ-ერთ უპირველეს ადგილს გაბრიელ ქიქოძეს აკუთვნებდა¹.

ილია აღიღებდა მას, როგორც „ღრმად მიწვენილ მეცნიერს“, შეუდარებელ მქადაგებელს და „სასიქადულო მამულიშვილს, რომელიც „მთელი თავისი სიცოცხლე იმის მსახურებაში იყო, რომ თვით მოსწმინდოს ერს თვალთავანტრემლი ნუგეშინის ცემითა და მადლის ფენითა“².

¹ გაბრიელ ქიქოძის პედაგოგიურ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დამსახურებაზე იხ. «Большая советская энциклопедия» 1953 г. т. 20, стр. 616, Н. Добролюбов, избранные философские произведения, 1948 г. т. I, стр. 491; პროფ. ა. ბოქორიშვილი, გაბრიელ ქიქოძის ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1960 წ., გვ. 67; პროფ. ა. ქუთელიას წერილი გაბრიელის ფსიქოლოგიაზე, „მნათობი“, 1943 წ., № 7, გვ. 67; ნ. კანდელაკი, „ქართული მკვლევარ-მეტყველება“, 1958 წ., გვ. 258; ს. სხირტლაძე, ი. გოგებაშვილი და გაბრიელ ქიქოძე. „იაკობ გოგებაშვილი, საიუბილეო კრებული“, 1960 წ.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1952 წ., ტ. 2, გვ. 542.

თერგდალეულთა მდებროშემ გაბრიელი ახლო გაიცნო და მასთან ეროვნული ინტერესების საფუძველზე მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა 1864 წლიდან, როცა საგლეხო „რეფორმის“ გატარებასთან დაკავშირებით ქუთაისში საგანგებო მინდობილობათა მოხელის მოვალეობას ასრულებდა.

ახალგაზრდა, მაგრამ საფუძვლიანად განსწავლული პოეტი პირველი შეხვედრისთანავე მოხიბლა გაბრიელ ქიქოძის ენციკლოპედიურმა განათლებამ, მაღალი გონების ძალამ და. მრავალმხრივმა საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საქმიანობამ, რომელსაც იგი, უკვე ეპისკოპოსის ხარისხში მყოფი, ასეთი ფაქტებით ეწეოდა იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში.

ილია ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში იცნობდა გაბრიელ ქიქოძის სახელს 1858 წელს პეტერბურგში გამოცემული კაპიტალური შრომით — „Основания опытной психологии“, რომელიც ახალგაზრდა მაგისტრმა, მაშინ ფიზიკამათემატიკის პროფესორმა, თბილისში მასწავლებლობის პერიოდში დაწერა და რომელიც, უურნალ „Исторический вестник“-ის სიტყვით რომ ვთქვათ, „დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა თითქმის ერთადერთ სახელმძღვანელოდ 1860-იანი წლების რუსულ სემინარიებში“.

ყველა მოწინავე ქართველისათვის საამაყო უნდა ყოფილიყო ისიც, რომ იდეალიზმის ბატონობის საუკუნეში ნ. დობროლიუბოვმა „სოვრემენიკის“ ფურცლებზე მატერიალიზმის პოზიციებიდან დადებითი შეფასება მისცა გაბრიელის ამ ფალოსოფიურ თხზულებას. თავის დროზე გაბრიელის თაყვანისმცემელთა გული არანაკლებ გაახარა იმ დიდმა

წარმატებამაც, რაც წილად ერგო 1867 წელს ინგლისურ ენაზე ლონდონში გამოცემულ მის ქადაგებათა კრებულს.

ცივილიზებული ინგლისის სწავლულთა ყურადღება მიიპყრო არა მარტო ორატორული ხელოვნების თვალსაზრისით ქადაგებათა აგების მომაჯადოებელმა ძალამ, არამედ მისი ავტორის აზროვნების სიღრმემ, იმ მაღალმა ზნეობრივმა და ეთიკურმა იდეალებმა, რომლებიც ჩაქსოვილი იყო თითქმის ყველა ქადაგებაში ცხოვრების მდიდარი გამოცდილებიდან.

თუ რამდენად დიდი ზეგავლენა მოუხდენია ინგლისის მოწინავე საზოგადოებაზე გაბრიელ ქიქოძის ქადაგებებს, აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ „Русская Мысль“-ში:

„В Англии в последнее время заинтересовались Грузинскою историей и литературой.

Начало знакомства англичан с грузинскою литературой было положено переводом проповедей Кутаисского епископа Гавриила“¹.

გაბრიელის ქადაგებათა ეს წარმატება ჰქონდა მხედველობაში ალბათ ნიკო ნიკოლაძეს, როცა შენიშნავდა: „Первое издание проповедей Гавриила переведено было на английский язык в 1867 г. и издано в Лондоне с серьезным успехом“.

სავესებით კანონზომიერია, რომ ასეთ განათლებულ და სახელმოხვეჭილ ქართველთან ილია ჭავჭავაძეს ბევრი რამ

¹ დასახელებული შრომა, 1894 წ., გვ. 591.

საერთო უნდა ჰქონოდა; თავის მხრივ გაბრიელიც თავისეზური ზომიერებით ეხმაურებოდა იმ დიდ ბრძოლებს, რომელიც თვითმპყრობელობის მძიმე წლებში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ჩვენი ეროვნული კულტურის გადარჩენისათვის მიმდინარეობდა.

საკმარისია ითქვას, რომ თავის დროზე ილიასთან ერთად გაბრიელმაც ეროვნული პოზიციებიდან მედგარი ბრძოლა გამოუცხადა მეფის მთავრობის გაქნილი მოხელეების იანოვსკი-ლევიტსკის ანტიხალხურ საგანმანათლებლო პოლიტიკას, რომლის მიზანსაც დასავლეთ საქართველოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა და რაღაც მუნჯური მეთოდით სწავლების შემოღება შეადგენდა.

მაღალი საეკლესიო პირის ასეთმა კატეგორიულმა გალაშქრებამ გაბრიელს „მებრძოლი ბერის“ სახელი მოუპოვა და მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო აამაღლა¹.

ილიას სხვა მხრივაც მოსწონდა და ეამაყებოდა გაბრიელი.

მე-19 საუკუნის მოღვაწეებიდან გაბრიელმა თითქმის პირველმა გასცა გამანადგურებელი პასუხი მონარქისტ გ. მუხრანსკის, რომელმაც ერთ თავის ყბადაღებულ ბროშურაში სცადა „დაესაბუთებინა“ ქართველი ერის და მისი ენის ასიმილაციის გარდუვალობა.

ფრიად საყურადღებოა, რომ 70-იან წლებში, როცა მეფის გამარჯვებული პოლიტიკის მომხრენი მთელი ძალით

¹ ეს საინტერესო წერილები დღემდე არ დაბეჭდილა, მხოლოდ ხელნაწერების სახითაც ცნობილი.

ემზადებოდნენ ქართულ ენაზე ლაშქრობის, მისი დენაციონალიზაციისათვის, ამ დროს მუხრანსკის ასალაგმავად გაისმა გაბრიელის ხმა: „ყოველიფრით შეიძლება შეერთდეს მცირე ხალხი დიდთან: სულით, გულით, აზრით, ინტერესებით. მაგრამ მისი ენის მოსპობა არ შეიძლება. მცირე ხალხი, მოკლებული თავის ენას, მოკლებული იქნება ყოველ ინდივიდუალური ხასიათის თვისებათა და უსარგებლო იქნება თავისთვისაც და სხვისთვისაც. თუ სიყვარული, ნდობა, ინტერესის ერთობა არ შეაკავშირებენ კაცს კაცთან, ხალხს ხალხთან, ენა იქ ვერაფერს იქმს“.

გაბრიელის აზრით, ისტორიულმა ერმა, კერძოდ, ქართველმა ერმა, რომელსაც გადაგვარებულმა მუხრანსკიმ ენის მოსპობა და განქარვება უწინასწარმეტყველა, ენა კი არ უნდა გამოიცივალოს, არამედ „უნდა ეცადოს მის შეკეთებას, გავრცელებას და არა დაკარგვას“.

იდეალიზმისა და სქოლასტიზმის ბატონობის ხანაში მხოლოდ უღრმესად განათლებულ და მატერიალისტურად მოაზროვნე მეცნიერს შეეძლო გ. მუხრანსკის ანტიმეცნიერული თვალსაზრისის გასაბათილებლად ეთქვა: „პრაქტიკა, გამოცდილება ამტკიცებს, რომ თეორია, რაც გინდა ღრმა და საფუძვლიანი იყოს, ვერასდროს ვერ ახსნის მრავალფეროვანს, მრავალკერძოს, დაუცხრომლად მოძრავსა, მუდამ ცვალებადსა კაცობრივსა ისტორიულსა ცხოვრებასა... საქმე უდიდესია სიტყვაზედ, ცხოვრება უმაღლესია სწავლაზე“¹.

ქართული ენის დაცვის საღარაჯოზე ფხიზლად მდგარი ი. გოგებაშვილი ყოველთვის იმოწმებდა ამ შესანიშნავ წე-

¹ სულმნათი გაბრიელის საუნჯე (კრებული), ქუთაისი, 1897 წ., გვ. 87.

რილში გამოთქმულ აზრებს. 1902 წელს „ივერიის“ (№ 274) მოწინავეში დიდი პედაგოგი დასძენდა: „ჩვენმა სასიქადულო გაბრიელმა გამოსთქვა სწორედ იგივე აზრი, რომელიც დიდმა პედაგოგმა უშინსკიმ გამოხატა შემდეგი მოკლე ფრაზით: „Ум: я, вы, умер и народ“¹.

აკაკისთან, გ. წერეთელთან, ი. გოგებაშვილთან და ნ. ნიკოლაძესთან ერთად ილია ჭავჭავაძე სიკვდილამდე უდიდესი დამფასებელი იყო გაბრიელის პიროვნებისა.

თუ რამდენად გატაცებით აღუვებდა თვალყურს იგი დასავლეთ საქართველოს „კეთილ მწყემსს“, მოვიტანოთ მრავალთაგან ერთი საგულისხმო ფაქტიც. როგორც ცნობილია, 1885 წელს ოხრანკის აგენტებმა ვერაგულად მოკლეს გაბრიელის მდივანი, ნიჭიერი ქართველი პუბლიცისტი ესტატე მჭედლიძე, ცნობილი „ბოსლეველის“ ფსევდონიმით.

როგორც ბოსლეველის მფარველსა და დამცველს (ბოსლეველს ამ ხანებში პოლიცია სდევნიდა), გაბრიელს რეაქციის ბნელი ძალებისაგან ზედიზედ მოუვიდა მოკვლის მუქარის წერილები. იმის რიდმა და შიშმა, მოსალოდნელი მკვლევლობით ქართველ ხალხს კვლავ ახალი სამარცხვინო ჩირქი მოეცხებო, გაბრიელს საქართველოს დროებით დატოვება აფიქრებინა.

ამ მოულოდნელმა გარემოებამ ყველანი შეაშფოთა. გაბრიელის მტრების ასალაგმავად და მოხუცი მწყემსთმთავრის გასამხნეველად გაბედულად აიმაღლა ხმა ილიას „ივერიამ“. უაღრესად დაძაბულ დღეებში ილიას მარჯვენა ხელი, მისაწვებისა და სურვილის ნიჭიერი გამომხატველი გრიგოლ ყიფ-

¹ ი. გოგებაშვილი, ტ. 3, 1954 წ., გვ. 338.

შიძე წერდა: „ვიც იცის, რა ღვაწლი მიუძღვის გაბრიელს ჩვენი ქვეყნის წინაშე, მას ამ ამბავმა თავზარი დასცა. როგორ? გაბრიელი, ეგ ჩვენი სასიქადულო კაცი, ეგ ჩვენი ერის გულმტკივნეული მქადაგებელი, მაღალის ზნეობისა, მაღალის განათლების მექონი, რომლის სახელითაც თავს უნდა ვიწონებდეთ ყველანი ქართველნი ქვეყნის წინაშე, ჩვენგან მიდის, ჩვენ გვცილდება, ჩვენს სიავეს, უმადურობას ვერ უძლებს. მოდი და თავზარი ნუ დაგეცემა“¹.

მთელი ქართველი ხალხისა და მისი უძლიერესი ბურჯის ილია ჭავჭავაძის მხარდაჭერით გამხნეებულ გაბრიელს „დროების“ კორესპონდენტთან საუბარში განუცხადებია: „როცა მჭედლიძე მოკლეს, იმ საათშივე მომივიდა წერილი, რომ მეც ამასვე უნდა ველოდეო. ჩემი სულის სიმდაბლე იყო, რომ შევშინდი, მაგრამ მთლად ჩემი თავისთვისაც არ შევშინებულვარ. მე ერთი ხნიერი კაცი ვარ, დიდი ხნის სიცოცხლე მაინც არა მაქვს, მაგრამ რომ მართლა მოვეკალი, რა ჩირქი დაედებოდა მთელ ხალხს, რომელმაც თავის მოძღვარი ასე სასტიკად გაიმეტაო. ამან მაფიქრებინა ჩემი ქვეყნის დატოვება, მაგრამ რადგან ვხედავ, მართლა სწუხს საზოგადოება და არა ჰსურს ჩემი მოშორება, რომ კიდევ გადაწყვეტილი მქონდეს წასვლა, მაინც აღარ წავალ და ვეცდები გადავიხადო მცირედ მაინც ეს დაუმსახურებელი პატივისცემა“².

მართლაც, გაბრიელმა მისთვის ჩვეული მხნეობითა და

¹ „ივერია“, 1885 წ., № 6.

² „დროება“, 1885 წ., № 141.

თავგანწირულებით განაგრძო სამშობლო ქვეყნის სამსახური.

ასევე საყურადღებოა, რომ პირადად ილია ჭავჭავაძის ინიციატივით, 1895 წლის 8 სექტემბერს, ქუთაისში ქართველ ერს ზღვიმით უნდა გადაეხადა გაბრიელის 35 წლის ფრიალ ნაყოფიერი მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე. სამწუხაროდ, იუბილარის მძიმე ავადმყოფობის გამო ეს შესანიშნავი წამოწყება ჩაიშალა, მაგრამ ილიამ საიუბილეო დღეს ნაამაგდარ მეგობარს მაინც გაუგზავნა ასეთი მისალოცი დეპეშა:

„გამსჭვალული გულწრფელი პატივისცემით თქვენი მოღვაწეობისადმი ოცდა თხუთმეტი წლის განმავლობაში ეპისკოპოსის ხარისხში, ღრმა პატივისცემის გრძნობით გილოცავთ დღევანდელ დღეს“.

ეს ღირსეული დაფასება და საქვეყნო სიყვარული ამ მართლაცდა „საისტორიო კაცისა“ ილიამ იმ შესანიშნავი სიტყვით დააგვირგვინა, რომელიც 1896 წელს 10 მარტს წარმოთქვა გელათში გაბრიელის დაკრძალვაზე.

ვის არ ახსოვს გულში ჩამწვდომი სტრიქონები ამ სიტყვიდან: „საკმაოა, კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი“.

იაკობ გოგებაშვილმა მთელი ქართველი ხალხის სატირელი და საფიქრელი დიდებული ცხედრის წინაშე ასეთი სიტყვებით გამოხატა:

„Да, Грузия потеряла благороднейшего сына, обладавшего редким величием души. Но она может и утешиться тем, что появление в ее среде таких богато одаренных натур есть верный залог ее будущности“.

გაბრიელის პიროვნებისადმი მაღალ პოეტურ ჰიმნს შეიცავდა აკაკის დაგვიანებული სიტყვაც (იმ დროს აკაკი რუსეთში იმყოფებოდა): „როგორც მნათობი, რაც უფრო დიდ სიმაღლეზეა, უფრო თვალსაჩინოა ყველასათვის და უფრო შორსაც აწვდენს სხივებს, ისე ეს დაუვიწყარი მოძღვარიც, დღეს სიკვდილით ამალღებული, ყველასათვის საერთოდ სათვალთვალო და ყოველს მხრით თანასწორად ფენს სხივებს, რომლითაც გვინათებს ბნელს აწმყოში და ამავე დროს ჩვენს წარსულს მომავალთან აკავშირებს“¹.

აღარაფერს ვამბობთ ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ანტ. ფურცელაძის, დ. კლდიაშვილის, მ. ხიზანიშვილის და სხვათა წერილებზე, რომლებშიაც გაბრიელის სახელი, რომ იტყვიან, ცამდეა აყვანილი.



გაბრიელის გარდაცვალებამ ქართველი ხალხის ეროვნული, ჭეშმარიტად საყოველთაო გლოვა გამოიწვია. იმდროინდელ ყურნალ-გაზეთებში დიდძალი წერილი და ნეკროლოგი იბეჭდებოდა. ყველა, თითქმის გამოუკლებლივ, დამსახურებულად აღიღებდა და ღრმა სინანულით ეთხოვებოდა „საქართველოს ოქროპირს“.

გაბრიელის გარდაცვალებას თავისებური ტაქტით გამოეხიზურა რუსული პრესაც.

გლოვის დღეებში გაზეთ „Кавказ“-ში დაიბეჭდა უნიკო-

¹ „მწყემსი“, 1897 წ., № 3.

ერესი პუბლიცისტის ილია ხონელის (ბახტაძე) საკმაოდ ვრცელი ნეკროლოგიც.

ვინაიდან სწორედ ამ ნეკროლოგმა გამოიწვია ილია ჭავჭავაძის სასტიკი გულისწყრომა, რასაც შედეგად მოჰყვა ჩვენთვის საინტერესო, მისი დღემდე უცნობი სტატია, მკითხველას ყურადღებაც მასზე გვინდა შევაჩეროთ.

ი. ხონელი თავის ნეკროლოგში მისთვის ჩვეული კალმის ელვარებით მაღალ შეფასებას აძლევდა გაბრიელის მოღვაწეობას და მის სიკვდილს ჩვენი ერისათვის უდიდეს დანაკლისად თვლიდა. წერილის შესავალ ნაწილში პუბლიცისტი წერდა:

„Сошла с арены крупная личность, исчезла сила которую трудно будет заменить, онемели уста, долгие годы гремевшие с церковной кафедры, не стало одного из даровитейших и замечательнейших архипастырей церкви грузинской“.

ნეკროლოგის ავტორი, ახასიათებს რა გაბრიელს, როგორც შესანიშნავ პედაგოგსა და წარმატებულ ორატორს, თავისი წერილის პირველ ნაწილს ასეთი ამალგებული სიტყვებით ამთავრებს: „Да, великая скатилася звезда и не скоро Имеретия увидит ее сияние“.

ნაჭიერად დაწერილი ნეკროლოგის ბოლო ნაწილში ხონელმა ველარ დაფარა დიდი ხნის სიძულვილი და თითქოს შეუმჩნეველი, მაგრამ ნამდვილად დამამცირებელი ტონით გაჰკრა კბალი მიცვალებულის პიროვნულ თვისებებს.

რათა სრული წარმოდგენა იქონიოს მკითხველმა, თუ რამ გამოიწვია ილია ჭავჭავაძის დიდი გულისწყრომით დაწერილი, ჩვენთვის საინტერესო ხელმოუწერელი სტატია, მოვი-

ტანთ დამახასიათებელი სტრიქონები ილია ხონელის ნეკროლოგიდან: „Но я бы оскорбил память покойного, если бы умолчал что нет света без тени. Просвещеннейший муж своего века, прекрасный педагог, увлекательнейший оратор, Гавриил не был администратором, чтобы не говорили его поклонники“.

ასახელებს რა სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებს, რომელმაც, მისი აზრით, უარყოფითი გავლენა იქონიეს გაბრიელის პიროვნული ხასიათის შემუშავებაზე, პუბლიცისტი ასეთ დასკვნებს აკეთებს: „Несблчайно тяжелый характер делал сношения с ним почти что невозможными. Десщотическая натура покойного не мирилась ни с какими противоречиями и часто приводила его к выходкам которые справедливо стяжали ему имя „воинствующего, монаха“. Он всех подозревал, на всех нападал, со всеми находился на военном положении“.

ილია ხონელის ამ ნეკროლოგმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. ვინც იცნობდა ნეკროლოგის ავტორის მთელი ოჯახის დამოკიდებულებას გაბრიელისადმი, მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე, თუ რატომ იფხანდა გულს გესლიანი სიტყვებით ხონელი. ნიჭიერი პუბლიცისტი ძველ ანგარიშს უსწორებდა მიცვალებულს, რაც დაკავშირებული იყო გაბრიელისა და ხონელის მამის, მღვდელ ლუკა ბახტაძის სამსახურებრივ შეტაკებასთან და რაც ამ უკანასკნელის მორალური განადგურებით დამთავრდა.

აღსანიშნავია, რომ გაბრიელზე ცილისმწამებლური წერილების წერა ბახტაძეების მხრივ არც შემდეგ შეწყვეტილა. ილია ჭავჭავაძის სიკვდილმა ხელ-ფეხი გაუხსნა გაბრი-

ელის მოძულეებს. და აი, 1916 წელს ქურნალ „ცხოვრება-ში“ (№ 18), რომლის რედაქტორიც ხომლელი (რ. ფანცხავა) იყო, გაბრიელისაგან თავის დროზე სამართლიანად დასჯილი მღვდლის ლუკა ბახტაძის შვილმა, ილია ხონელის უფროსმა ძმამ ლუკა ბახტაძემ, კვლავ ახლად მოჭორილი ბრალდებით შელანძღა მიცვალებულის სახელი.

ლუკა ბახტაძის დაუსაბუთებელმა წერილმა აღაშფოთა საერო და სასულიერო წრეები. საკმაოდ ცუდ დღეში აღმოჩნდა თვით რედაქტორი — ხომლელი. ცხადია, საზოგადოება არ აპატიებდა მას საკუთარი ორგანოს ფურცლებზე ურცხვად ეძაგებინათ ის ადამიანი, რომლის სიკვდილმაც თვით ხომლელს 1896 წელს წარმოათქმევინა ასეთი სიტყვები: „საუკუთნოთ დადუმდნენ ბაგენი საკვირველი და შესანიშნავის ივერიელისა, რომლის ცეცხლმფრქვევი მღელვარე სიტყვანი მედგრად, შეუპოვრად ამხილებდნენ ჩვენს საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმულ ბიწიერებას და ბოროტებას“¹.

გაბრიელის თაყვანისმცემლებისაგან ალყაშემორტყმულმა ხომლელმა ურჩია ლუკა ბახტაძეს დაუყოვნებლივ შეეწყვიტა გაბრიელზე წერა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ხომლელის ღია ბარათები ლუკა ბახტაძისადმი (ამჟამად ინახება ილია ხონელის დისწულთან). გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი რედაქტორი ასე იწყებს ერთ ბარათს:

„ჩემო კარგო ლუკა!

საშინელო საბედისწერო შედეგი იქონია შენმა წერილმა გაბრიელზე. ვინც კი იწერდა „ცხოვრებას“, ყველამ უკან

¹ „ქვალი“, 1896 წ., № 9.

გამომიბრუნა — არა, ჩვენ ოჯახში ამისთანა ყურნალს ვერ შევიტანთო. შარშან გაბრიელის გულისთვის ჩამომეცალა 80—100 ხელისმომწერელი. მე და სერგი (ლაპარაკია ლუკა ბახტაძის ძმაზე.—ს. ს.) გაკვირვებული ვართ; რა დიდი ავტორიტეტი, უფრო მეტი — წმინდანი ყოფილა გაბრიელი ქუთათურების თვალში“.

გაბრიელის ხასიათის სიფიციხეს, რომელსაც ასე ჩასჭიდეს ხელი ძმებმა — ილია (ბონელმა) და ლუკა ბახტაძეებმა, ხომლელი იმ საზოგადოებრივი გარემოს თავისებურებითაც ხსნის, რომელშიც გაბრიელს უხდებოდა მოღვაწეობა. „იმ ხალხში. — წერს ხომლელი, — სადაც ტრიალებდა გაბრიელი, რატომ მთლად არ გაგიჟდა ეს მეტისმეტად ფიციხი გურული ხუცის შვილი, როცა ირგვლივ ყაჩაღები და მექრთამეები ფრტყა! ამასთანავე ებარა სამი ეპარქია: იმერეთის, გურია-სამეგრელოსი და აფხაზეთის. როგორ აღიოდა კაცო ამდენ საქმეს?“

1916 წლის 5 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ხომლელი ურჩევს ლუკა ბახტაძეს, ღრმად დაუფიქრდეს იმ საგანს, რომელზედაც წერს: „ერთი სიტყვით, ამ საგანს ძალიან დაუფიქრდი, ყველაზე უფრო წასატეხი გაბრიელზე წერაა. ჩვენს დემოკრატიულ ასეთი დიდი შვილი (ნიკო ნიკოლაძე კიდევ) ჯერ არ დაუბადებია და მის ასეთ დამცირებას არავინ გვაპატივებს“.

მართლაც, 1917 წელს ყურნალ „თავისუფლებაში“ (№ 6) გაბრიელის დასაცავად დაწერილ მიხეილ სხირტლაძის ვრცელ სტატიას თვით რედაქტორი ხომლელი ასეთ შენიშვნას ურთავს: „საგანი საკმაოდ გამორკვეულია, ამიერიდან ვსპობთ ამაზე პოლემიკას“.



დავუბრუნდეთ ისევ ილია ხონელის ნეკროლოგს და მის-
გან გამოწვეულ შედეგებს.

პირად ინტერესებზე აგებულმა ნეკროლოგმა, ავტორის
გამკვილავმა ტონმა საომარ ფეხზე დააყენა გაბრიელის
ღრმად პატივისმცემელი და მოსიყვარულე ილია ჭავჭავაძე.
და აი, 1896 წლის 8 თებერვლის „ივერიაში“ (№ 29) იბეჭ-
დება პატარა „ნარკვევი“, რომელშიაც გაზეთის რედაქცია
საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსული გაზეთე-
ბი და, კერძოდ, „კავკაზი“ ჭეროვნად ვერ აფასებდა ახლად
შიცვალეებული გაბრიელის პიროვნებას. „გაბრიელის გარ-
დაცვალების ამბავს—წერს „ივერია“ — ადგილობრივი რუ-
სული გაზეთები მეტად უცნაურად მიეგებნენ. ერთმა გა-
ზეთმა მხოლოდ „ახალ ამბად“ აუწყა თავის მკითხველთ ეს
გარემოება“.

„ნარკვევის“ ავტორი აღშფოთებულია, რომ გაზ. „კავ-
კაზმა“, რომელსაც იმ ხანებში მილიუტინი რედაქტორობდა,
თავის ფურცლებზე ადგილი დაუთმო ცილისმწამებლურ
ნეკროლოგს და „შესანიშნავი ქართველის დაფასება მიანდო
ადამიანს, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი წმიდა-
თა-წმიდა“.

გავიდა რამდენიმე დღეც და გაზ. „ივერიაში“ (1896 წ.
11 თებერვალი, № 32) გამოქვეყნდა უსათაურო ხელმოუწე-
რელი სტატია, რომელშიაც მრასხანე პოლემიკური ტონით
გამოხატული იყო მთელი ქართველი ხალხის უსაზღვრო
გულისწყრომა ილია ხონელის დამამცირებელი ნეკროლოგის
გამო. თუ როგორ აფასებდა უცნობი ავტორი გაბრიელის

პიროვნებას და როგორი შეუპოვრობით იცავდა იგი ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას ი. ხონელისა და „კავკაზის“ რედაქტორის თავხედური საქციელისაგან, მოვიტანოთ დამახასიათებელი ამონაწერი ამ საკმაოდ ვრცელი წერილიდან: „სტირის და გლოვობს მთელი საქართველო. მართლაც უნდა იტიროს და აგლოვოს. დაკარგვაც არის და დაკარგვაც. დღეს საქართველომ დაკარგა ერთი იმისთანა დიდებული კაცი, რომელიც არამც თუ ჩვენში, საცა ასე იშვიათია კაცური კაცობა, სხვაგან ყველგანაც, საცა დიდბუნებოვანება ადამიანისა ხშირია, იქაც-კი ამისთანა კაცი სასახელოა და თავმომწონებელი მთელი ერისათვის.

ალარ გვყავს ჩვენი სასიქაღულო, ჩვენი განთქმული და სამართლიანად სადიდებელი მღვდელმთავარი, ყოვლად ბრწყინვალე და პატიოსანი ეპისკოპოსი¹ გაბრიელი.

როცა რომელსამე ერის სიკეთე გნებავთ დაანახვოთ ვისმე, ერის აღმატებულება დააჯეროთ, სწორედ ამისთანა კაცებს დაასახელებენ ხოლმე, აი ამ ერს ამისთანა კაცები ჰყავსო. ამისთანა კაცების ჩამოთვლით ერის ღირსებას ჰზომავენ!

„დღეს ჩვენ ამისთანა კაცი დავკარგეთ და მოღით ნუ იტირებთ, ნუ იგლოვებთ!... ვაი, რომ ჯერ, როცა ამისთანა კაცი საფლავში არ ჩაგვისვენებია, როცა მისი წმინდა გვამი თითქმის არც კი გაციებულა, როცა მისი კუბო ჯერ კიდევ

¹ ვისაც წაუკითხავს ილიას სიტყვა ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე, უთუოდ გაახსენდება ანალოგიური სტრიქონები: „როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამას იკითხავს, რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიდეს ერისას მართო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი“.

თვალწინ გვისვენია და ველით, საუკუნოდ სახსენებელი ვუთხრათ ცრემლთა გოდებითა — ჩვენი რუსული გაზეთი „კავკაზი“ გვიგინებს მიცვალებულსა, მთელის საქართველოს წმინდა ცრემლში ურევს უწმინდურს დორბლს ილია ხონელისას და ზედ აყრის ჯერ არ გაცივებულს გვაშსა...“

წერილის მომდევნო ნაწილში ავტორი საფუძვლიანად აბათილებს ხონელის ბრალდებას, თითქოს გაბრიელი არ ვარგებულყო, როგორც ადმინისტრატორი, და მტკიცე საყვედურით მიმართავს „კავკაზს“ რედაქტორს, რომელიც უსაბუთოდ აპყვა „ამისთანებში ყოვლად ცნობილს ავციობას და ენაქართალობას იმისთანა კაცისა, როგორც ილია ხონელია“.

„საბუთი, საბუთი!... ბ. რედაქტორო, — განაგრძობს ავტორი, — ყოველ ამაზე საბუთი გვიჩვენეთ, საბუთი, უსაბუთოდ ვერ გაგაქვლვინებთ ამისთანა კაცს, ვერ გაგაუპატიოსნებინებთ გრძნობას საკუთარი ღირსებისას მთელის საქართველოსას.“

უგ კაცი ჩვენი სახელი იყო და არის. ჩვენი ღირსება იყო, არის და იქნება კიდევც, ვიდრე ქვეყანაზე სიტყვა „სამართალი“ არ გაუქმდება, ისე როგორც გაუუქმებია იგი თქვენს საყვარელ ილია ხონელს, რომლის პირითაც მოგვდგომინართ და საყვარელს მკვდარსაც არ გვამარხვინებთ შეუგინებლად. აქ ან საბუთი, ან ბოდიში!.. სხვა არარა დააწყნარებს აღშფოთებულ გულს პატიოსანი კაცისას.

...არავის შევაბღალვინებთ ჩვენს ძვირფას მკვდარს, ჩვენს წმინდა ცხედარს, რომლის კუბოსაც დღეს მუხლმოდრეკით თაყვანსა სცემს დიდი და პატარა...“ და ა. შ.

ბოლომდე ინარჩუნებს რა მძაფრ პოლემიკურ კილონ,

ბრძოლის ასპარეზზე გამოსული ავტორი დაუნდობლად ცელავს და მიწასთან ასწორებს ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დამამცირებელთ.

წერილის გამგმირავი სარკაზმი, აზრისა და სიტყვის ბაჩქა მკაფიოდ მეტყველებდა, რომ მისი ავტორი „ივერიის“ რედაქტორი უნდა ყოფილიყო.

და თუ ილია ჭავჭავაძემ ამ წერილს ხელი არ მოაწერა, ესეც თავისებური მოსაზრებით იყო ნაგარაუდღევი. ამით დიდ პატრიოტს სურდა არა მარტო პირადი, არამედ მთელი ქართველი ხალხის სამართლიანი პროტესტი გამოეხატა როგორც ნეკროლოგის ავტორის, ისე გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორის მიმართ, რომელმაც ცილისმწამებლური წერილის გამოქვეყნებით „შხამი გადაასხა“ სასიქადულო მიცვალებულის ცხედარს.

ილიას პოლემიკურ წერილთან დაკავშირებით აქვე უნდა დავუმატოთ, რომ გაბრიელის დიდებით დაკრძალვა და ქართველი ხალხის საყოველთაო გლოვა იმდროინდელმა რუსულმა რეაქციულმა პრესამ ნაციონალური მოძრაობის გამოვლინებად მიიჩნია. კერძოდ, ბათუმში გამომავალმა გაზეთმა — „ჩერნომორსკი ვესტნიკმა“, რომლის რედაქტორი ცნობილი შავრაზმელი პალმი იყო, გაბოროტებული ცინიზმით აღწერა დაკრძალვის ცერემონია. ეს უხეში განობდომა პალმს არ აპატიო გაბრიელის პიროვნებისა და ქართველი ხალხის უსაზღვროდ მოყვარულმა მწერალმა დავით კლდიაშვილმა. მან სასწრაფოდ დაასახელა სექუნდანტები და ჩვენი ეროვნული ღირსებას შეურაცხმყოფელი პალმი სამკვდრო-სასიცოცხლო დუელში გამოიწვია. მხდალი და უპ-

რინციპო პალმი მამაცო ოფიცრის ცხელი ტყვიისაგან მხოლოდ ლაჩრულმა ბოდიშმა იხსნა.

ნიშანდობლივია, რომ არც უმაღლეს მთავრობას და არც უწმიდეს სინოდს გაბრიელის გარდაცვალების გამო არაფითარი სამძიმრის დეპეშა არ გამოუგზავნია. ამ თაობაზე „ივერია“ შენიშნავდა: „...რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ტფილისის აგენტმა ხომ ჩვეულებრივად არ სცნო ქართველთ საგალალო საქმე საყურადღებოდ“¹.

ბიუროკრატიული, განაპირა ერების მოძულე მეფის მთავრობა, ცხადია, დიდად არ შეიცხადებდა იმ აღამიანის სიკვდილს, ვინც, დ. კლდიაშვილის სიტყვით, მედგარ „წინააღმდეგობას უწევდა უმაღლეს მთავრობას, რომელიც ასე რყვნიდა ქართულ ეკლესიას და ყველაფერს“.

* * *

დაეუბრუნდეთ ისევ „ივერიის“ ხელმოუწერელ სტატიას. წერილის ავტორის გამოცნობა, ცხადია, არ გამხდარა თავსატეხი, ილიას წერის მანერისათვის დამახასიათებელი უტყუარი ნიშნებით იგი თვითონვე მიუთითებდა დამწერის ვინაობაზე.

პირველ რიგში ეს ენიშნათ ხონელსა და „კავკაზის“ რედაქტორს, რომელსაც თარჯიმნებმა „მიუთვალეს“ ილიას სათქმელი.

ცოფმორეული ხონელი აქეთ ეცა, იქით ეცა, და ბოლოს

¹ „ივერია“, 1896 წ., № 29.

„კვალის“ რედაქციის საშუალებით ღია წერილით მიმართა ილია ჭავჭავაძეს.

ქვემოთ მოგვაქვს აღნიშნული საპასუხო წერილის მხოლოდ დასაწყისი:

ღია წერილი ბ. ილია ჭავჭავაძისადმი.

მოწყალეო ხელმწიფე!

„ივერიის“ მე-29 და 32 ნომერში თქვენ დასტამბეთ რამდენიმე წერილი, რომელშიაც უშვერი სიტყვებით, თქვენი აგრეთ დამასურათებელი ლანძღვა-გინებით მომიხსენეთ მე და ჩემი ფელეტონი „კავკაზ“-ში, ახლად განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ“¹.

“

საკვირველია, რომ ილია ჭავჭავაძის ეს შესანიშნავი წერილი დღემდე უყურადღებოდაა მიტოვებული, და თუ მხედველობაში არ მივიღებთ ილია ხონელის საკმაოდ დიდი ხნის წინანდელ განცხადებას, თითქმის სრულიად არაა მითითებული, რომ მისი ავტორი „ივერიის“ რედაქტორია და არა სხვა ვინმე.

ამაზე ცხადად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნული წერილი ილია ჭავჭავაძის არც ერთ გამოცემაში არაა შესული.

ჩვენ მიერ მითითებული ილიას უსათაურო წერილი კი

¹ „კვალი“, 1896 წ., № 8.

მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას: პირველ რიგში ეს წერილი ერთხელ კიდევ ლაპარაკობს ილიას დიდ პოლემისტურ ნიჭზე; ეს წერილი ნიშანდობლივი ჯოკუპენტია იმ დიდი მოქალაქეობრივი და პატრიოტული ვალდებულებისა, რომელსაც ილია სიკვდილამდე განუხრელად ემსახურებოდა ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების, მასი სახელოვანი შვილების დასაცავად და ასამაღლებლად.

დასასრულ, აღნიშნულმა წერილმა სტიმული მისცა და ხორცი შეასხა იმ ჭეშმარიტად სწორუბოვარ სიტყვას, რომლითაც ილია ჭავჭავაძემ 1896 წელს გელათში, ღია სამარის წინ განსაცვიფრებელი ძალით გამოკვეთა გაბრიელის ისეთი სრულყოფილი მედალიონი, რომელსაც, ილიასავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „არ ვიცი, რომელ მხრიდან დავუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველი მხრიდან დიღებული სანახავია“.

დღეს, როცა შთამომავლობისათვის ესოდენ ძვირფასია უკვდავი მწერლის ყოველი უცნობი სტრიქონი, სამართლიანობა მოითხოვს, ილია ჭავჭავაძის მრავალფეროვან პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში აღნიშნულმა წერილმა შესაფერი აღგილი დაიკავოს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

სულხან-საბა ორბელიანის გადანახული საგანძურიდან	3
მქვერმეტყველი ქართველი ქალი	43
რაქის მატერიალური კულტურის ერთი ისტორიული ძეგლი	68
დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ნაკადი დავით გურამიშვილის პოეზიაში	89
მამია გურიელი	114
უცნობი ფურცლები ვაჟა-ფშაველას ფსიქოლოგიური და პედაგო- გიური ნააზრევიდან	124
დანიელ კონქაძე	161
იაკობ გოგებაშვილი და გაბრიელ ქიქოძე	169
აკაკი მრავალძალში	199
პოლა ლომთათიძე	209
ილია ჭავჭავაძის ერთი უცნობი წერილისა და მისი გამომწვევი მი- ზეზის გამო	222.

Симон Мелитонович Схиртладзе

Из позабытой сокровищницы

Статьи

(На грузинском языке)

Издательство „Литература და Хელოვნება“
Плеханова 179
19 Тбилиси 65

რედაქტორი ც. ჩხეიძე
გამომც. რედაქტორი მ. ქოიავა
მხატვარი ირ. ჯანაშვილი
ტექნორედაქტორი თ. მამფორია
კორექტორი ც. ქაროსანიძე

ბელოწერილია დასაბეჭდად 3/Х I-65 წ. ქალღმადის ზო-
მა 70×108¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 10,6. სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 8,72.

უე 00392. ტირაჟი 2.000. შეკვეთის № 1256.
ფასი 58 კაპ.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили 5.

გამომცემლობა „ლიბერატურა და ხელოვნება“
გამოსცა და მალაჩივზი იყიდა

- სტენდალი — „პარმის სპანე“. ტირაჟი 25.000, ფასი 1 მან. და 65 კაპ.
- ა. ვინოგრადოვი — „შავი კონსული“ ტირ. 30.000, ფასი 76 კაპ.
მარკ ტვენის — „იშმორისტული მოთხრობები და პამფლეტები“
ტირ. 30.000, ფასი 69 კაპ.
- ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე — „მარჯორი უორდროპი“ ტირ.
20.000, ფასი 75 კაპ.
- ვ. გაბესკირია — „ლექსები და დრამატული მოთხრობა“ — ტირ.
1 500, ფასი 65 კაპ.
- დ. დეფო — „მომლ ფლენდერსი“ ტირ. 50.000, ფასი 91 კაპ.
- ვ. ჟვანია — „ლიბერატურული გასამართლებანი საქართველოში“
ტირ. 1 500, ფასი 56 კაპ.
- შ. ძიძიგური — „ენა და ლიბერატურა“ ტირ. 2 000, ფასი 90 კაპ.
- ი. სონლულაშვილი — „მირანდუხტ ნადხმოგილი“ ტირ. 30.000,
ფასი 1 მან. 22 კაპ.
- ლ. შენიანი — „გამომცემლობის ჩანაწერები“ ტირ. 40.000, ფასი
1 მან. 8 კაპ.
- ს. იაშვილი — „ჩემი წარსულიდან“ ტირ. 5 000, ფასი 32 კაპ.
- გ. შეფისაშვილი — „აპაკი წერეთელი და ქართული პრიტიკა“
ტირ. 1 000, ფასი 39 კაპ.
- ი. გუგუშვილი — „თეატრალური კორტრეტები“, ტირ. 2 000, ფასი
88 კაპ.
- ი. რაინისი — „ლირიკა“ ტირ. 1 500, ფასი 19 კაპ.
- ი. მოსაშვილი — „ლირიკა“ ტირ. 2 000, ფასი 54 კაპ.
- გ. მისტრალი — „ჰიმნი ტროპიკების მზეს“ ტირ. 3.000, ფასი
17 კაპ.